

რეტენატუნა და სეროვნება

N3

03/2006



1522/2
2006

შათბის
გურამ
დორენაშვილი

შაგვის
ჯანსუღ
ჩარკვიანი



მანანა
ჩიტიშვილი

ჟესის
ლევან
ტურიაშვილი

თეატონი
დალი
ვანჯიკია

სეროვნება
ირინე აბესაძე

297



დიმიტრი შევარდნაძე

ნატურმორტი

რიტენატუნა და ხეროფენება



N3

03/2006

გამომცემლობა
„ეროვნული მწერლობა“
ყოველთვიური ჟურნალი

ISSN 1512-3189

პროექტის ავტორი და
ხელმძღვანელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი:

ტარიელ ხარხელაური

მთ. რედაქტორის

მოადგილე:

მანანა მიქელაძე

პასუხისმგებელი

მდივანი:

ზურაბ თორია

რედაქტორი:

დავით ტაკიძე

მხატვარ-დიზაინერი:

მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა:

ქეთი ჭაბუკიანი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42

ტელ.: (+995 32) 93 18 69;

8 99 25 60 14

ს ა რ ჩ ე ვ ი

წიგნი, წიგნი

3 გუჩამ დოჩანაშვილი - ლეზა-ვ, ჩემო სიყვარულე

37 ჯანსუღ ჩახვიანი - ლექსები

40 მანანა ჩიტიშვილი - ლექსები

43 მამუკა დოლიძე - მოთხრობები

48 გიორგი ჩოხელი - ლექსები

თარგმანი

50 ანტონოვიჩი ხიუნოსე - იაპონური ქალები

/თარგმნა ჯემბუხ თითუმეიამ/

ანიკვიდან

55 შანვა ქიქოძის ნეხილი ანაჟი ხომტახიას

წიგნი

56 მაკა დახსაველიძე - "ცა ჩვენი სულის მისამახითა"

მუსიკა

64 ლესო ტუჩიაშვილი - ჯაზი

მხატვრობა

68 იხინე აბესაძე - ჭანჭიკი, ანუ ეხოვნელი ხელახის

დედაბოძი

თარგმანი

76 დანი ფანჯიკიძე - მძიმე ტვიხით ანუ სოფიკო

ჭიკიხელის ახალი სპექტაკლი

"პლანეტების დაბადება"

80 ფოტოგრაფიკიდან



გამოცემის სპონსორია
მავთიანობი

საქონსუფიქსაციო სპეცია:

ქაბუა ამირჯიანი, ზაჩარია ზარეაძე, ნანი ზარეაძე,
პეტრე ზარეანიშვილი, შავეა ზარეაძე, პაპუა ვინაშვილი,
თეიმურაზი ჩხეიძე, თამარ ჩხეიძე, ვაჟა ერეკლე



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



კურამ

ფოხანაძე

ლუბა-3, ჩემო
სიყვანჯერო...

1.

ახლა, ამ გადასახედიდან რომ ვუკვირ-
დები, მაშინ ისე ძალიანზე მეტად ძალიან
ძლიერ უფრო მტკიოდა სუმთლად ძალათი
ანატკივები თავი და დანამდვილებით არცკი
მახსოვდა ის თითქმისა და ყველაფერი,
განსაკუთრებით კი ერთი ძაანაც დიდმნიშვნე-
ლოვანი რამ, რომელიც წინა საღამოთი თუ
ღამით — ესაც არ მახსოვს, —გადამხდა,
ხოლო სუყველაფერი შესაძლოა სულ მთლად
იმისი ბრალი არა მაგრამ, ის სააღრეულო
დასაწყისი მაინც სუპ-ხარჩოს ბრალი იყო,ისე
ძალიან მისითაც კი მთლად არასოდეს
ავმღვრეულვარ, მეორე დილით კი, გათე-
ნებისას დასტურ-რომ გამეღვიძა, კუჭ-
ამომჯდარმა, თავ-როგორ-მბურღავ-მანქა-
ნით ჩემივივ თავის რა მტკიც-სალტეთი ისე

მრავალგან ამოხვრეტილობით-ატკივებულ-
მა, სუპ-ხარჩოსი, კი, დამსახურებით რაღაც
აურაცხელად აუნონავი უსაზიზღრესი
პირისგემოსი მოსაცილებლად ჩემი პატარა,
მომცრო მაცივრის უსახელურო კარი რომ
მაინც გამოვადე, რა დავინახე, მე-
განწირულმა,საუბედუროდ — რაღაც ძალიან
კრემიანი ნამცხვარი და ძლივს, ძლივსღა
რაღაც სასწაულით შევიკავე მთლადაც
დაქოქილ-ტანკებიანი თავი სუმთლად რომ
მთლადაც არ გავფუჭებულიყავ, და, კიდეც
კარგი, ცე-ვიტამინი სულაც იქით იყოს და
როგორ განმმედი ნახევარი ლიმონი
დავლანდ-დავჩითე მაგიდაზე და, ვწუნწუნე და
ვწუნწუნე დაუცხრომლად და, მგონი, ცოტათი,
ოდნავ, ვგონებ გადამიარა... რადგან მრავა-
ლულებიანად მსროლელი ტანკები ჯავშან-
ტრანსპორტიან-მანქანებითლა შემეცვალა,
ოოჰხ, სუპ-ხარჩოვ, მე კი შენა და შენი
საქციელი... მაგრამ რომელი მოკლე დეფისი
და მსგავსი უბედურობანი სუპ-ხარჩოს უნდა,
რადგან გაცილებით უფრო ადამიანურად,
ბავშვობიდანვე შეჩვეულები სუპხარჩოს
ვეძახდით შინაურული ამხანაგები, დაბა-
დებიდან მოყოლებული შეღერებულსა ყმანვი-
ლობამდე ის ჩემი კბილა კარის მეზობელი იყო
იგი, შალიკო, ჩემი, და ხოლო მერე კი, იური-
დიული რომ დაამთავრა და მილიციაში რომ
მოეწყო მაიორ-ბიძის მეშვეობით მლადშ-
ლეიტენანტად, მერე და მერე კი თვით ჩვენი
ოდრო და ჩოღრო-გზაურებ საგზაო პოლიციის
კაპიტნობამდისინამდეც კი რომ მიაღწია 1979
წელს /იქამდისამდეც საბურთალოზე გადა-
ვიდა ოთხ-ოთახიანში ხოლო იმ დროისათვის
ოთხოთახიანი გრანდიოზული მიღწევა იყო
კაპიტალურნსა ბინათმშებლობების დარგში
ხოლო იმისი ყოფილი მეზობლები კვლავ ჩვენს
მშობლიურად ინტერნაციონალისტურსა
სოლოლაკში, დილაც, დავრჩით / მის სამსა-
ხურში ერთი-ორხელ მომინია საშვეებით
შევლამ და წოდებ-თანამდებობით უმცროსი
მელიტონები (მაშინ ჯერ კიდეც მილიცანრებს
ასე ვეძახდით მოფერებითად ხოლო ახლაც კი
როგორაა პოლიცანრებიში ეს კი არ ვიცი,
როგორაა,/ან „ამხანაგო კაპიტანო“ სანდაც
„პატივცემულო შალიკო“ს ანდაც სულაც
„ვალკოვეიჩ“ს ეძახდნენ, ხოლო თანატოლ-
ხმელის/— ხმელეთის /— კაპიტანები მხოლოდ
„შალიკო“-თილა და „შალა“-თი მიმართავდნენ
გააჩნდა თუთუ საქართველოსი რომელი კუთ-
ხიდან იყვნენ — დასავლეთის თუ აღმო-
სავლეთის, მთლად უფროსობა კი როგორ
მიმართავდა თავიანთებებ კაპიტანებში ეს
ალარ ვიცოდი აბა იქ მე ხომ აბაღ ნეტა ვინ
შემასუნიებდა და ეგებ სულაც „შეჩემა“ობით

24343

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმართავდნენ მაგრამაც, ჩემთვის? – მარტოებილა თუკი ვიყავით, ერთი-ერთზე, და ანდაც ფიქრებში? – როგორ უცვლელა-მტკიცედ სუპხარჩოდ დარჩა, და ხოლო ესი ზედმეტური მეტისახელი სკოლის მერხიდანვე შეარქვა რომელილაც ჩვენმა კლასელმა რადგან მამამისი, შალიკოსი, ვალიკო, ჩვენი ყველასი ქ. თბილისისა ერთ-ერთი კაიმოზრდილა რესტორნისა სულაც მთავარი შეფ-მზარეული იყო თავისი მრგვლურად-თეთრა-ქუდიანა და ხოლო მისი ხელიდან გამოსულ კარქა-შეკმაზულ სუპ-ხარჩოს ყველა ისე აქებდა რომ, რომ, ნაბახუსევარ „პახმელია“-ზედ განსაკუთრებულად ის უფრო სჭრიდა ორლესულად ვინემ ვალიკოსი თუნდაც თვით დანა-საშეფ-პოვრული და გინდაც თვითან ძალუმში ხაში და ზედ ლავაში და ლავაში სიტყვამ მოიტანა თორემ ისაც სინამდვილეში ზედ ორი 50-50-პიატდესიატ გრამი ჩვენ რო ვიცით, იის, მერე კი, დრომ რომ თავისი გაიტანა და მოითხოვა და თეთრქუდა ვალიკომ დანა და ჩამჩა და სუნნელოვანი წინსაფარი და შეფ-მზარეულისა სხვაც ატრიბუტები შორს გადასტყორცნა ვით მარგალიტი უძვირფასესი და პაპიკ-ვალიკომ მზარეულობას, თავი ძალიან მკვეთრად გაანება ისევე როგორც ზოგმა ქმარმა ზოგიერთ საყვარელს რადგან ორთქლებში ტრიალს და ბულურ სიცხეს ჯერ რევიზორობით რევიზიული რევიზიებით წრიალი არჩია სხვადასხვა წერტებში რადგანაც ვალიკო სპეციფიური განათლებითაც აგრეთვე ეკონომისტი ხოლო შვილით კი მაშინ ჯერ კიდევ ლეიტენანტ შალიკოსი მამა იყო, კი, თან ერთადერთი და ღვიძლი მამილო, დიახ, ხოლო შალას-კი, მისი წარსულის საპატივსაცემოდ, მეტიც-სახელი ესი, ძალიან ძველსა ამხანაგებში, ძველ სუპ-ხარჩოში ჩასაჭრელი ხახვივით, შერჩა, ისე კი, მართლა ისე კი არ იყო საქმე, გარეშე ხალხის თანდასწრებით, სულ „პატივცემულო შალ-ვა“ს, ვეძახდით, ხოლოკი დრო რომ ისე გავიდა და რევიზორ-რევიზიონისტმა ვალიკომ საანგარიშო „ჩოთქი“ თუ რაღაცა ქვია და რევიზორისა სხვაც ატრიბუტები /სათვალე, მკაცრი გამოხედვა, ქალღმერთა შლისას ორი თითისი ნერწყვით დასველება და სხვა / თავის ეზოში მდგართ ხესა და ხეს შუა ჩამოკიდებულ ლეიბრაფენილ ჰამაკში გადაცვალა / ახლაკი უკვე ორსართულიან ეზოიანსა კერძო სახლში ცხოვრობდნენ ჯერამაც კიდევ სუპხარჩოსისი სტარშ-ლეიტენანტობის დროს ახალი დროითა და წელთაღრიცხვით და გრინვიჩის დროით და ასე შემდეგ, /

და, ერთსაც მშვენიერ /რაღა მშვენიერ...

ისემც... / დღესაც დამირეკა და მე ვარ, შალვაო, და ნევრიანობა შემხვდა ერთი / „ნევრიანობა“ს ჰალელვებულსა ნევრიანობას უნოდებდა, შინაურულათ... / მაგრამ თურმე სუტყვილა მინევრიანებია /მედგარ შალასი ნერვიულობა კი ძირითადად ის იყო და მდგომარეობდა რომ თუ ნოდებით უმფროსი შედარებით ცივად მიესალმებოდა ანდაც სულაც არ მიესალმ-ქალამანებოდა/, ხოლო უმფროსი ცუდ ხასიათზე იმიტომ ყოფილა რო თავისი უმცროსი ბიჭი, 12 წლისა ქართლოსა აუვიანი პაპიროზისი მოწვევაში გამოუჭერნია კარქ ტუალეტში, შალიკომ ეს უკვე სუფრაზე /თუ, სუფრასთან?... / მითხრა, კარგა 6-7 ნაჭი-ქარზე, მოკლედ, ვურტყით და ვურტყით სუპხარჩომა და მე-მ იმდენი, როომ, კვირით მწყურვალი ბეჭემოთი ვერ დალევს ნილოსის იმდენ H₂O-ს, რა გვენალვლებოდა-რა, — იმ რესტორნისა დირექტორი კვირაში ერთხელ უფასოდ ასმევდ-აჭმევდა პატივსაცემსა შალვას თან დოსტიაანა – ერთი რაღაცა „უიგული“-მანქანა ჰყოლებია /თუ ჰქონებია... / და სამაგიეროდ ისი მანქანა ჯარიმებისაგან შალასი მიერ ძანაც მყარად იყო დაცული ხოლო კვირაში ორჯერ – იმ მანქანისი ნაწილების თუ მთლადაც მთელი მანქანისი მომპარავებისაგან ერთ პროკურორსთან თანაავტორობით დაზღვეულ-ქონდა ისე ზუსტად რომ გინდაც რომ-რო ზოგ-ზოგ რუქებზე გრინვიჩის ზუსტი ხახვივით პუნქტუალურად დაცული და კვირაში კიდე ორჯერ კარგ პურსა სჭამდნენ პროკურორიანა, კი, თუმც პროკურორებს სად ჰყავთ ნალდი დოსტები, მაგრამ ურთიერთჰანგარიშიანი დოსტები იმათ ხომ, ნალდათ მოეძევებათ დააა, მოკლეთ /თუმც რაღა მოკლეთ ეს-ესი „დააა“... / ისე დავითვერით, რომ ბარე სამჯელ სუპხარჩოსისა ნაცვლად კი, კი, სიყვარულობით მთლადაც „ჯიგრის ყაურმავ“-მეთქი, ღვინო-ძალიან-გამოვლებულ, პირში, ვუთხარი, მერე კი, რესტორნიდან რომ შეღამებულზე რო გამოვედით, მე სამსახურში მააქ საქმეო, შალვამ, სალამოს ზუსტად 9 საათისათვის ჩემსა პუჭურა /დაბალი თანამდებობის/ ინსპექტორებს ჩემი წილი მოაქვთ ხოლმეო, შალამ, და, მაგრამ დაკვირვებით რომ მიმოვათვალეერეთ, მიდამო /ეს კარგად მახსოვს/, სალამოაო? – იკითხა მერე, ეგება, ბიჭო, ხვარ თენდებო, და სანამ ერთურთს დროებითურ დამშვიდობებისას კარგა-ძალუმად ვეხვეოდით და ვბუბნიდითა? — უფროც შებინდდა, და სალამო იქნებოდა აბა რა იქნებოდა-იყო აბა როდის იყო რომ გათენებისას უფრო ბინდებოდა და, სუპხარჩომაც და გაჯიგრის-ყაურმებულმაც და „ასეტრინა ნა ვერტელე“ მაც რაღაცა ტაქ-

სირომ გამოიჭირა /რაც-გინდა რა-მთვრალს, გაუჭირდებოდა ეს საქმე, თუ რა.../, ჯერ თვითონ მივიდა საპასუხისმგებლო ძალიან, სამსახურში, ხოლო კი ფული ჩემთვისაც წინასწარულად გადაიხადა, სულაც არ იყო წუნწურაქი ზოგ ჯიბეგამოფხეკილ აკადემიკოსივით, და, იმისი ჩასვლა და ჩემი გათიშვა, მთლად ერთი იყო ძალიანაც საღ 1-ანივით და სულ ცოტახნით ჩემი სახლის შავსა ჭიმკართან, სოლოლაკურთან, შევფხიზლდისავით, თუ მგონი სულაც მოფერმა გამაღვინდა ვალიკოვიჩმა ეს მისამართი დამაბარაო, და, ის აღარ მახსოვს შინ მარტოკინ-ლად ჩემით შევედი სოლოურად თუ, ანდა პირიქით, და, ჰოიი, მერე რამდენ ხანს, რამდენ გრძელწუთსა აღარ ვიცოდი მომეჩვენა თუ, სიმართლე იყო, რაც თავს გადამხდა თუ არ გადამხდა...

გამაბობთ, ყოველს.

გინდ ისე იყოს და, გინდაც ასე, ჩემო მანასე, ეეე, მოკლევით? –

ჩემსა მეზობლად, ოთხ სახლსა იქით, კალმის ოსტატ ლერმონტოვისა ქუჩის რომელიღაც ნომერში, ქალი ცხოვრობდა? – გაგიხარია.

ვიცი, რომ მაინც არ დამიჯერებთ, და მაგრამ მაინც ჯიქურად გეტყვით:

აი, რამდენადაც კი ჩვენი ჯიგრისა ხარჩო თუ რაღაცა ერქვა მოკლედ შალიკო ვალიკოვიჩი იყო არა?, ულამაზო? – ზუსტად იმდენად და მგონი-ვგონებ, უფროადაც მეტადც, ლამაზი იყო, მეზობლისისი ისი-ქალი, ის, კი, კი, და კიე,

და, ვერ დავიჩემებ რომ სწორ-ნამდვილად ასე იყო, მაგრამ თუნდ მოჩვენებით ძლიერულ ცხადად მომეჩვენა რომ ვითომ ჩემს ოთახკაბინეტში იყო და, თუ იცით, რა მითხრა თუ მომეჩვენა რომ ასე მითხრა,

ზურაბ, მკოცნე და მკოცნე რამდენიც გინდა ოღონდაც ყელსქვემოთ აღარ, აო,

მეც რა მინდოდა მეტი, ზაფხული იდგა, გაშანშალეული ივლისის თვე და შინ მარტო ვიყავ თუგინდაც მთვრალი, მთელი ოჯახი ბახმაროზე მყავდა, და რაც არი არი, მოდი და ვკოცნი და ვკოცნი-მეთქი, თუმცკი, ვშიშობდი

ხოლო ეს იმად, რომ თუმც ძალიან დიდად აღვიარებულ მექალთანედ, კი, ვითვლებოდი, ჩემით თუმც არასოდეს გამომიჩენია მათდამი /ქალებისადმი/ ლტოლვა, მაგრამ იმდენად არ მასვენებდნენ რომ არ მრჩებოდა სხვა ბილიკი – სხვა რომ არაფერი მამაკაცობა-ნაგვრილი არ ვეგონო-მეთქი და, თავმოყვარეობის არმესალახად მუდამ იმ ოღრო-ჩოღროსა და ფართოდ ამოს, როგორს, ქალიანსაურ ფართო შარავზას დავადგებოდი და თუმც არასოდეს

მიტრაბახნია ამ ფრიადს-დარგში ჩემი კაცური წარმატებებით მაგრამ რამდენ ქალს, ჯუხტად თუ კენტად ისევაც მათი ენისა მოუთოკველობისა და გამო, მხოლოდ ჯერ მარტო თბილისში, აბა თუ იცით რას ეძახდნენ, რასა და – „ნაზურალი“, ს, ჩემი კუთვნილი საკუთარი სახელიდან, „ზურა“, და ახლა არაქართველებს აღარ იკითხავთ?, სსრკ-სი სხვადასხვა დიდ-დიდ ქალაქთა მკვიდრებს? რამოდენიმეს, ჩამოუკითხავს კიდეც ჩვენსა მზიურსა კავკასიეში, იმსიმორიდან, ქალაქ ჩემქალაქ თბილისშიაც ჩემს გულობიზა /ანუ ჩემთვის – გურული, ზურაბ/ რამდენნი იყვნენ, ეჰაავ, ჰოიი, იმდენი რომე მეც, პროფესიით მათემატიკოსს ძალიან მიჭირს შედარებით როგორ მარტივი არითმეტიკულობითაც კი დათვლა-ჩამოთვალა იმათი, მათი, მეკი მაგათი, სად და სად აღარ მქონია კონსპირატიული კერძო თუ სახელმწიფო, სესერეკლური, ბინა, მაგრამ ბოლო დროს ისეთი რაიმ, რამ შევამჩნიე ჩემს ბედშავ თავზე დატეხილი, რომ ქალებისკენ აღარც ვიხედები უნებურული გამონაკლისის /ტელევიზორის-მიერთა, ვთქვათ.../, გარდა,

ეს იმიტომ რომ, ქვეყნად ყველაზე უძვირფასესი არსება, ჩემი, — მიხვდით ალბათ რომ შვილიშვილზეა ლაპარაკი, – ჩემი როგორი ძალიან უღალი, წითლად მზინავი ცეცხლოვანი-რამ ბედნიერება ჩემი, რუსო, სამი წლისა რომ გახდა, ეეჰ... მოგეხსენებათ, რომელი ბავშვი არ ავადმყოფობს მაგრამ რუსო სწორედაც მაშინ, მეორე დღესვე ხდებოდა ავად ნაზურალევთა რიცხვი თუ მოიმატებდა ან მხოლოდ განმეორდებოდა, მე ამას ჩემი რუსოსი ასე მეხუთე-მეექვსე ავადმყოფობისას მივხვდი, და ამიტომაც განგებასა თუ ბედს თუ რაღაცას ძლიერ შევთხოვე, რომ, თუ მე ვაშავებ, რუსოს რას ერჩი, მე, მე დამსაჯე ძალიან-მეთქი, და ერთთაგანთან კვლავაც სუბხარჩოსი წყალობით რომ ისეთი მთვრალი მივტორლიაღდი რომ არას დაგიდევდით ერთ-რამის გარდა /იცით თქვენ, რისაც.../ და მაგრამ აბა რომ არ დამცალდა? არც გაუგია იმ ჩემსა-ჩემისა „ნაზურალა“ს ისე დავეცი იმის კიბეზე და, თავის დარტყმისგან აღტყინებული ძაან გული ისე ღრმად და შარვალჩაუხდელადაც ნამსვლია რომ, ნაღდი თუ არა კლინიკური სიკვდილი მაინცა მქონდა, ეს მეორე დილითვე შემფოთებულმა დამირეკა სწორედაც იმან, ნაზურალ-ნაჩემარმა, იმ დღეს ხომ სახლში სულაც არ ყოფილა და მეზობლებს საგულდაგულთ უამბუნიათ, ეს /მიცნობდა, რაგინდ კონსპირირებულს, ზოგი.../, და მე კი იმ მეორესვე დილით, ტვინშერყეულმა, მაინც როგორის დიდის სიამით ვიგრძენი რომ

თუნდაც მხოლოდ იმ გადანწყვეტილებისათვის /იცით თქვენ, თუ რომელ მხრივის.../ ისე ძლიერ რომ დავისაჯე, ბედისა თუ განგების თუ რალაცა იმისა მიერ, და, როგორ ძალიან მიხაროდა, რუსო რომ ჩემით მორიგ ავადმყოფობას რომ გადაურჩა და მე დავისაჯე, როგორც წესია, თვით, და უკვე იმას ვგეგმავდი რომ, შერყევა როდის-გადავლილი, აბადა მორიგ-რომელს მივადგებოდი კარზე და მერე უფრო ღრმად, ოთახში-სანოლ, მაგრამ, იმავ დღეს, ანუ მეორე საღამოთი მწოლიარემ შევიტყვე რომ რუსოს 39 და 6 ხაზი ჰქონია სიცხე, და

ის იყო და ის,

რისი-რომელი ქალები კი არა და, ტელევიზორში როგორ ძალიან გახშირებულ, ხელიკების დაგვირგვინებულ არშიყობასაც აღარ შეეცქეროდი, მაშინვე „ახალ ამბებზე“ გადავრთავდი,

არადა, ტელევიზიის თითქმის ყოველსა არხზედ როგორ ძალიან გაახშირეს თანდის-თანობით ძაან-აშკარად ერთობლიურად შედედებული ერთის მხრივ დონ ჟუან ტენორიობა და რასპუტინობა ხოლო მეორესა მხრივ როგორ ყოველმხრივ დამხვდურობითი ეკატერინე II-ობა და გინდაცე ჩვენი ლიზიკუნა მამაცაშვილობა,

და, ისე მტკიცედ გადავწყვიტე რომ, ჯანდაბას, გაუშვი არამცთუ მამაკაცო-გადაკარგული ვინმ და თავში ქვა უხლიათ და მთელ ჩემს ქალაქსა თბილისს ის ინგლისელი ერთსა ადგილას ძალიან უნებისყოფო მუზიკანტი-რამ თუნდაც ელტონა ჯონსი ვეგონოთ, მეთქი,

რადგან რუსიკო, რუსო, ჩემი? –

მთელი მსოფლიოს ყველაფერიან ფერადოვან ქალთ, ერთად აღებულთ ასიათასჯერ და რამდენად მეტადაც მირჩევნია და მე ძაან სულელს ადრე რამდენჯერ რომ მეგონა რო ვილაც-ვილაცა მყვარებია-თქვა, მე-მეთქი, მე-თქო, -

თურმე სრულიად არა, არარა, ეს.

რადგან ნამდვილი სიყვარული, როგორი წრფელად ამაზრზენი, სათუთი როგორ ყველაფრის როგორ გადამფარავი და როგორი სუფთა, რაისი ფიფქი,

შვილიშვილისა, სწორედ მისადმი ყოფილა თურმე სულ-სუ მთავარი, უუმთავრესი, სიყვარული ეს,

თუმც რაღა ფიფქი, ჩემი რუსიკო, რუსო-ჩემი ფიფქივით თეთრი კი არა და, უღალიამეთქი ისე, ისე რომ, სულ ცეცხლად იწვის, თითქოს ეს ჩემი სიყვარული – მაღალი როგორ, მთლად ყოვლისმომცველ ხანძრადაც კი მოსდებია პანია თავზე ხოლო მისი კი ძალიან ბაცი, ბაცი ძაან, ყოველი ჭორფლი, დიდ-

დაკვირვებით თუკი გაარჩევ, მთელი მსოფლიოს ქალებს ერთად აღებულთ, მირჩევნია და შეურცხვა თავი და დავასხი თავსხლაფი იმ შტერ სუპხარჩოს ისე ძაან რომ გამომათრო რომ აქეთ მეძახდა მამამისეულ ჯიგრის ყაურმას და სხვა რომ არაფერი მთიულურსაცა ხინკალს და რუსულსაც ბორშჩს და ყველაფერს რომ თავი გავანებოთ აბა სვანურსა რესტორანში — კუპდარიანში, ჭვიშტარიანში, მე-გურულს აბა იქ რა, რა მინდოდა ჩვე ერთობლივად ფეხმოსატეხებს,

და,

რუსოს ძალიან მოსალოდნელ ავადმყოფობას გინდაც რომ მთვრალი, თუ გადავივინყებდი?

ეს მაინც არა, არ მეგონა / — მაშინ კი არა, ახლა, /,

არადა, ძაან ბუნდოვნად თითქოს მახსოვდა რალაცა ნაღდად აკრძალული, რუსოთი, ჩემთვის,

და, როგორც იქნა, 11-ბალიან ღელვის-მიერმა როგორც იქნა და რომ მოვიმარჯვევი ჩემი მობილური — სულ ტყუილია, მობილურზე უკეთესი რამ არ მოგონილა მთელ ქვეყანაზედ მსგავსი არარა და არასფერი — რალაც ერთ ლარად რუსოს ხმა მესმის იმსიშორიდან, და იმანაც და „სხვებმა“ ც რომ მითხრეს მშვენივრადაა, ძალიან უხდება აქაურობაო, დამშვიდდი, როგორ,

და კიდევ რალაც საათნახევარში რუსოც კი, ჩემი, რუსუდან-ჩემი, თავისით რომ გამომელაპარაკა და გასაბერ ბუშტებს ხომ დამახვედრებო, რომკი მკითხა,

ბურთებს კი არა, ორთავე ნახევარ-სფეროების მთლადაც გლობუსებსაც კი, კი, დავამატებ-მეთქი, ზედ,

ძალიან ძლიერ გაეხარდა თუმცა გლობუსი ჯერ სულაც არ იცის რაა და როგორ ტევაღია, და,

დავმშვიდდი,

მე, —

კიდევ კარგი რომ, მომეჩვენა-თქვა მე შერჩენებულს აესე თუგინდაც ცხადად ეს მოჩვენება ასეთი ასე ცხადურად ვითომ-აშკარა თუმც გაპოზილი სიმთვრალესი პირობაზედა, მეთქი, ..., და, ხოლო, ჩვენებით? —

მომეჩვენა, ეს:

მისი სახელი თუმც არ ვიცოდი მაგრამ თითქოსდა ჩემს პანიაურ კაბინეტში — არადა, სინამდვილეში რომ მომხდარიყო ეს, აბადა რა მეკაბინეტებოდა, თუმცა მათემატიკური მათქ კიდევ დამთავრებული, არამედ კარგა ძალიან-ზორბა-მისაღებიც, მათქ, ს... —

იყო ვითომდაც ის უცნობსახელიანი და, წარმოგიდგენიათ, მე-გამოცდილსა, თუ რა მითხრა? — შენ შეგიძლია მაკოცო ყველგან

ოღონდაც მხოლოდ შუბლიდან ყელამდეო, და, მეც, აბა სუფსარქისი რა იყო და არამედ სუპ-ხარჩოსაგან გამოსულელებულ-გამოთაყვანებულს სსულ დამავინყდა რუსოს დაზღვევა ყოველგვარი ავადმყოფობისა და მაღალისიცხისა და მარცხისაგან და,

ასე არ უნდა ამისი შემოთავაზება-მეთქი, და,

მგონი ვკოცნიდი, თითქოს ვკოცნიდი ძალიან ცხადად, როგორ ძალიან, ძალიან როგორ, ტუჩები, ჰქონდა? — დაგვალულისთვის, წყარო და წვიმა, ყელი ჰქონდა რომ? — მოდილიანით უფრო აღწვდილი, თვით ნეფერტიცის,

ძალზე ვკოცნიდი მე სწორედ იმას, მტკობ-იმას ნასუპხარჩოვანი, ნასაზურალას, ძლიერ ძაან,

ხოლო მერე კი ქვემოთი ტუჩი, ისედაც როგორ ამობურცული ნაზის თითითა გადმოვუნიე და ასე ვაკოცე, დანაფულმა, ტუჩის სიღრმეში,

და ხმა თუმც არ გაუღია, შევატყვე რომ ესიამოვნა ესი-ხერხი და, შამვალემა გამქეზებლური, მამაკაცური,

მერე კი ის თმა, მთლად კუპრად შავი საფეთქელთან, კი, ოდნავ, სულ ოდნავ მოვუწინქნე ოღონდ თითებით და ჰეე, რარიგად-რამდენ მდებრობით ქალს რაოდენ კარგად მიუღია, ეს, —

მარტო კატებმა კი არ იციან ზრინვით კრუტუნთ,

მაგრამ ამაზე, ამ ნაცად ხერხზე არავითარი გამოხატულება-რამ, არ დამჩნევია, რაიმასეთი,

და გაკვირვებისაგან ისე გამოვფხიზლდი რომ მსწრაფლ გამახსენდა რომ,

ვცოდავდი, როგორ.

და ისე შევკრთი, რომ მოვიმჩვარეც, ჩავქინდრე თავი, დავუშვი ხელი, კრიჭა შევიკარ.

ხოლო იგი კი სწრაფად წამოდგა, ლამაზად როგორ, და ლამაზადვე მივიდა როგორ — „და მოქნეული გავაზივითა!“-სავით — ჩემი წიგნების ჩემ თაროებთან რომელზედაც რომ ისჩემი შლაპა თავისთვის იდო და სწორედ კუთვნილ ადგილას, თავზედ დამხურა, ხელი ასწია, თითები თითქოს ოდნავ შეარხია გამომშვიდობებასავით და ხოლო მე კი ისევე ჩავქინდრე, ცოდილი, თავი,

ხოლო იმან თქვა,

აბა, კარგად, კარგად მეყოლე შე ქალთა-რისხვავ, ზურაბ, ზურა, ვო.

და, კაბინეტიდან რომ გავიდა როგორ მკა-

ფიოდ შემომესმა რომ მიიჯახუნა ავტომატურ-საკეტიანი ოქროსფერ თუჯზე ამონა-ტვიფრ ჩემი სახელდაგვარიანი, მოჭრილ წიფლისა, კარი,—

ვეჰ... .. —

რამ მომაჩვენა.

მაგრამაც შლაპა ახლა, დღე-მეორეს, დღეს, კვლავ კაბინეტში, ზედაც რომ სწორად აინშტაინის სურათსაზემოთ, მთლად ცილინდრივით გაპრანჭული, იდო, კი, იდო,

ხოლოკი შლაპას მე-სხვადასხვა და სხვა-დროული, მესხვადასხვიე, ამ შემთხვევაში მაინცა მუდამ კარადაში ვდებ ზემო თაროზე, და მხოლოდ დისერტაციების დაცვაზე ვიხურავ ოღონდ აუდიტორიამდე და რალა თქმა უნდა მხოლოდ თავზე და ახლა თვით აინშტაინის ისედაც ჭკვიანს თავზე სერიოზული ასე შლაპა აბა ნეტა რამ დამადებინა? —

უცნაურია, ნუთისოფელი.

რამ მომაჩვენა, ყოველივე ის.

მაგრამაც, შლაპა?

თუმცა, რომელს არ გვაქვს, რომელ-ერთს არ გვააქ და არა გვაქვენ თითო-ღერ ნაკლი, და მაგრამ, შვეზად, უუუუნა კი არა და უუუუუნეს შხაპუნა წვიმად რომ გადამექცა მენ ხელოვნური ეძახე და, ნამდვილი შხაპი,

და შევიმშრალე კიდეც თავიც და ტანიც და ერთიმეორე და სუპხარჩოსი გამოისობით ისე მძიმე ნაკვალევი მხოლოდღა ოდნავ, იოტად შემრჩა,

და რომ ჩავიცვიც და სამსახურისაკენ დავადე ჩემი დაბანილი შამპუნით, თავი,

სოლოლაკისა კუთვნილ- ლერმონტოვ-ისა სახელობის ჩემს კარგ ქუჩაზე, აღმართიან-დაღმართიანზე (გააჩნია თუ სიდამ მოდიხარ თუ მიდიხარ,)

ჩავაბიჯ-ბიჯებუნაბიჯებდი, არხეინულად, და უცებ, სწორედ ის არ შემხვდა თუ დამხვდა თავის სახლთან, კი, თანაც, დოინჯებმემოყრილი...

მერე, აიღო მოქნილ ნელიდან ცალი ხელი, კი, კერძოდ მარჯვენა, და ამოტრიალებული ხელისგული შორიახლოდან მომაბჯინა და,

ვაიმე, იცით, ვაჰმე რა მითხრა?:

—რა იყო, ბიჭო, რას გავდი გუშინ.

კარგა ლამაზი და ულამაზესი და კი არა და, ვარესიც, იყო,

—მაგრამ თუკი მე უცხო კაცს მხარში შეგიდგებოდი და რის წვალეებით, ვაი-ვაგლახით ავიყვანდი მთლადაც მეორე მაღლივ სართულზე, ეს არ მეგონა, —

ბიჭოს, ჰყოფილა, კაბინეტსში!?! და,

—თანაც უცნობ კაცს ხელს თუ ჩავუყოფდი შინაურულად, თუნდაც უმნიკვლოდ, გასაღებისათვის, ყველაფერი და, ეს არ მეგონა.

დამეხურა, კი, უნდ-დამეხურა ჩემი, კი,

შლაპა,

— და ძლივს შეგაგდე ზღურბლიდან ზღურ-
ბლზე.

ხოლო კი ზღურბლი, ორგვარია, კი, გარეთა
და შიგნითა, აქ არ სცდებოდა როგორც საერ-
თოდ, როდესაც თურმე ისეთურ მაგრად
მაკოცნიდა, კი, ყელიდან თავი,

— და, მერე... — ძლივს გავბედე მაინც მე-
რასპუტინმა და დონ ჟუანმა ტენორიომ და
კოტე ლლონტმა და ასე შემდეგ, რამდენიმენი
ვაართა მთლადაც, მარანიებიც, კი,

— მერე მაინცალ რა გნებავდათ,-

ჩავექინდრე, თავი,

— და ისიც ხომ არ გეგონა რომ ოთახშიც
შემოგყვებოდი და ლოგინსაც კოხტად გაგიმ-
ლიდი და, უარესიც... ხედავ? — მერეო!?! —

და კვლავინდებურად ორმაგ დოინჯად
შემოიყარა მარჯვენა ხელიც.

მიყურებდა, თან, დაცინვით, როგორ... ეს
მე, ქალების რისხვეულ ოცნებას... კი.

....

სამსახურში კი, მოწყენით ვიჯექ.

აინშტაინი მეკიდა იქაც (თუმცა რა
გამოთქმაა ეს, მოაგდებულო, ფიჭ...), ოღონდ
უშლაპოდ. —

მრავალგვარია, ნუთისოფელი.

2.

უცნაურია, რაა აბა, და სულ არ მინდა შორ-
შორს წასვლა, ასე მაგალითად, პირადად მე?
— ხანდახან როგორ დიდად აკადემიური და
ხანდისხან კიდენ — არყის ბოლინო
პირდაპირი და გაქანებული თელათე, ანუ
ლოთი, ურ, —

ვარ.

მაგრამ ის ქალი, ტან-ფეხ-სახითა და
განსაკუთრებით კი იმ აღმოდებული რაღაც
მოჭროლოდ აბზინებული ირიბ-თვალეების
სილამაზითა როგორ მძვინვარი? —

ნამდაუნუმრად მახსენდებოდა.

და, იმის, სახლთან, ძალიან, ძლიერ,
ვაყოვნებდი, ბიჯს.

ხოლო ერთხელ კი დიდ-უზრუნველად რომ
მივაბიჯებდი ზედ რუსთაველზე ვაიმე და, -
უცნაურია რაა აბა ნუთისოფელი რადგან
თავისსა სახლთან კი არა, ალექსანდრესი,
ბალის, წინ, შემხვდა.

შემიჩერდა და, შევეუჩერდიც, რაღა თქმა
უნდა.

კი მაქვს ამდენი ტაქტი, და მაგრამ
დამბლაც.

ერთხანს მიყურა ოღონდ ისე რომ, მე,
ქალთა-როგორ-სპეციალისტს, ჩამაქინდრი-

ნა, ჩემი, კი, თავი.

თითქმის მთლად ჩემი სიმაღლისა იყო,
ახლა-კ მოკუნტულს, გლახაკსავით, მე-ს,
ზემოდან მე მთლად სულაც-ქვემორეს,
ვიცოდი ნაღდად, ამწვარი კეფით კარგად
ვიცოდი, რომ დამცქეროდა.

რადგანაც ვგრძნობდი.

დამესმა, მერე:

— შენ გამარჯობა არ იცი, ვინც ხარ?

— ვინ ვარ... — ავხედე, შეშინებულმა.

— აკი გითხარი ვინცა ხარ-მეთქი, ჯანი
გავარდეს, გაგიმარჯოს.

— პატივცემულო, სალამი.

— პატივცემულო და ასეთები შენს უფრო-
სობას დაუძახე ჯერ ეს ეგ ერთი და მეორეც ის
რომ ამ ნაღდ ქართულზე, ანუ სოფლურ ჯანი
გავარდეს-ზე მესამეც ის რომ რაღა სალამით
მომესალამე, არაა ეგ უკანასკნელი სიტყვა
სალამ და ალეიქუმ მთლადაც ბოლომდე
ქართული სიტყვა.

— გამარჯვება, თ...თ... სალ-სალამათიანი.

— აიი, ასე. თუმცა შენ შენსას ნაწილობრივ
მაინც არ იშლი და ახლა მაინც შედარებით
მთლადაც ნამდვილი წარმოშობითი ქართ-
ველი იყავ. ჩემი არ იყოს.

რა უნდა მეთქვა. დიახ-მეთქი...

ქართველი ვარა, აბა სხვა რა ჯანდაბა ვარ-
ვარ,—

გვარად ღლონტი ვარ, დედით-ყიფშიძე.

მათვალეირა.

,და,

— როგორც სუყველას, ალბათ შენც გქ-
ვია რამე სახელი. ეგება მითხრა...

— კი როგორ არ მქვია მე სახელი! — ნამოვი-
ძახე. დაბნეულ-ვიყავ...

— მაინც, რომელი?

— ზურა! ზურაბი...

— აჰა. და მე რა მქვია გაინტერესებს?

— კი როგორ არა! — და, ვითომ ავხსენ: -
დანამდვილებით...

— ბაღში ჩამოვჯდეთ, და სწორედ იქ
გეტყვი. ასე, ქუჩაში, უხერხულია...

ისეთ ცხელ მერხზე, გავარვარებულს
ისეთს, დასაჯდომზე, არც როდის ვმჯდარვარ,
თუმცაღ ფერადი ოქტომბრის დამლევისა თუ
გაქანებული ივლისისა დამლევი იდგა. ეე, და
აბა თუმცა რაღა მეპოეტებოდა მაინც
ერთგვარსა-პოეტურად, გავიფიქრევი რომ ეს
სექტემბერი უდავოდ იყო თბილისურისაც
ბუნებისა დროებითული მიცვალეებისა ერთი-
ცა-წინა, შემოდგომისთვის და ისე-რიგად
გადაბნეულმა, ეს პოეტობა როგორღა შეე-
ძელ, უცნაურია, ნუთისოფელი.

ძლიერ მეგონა რომ თავის სახელს
დამისახლებდა მაგრამ სულ სხვა რამეზედ,
ეე, ვინმეებზედ ჩამოავდო არა-წარმტაცი

ყოვლად, სიტყვა, აი პროზაულს ზემოდან, კი, რომ ეძახიან განსაკუთრებით ლექსთ-ოსტატები;

- მამაჩემი მსოფლიო ომის მონაწილეა, მეორესი, მეშვიდე დღიდან იბრძოდა თურმე ხან სად და ხანაც, სად, ალბათ რამდენი მონი-ნებული ტყვია და ბომბ-ნალმი და ჰაუბიცა და ამისთანები ასცდა ალბათ რადგან იქიდან მობრუნებულზე ჯერ ჩემი ძმა გრიშა და მერე კი მე გავჩენილიყავით, ხოლო უფროსი ძმები ჩემი, შალვა და ვასიკო, თუმცა კი ომამდე მაგრამაც დიდ-ძალიანსა ძნელ-ძნელ წლებში, ოცდაჩვიდმეტსა და ოცდაცხრამეტში არიან კერძოდ, დაბადებულები, ხოლო მათთვის კი რაღა თქმა უნდა ასე გვიანი გაჩენა სუ-რო არაფერს, სჯობდა რადგან თანაც რომ სრულწლოვანები რომ ყოფილიყვნენ იმ თავი-სებებ დაბადებისა წლებში მაშინ ხომ ნაღდად გასკვანჩავდნენ ვირის აბანოს მექისეები რადგანაც სამეფო ჩემივე ძმამ ძაანიციან ლაპარაკები და რომ სულ არას დაგიდევენ სუყველაფერზე მიდებ-მოდებით და ავი თუ კეთილხმოვანი ენები იმასაც ამბობენ რომ მე მთლადაც მათ გამოვემგვანე სწორედ ამ დარ-გში ხოლო ჩემსაკი უფროს ძმებთან შედარე-ბითე უცოდველი გრიშა კი მხოლოდღა ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობის დამყარებისათვის იბრძოდა მაგრამ იბრძოდა რა, — და ფრონტზე კი არ იყო ჯვარი აქაურობას არამედ ძაან იღვწოდა და სხვათა შორის ვასიკოც-კიც არ იქნებოდა დიდად მიუღებელი როგორც ასეთი ძლიერ საშიში მტერი საბჭოსოცკავშირისთვის რადგან იმ დროში წარმტაცად კითხვას სულ არ უშ-ლიდნენ თუკი ეს არ იქნებოდა არალეგალური ლიტერატურა ხოლო ვასიკოს ლიტერატურის არალეგალურობა სულაც კოჭებზეც ჰკიდიან რადგანაც მხოლოდ მხატვრულ ლიტე-რატურას მისდევს მაგრამ აქავე უნდა აღინიშ-ნოს რომ მხატვრული ლიტერატურაც შესა-ძლოა დიდად გამოირჩეოდეს არალეგალურო-ბით გინდაც ლეგალური და ხოლო აი შალვას კი, სამშობლო-როგორ-ამოჩემებულს, გი-ლიოტინა არ ასცდებოდა თუკი უშოვიდნენ რადგან იმ ჩვენი დამქცევი რევოლუციის შემ-დეგ ჯერ არ გვყოლია ისეთი მმართველი ვისაც რომ სამშობლოსადმი მოყვარულნი ეპიტნავე-ბოდეთ და ვთქვი მეც რაღა, გილიოტინას და ზორბა ნაჯახს რა უნდა ჩვენში, მძიმეწონო-სანთ, არამედ რაღაცა მჩატე ტყვიებს თუ გამოიმეტებდნენ ჩვენისთანებსათვის და შენ სუმბუქი ეძახე და, კიც სამუდამოდ მიგა-სიკვდილებ-გაგასალებდა და რა უნდა აბა ამასიტყვაში — გაგასალებდა — სიტყვასა სალი, და თოქსაც არა ჰხმარობდნენ ურიგოდ

და თანაც თოკი ჰყე, რამდენად მრავალ-ჯერადია, და შენ რომ იცოდე მეც ბენვზე ვარ გადარჩენილი — რა არის აბა მარადისობასთან ოციოდ წელი, მთლად არაფერი, ბურტყლისა მთლადაც მხოლოდ ბუნდღა, რადგან ჩვენა-ოთხივე დედამამიშვილს მთლადაც სამსა ძმას და მე — ალბათ შემატყე რომ ქალი ვარ შენ საზრიანი თვალები გაქვს, —

მე კიდევ მასხრად აგდება მინდოდა?... —

— რადგან რადგანაც ჩვენ მთლად ოთხი-ვეს, კეჟერაძეთა სრულიად კვარტეტს ცოტა მოგრძელო ენები გვააქვს, და რამდენ ხანს აღარ მიხმარია ნაღდი ქართული მაგრამ ახლავე გამოვასწორებ — ჯანი გავარდეს!.. — და, დამეკითხა:

— გესიამოვნა, ზორბა ქართული?

— კიჰ... — მივუგე მე, ნეტავი რასა ჰგული-სხმობდა,

განაგრძო, მაინც,

— და იმას მტკიცედ ვამბობდი მაგრამ ტყუილს რომ მამაჩემს რამდენი ტყვია ასცდა-მეთქი მაგრამ ერთი კი მაინც მოახვედრეს იმ წყეულებმა და სად თანაც, მკერდში, საორ-დენოზე, სინამდვილეში რადგან ეს ჩვენი კვარტეტის გაჩენისათვის და ეს კი ნახევრად-ავანსურად რადგანაც გრიშა და მე ჯერაც დაუბადებლები ვიყავით, გეხუმრე ბიჭო — ეს მე — ბაბუას მომმართა ასე, — მე თუ არ ვიცი რა ხვითოებიც ვართ ჩვე-ოთხივე და აღარ ყოფილა საშველი და ისაა მაგრამ შიგან გამაგრება ხანდახან მაინც საჭიროა და რომ მიუტოვებიათ დაჭრილი მამაჩემი მამ-რობითი სქესის მეომარ-წარმომადგენლებს, სამაგიეროდ ერთი ქალი, მონყალევის და, იმ ჯვარედინა ცეცხლში თურმე მაშინვე გადაშვებულა — მამაჩემისა გარდა, ჩემ-და-გრიშასათვის! — და, სულ ხოხვა-ფორთხით გამოუყვანია უგონოდ მყოფი საბრალო მამა, სამამოობის კანდიდატი, ჩვენი, ხოლო იმმაშინ-ჯერაც ორშვილადი, მხოლოდ, და მამაჩვენი რომ გამოკეთდა და ისევ ჩაება ფაშიზმთან ომში და კვლავაც ასცდა და ასცდა ჩაჯინებული ქვემეხებისა ჭურვები და ბომბ-დამშენური თვითმფრინავების ბომბები ფეხოსანთა თოფთ სულაც რომ თავი გავა-ნებოთ არადა როგორი თავის გასანებებლებია რადგანაც სწორედ იმათით ერთ-ერთით არ დასჭრეს მკერდში მომავალი, კი, მშობელი ჩემი?... მაგრამა, კაცო! მშობელი, და, — მომავალია?!

...„უცნაურია ზოგი სიტყვები მაგრამ ნუ, ნუკი გამოვეკიდებით, მოკლედ, იმ ქალისადმი უღრმესი და დიდი მადლობა პირადი გულის ძაან საქმეში შეუტანია და როგორმენაირი მადლობისა გამოცხადებით, აღჭურვილა, პატრონტაშ-ტაშ-აპპლოდისმენტურად მამა,

კი, ჩვენი,

როგორ ერთბაშად, მთლად ერთმხრივ როგორ ან განიცდიდა მოსაყოლ ამბებს და თანაც იქვე შაყრობდაც, კი, —

უცნაურია აკი-მეთქი, წუთისოფელი... მაგრამ ძალიან ლამაზი იყო... კი, ისე როგორ? — ავოეე!, — ნამუს!.., სს!!!

— ხოლო ომიდან მობრუნებულმა — ეს დემობილიზებული რაღა სიტყვაა, მაინცდამაინც დიდ სიხარულად არ აღიქვა გრიშას შეძენა, გოგო უნდოდა, ეს - მე ვუნდოდი ძალიან, თურმე, ხოლო როდესაც ბოლოს და ბოლოს მეც, მთლად უმცროსი, დავბადებულვარ? — მაშინვე იმ მოწყალების დის სახელი მიწოდა, ზურაბ, და ეს მანამდეც, როგორც გითხარი ისე ძალიან ნდომებია რომ კინალამს გრიშასც არ შეარქვა მისი სახელი მაგრამ აბა რა კაცის და გრიშას სახელია აეს სახელი შენ თვითონა თქვი შენ საზრიანი თვალები გაქვს, ნუ მამეორებინებ, —

მესიამოვნა, კი,

—სახელი — ლიუბოვ! თუმცა კი, ისე, სიმართლე რომ ითქვას გრიშა ისედაც ბევრსაც ქალსაც ლიუბოვობდა, ხოლოკი მეკი როგორცკი გავჩნდი ფრენა-ფრენით და ლივ-ლივ-ქროლვით მიფრენილა სადაც საჭირო იყო იქა და — ჯანი გავარდეს! —სულაც არ უთქვამს თუ რისთვის და რატომ ჩაანერინა ჩემს დაბადების მოწმობაში ვილაცა ჩემი ცოდვით სავსე ნოტარიუსიო თუ რა ჯანდაბაას, ლიუბოვ... ეს ჩემისთანა ნაღდ ქართველისათვის აბა ერთი რა სახელია ეს გეკითხები შენ ხომ გესმის ჩემი შენ საზრიანი ყურები გააქ...

მგონია, მართლაც ამინითლდა... რა და, ყურები!

— არა, ზოგადად კი არ ვამბობ, რუსის ქალისთვის, მაგალითად, ეს მშვენიერი კარგი სახელი და სახელწოდებაა, მით უმეტეს რომ ძალიანც ბევრი გადაჭარბებით ასრულებს სახელს ლიუბოვ მაგრამ ის-ისი ქმედებები ნამდვილი ლიუბოვ იყოს? — არა—აჰ, არა...

ჩემი ლარისკა გამახსენდა, ჩემი გალოჩკა და მათთანანი... ლიუბოვ თუ არ ერქვათ, არა? — იმიტომაც, კი, ვერ აკეთებდნენ ბიჭო და, საქმეს — მაგრამ შენ? შენა - გინაცდა - საზრიანმა ლიუბოვ რომ დამიძახო? — და, გადმოატრიალა, ხელისგულურად გაჭიმა პეშვი, — ამა სილის და ალიყურის მასალას, ხომკი, ხომ კარგად ხედავ? — არადა, ხელისგულიც, კი, ლამაზი ჰქონდა ძაან ისეთი? სულაც ტყუილად არ არსებობს ხელისგულზე რაიმე-რაიმე მოფერებითი შედარება... მხოლოდღა, მგონი, „დაკოყრილი“, — ფიჰ...

— და ამ ხელებით რომ, ისე გტკიცავ, რომაა რომ... მზე მალღა იყოს..., შენ საზრიანი წარ-

ბები გაქვს / — რა შვაში იყო! /, და, მე, ნაღდ ქართველ მანდილოსანს, / — რისი მანდილი... მგონი შპილკაც არ ეკეთა თავზე, ბოდიშით, სარჭი, — გადამიბირა, — ალაგ-ქარისას და ნიავისას თმა ისე ლაღად უფრი-ალებდა / რამდენად უფრო შემეფერება ჩემს შემთხვევაში სახელი ლუბა, ეს რაღაც მწყობრად იბერიული-რამ რა-სიტყვაა, შესაფერისი ჰაი-რომ გიდი!.., ეს სულაც მსგავსურად კობტა შენარწყმი არის ლუ-რსმან დამწერლობლურად ლუ-რჯა ცხენისა და ლურჯულ სულაც არ-ვეყო-სი ელტონ ჯონისა იმას დავასხი გინდაც ხმაზე თავსხლაფი და კლავიშებზე? — უარესი, რა პირით უკრავს ანდა სულაც რა-იმით ჯდება, მე კი, ნაღდ ქართველს, ლუ-სკუმი ღამის ფერის თმა მაქვს / — მეპრანჭებოდა? — არა აჰ, არა... — უბრალოდ, ძაან მართალი, იყო, /, ხოლო ლუ-სი კი მომდევნობა? — ბა-ტივით ვაბნევთ, ზოგიერთებს, — ვ, — ბა-ტონობ ბევრზე, აი თვით შენაც კი როგორ ბა-რტყვივით ვითომ-დაც კაი-უტოდველი მიზიხარ გვერდით, ბარიც ჩემია ქართლ-იმერული და და, ბა-, რდნილი მთის მწვერვალები სადაც შენ ვერ-ვერ მი, - ბა! - რბაცდები, და მაინც, ბიჭოვ ბარაქალა შენ ამდენს რომ მისმენ და არ გამირბიხარ და ბა-რაქა შენსა სწორედ იმ კალოს ბა-რიშნებით რომ გქონდა შენა შე- ბა-ტისტივინას გასალენი, რა ნახე მაინც იმათში ასეთი ბა-ნდვა და ქსოვა იმათ არ იციან საქალებურო და არაფერი, ბა - ნაკ - აყრილო, შენ, იმდენად რომკი ეგება თლადაც რუსეთებშიაც კი დასძრნოდი კი-დეც, შენ, შე დასალუპო და და-ლუპულო, იმდენად რომა სა - ბა! - ლზამოვ, შენ,

ჩემი მარიშკა გამახსენდა, ჩემებ კატენკა და ნატაშეკები, ჩემი, ეე, ჰო — „ბა...“ — და რიშნები აღარ დამაცალა,

— და შენც ლუბა-თი უნდა მომმართო, გაიგე, ვაჟკაც? დაიბეჭდვევი ვითომც მაგ მალალ და სინამდვილეშიკი დაბალ შუბლზე ჩემი ეს სიტყვა და მოწოდება სა-ჩემთავისო, და გინდაც მთლადაც მხოლოდ ფიქრებში პოეტურობით-რომ მაინც ლიუბოვ-რომ დამიძახო, იცოდე, მერე, ყოვლად ცხადში, აღარ მომიახლოვდე შენ საზრიანი ფეხები გაქვს, და ხოლო როცა...

და, აქ, დადუმდა.

...

ვისხედით, ვდუმდით, მაგრამ ჩემს ყოფას დუმილი? — არა, რაღაც სხვა ერქვა, ბევრადაც უფრო? — გადაფორიაქ-გადაბნეულობა, და, ჩემის ჭკუით?, მე საზრიანი ჭკუა მაქ, კი, სხვა რამსთანებთან ძაან ერთად, მგონი ვიპოვნე, გამოსავალი:

— ნაყინი, გნებავთ?

დამანამუსა:

— აბა რაღა დროს ნაყინია, ამ ცხელსა გულ-ზედ, ხვაშიადებზე გესაუბრები. მაგრამ ისეთი დაბნეული ჩანხარ შენ ახლა? რომელი ბრინჯი, და, დღეისათვის გკმარა, მერეც გნახავ, კი, ახლა, ნახვამდის, მაგრამ იცოდე, აღარ გამომყვე, გეყოფა მერეც ჩემსკენ წანწალი, ნურც წამოდგები, ისხედი ასე, ჯანი გავარდეს, გაუნძრევლად, მაგრე იჯექი, შენ საზრიანი საჯდომი გაქ...

3.

რუსო-სი გარდა, სუყველანი, სუყველაფერი გადამავეინყა, ხოლო წოდებად პროფესიების განსხვავებისდა მიუხედავად ჩემს ღვიძლ ამხანაგს, „ვალეკოვეიჩ“ს „შალვა“ს რომ თავი გავანებოთ სულაც სუპხარჩოსაც კი ველარ ვუნოდ-ვეძახდი, არ ვიცი მისი იმისი შთამბეჭდავი პაგონები /ლუბავ, ამბნეო, შენ ამას ასე არ იტყოდი ვითარც ქართველი, შენ „სამხრეები“-ად აღნიშნავდი მისსა გინდაცდა კაპიტანურსა პაგონებს, ნაღდათ... / იყო შვაში თუ რა იყო რომ მადისაღმძვრელი სუპხარჩოობითიც კი დამავინყა, და წოდებურად ამ დამსახურებულ საშვალ-ოფიცერ მილიცანერისა, დმი, „მაიოროვიჩ“ მაინც მეთქვა მამისეული სუპხარჩოს ნაცვლად არამედ ყოვლადუცაბედად „ბოზბაში“ ვარქვი, კი, ასეთად ვუნოდე, იმასა კიდე ჩემგან უნიჭო ხუმრობა ეგონა მიმართვა-ესი, და მაგრამ როგორც მაინც ბავშვობისა, კი, ამხანაგმა მაინც ხმამაღლა გაიცინა, და, „ბოზები და შაშუბეშები იმ შენ მატმატიკოსებში მოიკითხე ერთიმეორეში რო იყოფიან და აიც ასე მრავლდებიან“, ო, წამოდი, თითო ბოთლი დავურტყათ, გაციებული შამპანური,

მაგრამ იმასთან, იმასთან, თვითონ ეგებ-შეხვედრას როგორ ძალიან ველოდი და, ამიტომაც,

მე? — არა - მეთქი, მე-მ, ანგინა მაქვს - თქვა,

მაშინ არაყი გადავხუხოთ, თავისი ლიმნით, ყოფას უტირებს დასწავს გლანდებსო,

სად მაქვს გლანდები მე - სანყალს, მეთქი, მოვიკატუნე ვითომ თავი, სიფხიზლისათვის, მემ,

„მაშინაა, კაცოო, — თათარიანხნად, სახელ-და-ყელ-და-ხელოდ დაფიქრდა მგონიანბესო, — დავიჯერო რომ, რამე-რამ დარდი არა გაქვსო? ხოლოკი არყით? — მაჰსკლამო ისე რიგორც ძერჟინსკიმ ვერაგ-ტროცკიო /მგონია რაღაც ეშლებოდა რადგან ძერ-

ჟინსკის ხსენებაზედ ისე შევეკრთი რომ ზედაპირული ანალიზის თავი მომეცა მაგრამ ცოტახნით /, ხათაბალა რამ რომ გამახსენდა? —

და, ჩემი დარდი, ჩემი ლამაზზე ულამაზესი და კიდეც ძალიან როგორ კიც მეტად ულამაზესი და ხათაბალა რომ გამახსენდა

ჯანი გავარდეს-მეთქი, თვითან ამ მე-მემ, და, „ჟიგული“-იებიან დუქნის პატრონის დედაც რა იყო არამედ მყარი ქვით ნაგებ დუქანს, კი, მივაშურეთ, კვლავ, და, ნუთისოფელი, მაინც რაა? —

ჩემი ტყუილის სანაცვლოდა აგერ იქით მას მაგრად შეხვეული ჰქონდა ყელი და არც მანამდეც იყო იგი ერთ-მიშა თუ გრიშა ტკბილმოუბარი მაგრამაღ ახლა მთლად ხრიალით ლაპარაკობდა, ზოგიერთივით, — ანგინა მაქვსო.

ანგინა არა, იხვისა ტოლმის ზედაც ბოზბაში და სუპხარჩო, — მეხსიერება ნაცნობ ადგილას ანუ დუქანში? — ნაცნობურადვე მილაგდებოდა.

დაა, იმასაც მყისვე მიუხვდი რომ, რომა, სამუშაოსი დამთავრებისას, იმდენი მთვრალის შემყურე და დახარბებული, ზოგიერთ ფხიზლისც ლექსებს საცივგადასხმულ ბლოკნოტშია ინერდა რაღაცა ქვია, მგონი, ჰობი, თ, იმათ კი ესი უხაროდათ და იმისვ დუქანში, მთლადაც უფასოდ აჭმევდნენ წინაკამოყრილ წვნიან-სუპისაც შემცველ ხინკალსა და მოჟიპიტაურო არაყს და, ამით ძალიან იოხებდა გულს და აფასებდაც, ბითური ხალხი, და სულაც არყით და პერიცა-თი გადამნ-ვარი, კი, ჰქონდა, კი, ყელი. —

რისი ანგინა... ჩემი არ იყოს.

მაგრამ საქმესა... ეე, დავუბრუნდეთ კი არა და, ჯიქურ მივადგეთ:

პირველი ჭიქა ძაან გვემწარა, მეორე — ნაკლებ, მერე და მერე კი ყველაფერი და ანუ მათ შორის კი არაყიც კი თამამად მიდის, კი.

მესამე ჭიქის შემდეგ, მთლად პეუსი-კოლად რომ ჩაგვეღვარა სათნო /ისემც, კი!.. / არაყი და ამიტომ თუ იყო რომ თუ-რატომ და, შეყვარებებზე ჩამოვაგდე ლაპარაკი, კი, კი - უნდა მიხვდეთ წესით, რატომც.

„ეჰ, შეყვარება მწარეა“ — მე-თქო, არაყი ახლა სეროფად მყლენთადა.

„ვააჰ რა სწორი ხარ, ეგა ისეთი რამეა რო?, ო, — კვერი დამიკრა ვალიკოსი-ძემ, — შეიძლება მთლად ვარაშილოვიც კიყოფილიყო ძაან ბევრჯელაც შეყვარებულები თუკი ქალებში გაუმართლებდა ქალების მეტი რაა“, ო, სუპხარჩომ.

მერე კი, ასე IV-V ჰალალი ჭიქის /ისემც... / შემდგომ, უცებ ამგვარი ჰიპოთეზა არ წამოა-

ყენა?“მე ვიცი, ზურა, გული მიგრძობს ზურაბჩიკ - ჩემო, ვილაცისაგან რომ გამიგონია მართალია ის რომ მაგ ვარასშვილოვს და კაგანოვიჩ მთლადაც ერთი ქალი უყვარდათო?

და მერე, მაგ თაობაზე ჩხუბიც ხოარ მოსვლიათ, მეთქი.

რას ამბობ, კაცო, ო, — შეიცხადა, კი, ძალიან, შალვამ, რამ დამიბრუნა მახსოვრობა, აკი არაყი გონებას თენოსო, ტყვილი ყოფილა, ის, ხოლო იგი კი, მთლადაც სუპხარჩო რადგან ჯერ მარული და მერე დაფქვილი შავი წინაკა მუხლებზე მაგრა დაეყარა, მაგრამ განაგრძელებდა ამ თემას, ჩემსას, — კაგანოვიჩსა ეგა შენი მამით მგონია ეფრემოვიჩი თუ რაღაცაა სასისკზე გარჩიცად არ ეყოფოდაო,

კიდევ კარგი რომ ლუბა არ მყავდა, ჩემი სუცოტა ნაცნობი - მაინც, აქა.

და მაგრამ, მაინც გამოვასწორე, — : ვარაშვილოვი პირიქით იქით მაგას ცხვირიდან სულ ცხარე მდოგვეებს ადენდა-მეთქი,

რას ამბობ, ბიჭო, ჩემ კაგანოვიჩ შენი ეგშენი ვარაშვილოვი განიერ მკერდსზე შრომის ნითელა - დროშის ორდენად თუ გამოადგებოდა, ო, —

უმალლესისა დამთავრებისა ემბლემ - მკერდულა რამზე თქვა ესა, შალამ.

მაინც ეს როგორ როგორა - მეთქი, როგორაო და, კაგანოვიჩი, ზდაროვიაო, —

ო,

მორევას მარტო მდევიური ჯანი არ ეყოფა - თქვა, ნაექვსჭიქარზე, მაინც ლუბათი ერთგული, ვიყავ, — ჩხუბში ღონეზე უფრო ძალიანაცა გადამწყვეტი ხერხებია—თქო, რომელ-ხერხებიც ამჩემანალა, ეე, ამჩემმა ვირისშვილოვმა მაგ შენ კაგაგის— ძეზეც ბევრადად უკეთ იცოდა-თქვა, მე—მ,

ხერხები თორე, ეგაც ხერხი და ნამგალი და უროა გინაც მზეზე და გინაც თოვლში, ო, ო, ვალენკოევიჩმა.

ბიჭო, ჩვენი ერეკლე - მომცროც ტანად თუ იყო, არა, პატარა? — იმიტომაცე ხუთ კაგანიშვილს ხუთივ თავს ერთად იმიტომაც ვერ დააყრეინებდა, მეთქი.

ბიჭო, შე შტერო, ერეკლე - პუჭურს აბა მითხარი მთავარ ცეკაში აბა რომელი - ერთი კაგებეშნიკი, შეუშვებდა, ო,

რატოა ნეტავ, დაახლოებით ერთის-საქმისა მიმდევრები და გამკეთებლები და მკისრებლები, კაგებეშნიკი და მილიცანერი რატომდაც სულაც ზემოდანასი გარდა რო აგდებულათაც კიდასცქერიან, ერთიმეორეს, არადა, ორივენი ხომ ძალოვანური სტრუქტურებისა არიან და, ჩვე - ქართველებმა როარ ვიცოდეთ ასეთი შუღლი? — ტეკასი - მაინც

ინსტრუქტორებივით ვიცხოვრებდით ჩვე - სუყველანი, ვიჰ,

და, დაამატაც ნაშვიდჭიქარზეც, იმ ოჯახ-ქორმა—ქორს ხორცი უყვარს, თანაც ბარკალს შეექცეოდა მგონი ქათმისაც, ოლონდ ტყე-მალი და პიმპილა ქორსა თუ უყვარს, ის არ ვიცი მე, ზოოლოგიური კი არა არამედ სულაც მათმატიკური მათა, დამთავრებული, მე, ხოლოკი, ბესომ, — მოკიდებდა ხელს მაგ საქმეს, ო? — კაგანოვიჩის კიტელიდან ვარაშვილოვის სამი თუ არა ორი კიტელი მაინც გამოიჭრებოდა, ხოლო თუ ბაბკენ პარტნოი, ო, ო, “ სულაც ხუთიო,

რომელი ბაბკენ? მიქოიანი? — მეთქი, ვიკითხე მე და,

არა შე ბოთე მიქოიანსა ანასტასიანი უფრო ერქვაო, ბევრათ, აო, —

კაცო, რა დროა, მილიცანერი და, ცოდნა - ასეთი, ენციკლოპედიასური? —

თან, უსათვალოდ.

თან დააყოლა, აღარ იკითხავთ შეუსაბამისობა ისეთი რამ? — ვარაშვილოვი, კაგანოვიჩთან? — ამირანიო,

აიი, ესა კი, მიჯაჭვულისა ამირანის მოხსენიება? ძანაც ძალზედ ესიამოვნებოდა ალბათ კი არა, დანამდვილებით, ლუბას, ლიუ-ბოვ—ჩემსას... — ! — ავაიჰ, ეს რა გავიფიქრე, და გამახსენდა რალა თქმა უნდა მისი გაშლილად დაჭიმული საალიყურე ხელის-გული, კი.

ხოდა, გინდაც მიჯაჭვულ ამირანსა მოერეოდა-მეთქი, შენი ეგშენი კაგანოვიჩი?-თქვა, -თქო-მეთქი, მემ,

მაგრამ, შალიკომ? —

ამირანა სულაც არ იყო მიჯაჭვული, ცეპებიანი სროკი კიარა თუთხმეტი სუტკაც თავის დღეში არა ქონია, ო,

კაცო შენ რომელ ამირანზე ამბობ შენ-მეთქი.

რომელზედა და, ბუჩუკურზე, აღარ გახსოვს, ის? მესამე კლასში სადამდეც ჩარჩებოდა ჩვენ რიგში თავის სიდაბლით სუპირველ მერხზე როიჯდა, ო,

აჰხ, ვისზე ამბობდა, თურმე, ამას, ეს შალიკია, —

ის - იმისთანა ბუჩუკური, რადისტობისა ტენიკუმი /ლუბავ, ბოდიშით, — სასწავ-ლებელი... / რომ დაამთავრა, მეტრა - 50 სანტიმეტრილა იყო, ტანათ, თავფეხია-ნა,

და, შერიგება გადაწყვიტე, ლუბასეური ქართულით, თანაც, —

სუ ტყუილად ვბჭობთ, ვალიკოსი—ძევ, ი - ქალს სულაც ბერია ყოვლათ უაჩკებოდაც კიდაითრევდა, მეთქი, ხოლო აჩკები? — მაგრამ აჩკები სათვალეა, მეკი მაგისი...,

კი-როგორ-არა, იმათ მონონილ ქალსა ლავრენტა სულაც არ შახედამდა, ო, სუ დიდი - დიდი ხურუმჩოვი - ღა ჩარეულიყო მაგათსა ქალურს საკითხში, ო,

და, სუბოლოს კი, იმაზე მაინც თითქმის შევთანხმდით რომ მაგათ იოსებ სტალინი თუ შარიგებდა, იმისი სიტყვა მაგრა სჭრიდა, ო,

და ხოლო თუ არ მოინდომებდა იმათსა აბიუდნი შარიგებას / — ლუბავ, ვაიმე... /, მაინც კი - ნაღდათ კაგანოვიჩი დაითრევდა იმა ქალსა, ო,

— არა-მეთქი, მე, პრინციპული ვარ, ვარაშვილოვმა ისეთი მარჯვე გარეკაური თავისსა ზედაც შუაკაურთან, იცოდა-მეთქი,

მე კაგანოვიჩზე ჩამოვდივარ ექვს ბოთლ ღვინოს, თავისი / აქ უცენზურო სიტყვა ახსენა / — იმეებიანავო,

პაჟალსტა-მეთქი, და ლუბა მგონი აღარც მახსოვდა, სანიძლასთან დაკავშირებით, პაჟალსტა, - მეთქი, — რაა, სიმთვრალე,

და, გავმაზეთ, კი, ხელთ - ჩამორთმევითაც კი განვამტკიცეთ სანიძლას, ეს, მედუქნემ ჩაჭრა ჩვენი ნიძლავი, რაღაც ზეზვა თუ ვახუშტა, ერქო,

მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოვუგეთ, რო გამოვფხიზლდით, ერთიმეორეს, ნაძლივი - ეს, —

კაი-ძალი ხნის, გარდაცვლილ-იყვნენ, ადრე როგორნი მგზნებარენი, თანაც მთლად ორვე, —

ვარაშილოვდაკაგანოვიჩი.

ნარმოიდგინეთ, შეპილოვიცკი.

კი.

ხანდისხანობით, შალასა და მე, ერთის მხრივ თვით მთლად უმაღლესებ-დამთავრებულებს დიპლომითა და ამის განმსაზღვრელ - დასტურულად ზედაც სამკერდ-ნიშნურათ, მეორეს მხრივ კი აი ასეცკი შეუგნებლადაც კი - გაგვყავდა, დრო, —

ცვალებადია, ნუთისოფელი.

:

და ამიტომაც ჩემი ნასტენკა გამახსენდა, ჩემი შუროჩკა, მაგრამ რათ გინდა —

გინდ ყოფილიყვნენ და გინდაც არა, ლუბასი შემდგომ... და, თუ, მანამდე? ეეჰ, მოკლედა კი, —

კი.

და ქართველებიდან ხომ, მგონია ალბათ ყველა ქართულ - სახელის / — დალი და ლალი, მაყვალა, ლონდა და ასე შემდეგ... / მატარებელი შლიაპკოსანნი, მათგან ერთი კი, სვანეთში სულაც არნამყოფი რადგან თბილისში დედაქალაქურად დაბადებული სახე-

ლად მაინც თვითან გვაშაყან, იცკი,

ცვალებადნია, ნუთისოფლისა არ იყოს სულაც, საკუთარ - სახელ - თუმც მშობლებისა მეშვეობით ავტ - სახელებიც, კი.

4.

რუსო I-ს, და როგორ თუ ეს მხოლოდ მარტოლა მხოლოდ რუსუდანების, არამედ დედამინურსა მთელს პლანეტაზედ ჩემთვის ყოვლად, კი, უშპირველეს ყველაზე უმფრო I-სა, შემდგომ და შემდგომ, ლუბასი კვლავაც ნახვა - დანახვა და ლაპარაკი ოღონდ მხოლოდლა ცალფად იმისი და მხოლოდა ჩემსკენ ძალიან მჰსურდა, მე.

და ჩემი პუნქტისა სახელურზედ წარწერა „აღწერა“ ს ან „ჩქარა მოვალ“ - ს ვკიდებდი, და, ალექსანდრეს ბაღისაკენ ფეხ-აჩქარებით მივბიჯებდი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, არცა იქა და არცაც თავისი სახლის წინ, ჩანდა, ვერ დავლანდე, კი ...

ექვსმა გრძელმა დღემ, როგორც იქნა და, როგორღაც, განვლო, — რაც გინდ გიჭირდეს დრო ხომ სუმუდამ, ხო მაინც გადის, თავისი გაბმულ ერთულ-ობითა ძალიანაც, კი, და ერთი პირობა, ლუბა-ძალიან-მონყურებულს, მა, იმანაც გამკრა მოდი ბიჭოვ-შე—ძველო რომელსამე - ვინმ ძველსა აქეთ - შემტრფვის ანუ ჩემსკენ მონყურებულსა ბარიშნას გადავაყოლებ, მეთქი, მთლად დაკოდილსა თუ არა და, კარგა ჩხვლეტილ, გულს, მაგრამ მაშინვე ამისთანებთან / საქციელებთან / დაკავშირებული რუსო-სი მოსალოდნელი ავადმყოფობა ისე მგმირავად გამახსენდა რომ ძლიერ დამზრინა მთელ თავ-ფეხში და ხელებიც კი გავასავსავე, არა, არ -მეთქი, და, ამიტომაც, ნარმოიდგინეთ, ტელევიზორსაც არ ვუყურებდი იმ გაფუჭე-ბულს / ეს მორალურად... / და ვერც რადიოს ვუგდებდი, ყურს, არადა, ულოგარითმო სიტყვათ-კითხვა აბა რომელი მათმატიკოსის საძირითადო საქმე არი თუმც შესამჩნევად გვირევიან გამონაკლისებიც, და,

ვათვალეირებდი, საფურცელ ჟურნალ - გაზეთებსა / „სარკე“, „ბომონდი“ — ნეტარასა ჰნიშნავს, „ალია“-„24 საათს“, / მაგრამ სულ ტყუილა რადგანაც სულაც ყოველნაირი გართობისათვის

დახშული იყო, ჩემი და აბა სხვა ვისი ისე ძალიან, თვალი და გული.

ლუბასი გარდა, თუნდ გამქარალისა.

რუსო ჰაერზე, ტაბახმელაში ჰყავდათ ვითო - ჩემებურთ...

ხოლო მეშვიდე დღეს კი, კვირადღას, ვი-

თომდაც დასვენების, ა,-ს, კვირაუქმეს / ისემც... /, კვლავაც რომ ვიდექ როგორ ძალიან დაძაბული რომელიღაცა ალექსანდრეს თუ ალექსანდროვის შემფოთებული ბალისანინა, უეცრად ჩემდა-შალვასი იმბოზბაშისა სკოლას შევაველე, პირველს, თვალი, გასახსენებლად საჭიროა, ბავშობა, მაინც, — ჩემს სამოც-ნულური გადასახედიდან თუნდაც იმასთან შედარებისათვის თუ როგორ დავბრძენდი და ათასგვარ... ეე, ჰო — დასკვნებში, გამოვინაფე, მოსაგონრად კი თუნდაც ამიტო კარგია მაინც, ბავშობა-ისი, მოხუცთათვისაც კი სუყველასათვის საყოველთაოდ გამოსავლელი /ხრონ ბებრისა, თვის, აცკი, კი, /, ის მერე რა რომ უცაბედობით ვეცემოდით ხანდისხანობით ხანაც თავით და მაგრამ ახლა ხომ ფეხზე ვდგავართ შედარებით ახალგაზრდები ოლონდაც მე კი, — ულუბაოდა, ჩემ - მარტოკინა თავიანა, და ძველ წარსულში თუმც უმაღლესისა დამთავრებისა აღსანიშნავი მყარი დიპლომი / — აქაცა, ისემც?... / და მისი ასლიც - და - ნიშანიცა სამკერდე სამოციოდე წლის უკან / თუ — ნინ?... / არ მქონდა მაგრამ ბავშვობა ერთგვარად მაინც კარგი იყო რახან კამფეტებ - ნაძვისხიან - ნამცხვრებიანი, და, — ვააი!, “

თურმე ბავშვობა სინამდვილეშიც რარეგ მთლად კარგი და გადასარევედ შესანიშნავი ყოფილა თურმე! —

რადგანაც, ამ - მე- მ, სწორედაცა რომ ბავშვობისისი დროინდელი სკოლისა წინ გალამაზებულსა დიდად, როგორ, უ - იმისოდ კი მანამდე როგო უბრალო მერხზე? — თვით ლუბა იჯდა ჩემი როგორად სათაყვანო და მწვალელებელი, ინკვიზიციაც კი ყოფილა ხანდისხან... ეე, ბედნიერულად მწვალელებური და, ეე... თან როგორ შმაგი! და ელდანაცემი ბედნიერებით კარგა მაგრადაც მოვიფშვნიტე შესამონებლად — ამ ხალხებიან უკაცრიელსა უდაბნოში ოაზისურად ხოარ მეჩვენა - მეთქი, ლუბა, — მოვიფშვნიტევი ჩემი თვალების ორთავ თვალისა სინათლე - იგი ეგება ხომ არ მეჩვენება — თქო, და ამიტომაც უფრო რკვევითი დასამაჯერებლოთ საბოლოოდ რომ დავრწმუნებულყავ რომ სხვა კი არა არამედ თვითონ თავად ის, თვით ის, ნანატრი ძალიან როგორ, ძაანზე ძალზედ და ძლიერ როგორ და უფროდც მეტად, ძაან ამკარად დავინახე, კი, იჯდა იგი, ის, ისა ერთი და ერთადერთი /ოლონდ სრულწლოვანებში/, შორიდანაც კი მთლად უსაშველო სილამაზეთი მჭახედ აღსავსე, და ისევეც რომ გავიფიქრე თავ-რეტდასხმულმა ისევეც ხოარ არ მეჩვენება, თქო, მაგრამ ხელი ასწია, თავისი ხელი პეშვით თავისკე, და

მგონია რომ სულაც მარჯვენა თუმც ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იმ ხელის საჩვენებელი თითის სამ-ოთხჯერ მთლად თავისკენ, კი, სწრაფი მოკაკვით მიმიხმო როგორ ხმისაც სულაცე ამოუღებლად, ეს — მე, მისი განწყობის მარკო პოლო თუ რას ეძახიან, თვით მისკენ, კი, კი.

ვილას მახსოვდა მიწისქვეშა გადასასვლელი, მოხმობა ეგრე არ უნდა - მეთქი /არ უნდა-თქვა/ და, მეც ხმის-ჩავარდნით ხმაამოუღებლივმ ზევიდანურად გადავჭერი ჩვენი მთავარი პოეტის პოეტ შოთასი რუსთაველის მთავარი პროსპექტი ჩვენი მთავარი ქალაქ დედაქალაქ ქ. თბილისისა მაგრამ, გადასულს, ვილაცამ მძლავრად დამქაჩა, მხარზე და ჯერ მივიხედე და მერე შევბრუნდიც ხოლო ისი-კი მილიცანერი იყო, ლუბასისაკენ მიმავლისაკენ სადაბრკოლებლო, ზღუდე, მილიცანერი მთლად უბრალო, ერთი ზოლიც კი არ ჰქონდა ძველ - ევასავით შიშველ პაგონზედ, და მაგრამ მაინც ჩემდამი საპატივცემულო მისალმებაც არ მოუცია არ აღულია ხელი... ვაჰ, დამავინყდა რას ეძახიან, ძველი ქართულით, მგონია „ჩესტ“ — ი, და ხოლო ამისა ნაცვლად ცერისა და საჩვენებელი თითებისა ურთიერთულა გახახუნებით ფულის მიცემა მანიშნა, ეს — კივიცოდი, ესი ფესტი და ფესტი-კულაცია, და ლუბასაკენ აჩქროლებულს მე ისიც არ დამინყია და წამომინყნია რომ სულაც არა მივდებ - მოვდებივარ რომ ამა უზნის შალვა - უფროსი კოხრეიძე, თვით კაპიტანი გენერალური /მილიცანერი აკი რიგითი იყო მხოლოდ და მხოლოდ მხოლოდლა როგორც ასეთი როგორც ახლახან მოგახსენეთ ოლონდც ორი - თითითა კარგა - დამწყები, / შალვა - უმფროსი რომ არამცთუ მხოლოდ თანაკლასელი და მეგობარი არამედ ნაღდი ბიძაშვილიც იყო ვითომ მკვიდრულად, ჩემი, — იუარებდა ამას თუ რა, საქმე საქმეზედ რომ მისულიყო შ. კოხრეიძე და, ამის ნაცვლად, აჩქარებულმა, სამი მანათი ჩავუკუჭე ერთისა ნაცვლად იმან კი ხურდა არ დამიბრუნა რასაკვირველია და მეც აბადა რომელსა-ხურდას ვიხლიდი თავში რადგანაც ლუბა, როგორ, ეე... ჰო! — „თავს დივა“ - ზედ ულამაზესი კიბეების თავთ, ცოტათი მარცხნივ, მისით როგორსა დამშვენებულ მწვანე, კი, მერხზე /-მუდმივი ფერი! /, ვთქვი უკვე მაგრამ ჩემსავით აკი სიმწვანეც ხომ მეორდება გაზაფხულობით ჩვენს გასახარად, პოზიტიური, და კვირტები, რამე, ხოლო კი ლუბა, იმა თავისსა სილამაზესთან როგორ ძალიან კვალთანად განუყოფელი, ისა და მისი ზე- სილამაზე? — ორთავე, ისხდა.

...

და საალიყურე კი არა და, მთლადაც ძალიან კეთილსაგანწყობო ხელისგული ორჯერ მსუბუქად დაჰკრა, კი-კი, ზურმუხტისაფერ ნილსა - მერხზე, ზემოდანა კი ალბათ ცა - ფირუზ როგორ მთლად ფირუზფერადა განათებული ალბათ დაგვცქეროდა, მე კი, ენისა დამბვვას თუ როგორაა, ძალიან ვსძლიერადგან შევძახე, ჭკუა - ძლიერ - ნასწავლმა, ასე:

— გამარჯვება ნუ მოგიშალოთ და, გაგიმარჯოთ! ნაშუადღევის მშვიდობისა!! —

— და საათზედაც დავიხედე, მონდომებულმა, — პირველის ოცი ნუთიასი მშვიდობი-სა! —

— და, აღელვებისაგან უგუნურმა, ც, ეს დავაყოლე: — ძილი ნებისა!!! / — !!! — ?/... — ვაიჰ...

ჩაეცინა, კი, მაგრამ ორივე ჯიბეთ-ში, კი, განირიყა ორთავე ხელი, და:

— გაგიმარჯოს, კი, მაგრამ ნუკი მიწყენ და, ჯერ კიდევ თითქმის უცნობს და მე კიდევ შენთვის ჯერ კიდევ უცხო / — რალარა უცხო;: “თვალს ავახელ? — ზედ ნამნამზე მიზიხარ”, იყო, /, ხელს ახლა სულაც ვერ ჩამოგართმევ, ხოლო თუ კარგად გაგიცნობ და, — ჩაელიმა, აქ, — მთლად ურიგო არ აღმოჩნდები და არცაც ვითარც წყალნაღებული ანუ შენივ გამოთქმით როგორც მინიმუმ არ აღმოჩნდები ექსკლიუზიურად / — აბა რომელი - ჩემი გამოთქმა ეს ეკლსზურული თუ როგორიცაა, იყო / საშუალოზე მთლადაც ბევრად და უარესი? მაშინ ნამდვილად ჩამოგართმევ, ხელს, —

მე კიდევ, სულელს, პახმელიაზე / — ნახახუსევეზე! /, ისეც ნამომელანდა თუმც არა - მყარად, ვკოცნიდი, მეთქი...

და უცებ ეგრევე სწორ-ქართულითა ნამოინწყოვა უდაბნოსისი ძალიან ცხარე მზისადარმა და ზედაც მთვარის ეეე, ჰო — უნაკლო შუქმა და ზედაც კიდევ აუარება წვრილ - მსხვილ ვარსკვლავთა მეპატრონემ განსაკუთრებით ელვადაელვად ჭროლა, თვალეში, მომმართავდა, მე, ოლონდაც სხვაგან იხედებოდა, მე რავიცი სად, ქვეყანა და ჩვენი პროსპექტიც ფართო, დიდია, და კინაღამე, ც, ვიეჭვიანე, მაგრამ ნამდვილად მომმართავდა, მე, რადგან მიმართვა - მოსოდება ჩემდამი იყო რასაც მოწმობდა წინადადების ბოლო სიტყვა — ჩემი სახელი:

— რა ხელობისა ხარ შენ, ზურაბ,

აქ კი, როგორ არ მქონდა მე-თავ-მომწონვარს, სათავმოსანწონრად სასატრებახო, კი:

— მათემატიკოსი, ელექტრონიკულ დარგში.

ამაზედ? — მითხრა:

— ჩვენსა არამცთუ მხოლოდ ელექტრონიკულ არამედ ლაზერულსაც კი, საუკუნეში, ტყუილი ვერა - საკადრისია.

რალა იმა დღეს გამოვედი უმაღლესისი უ - სამკერდ - ნიშნოდ, თუმცა პერანგს ხომ არ უხდება არავითარი ყოველგვარი სამკერდეები, არამედ ზამთრის შალვარ - პინდუაკის ფინჯაკისისი მარცხენა ბორტზე /თუ, გემბანი... / მაქვს დაბნეული /თუ, მიბნეული... / ძანაც მკვიდრად ბორტ—გემბანისა /ასე არა სჯობს? — ან ერთი ან მეორე, / კომუნისტურად მარცხენაული მხრისა / ფრთისა/ შიგნითა მხრიდან, დაფარულისა, ენკავედეურ ყადისა ფარულ - სამაგრიტ მიხრახნილიც კი ძალიან მყარად, მე - პირადულის ჩემი ესჩემი უმაღლესობა და იმისაცა /უმაღლესობის / მოწმობა—ესი. არამედ ისი/ რადგან შორს იყო. ის ფინჯაკი. კი. /

— რატომ ტყუილი! ყველაფერს ვფიცავ, სულსუ ყველაფერს მართლა გახლავარ, თ, მათემატიკოსი.

შემხედა, იმან /თუ ამან — რომელი არი სწორიქართული... / :

— ჯერ ეს ეგრეთი, შენი დიპლომით სულარ არ და ვერ განისაზღვრება დღევანდელი საქმიანობა, შენი, — ვაიმე, ჰოხ - ჰო, რა ძალიანი შემომყურებდა? — და მით უმეტეს, მათემატიკოსს ჭურჭლეულობის გამქირავებ პუნქტში კი არა როგორც შენ, შენსა აბრაზედ, გინერია არამედ ნერტში აბადა რალა გამუშავებს,

შემოსავალი ნამდვილად მეტი იყო ჩემიპუნქტში ვიდრედ გინდაც ჩემზედაცაკი უფრო ძლიერი, მათემატიკობა,

— და, მეორეც ის, არასოდეს დაიფიცო, აღარასოდეს, არაფერი და მით უმეტეს ის რომ, განსაკუთრებით, სუყველაფერი, ჩვენი ქართული სარწმუნოებით მიუღებელი არის ყოვლად, ეს, სუყველგვარი ფიცი და შეფიცება, და, მესამეც ის, რომ, შენ ყველაფერი და მით უმეტეს სუყველაფერი, იცი?, თუ რაა და რა და რაა?

— არა... — ძალიან დავირცხვინე, ლოგარითმებში ძან ვკოჭლობდი, და მაგრამ მეტის მონდომებით, ამ მხოლოდლა “არა”—ს, გადავაჭარბე: — არა, პირიქით...

...

...

და მაინც, შვებავ, მდინარესავით მოტეხილო, მთის — ბავშვიდანურს, როგორ მსხნელსა, მივადექი, კი:

— იცით, მე ამ ნომერსა პირველ სკოლაში ვსწავლობდი და დავამთავრე თანაც კიდევ, ამაში აი... — ზურგსუკან ყურთან გავიშვირევი, ცერი.

— მართლა? ეს ხომ ისედაც სახელოვანი სკოლა იყო.

— დიას, ძალიან, — აღვფრთოვანდი, „იყო“-ოს ვერა მივაქცივევი ავტო - ყურადღება, კი, და საქართველოს ისტორიაშიც გადავიჭერ, მათმატიკოსი: — ამ სკოლაში კი, კიცი სწავლობდნენ - კი ერთ დროს ერისი მამა სამშობლოსი კარგი ილია ჭავჭავაძე /ერისა კაცი იყო ნამდვილად, — მეცა ერთ-ერთი ერისაგანი როგორად მიხსნა... /, ბარათაშვილი, ეე... .., რომელიდაცა ყიფიანი, ეე... / — და აქ შევბორკდი, თუმც რაღაც ბევრად უფრორე გრძელი სია ძაან ეკიდა, კი, მარმარილოსი დაფაზედა ოქროსფრად, თეთრზე, /, და მგონია აგრეთვე კოტე ახმეტელი თუმცა იგი მგონი მეტრო მარჯანიშვილთან ცხოვრობდა და ამიტომ უფრო ოცდამესამე სკოლაში უნდა შეეყვანათ მშობლებს, და, ეე... — ავირიე, მთლად, და, როგორ სწორედ გამახსენდა!, რა სწორი ვიყავ!! —:

— და კიდე მე და კიდენ ვალიკოევიჩ სუხარჩო და კიდო ავთოია ბუჩუკური თავის ძმიანა!.. — და, როგორ შევცბი!? — იგუდებოდა პირდაპირ, როგორ... — გულზე სულაც იმ საალიყურედ გასალანუნებელსა თავის ხელისგულს სულაც პირიქით, თავისსავ გულზე ჯერ იკაკუნებდა და ხოლო ამან რომ სულ ვერ უშველა? — ახლა მთლად მუშტად იქცია მარჯვენა ხელის მტევნის-ქვემოთა და, სანოკდაუნოდ არა მაგრამ ზომიერ-მაგრა კირტყამდა, კი, სულმოსათქმელად, და მერე ისევ თავისი ის კუპრივით თმა, მაგრამ რომელსაც იმ კუნაპეტში, გადასარევი, ყოველი ღერი, მთლად სულ ყოველი, თავის-თავადობით მკაფიოებდა, ჩემთვის განკუთვნილ საალიყურე ხელისგულითა და თითებით, როგორღაც მართლაც მტკიცასავით რადგანაც ძაან აიფრიალა მე-დაბნეულის მართლაცდა მახლას, მეტდც-დამბნევ, სილად, და, როდის - როდის, ჩანყნარდსავით, ჩაშოშმინდა, კი, და ორი თითით, სიზუსტისათვის საჩვენებლითა და შუა - თითით შეინმინდა თვალის ცრემლები აბა სხვა რისი... თუმცაღა, ჩემით, დიდად მცინარმა?, — მაგრამ ეს სულაც არ მხარებია, და, ბოლო-ბოლო, ბოლოსდაბოლოს მითხრაც, კი, ასე:

— შენ რა გითხარი... როგორ მაციინე.

... —

მთლად უნებურად, კარგიც გამოვდექ.

„ეგება, მართლაც მაკოცინა“... ხომკი არსებობს წინასწარული-მეტყველება, მარჩიელობა, შელოცვა, რამე“...

...

მერე ისევაც აუკიაფდა ის წერილა - წერი-

ლა ელვაელები და ვარსკვლავები თავის თვალეში, და, მკითხა ასე, სიცილ - აშკარად დაგუბებულმა:

— და ისე შენნი ვალიკოევიჩ და ბუჩუკური სწორად შენსავით ხომ არ დამდგარან, მათემა—ტიკნი!

— არა, პირიქით... — რას ამოვიჩემე, კაცო, ესი—„პირიქით“... — შალიკო, ეე, შალვა გვარით თუმც გახოკიძე იურისტია / აბა მილიცანერია-ს ხოარ ვეტყოდი, /, ხოლო ავთანდილ ბუჩუკური თანამედროვე ჩვენს მწერლობას, პრემიალურებს, ემსახურება — განვითარების წვლილის საქმეში...

გამანყვეტინა, მაგრამ როგორ!?! — :

— ბურთულებიან კალმისტარებს რო ტენის, მიტო?

— არა, მიტო კი არა, ავთო არი ის... — და, დამარტყა კიდევ — სიდან იცოდა!?! — მისი სამწერლოც, ღვანლი.

გადასარევი. უცნაურია, წუთისოფელი. ძალიან დიდათ. ჯანიც გავარდეს.

...

... —

... —

და, როგორც იქნა, ვთხოვე:

— რაღაცა მინდა გითხრათ, მაგრამ... თუ შეიძლება იქითა სკამზე გადავჯდეთ ძალიანა გთხოვთ თუ შეიძლებოდეს, ხალხს და მანქანებს და ტროლეიბუსებს რომ ფუყურებ და რია - რია, მართალია მთლად უცაბედად მაგრამ მაინც ძალიან მიშლის ხელს მე ეს და შესაბამისად ძალიან ვიბნევი მართლაც ბრინჯივით ძაან ხომ გჯერავსთ ჩემი აბა ტყვილი რა საკადრისია, და... ეე, — დაფიცება... კარგიით?

მითხრა:

— სხვაგან რომ ვიყო, გადავჯდებოდი. მაგრამ აქ რომ არ შემიძლია?

— რატო...

— ქაშვეთისადმი, ზურგით ვერ დავჯდები... ზურგს ვერ შევაქცევ, — და, დაამატა, — რაგინდაც პროფესიონალი მათემატიკოსის, ხათრითაც კი.

...

...

— და, მაშინ რა ვქნათ.

მუდამ არსებობს გამოსავალი, ო, მითხრა, აი, თუ გინდა ცხვირსახოცი ჩამოიფარე თავიდან თვალეზე, ვითომდაც ცუდად ამალეებული წნევა გაქვს და ერიდებო, მზეს.

წნევა კი არა და, და მარტენის ლუმელის ასპირანტურა კი არა და არამედ მთლად ცეცხლად ქცეული ნიაგარასი სადოქტორო სრულიად თავში ოლონდ სადისერტაციასი სამეცნიერო საბჭოსი ტვინთ - ჰაზრთ - კომი-

სიით ჩაფლავებული, მქონდა ეს არა - მსგავსი
ნიაგარა ჩემ თავში ჩემ - თვალებისაგან, ჩემ
თვალებისა გამოისობით, კი,

რადგანაც,
როგორ,

ლამაზი იყო, — ვეჭვ..., თავს დამტყდარი,
მეხთატეხა... რადგან? : ტუჩ - კბილი გინდა
თუ ნაპერწკლებად ელვებიანი თვალები
გინდა თუ დაძაბული როგორ თხელ - ცხვირი
გინდა თუ წარბები გინდა განზე სულ - ოდნავ
გაფრენილი თუ თმის კუპრობის მიუხედავად
როგორი მაინც ნათელი შუბლი გინდა თუ
მაინც-როგორად თლილი ყელი გინდა და
გსურს და გადასარევი, მაგრამ ყელს
ქვემოთ? — ვიხედებოდი, ვერ.

მერე მისაკენ ძალიან მივაბრუნე ჩემი
გადატვირთული თავი და, რაღაც გამო-
სავალი ნერტილივით ის მოვიფიქრე, რომ,
ჩემი ხელისგული მარცხენა ღანვ - საფეთ-
ქელზე ისე ავიშვირე, როგორც ოთხკუთხა
ტყავით აფარებული ცალ-თვა-ლურ-მხრიულ
ცხენებსა აქვთ აფარებული რაიმე - ზედმეტმა
რომ არ მიიქციოს მათი შრომითი ყურადღება
და როგორცაც ეს განსაკუთრებით კინოებში
ოღონდ იმათ თუ ორმხრივა აქვთ ყურად-
ღებისი არგასაფანტავი შაშვალება - ეს, მე
მარცხნულათე, მხოლოდ ბოლშევიკივით
მქონდა აბა და რა მემენშევიკებოდა და, წამო-
ვინყევი ჩემი სათქმელი ოღონდ შორიდან,
ოღონდაც ეგრევე შეკითხვითა, აი ასეთით:

— თქვენ იცით?, როგორ ძალიან მიყვარს
ბუნება მე ქალბატონო, ძალიან ლუბა? —

ვაპარებდი, კი, გამბედაობას, თუნდაც უ-
„ლიუბოვ“ - ოდ მაგრამ ლუბა ხომ აკი თავად
„ლიუბოვ“ - იდან, კი, კი - იყო, და ამ გინდაცდა
მოკლედ თუნდ „ლუბა“- თი, რაღაცა თუმც
მოკლოურ - სა ბოლოსდაბოლოს, ეს რა კარგი
რამ - რამე მოვიფიქრე ის რომ ლუბა ხომ აკი
კი - მეთქი ლიუბოვ - იდან, სიყვა-რულისგან
არის რაკი წამოწყებული ხოლო სიყვარულს რა
დაიჭერს, რომელი ზღუდე ანდა მესერი,

კოლონიებშიც კი მრავლდებიან, ფაქტი
არი, ეს... მაგრამ, — რუსო! ... ბუნებაზე კი,
ძალიან მხოლოდ, ვილაპარაკებ მარტო.

— სიამოვნებით მოგისმენთ თუ თქვენს
მიერ აღწერილსა ბუნებაში მთლად ფეხ-
შიშველსაც შემატოპინებთ, რადგან მეც თქვე-
ნებრ თქვენი არ იყოს ძლიერ მიყვარს ბუნებები
როგორც ასეთი. — ისევაც-კვლავაც სადამ-
ცინაოდ, მენიღებოდა? საასაგდებოდ? აბა
მაშინდა „ბუნებები როგორც ასეთი“ რა
გამოთქმაა, და, არ დამიჯერებთ ვიცი მაგრა-
მაც ასე წამოვინყე

— და მეც ძალიან მიყვარს ბუნებები რო-
გორც ასეთი... —

ვაიჭხ!! , ვახხ!! — გავლენებისა ქვეშ ვიყავ

მე - პლანგიატი, — აგერ ახლა არ დავინუნე,
გამოთქმა ესი?... და, წარმოიდგინეთ, მაინცა
მხნედა განვაგრძე, მაინც:

— როდესაც დავუშვათ ქართლის სანა-
ხებში, ან გინდაც იმერეთის თუ გურიის და
იგივე რაჭის სანახებში / — “ “ “ რატომ
„იგივე“, სად გურულები და სად რაჭველები “ “
“ “, მაგრამ განვაგრძე, მხნედ, მე მუშტრებთან
ხომ გაცილებით შეუპოვარი, ვარ, ფასდაკ-
ლებაზე, და სულ არ უნდა აღარ გამომადგეს,
მედგრობა, ჩემი? — / ანდაც ქართლ—კახე-
თისა სანახებში / „ერთფეროვანი ხომ არ
გავხდი“... / და გინაც ფშავ—ხევსურეთის
ჭიუხებში / — კარგიაჰ! / და ასე შემდეგ მივემ-
გზავრებით / — ერთობლიურსა გამგზავ-
რებას, ვაპარებდი თან!! . / , მე ძალიანაც
სრულიად მიყვარს სრულიადური ქართლის
სანახები ხოლო იმათში განსაკუთრებით
ნოსტე / რადგანაც წარმოშობით იქაურები
ვართ მე და გიორგი სააკაძე რომელიც ნ კაგა-
ნოვიჩს და 14 ვარაშილოვს ერთად აღე-
ბულებს, მოერეოდა ოღონდ უიმათდაცვოდ
ავტომატიანების / , რადგანაც მაშინ როდესაც
ძალიანაც პოზიტიური ჩემი ქართლის სანა-
ხებში მივემგზავრები გინდაც მატარებლით და
გინდაც ფეხით და მით უფრო რომ ჩემთვის
ძალიან სასურველთან ოღონდაც ჯერ ფეხით
და მერე ხელებით და რამდენი სხვა ოღონდ
სპრინტერულ მანძილებზე / — ზედმეტი ხუარ
მომივიდა!! , ?.. / იქა კი, ტყეში, როგორ ძალიან
კარგია მაჟალო, პანტა, ნიაგი - ფრთამალი და
გულაბი - მსხალი და აგრეთვე რეჰან -
სტაფილო აბა რა სახსენებელია არამედ
გემრიელი ხინკალი ღორ - ძროხის ხორცი
თანაბრად როგორ აღრეული ეე შეზავებული
ზედ პიმპილათი კარგა - მოყრილი, რამე, ეე...
— და მაგრამ ღორმუცელა რომ არ
ვეგონებიყავ, — ეე, უგემრიელესი უმი კომბოს-
ტო ცივად ჩაშუშული, — და, შევარჩიე
მთავარი სათქმელისა მოლეკულა - რამ, შევა-
პარე, — და პატარძლის ხელით დაკრეფილი
ხაშლამა, ეე, არამედ მაჟალო, კვრინჩხი,
პანტა, მაყვალი და სხვაც კენკროვანი კალო-
რიული კულტურები..., — და, ჩამოვიფარე
თვალეზე ცხვირს აბა რად უნდა ძალიან
ლურჯი ცხვირსახოცი და აკი - მეთქი
თვალეზე აბა ნცხვირს რაუნდა მაგრამ
ლამაზად მუქ - ლურჯ და შიგადაშიგ ჭყეტი-
ლაცაკი ცხვირსახოცი ჩამოშვებული მთელ -
სახიანა, ცხვირსახოციანადაც ვიყავი და
ვიყავ აგრეთვე კდემამოსილიო თუ რას
ეძახიან მოცლილები, — და სუნნელოვანი აი
ია და სხვადასხვანაირ ფერად - ფერადი
ყვავილები, დახველაო თუ რას ეძახიან, სოკო,
თქვენ... ქმარი თუ გყავთ?

მომესმა, მყისვე, გულასაძგერი:

24 373

საქართველოს
პარლამენტის
პრეზიდიუმი
გ. ბ. ლ. ი. თ. ე. კ.

— მე გათხოვილი ვიყავი, მაგრამ ძალიან დიდი ხნის წინათ, უკვე. სამაგიეროდ, მომესწრო ვაჟი, ოცდარვისაა,

გადავკვირდი, კი, ჩამოვითხლიშე ცხვირ-სახოცი ისე მსწრაფლად რომ, სახისა გარდაც ცხვირიც ძალიან გადამინითლდა თუმცა ცხვირიც ხომ სახისაა, კი, შუაგულურად, თანაც, მაგრამ თვით ცხვირზე გაცილებით რამდენად მეტად, სხვა რამრამითი დაკავებული როგორ, ვიყავ: — :

— კი მაგრამ, როგორ, თქვენ თვითონ ძლივსა გაეხართ ოცდარვა წლისას და მაშინ თქვენ რამდენისა, წლ... — მაგრამ აქ უცებ როგორ ზალბ-მნურად შევიკავივე უ-ტაქტო თუ ტემპო თუ რას ეძახიან, მოკლედ, ეს-ავტო, თავი, რადგანაც ჟურნალ „ვერნისაჟი“-დან ძალიანაც ვიცი და დამამახსოვრდა რომ არ შეიძლება, ძალიან დიდად დაუშვებელია რომ ოცდახუთს ზემოთ ჯენტმენისაგან თუ რასეძახიან არავითარი ქალისათვის, შეკითხვა ესი, ხოლო ამას მთლად 28 წლისა ბიჭი ჰყოლია, და აქედან კი გამომდინარე ხომ იქნებოდა სუცოტა ალბათ 45-ს, სად გამო-მადგა მათემატიკა მაგრამ სულაც გამომადგებოდა საკითხი-რამ შესაკითხავი ეს — „რა ასაკის ხარ, ანუ რამდენი წლისა?“ — ეს ტომასათვისაც კი არ მიკითხავს, არც დჟილდასათვის, თუმცა ორნივე—ორვთავენი სუყველაფერს, კი, ზედმეტებსაც კი მიაბობდნენ კიდევ კარგი რომ დაბალის ხმითა უჩემშეკითხვებოდ ყოვლად, ასე-მეორე შესვენებისას ალბათე დრო რომ გაეყვანათ, ხოლო მე, რარიგ როგორ შენუხებული ვიყავ და თქვენ თითონა თქვით აბა ეს რალა და რილასი შესვენება იყო ის - ისიები თუკი თავზედაც ზენარგადაფარებულს ცხვირსახოცივით...

ეე, არამედ ყაბალახივით შორაპნისისი სანახებში, დაც ხოლო იქა კი, ჰადმა-სკოვიე—ში, ტომა ხაზგასმით მიყვებოდა თუ სად და როგორ უბნკინა მეზობლის ვიტკამ და თურმე ასე როგორ დაინყო იმათი — მეკი იმათი... — იმათი მზარდი სუყველაფერი, ხოლო აქა კი, ამა შეკითხვის წამონწყებითობის გასაქარვებლად, ცხვირსახოცი კვლავც ჩამოვიფარე და ასე ბრმულად, კი, მიმოვიხედე, და რადგან ქალებში მოხერხებული ვიყავ ძალიან ინტერნაციონალურად, ოღონდ ამ ბოლო უკანასკნელსა წელიწადებამდე, სულ აღარ მჭირდებოდა ინტერნაციონალიზაცია და საიუზ ნერუშიმი, და ამიტომაც მთლადაც ქართულ—მოხერხებულადავე ავუგდე მე —მას მეჩემი ეს - ჩემის სიტყვები, კი:

— რა მშვენიერი ბუნებაა, აჰ...

მომესმა, მშვიდი:

— ეგ ცხვირსახოცი მაინც ჩაიდე ჯიბეში

და, ისე აღნიშნე, ეს... ისე კი, ორმოცდაექვსის გავხდი უკვე. თუ არ გჯერა და, ნებაა შენი.

— ჰა? ხო,ხო, — და, რა სისულელე წამომცდა, ბიჭო? — : — ეგრეც ვიცოდი... — მაგრამ არსებობს გამოსავალი ყოველთვის, მუდამ, თავში ჭკუა თუ გიჭყავის ჭკვიანს, და გავაგრძელე, ვითომც, — ეგრეც ვიცოდი რომ წლებს განგებ მოიმატებდით, და თანაც რამდენს... ისე კი, თქვენი ოცდათორმეტის პირობაზე (საღლა მახსოვდა, გამონათქმისა სწორებისათვის, იმისი ვაჟი და ტოროლა და იხვისი ტოლმა,) რა ახალგაზრდულად გამოიყურებით, და თანამედროვედ და აგრეთვეც სხვა სხვადასხვაგვარი ღირსშესანიშნაობები (— ვაჰხ!, — ყელსქვეითობა არ გონებოდა, რამე,... —) ... ეე ... —და, გამახსენდა, სხვაც მშველელური, — თქვენი ექვსი წლის ვაჟი ალბათ როგორი ახოვანია...

— რალა ახოვანი, მაგხელა კაცს ცოლი ჯერ სულაც არ ჰყავს და იმედია, გამოსწორდება ჩვე - თბილისისა ჩვენი გლდანური სანახებისათვის და მოიყვანს თავისზე ალბათ მეტადაც სულელს, — აქ ხუმრობდა, კი, და მერე ზედაც როგორი მძაფრი ხუმრობა / — თუ, ცინიკიზმი!.. / დააყოლა, — საბედ-ნიეროდ, ძალიან ბევრი შვილიშვილი მყავს,

— ძალიან ბევრი? ეს მაინც როგორ... მთლადაც ურძლოდ?.. — მთლად, გადავვოცდი... ორმოცდაექვსისავით...

— უამრავი, კი, ხოლო ერთ-ერთს კი, გინდაც დაუსწრებელს, — შემომაცქერდა, გამიღიმა, მგონი რომ წრფელად, — რუსო კი არა, რუსუდან - ჰქვია, — და ახლა ქუჩისაკენ გაიხედა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან კი? ბავშვები წყვილად გამოდიოდნენ, — და, შენი თუმცა სამართლიანი — ეს მაინც როგორ, ო, რომ გაიკვირვე, ეს როგორა და ეს იმიტომ რომ, მიყვარს, ბავშვები. ყველა, სუყველა, სუფთაა ყველა.

...
...;

— ძალიან დიდად მისასალმებელი... ეე, კი არა, ეე, როგორაა... ჰო! — საგამარჯვობა გამარჯვებული არის ეს. დიახ... — მაგრამ, — ეს რა ოხრობად! — თანაც, ლუბასაკენ, —სანდა, თ თქვენ, სალოლო, —

„თფუიჰ!!! — ვაიმეჰ“... — ...

— ალექუმურ მაინც დაგეყოლებინა კიდევაც უნდა, შენ, აღმოსავლეთურ-სალამური...

— რა სალამური...

— რა სალამური და, მინდვრის ფლეიტა, ჩვენი.

...
...

— თქვენ ალბათ ძალიან ძალით მოგი-

ტაცეს, თ.

არ უშვავ ყურში, არ შეიმჩნია. სამაგიეროდ?

— მიმოიხედა:

— რა მშვენიერი ავტობუსია. ბუნებასავით.

სად ბუნება და, სად ავტობუსი... თუმცა, ექსკურსიით თუ მიდიხარ... სწორებთან ერთად... მაგრამ აბა ვინ მაცლიდა, ფიქრს, განათხოვარი;

— და რა კარგი ქალი ზის, არა? — მესამე ფანჯრის სანახებში...

მაგრამ მე ჩემსას ძაან ვფიქრობდი, წარმოიდგინეთ სუყველაფერი გადამავიწყდა, ამ სკოლისნინა სანახებში ერთი მინამდე უფრო მთავარი არსებაც კი, კი, რადგან ისე მეგონა თუ, რომ წარმატებით ვანუგეშებდი და მოვებრუნებდი ყოვლად მჩქეფარი ცხოვრებისაკენ, მიტოვებულს, თუმცა ამას ვინ მიატოვებდა თანაც გრძელ წლებს წინ / თუ, უკან... თუ, სულერთია წინა - უკანა... — ეეჰ! — კიდევ კარგი რომ, გრამატიკული სულაც არა მაქვს დამთავრებული მაგრამ ეს ლექსი მაინც საიდან გამოჩინდრიკდა? — უცნაურია, ჩვენ რომ ვიცით, ის... /, და რახან როგორ ბევრულად და არავითარ შემთხვევაში ბებრულად და ჩემებურად — რას ჩამაცივდა ესიოხერი პოვეზია, ისედაც თავისა არ ეყოფა ზედაც მაგისის... ეე, ავოეეე, ისე კი, მაგრად, და მოკლეთ, პოეზიურიც არის ოღონდ კიდევ კარგი რომ მხოლოდ ხანდახან თანდათან მზარდი მაგრამ მზარდი არა ის... მკლებ - პოეზია, თუმცა სადაა აბა სხვაგან ასეთი რუსთაველი და მთასუფთა, თუნდაც, მთლადაც სულაც - ვერ ამ რითმებსა და კუპლეტებსში? — სულაც არ ვიყავ უიმათებოდ აგზნებული არამედ ჩემით ისედაც ვიყავ ალტყინებულიო თუ რას ეძახიან მაგრამ ეს მხოლოდ ბაცად ღვარჭნილი პროზული დარგით, თურმელა, და მაგრამ მაინც შეუპოვარმა, მე, მისი ნუგეში მომინდა მაინც, გათხოვილის და გამონათხოვის და მყარად გადანყვიტე... — რა და, ისე გაგავმხნევი ჩემის აზრების / რითმაა, ესიც?.. / და ჩემისა გადანყვეტილებით, როომ, თან, წარმოიდგინეთ როგორღაც მაინც აშკარად ნაკლებ - ვლელავდი, რაგან ადრე წარუმატებლად გათხოვილიყო და ჰყოფილა? — ჩვეულებრივი, პროზაული, ის მერე რა რომ თმა-თვალეები რო მუდამ შავ-ჭროლად უელვარებდა, ნაკლებ ვლელავდი კი არა და, ვმფარველობდი, ც, კი, ჩემი სულის და გულის კი არა და გინდაც ტოროლა, და, მივმართე უკვე შინაურულად აკილა თურმე განათხოვარ და გინდ სხვისით და გინდაც თავისით გამონათხოვარ, ქალს, ვერ შეშვენიით, კი, ჩემი-დანურა - კიდანური მონიწება და ლათაიები და პარდონები და ხელთათმანიან ხელზე კოცნანი, — ამის-

თანებთან? პირდაპირი უნდა იყო და გადაჭრა უნდა, ბასრი მაკრატლით, როგორც ძალზე მარტივი, ნებისმიერი თეორემა. — :

— შემოსავალი, რამდენი გაქ...

— ას რვა მანეთი... —

„ფიჰ“... — და, ხოლო სხვა რამე, — ლევი? / ტოლსტოის ლევი არ გეგონოთ, სხვა რამეს ვნიშნამს... /

— არა, არაფერი. — და, დააყოლა, ოღონდ ჯერ ზედაც არ მიყურებდა, — მეცნიერ - მუშაკს, აბა რა ლევი უნდა მქონდეს.

„ვაა“...

...

...

მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, ისა - ოხერი, რომ, თავს ველარ ვსძლიე, ოღონდ ერთ-კუთხით, დაა, საბრალოს, ვუთხარ:

— ეგ არაფერი, ლუბა - ჩემო, რადგან ყველაფრის გამოსწორება შაიძლება... — „მაგრამაა, — აჰ! ნურას - ი და უკაცრავი პასუხია და, გათხოვებისა თან - მომდევნო ატრიბუტების გამოსწორება მაინც როგორ იქნება, — არ უნდა ამას დიდი ფილოსოფია და პლატონურობა — ფილოსოფიის ერთ - ერთი მიმდევარულ-ი, ს მაჩანჩალასაგან, სახელისაგან — პლატონ, არამედ ყოვლად უფილოსოფოს ულექსებოდაც და ფსიქოლოგიით? — პრაქტიკული ვაარ, აი ეს იყო მთავარი, ჩემში“, — და, ამ ფიქრებით გულ-მოცემულმა, კიდევაც უფრო მხნედ განვავარძე: — ეე, და მაგრამ ჩემო ლუბა, მიუხედავად იმისა რომ გამოთხოვილიც ყოფილხარ უკვე მაინც მოგიყვან ცოლად ამ ერთ - ორ თვეში. ჯანი გავარდეს.

აქ? —

ალიყური ისეთი რომ, ცხვირსახოცი და კი არა და, ძალიან სველი პირსახოცი ვერ მიშველიდა და გინდაც ძლიერ დამბალი მურთაქა რომ მიმედო ყბაზე, გამოყოვნავდა მაინც, სინითლე იგი, ჩემი...

და, კიდევ კარგი, რაღაც მანქანა ტროლეი-ბუსს დასჯახებია ოღონდ კარგა-სუმბუქად და მთელი ხალხი, დიდ - პატარა? —

ინცინდენტს იყო, შემოხვეული.

ვილას ეცალა, ჩემთვის.

ლუბა კი, ადგა, დამხედა და:

— არ გამაცილო. და შენ რომ შენ ხარ, შენც უნდა გქონდეს რაღაცა თავმოყვარეობის ნატამალი. იჯექი, ეგრე. — და, დამაფიქრდა ნაღვლიან მზერით, ოღონდაც თავზე, და რატომ ნეტა მაინცდამაინც თავზე, რადგანაც ესი - შემდეგი, მითხრა:

— ეეჰ, საბრალოვ, მთლად დაკარგულო, ერთ დროს როგორი საზრიანი საჯდომი გქონდა, ეჰ... —

და, ნავიდა.

მიდიოდა და მთლადაც მიჰქონდა, ყველაფერი.

მე კი, საჯდომებ - როგორ გადასწორებული, გამსხენებოდა, არ? — რომ, ცვალებადია, წუთისოფელი

5.

ისა სუბხარჩო, ვალიკოევიჩი რომ არ მყოლოდა?, სად მივდიოდი...

ზუროჯან, ძველო, თითო არაყზედ რა აზრის ხაარ, ო,

აბა რა ჰაზრის ვიქნებოდი, ჯანი გავარდეს, ჯანდაბას - მეთქი...

იმა დიეტურ სასადილოში?, ასე მეოთხე „ყლუმპე!“ - ის შემდეგ, სუბხარჩომა თქვა, შამაიათი ნა - ძან - კაი - გუნებარმა:

— მე მაინც მგონი რო რომელიც გინდა პრაფისორზედ უკეთ რომ ვცხოვრობ, სულაც იმ ხრონი ბებერის ზასლუგაა, სწორედაც იმან დამაკვალიანა ფული რო ანგრე მაგრა მწყალობს, კიდე მოგიყვე, გინდა?

ბარე ოცჯერ - კი მოსმენილი მქონდა ისა ამბავი, მაგრამ, რალაცა ანდაზა... ჰო, — ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო, და შამაიასი გარდა? — კარგა ცხარცხარე კუპატი და კარქი საცივი და კაიჯიგრისა ყაურმა გვედო აჯიკიანი, ხოლო ზაკუსკა აბა ნეტა რა სახსენებელია, ისედაცა ხო, იგულისხმება...

— ბიჭო, ზუროჯან, ვდგავარ მაშინ მე ცარიელ - ტარიელი ჩვენი შამქმენელი ბელადისა ილიჩ ლენინის მოედანზედ და, ცხელა ისე რო? ნკურნკური გამდის, ყველაფერსა და ფულის შოვნას ხო განსაკუთრებული შრომა მჭირდება, ძველო, და არ მოდის უცებ ის ჩემი და, ისა ჩემისა მეკვლე ვიდაცა ხრონსცკი ბებერი ქალი სტარუშკა რალა და, სულსუ პირველი სუტკაა ჩემი გაეშნიკობის და თანაც მაშინ ასეთი ლეიტენანტი და თანაც სტარში კი არ ვიყავ არამედ რალაც მლადში სერჟანტიც კიარ ვიყა, მე, იტოგში და...

ეს რა რუსული აუტყდა მაინც და სლავიანურსა იმტაზედ, დადგა... ნადაელ, რალა... და, განაგრძობდა, არაყ-სასუსნავთ ძალიანთსც გარდა? — ბეზდელნიკი, ის:

— და, მეუბნევა რუსი იყო, კი, აშენდა იმისი ოჯახი და აქაური ზემლიაკობა, ის იყო ჩემი პირველი ისეთი მეკვლე რომ უკეთესს ვერცაც ინატრებ, მოკლევთ, კაროჩე, მოვიდა ჩემსთან, და მეუბნევა: ტავარიშჩ... აბა მე რა იმისი ტავარიშჩ ვიყა, მთლადაც ბებიად მეკუთვნოდა, ჰოდა, ტავარიშჩ კუსონიკ, ო, ო, გდე ზდეს ულიცა ვილიამინოვა, ო, და მეკი ვილიამინოვის ულიცა როგო არ ვიცოდი ოლონდც

მაინც რომელი ოხრობისთვის მიეცა ქუჩას იმისი გვარი თუ მეტსახელი, ეს არ ვიცოდი და, მიუხედავად ყოვლის ამისა მე კი, დამწყებმა, არიფის ხელზე, ინსტრუქციულად მაინც ავუღე ჩესტი პატივსაცემად როგორ სესერას მოქალაქეს და თან ვეუბნევი ეტა კტო ტაკოი დლია ტებია კუსონიკ შე სტარაია ბაბა იავა და უენშჩინა - კამჩე ბესმერტნი - მეთქი, სულ რუსულად, ეს, ჩესტიც მეჭირა, ა ზა ასკარბლენიე ლიჩნოსტი და ჰამაც დალჟნასტნოი ლიცა სეიჩასუევე პლატი ეგრევე შტრაფ ტრი რუბლია ატო პიატნატციტ სუტკა ჩაილურს - აქეთ მოგრჩება, მეთქი, იმან კი, პაჩემუ აბიჟაისშსია სინოკ ია ეტო ულიცა ველიამინოვა უ ადნავო პარნია სპრასილა იონ ოტვეტილ ჩტო ია ნე ზნაიუ, ბაბუსშკა, ვოტ ლუშჩე პადაიდიტე კ კუსონიკუ იონ სკაჟეტ, ო, გამიშრაველიდავლიოთთითოც, — „ყლუმპე!“, და:

— ტაკ ნაუჩილი ია კანეჩნა პადაშლა კვამი კაკ ნაუჩილი ტაკ ი სკაზალა ტავარიშჩ კუსონიკ პადსკაჟიტე პაჟალუსტა გდე ეტა ულიცა ველიამინოვა ირაზვე ზა ეტო ნეუჟელი შტრაფ ნადო პლატიტ, — ო? — და მაგრამ მე კი სუყველაფერი გავიგე აბა ტყულია ხუარ გვასტავლიდენ რუსულს შკოლაში მთლად მესამედან მეთერთმეტე კლასშიცა და, მეც რუსულათე მივუგე, რალა, ჩისტი ქართული იმან არ იცოდა და არაფერი, და მოვუჭერი, ასე, იმჩემის ბაბუსშკუს, დამწყები კი - ვიყა მაგრამ მაინც ყისმათიანი და ამიტომაც მხნედ ძალიან - ოჩინ იმ ბაბუსშკასა ია სკაზალა სამი - მანათი, ტრი რუბლია - მეთქი, ატო სეიჩასუე არესტუიუ ი პავედუ ზა ნესპარტივნოე პავედენიე ვ უგროზისკე ი ტებია ტამ პაკაჟუტ გდე ნდრაკი ზიმუიუტ, მეთქი, ტაკ სკაზალა ემუ ია ზუროჯან, ძველო, ჯერ კიდე მაშინ მთლადაც ვიცოდი კარქი რუსული, და მეორე ხელით შვიშტოკი რო მოვიმარჯვევი და ძანაც ახლო მივიტანე ჩემრუსულიან, პირთან, დაშინდა ხო იცი და, ნაბმა დამიწყო, ია დუშალა ჩტო ტაკ ნუჟნა ობრაშჩატსაო, სინოკ, ო, ო, აქა კი თვით მე თლათ გადავირიე ვა პერვიხ ია ნე ტვოი სინოკ კაკ ნიბუდ ა ტვოი სინოკ ბელიგვარდეიცებში და ტროცკისტებში მაიკითხე მეთქი და, დავუშვი ჩესტი და შვიტკოკი ახლა ორივე ხელით რო უფროდაც მწარეთ მოვიმარჯვე და, ძალიანაც შამინებულმა?, ხარაში, ხარაშოო, მითხრა იმან, მანამდისინაც მიტკლის ფერისამ, ვოტ ვაზმიტეო, და, თუმნიანი არ გამომიწოდა? თითოც დავურტყათ, —

და, ორმაგულად რო „ტყლუმპ — ტყლუმპუპ?“ —

კაცო, ლუბა რო სუყველაფერში გამომიტყ-

და, არა?, გადმომიშალა რადგან, გული? უარი მაინც არ უნდა მეთქვა, ცოდოა ქალი, ხოლო სუპსარჩო? — განაგრძობდა:

— ხურდა სად მქონდა, დამწყები ვიყა, ნაჩინაიუში, რაღა, იგავარიულუ სდაჩი ნეტუ სავსემ ნეტ - მეთქი, ტაგდა პაიდომ, სინოჩეკ, ვ მაგაზინეო... დავახურდავებო, რაღა, მე კიდე ვუთხარი უტროცკისტებოდ და ასე შემდეგ კტო ტვოი სინოჩეკ არამედ ია ნასტოიაში გრაჟდანი მლიცანერ - მეთქი და პაეტომუ ნე იმეიუ პრავა პოსტ ასტავლიატ, მეთქი, ა სდაჩი სავსემ ნეტუუ, მეთქი,

არა, არ უნდა უკუგდებურ-გამენბილებინა და სუპსარჩო და ვალიკოევიჩ ახლა რატომ-ღაც ოთხნი იყენენ, მოვიფშენიტივეი ჩემი სახე, სუყველასა გვააქ, და არა, არა, ერთი ყოფილა, განვაგრძე ფიქრი, ცოდოა - მეთქი გინდაც ქალი და ისიც გინაცდა გამონათხოვარი ადამიანია ისიც, ხოლო სუპსარჩო, მამა-კაცურად ადამიანი, განაგრძობდა, კი:

— იმანა კიდე, ბებრუხანამ, აბა თუმანი რათ უნდოდა, ჰაზრი - რამ მითხრა, ტაგდა ტი სტოი ი ია პრინესუ, ეტიმ ხურდითა ხლებ ნადო კუპიტ ი ნემნოჟკო მარგარინაო, მე კიდე ჩემის ჩემი გზა მქონდა, რას ეძახიან, ჰო — პრინციპიალური რაღა, და, ისევე ია ნიჩევო ნი ზნაიუ-მეთქი, ნავიდოდა და, ეძებ მერე, და ისევე ისევე მივიტანე ზოგსაც ნაგანზე უფროც შაშიში შვიშტოკი პირთან, და, ზა ასკარბლენიე კულტა-ლიჩნოსტი ვეს ცელი ვზვოდა პადაიდოტ სიუდა - მეთქი, და, სხვა რა გზა ქონდა და რო დაინახა რო ხურდას ძნელათ დაიბრუნებდა, მკითხა: ჩტო, ნიუყელი ცელიხ ტრი რუბლია სტოიტ ეგ სლოვო კუსოჩნიკ ტოგდა კაკ უ მენია ტოლკო დვადცატ ტრი რუბლია, პენსია ა იზ ბლიზეკის და მეჩემი კეთილები ვსე უმერლიო, არ ამიჩუყა, ბიჭო, გული? იმის ბლიზეკებსა და მემავის კეთილებს კიარა და, პაპიჩემ მეველუდას არ ჩავყოლივარ ჩვენ რო ვიცით, ეე, ჩვენ რო არ ვიცით, იქა, ჰხოდა, მიყურა ერთხანს ერთი პირობა, და რახან ასე პრინციპიალურათ გამოუსვლელსა პაზიციაში ჩავაყენე, იმ ყურებისას რაღაცები აწონ - დანონა და დაუნონია თურმე იმ ბებრულს გუნებაში და, არა ჰყოფილა, სულაც შენსავით, მატმატიკოსობა? — აასე, მითხრა, ტოგდა, ვოტ ტებე ეშჩო რაზ კუსოჩნიკ, ეტო შესტ რუბლეი, ი ეშჩო რაზ კუსოჩნიკ ეტო დევიატ რუბლეი ი ნა ასტავეში რა რუბლ? — ნა რუბლ სვოლოჩ, ო, და სამი მანეთის მაგივრად რომ, უკვიტანციოთ თანაც, ათი სრული მანათი კარიერაული მოძრაობისა დასაწყისშივე რო გავაკეთე?, მე ისე მგონი რო ასე კარქა სწორედაც იმან დამაკვალიანა, კარქია ქალი გინდაც ბებერი ზოგ შემთხვევაში, ესაც ჩემ მეკვლეს გაუმარჯოს ოთხ ფიცარშუა

ალარც იქნება ახლა ცოცხალი ისეთი ხრონნი ბებერი იყო და ოლონდა თავზე რაღაცა ძან გაცრეცილი შლიაპკიანი კი იყო მაგრამ პოლიტიუროსი პელშე კი არ იყო ისეთი ბებერი და თანაც პელშე უშლიაპკო იყო და იმაშიაც პელშე კი არ იყო რო სახალხოთ სულე /უხამსი სიტყვა წარმოთქვ-იხმარა აქა, რომელშიც მე ვერ გამომტეხავთ არყი-ბოთლები გინდაც სამ -სამად მამშრვენებოდა და მაგრამ ოლონდ მხოლოდღა რებუსათ გეტყვით, კი: „---ბკუ---ით“/ ეთქვა და აქამომდისინ მაინც როეცოცხლნა, ამ ჭიქით იმას გაუმარჯოს თავის პელშეთი და იმათ ზედაც და დედაც ეე არა არამედ დაილოცოსა ამისა მასწავლებელი კუსოჩნიკობა რო უკარ-ნახა ისიცა ალბათ აღარაა მიაკვტნა სამვეს დედალიტურა კი არა და, თლათაც ვარესი, ჩვენ რო ვიცით, ის...

მე მგონი, ხურუშჩოვს გულისხმობდა, თვით წყალბადთმპყრობელს ახლოვ-წარსულ - წასულს, ხო-გადმამაყუდეს, ეტირა ყოფა, ცხოვრება, რაა?..

დავფიქრდი, მწარეთ... რამ შეაყვარა ჩემი თავი უზნაჩოკოთაც და, არც შამსცდარა, ეგეფ...

მაგრამ,

გენაცვათ,

ცხოვრება რა და რაია და რაა და? —

„ტყტყლუმპვჰვხხ!“,

მეშვიდეს მერე? — გინდა არაყი? — სულაც წყალივით, მიდისდამიდის.

შენ ოლონდ დაჰკარ...

— ბიჭო სუპსარჩო, - გამოვახედე და რაგინდაც თვრალმა მაგრამ მაშინვე ვცვალე ესჩემის გეზი რადგანაც იქვე ოფიციალტი მოგვჩერებოდა, — პატივცემულო ვალიკოე-ვიჩ, შალვა - უმფროსო, ერთი ლიმონის ლიმონათი მათანინე, კარგია გულსზე... და ჭაჭებსზეც, კი...

— ცივი გნებათ თუ ძალიან ცივი, შალვა-უმფროსო, — აფიციალტმა.

— ძალიან ცივი რა — მე ცივმბირელი კი არა ვარ, პრასტოი ცივი მაიტანე...

— აგრე იქნება.

ხოლო სუპსარჩო? — უცნაურულსა სადღევრძელოზედ, დადგა:

— მოდი ეს, ქურდებს გაუმარჯოს...

— რაჰ...

— რა და, მე მაინც ძალიან მგონი რო ძანაც სწორი არი ისა რო ქურდები რო მაინც არიან ამჩვე ქალაქსში რადგან ეგენი როარ იყონ, არა?, და როარ ქურდობდნენ, არა? — მაშინ ხო მე მიცავს ჩემი მილიციაც აბა რაღა საჭირო იქნებოდა, რა — არა? და მილიციაც როარ იყოს მაშინ ხო აი იმაში შამავალი ავტოინს-პექციაც სულაც ხუარ იქნებოდა, არა?, და მეც

ეს ხო ძალიანც ცუდი რამე იქნებოდა, რა, იტყვი, — არა? ამ კოხტა ჭიქით ქურდებს გაუმარჯოს..., ჰიკ!

რა უნდა მეთქვა... — :

— გაუ...

და, ხსნიდა მაინც:

— და მაინც გაი / — გასუდარსტვენი ავტორისპექცია — ქართულათ, /და ერთი იმისი პატრონიც მილიციაცა საჭირო აღარ იქნებოდა და გაიც ხო სუმთლათ ისედაც ხუარ - იქნებოდა ამჩემის შოფრებს სუნესიერათ ხომრო ევლოთ და მაშინ ვილასლა დასჭირდებოდა კვიტანციები და რეიდები და შიგ ბანკებში ჩასუნთქულება და მოდი ამით ამ გათხლეშილებ შოფრებსაც ალალ - გაუმარჯოს...

— გაუ...

— და შენ რო იცოდე ზურიკოკჯან, ქელეხები და წლისთავებიც აბა როგორღა საჭირო არი შენთვინ რადგანაც აბა ისე ხო სუ ძირამდისინ ჩაგიჟანგდებოდა ისშენი კაი დანაჩანგალი ჩანგალისტო შენ და მოდი ამ ჭიქით, არა? ბანდიტებისგან დაბრედილ ხალხსაც გაუმარჯოს და ის მეტი სუფრები და პურმარილები და სეფა აბა როგორღა იქნებოდა ბანდიტები რო არ ყოფილიყვნენდა მოდი ეს ჩვენსა მარჩენალ ბანდიტებსაც ჰოპ!, გაუმარჯოს, ჰიკ!... — ვილაცე მახსენებს ის შობელ... ჰიკ!!!

ლუბასი შემდეგ, გინდ უშუალოდ დაუნუნებულის, ჩემსგან, ამისი ცქერა? თან, სუცოტა გასამნახევრებული სამნახევარი მაინც, იყო;

— მეკი მაგანებს ვენაცვალე ნაგანებსა და აბოიმებურ ღვიძლებ - ჭაჭებში,

ეჰ, ლუბავ, ლუბავ... თუმც ღვიძლჭაჭები? — ყელქვემოთაა, რომელსაც გინდა იმ ექიმს კითხეთ, რომელი სფულის ქალებში გინდა... სუყველასათვის, ერთი არი ეს... ეგა ექიმებმაც კიციან,

— ჰამაც, ქურდებთან და ბანდიტებთან ჩვენ გაიშნიკებს ხო აბა რაჭირი გვესაქმება, ესა ოპერებმა იკითხონ და უგალოვნურებ როზისკებმა, და ამიტომაც ყველა კარქ - კაი ჯიბგირს გაუმარჯოს, ეს,

მე კიდე, ლუბას, ჯიბგირებისაც კი „გაუმარჯოს“ - ის ნაცვლად, არა? — სულაცაც „სალამ“, ს, ვეუბნებოდი,

— და ზოგ ჯიბგირს რო ხელს ტაცებენ ახლომხედველი დრუჟინიკები, არა?, და ვირის აბანოში მიაბრძანებენ, არა? სულელება ის ჯიბგირები შენ რა, იტყვი რო, — არა? ეს მოხერხებულ ჯიგარ - ჯიბგირებს გაუმარჯოს, კი, მთავარია რო, საზრიანობა შიგტვინ — ნათელსაშუბლში გქონდეს, აი, თითონ მე მერო ჰსაზრიანი არ ცყოფილიყავ? —

ვილაცისაგან გამეგო, კი, კი, აესი სიტყვა... — „საზრიანი“...

— და მე ჩემისა ჩემისავევლ საზრიანობით მთლად უზვანიო რო ვიყა, არა? დავაი შალავ მლადში სერჟანტი გახდი - მეთქი და, გავხდი, მერე უთხარი ჩემსა თავსა, შენ გეუბნევი შე ოჯახქორო ბემურაზ - მეთქი, დავაი სტარში სერჟანტი გახდი - მეთქი და, გავხდი, არ გავხდი? მერე კიდევაა, ეფრეიტორი, მთელი სტარშინა, და მერე მაინც ისედაც კიდე? კიდე ზედაცა? მოდი შალავჯან, ჯერ ზრდილობითვინ ჯერ მლადში ლეიტენანტი გახდი - მეთქი და რა, — არ გავხდი? მთლად აფიცერი გავხდი, კი, გავხდი, გავხდი, ეე, გავხდი და სულაც გავატყავებ ვობლასავითა თითო კრუშკაზედ, მერე მაინც არ მავისვენე და მერე კიდე უთხარი ჩემსავე თავსა რო დანინაურება აგრე არ უნდა და შე ოჯახქორო ბარელამ სულაც ძალიან სტარში ლეიტენანტი გახდი — მეთქი და არ გავხდი? ყველაფერს გავხდი ვისაც ჩავავლებ უკვიტანციოთაც და, მერე კი, რო დავიხედე ამ პავონებზე, არა? ზურიკ-ჯან? — ჩემ თავს რა ვუთხარ პირდაპირ პირში და შიგ სარკეში აბა თუ იცი...

— რა უთხარ... — მგონი ქუჩისკენ ვიხედებოდი, ეგებ შემთხვევით ლუბაშამ, კი, ერთი მის-ურად-თავისებურად ჩამოიაროს, მეთქი...

— რა უთხარი მე ჩემსა თავსა და, ამა დღეინდლურ სტარშ - ლეიტენანტსა დაა..., ჰა, ველარ მიხვდი?

— რა, კაპიტანი გახდი - მეთქი?

— არა შეჩემის ჩანგალისტო, ქელეხჩიკობით... მეჩემ თავს უთხარ, ბოლშე ნენადო, — ხვატიც - მეთქი...

გამამივიდა, მაქსიმი გორკი...

თუმც, რაც სუჰხარჩომ მწარეზედ მწარე სულაცა ძაანაც მწარე - გორკი არაყები? — ჰსო...

გადიოდა, დრო...

თუმც ულუბაოდ, კი.

6.

თავი მქონდა რომ? რომელი აბა ნაკვერჩხალების ნიაგარასთან მჭვარტლიანიც ზედ, თან,

კი,

და, ქვასანაყით და წვეტიანი ლომითაც ძაან წვეტიანით რომ შერეოდა ჩასააჭედებლად ჩემ ბეჩავ თავში ვაჰ - პაჰხმელიისა რაღაცა მთლადაც დაუნდობლად მოსასტიკე რაღაც ნერაქვი თუ ძალაყინი?.. — ვეჰ...

და გულისა - და ვითომ გადასაყოლებლად,

ტელევიზორი კი - ჩავრთე მაგრამ, სიმღერასავით გაგრძელებული შემომქმნა რთული სიტყვები:

„მერე კი ბოროტებამ ისე გაააფთრა რომ დააარსა“... —

გამოვრთე, მყისვე.
რა ენააქ, ზოგს...

...

აბა რა მეგონა რომ, ბანდიტებისა და ჯიბგირების და სულაც კაცისმკვლელის თუ ჩინგიზიდების სადღეგრძელოებ - დალოცვები განაღ უკვალოდ შემრჩებოდა?

...

მაგრამ ნეტავი შახ თუ მატ-აბასების საიგრძელო რათ არ დალია? —

უცნაურულია, ნუთისოფელი.

ასე მაგალითად ... — ვაიმეთავი... .. — მგონი, რაღაცა უნდა მეთქო...

და რამ დამავინცა...

დიდი ამბავი...

მგონია, გორკიმ.

მეც, იმ სუფრაზედ, ბოზბაშიანსაც დიეტურში, მეც კიროვივით მოლაპარაკე ვიყა თუ რაი...

სხვა თემას ავირჩევ, გასახსენებლების მეტები, რაა...

არადა, ცხელაც... და სიკტივიკარში რო ხომინც რომა მეახლაცხელი დავბადებულყავ, არ მიჯობდა, ის? — იქ წელიწადში თურმელა მხოლოდ ოთხი კვირაა, მზე... და ახლა ალბათ როგორა თოვს...

მე კი აქაცა ოქტომბერში? მგონია ვინვი, ამა „მზიური საქართველოსი“?.. — თავის მზიანა, სუყველაფერი, ნეტა იმგრილ სიკვტილკარში თუ რაღაცაა თუ აქირავებენ დანაჩანგალს, თუ ვერ კიდებენ სულაცა ხელს, რკინა ყინვაში ძან ცივდება...

ხოდა, ამაზე გამახსენდა, ერთი ნასტავლი ძან, კაცი, მოვიდა ჩვენთან კულორტ მოვის თავით - ფეხამდე გამაჯანსაღებელ სანატორიუმში ვისვენებდი ერთი ოცი წლის წინ, და, გაჯანსაღების მარტო სხვადასხვა შაშვალელები კი არა და, კულტურული თუ რას ეძახიან, ლექციები, ჰო, შიგადაშიგაც ალაგ-ალაგ გვეწოდებოდა, ასე მაგალითად არის თუ არა ცხოვრება რომელიღა მარის -ვარსკვლაზედ ან აბა რომელი შამპუნის სჯოობ, ოლონდ თმებითვინაო, — ვაიმე-თავი!, —

ხოლო ერთხელ კი ძალიან მცოდნე, კაი დიდთავა კაცი ვინმე ლექტორი-რამე თუ აგიტატორ-პროპაგანდისტ თანაც დოქტორი თუ დიქტორი ჩახლენილ ხმითა — ვითომ, გორკი-სგან? — მოგვიყვანეს და იმანა კი? — მოგვმართა ყველას, ასაკისა და სქესისაც კი განურჩევლად, სუ.ცალი თითით

ჯერ შემოგვხაზა ტრიბუნიდანვე მთელი დარბაზი, და, ვისაც რაც გინდათ ისა მკითხეთ და სუყველაფერს ისე აგისხნით რო ძანაც სწორა გიპასუხებთოო, ვაჰ, გაგიგია? სუყველაფერი, მაგან კი არა თვით კარლიმარქსიმაც არ იცოდა მერე რაც მოხდა, და, დავიბენივით, დავმინდით თანაც ისეთის მცოდნის დანახვაზე და უხერხულადაც ვიგრძენით თავები რადგან ჩვე-ჰარიფები ვისედიტა ხოლო ის, ასე ძალიან მცოდნე? — იდგა, ვაჰ როგორ იდგა ნაძვისხესავით და ყოველგვარი ამომწურავი პასუხები კი სათამა-შოეფ-სა-და-სავით ჩამოჰკიდნოდა და აბა რაღა რა - უნდ გვეკითხნა თუკი იცოდა სუყველაფერი, ვაჰ ყველაფერი ნაცოდინარა და კიდევ კარგი, გარეთ რო წვიმდა — ის მერე რა რო კულორტია, წვიმაც კი იცის ხანდახან შოვში, და,

ჩვენში ყველაზე როგორ თამამმა და გაბედულმა როგორც რომა, ეე... ჩაპაევივით, რაღა, ჰკითხა,

ძან ჩერესჩურ პატივცემულო, ეს ატმოსფერული ნალექები? — როგორ მოდისო...

და, ჩაეცინა იმ დიდსათავას,

მეო, ეგეთი, ეგრეთ ჰადვილი რამის შესაკითხავი ლექტორი და აგიტატორი ვარ განა რო, ო, ეგეთსა ჰადვილ რასმესა ვილაცა ხარ თქვენ, მეკითხებო?

ჩალუნა, იმან, პატარა თავი.

კარგი ჰო, ჯანი გავარდესო, აიმ დიდთავამ, უიჰო! — აი სწორედ იქილამ მახსომს შოვური ძალის ნაკბენივით გამოთქმა - ესი, და ვიყენევი კიდევ სხვადასხვა ქალსთან რასაკვირველია ვუიმეთავი!.. — ჰიკ...!.., იმან კი, პროლეტარმა თუ პროპაგანდისტმა... ლექტორმა, რაღა, ოლონდ შენ ჯანი არ გაგვარდესო და, გიპასუხეფო, და ისე კოხტათ მიაყოლა რო თითებს დიდსა თავზეთ იტრიალებდა და ისე კარქა გვებნევიოდა რომ როო ატმოსფერული ნალექი და წვიმა და ღვარი და თქორი და თოვლ-ჭყაპი და ათასგვარი უბედურობა სწორეთ იქიდან მოდისო რო, რო დაანგება, არა, მზეო? აი ამა ჩვენსა დედამინურსა წყლებდანესტსაო? დაო,...- არა, შემკითხი ქალი და დაო კიარ იყო, არამედ მაინც კაცი იყო თუმც პატარუა... მაგრამ ვის გისხნით ნეტა, მარტო-კად, ვწევარ, ვაიმეთავი! თუმც კი არ ვწევარ არამედ ვგდივარ, დაო, დააო, რო ააორთქლებ-ჰააორთქლებსაო, არა?, დე-დამინისა ნესტებსაო, არა?, დაო, და რო შაკრამს ზეცაშიდაო ღრუბლებადაო, არა?, და რო ისე რო დამძიმდებაო რომ რომა როო სულაც სუ-შავათ შაიკვრებაო? არა?, ო? ძმაო?, — ველარ იჭირამს აორთქლებულესაო რუსი გინდა თუ ჭაობისა თუ ოკეანებებეებისაო ცვარებსაო ისი ღრუბლები და მოდის წვიმა, მოდის ზეცის ნუგეში ანაცდა თოვლი

კრისტალური და, — ჩავვიფიქრდა აქ ილე-
ქტორი, — კენტი ცრემლები მოადგა, თვალზე,
— მაშინ, სამშობლოც, იყვავილებ, დაო...

მაგრამ კი, მერე, ისევაც მკაცრათ გაპრა-
ფისიფისიონალეზულმა? — აბა სხვა რამე
მოდით მკითხეთ, რაიმ-ძნელიო, აქ არა ვარო?

მაგრამ ისევ იმ პატარათავამ თითი ასწია
და,

შეიძლებაო?

ვაჰ, ისევ შენა? — გაიკვირვა თავიანმა
პროპაგანდისტმა, — ოლონდ ამჯერად რამე
რთული-რამ, უნდა მკითხო, ვო,

არა, ისევ პირველ კითხვასთან, თვალსაჩი-
ნაურ-ატმოსფერულსა ნალექებთან დაკავ-
შირებითა, ო, პატივცემულოვო, ო,

— ვაჰ, განა მეტად თავით-ბოლომდე
ამომწურავათ არ გიპასუხე? ეგ სიმარტივე
ხომ ძაანც ძირ-ფესვიანად, ხო-ამოვ-
წურეთო,

არაო, იმავე ტურისთავამ, მეო? — ახლახან
ჩამოველიო, ჯარიდანაო, პეხოტიდანაო,
დემობილიზებული ვაარ და ყველაფერი
თუგინდათ საბუთ-სვიდეტელსტოებს გაჩე-
ვებთო, და თუმცა ფეხებიანსა პეხოტაში
ნასასვლელათ ბევრი კი ვიმაღე მაგრამ
ბოლობოლო ჩემი სახლისა გვერდით კრიშაში
/ — ანუ სხვენზე, — ზურო/ გამამიჭირეს და
რამორს მიკრეს თავი, ტაიგ-ტუნდრებსა აღარ
დასჯერდნენ და გადამატარეს იმეებზედა და,
სულაც ძალიან სიკტივკარში ვიყავი ჯარში
ნალეზულიო, და იქ კი, ძაან პატივცემულო,
მზე მხოლოთ ოთხი კინკილა კვირითლა
გამოდის და ისიც მხოლოდლა ოდნავ ბუუტამს
და, რანაირად, მთელ ზამთარ-ზაფხულ
სწორედაც იქრო ბესპრერივნა თოვს, აი იქა,
ო?

პატარა ხნითა, სიჩუმე დადგა? — სუპო-
ლუსური თოვლივითა გარინდებული, ისა
ლექტორიც, ცოდნიანა? — ყინულივით დგა,
მთლად შეკუმშულად გაქვავებული, მერე კი
რომელიდაცამ დამსვენებელმა სუფთა ჰაერში
ჩავიფხუკუნეთ, მერე — მეორემ, და, მესამ -
მეოთხემ და, პატარა ხანში, სიცილი ატყდა?

— ისა ლექტორი კულისებიდან სულაც
ონისკენ დაეშვა თავქვე ისე სასწრაფოთ რო
ფეტრის შლაპა ზედ კათედრაზედ ობლადა
დარჩა, ის დღე იყო და, აღარ გვინახამს, ზოგი
ამბობდა რო წყალტუბოში გადაიყვანეს
თავისი ნებით თუ საირმეში ანაცთუ სულაც
აუორთქლებელ მძიმეტალახა ახტალაში აბა
ამდენი სადრა მახსოვს მე და სად ვიცი აბა რაც
გინდა ბევრიც უმაღლესები ლურჯ დიპლო-
მებზედ მქონოდა, დამთავრებული, და აი,
ანგრე აჯობა პატარათავამ როგო-ფსხვი-
ლათე დიდთავიანსა, კი, ბეჭებზედ დადო, —
სიცილთდაყრამდე, და იმის მერე კარგა ვიცი

რომალტოკად თავსა და გოგრაზე სულკი არაა
თავიდათავი, საქმე, მთავარია რო, ენაზედ
სიტყვა უნდა გადგეს, გამჭრიახული, ენას
ისეთი სავარძლებისაც დასაჯდომათა
დათრევაი და დამსახურება შაუძლია რო,
პოლიტიკურის მაღალისა თანამდებობისც
ანუ ავტო-ადვოკატური მამ აბა მაშინ აბა
რალათლთ გაიძახიან სულგანუნყვეტლივ რო
ეს ჩვენა ვაართ რაცა ვართაო მე და ესჩემის
ბრალდებულებიო, სულ მართლები და
მართლებიო სულაც მარადა და მარადაო,

მაგრამ, მე მგონი ესა ამბავი კულორტ მოვ-
ში კი არ მოხდა არამედ მე მგონი სადლაც
ნიგნშია ნამიკითხამს რალა თქმა უნდა,
თვალთ, თუ სულაც ვილაცამ მიაბმო ოლონდ
თვალთ კი არა არამედ პირით კარგა არ
მახსომს და ვერც ვისხენებ რადგან ძალიან —
ვაიმეთავი!.. — და, უცებ კაკუნი კი გაისმა და?
— მისუსტებულზე, ჯერ კი-შევეხტი და,
მაგრამაც, მერე, ალბათ მეზობლის ბიჭი იყო
და კაი ცივ პივაზე / — ანუ ლუდზე, — ფი-
ლოლ./ ვუკრავ თავს - მეთქი, და, კი გავძახე
რო, — შემოდი ბიჭო, შემოდი - მეთქი მაგრამ,
მააგრააამ? —

არ შემოვიდა?, ამ ჩემ ჩემისა დასამდნარ -
სავით მაგრამ ცხელცხელცხელაურ — როგო-
რაულ სიკვცილკარში მზესავით, ზანგი? —
რადგანაც თმითა და კაბით შავის-რამ იყო, და,
ის მერე რა რომ შავგვრიმანული თუნდ, თუმც,
რა ლამაზი? —

ყელ-ზეით-ქვეით როგო ნანატრი? —
მიხვდით,

კი,
ალბათ,
ვინა და —
ლუბა.

...

კილამ ეგრევე ნამოვხტი, ეს სამოცი წლის
ტრუსებ-ამარა, კაცი, და, კიდევ კარგი რომ
საზრიანი ვარ და, თხელი საბანი, საშემოდ-
გომო, თუმც არ ცხელოდა მაგრამ მხრებამდე
ავიფარე, და, ვიყავი ასე, როგორც ერთსა
დროს ალბათ მომეჩვენა მაგრამ მთავარი
ახლაც ის იყო, რომ ყელს-ქვევითად, დავფა-
რულიყავ...

ხოლო ყელსზეით, შიშველი ვიყავ ამჩემ
წარბებსა და ჩემსა ყლალსა თმას თუკი არ
ჩავთვლით, ანდა ესენი ისედაც რა ჩასათე-
ლელია, — თვალეები მქონდა, სამაგიეროდ,
სალუბაოე, ჯერ კიდევ მაინც მოლურჯოდ
მწვანე.

სალმებისა და გამარჯვებობებისათვის
სადლა გვეცალა, ერთმანეთს ძაან შევცქე-
როდით, ოლონდ, მე მგონი კი არა და, სხვადა-
სხვაგვარად, და,

დაბრძანდით, მეტიქი, — მე-ზნეკეთილმა, არაო, მითხრა...
ლამაზი იყო.

...

— შენ, ზურაბ, — მითხრა, — სწორად ნამდვილად ვერ აღმიქვი თუმცა მთლად შენი ბრალი არაა ეს, რადგან ერთი რამ ნაკლი, ნამდვილად მაქვს.

— აჰ რასა ბრძანებთ..., — თავაზიანმა, მე,
— ჩემს ნაკლებს მე ნუ მასწავლი, ზურაბ,

...

— ეე, ერთის ნუთით თუ ჩემს კაბინეტში შებრძანდებით თუ შეიძლებოდეს... — მაგრამ ვაიმებიჭო, კაბინეტი აბა რომელი სახსენებელი, იყო, ჯერ ეგ ერთი რომ იმ სულ ძალიან პირველად ნაღდად და ალბათ მომეჩვენა, კი, ყველაფერი, და მეორეც რომ, სულაც გარეშე ოღონდაც ნამდვილ კაბინეტში მეგულებოდა და ამიტომაც მემყოფებოდა დანა - ჩანგალი, — რადგან ახლავე ერთნიმუტში გადავიცვამ...

— არაა, საჭირო... ეგრე ინეჭი.

მამაკაცურმა პატივისცემამ იფეთქა, ჩემში:

— როგორ, თქვენ ქალბატონი ფეხზე იდგეთ და, — და როგორ ამკარად ყელქვეითურ ფეხებისკენ, შევავლე აღელვებული თვალი და, თუმცა კიდევაც მეტად ავლელდი და მაინც როგორ მოვიმჩვარე, — ყელზეით, ყელქვეით, როგორ ძალიან ლამაზი იყო, დავიჩურჩულე: — და მე კი, ვინე?

— კი. ოღონდ კარგად უნდა დამიგდო ყური.

...

— დიას.

— სანამ შენები ჩამოვიდოდნენ და შემოვიდოდნენ, ორიოდ სიტყვას კიდევ გეტყვი.

— :

— სიდან იცოდა! ... სწორედაც იმ დღეს ველოდებოდი, ტაბახმელადან, ვითომდაც - ჩემებს. —

ისემც... რუსოსი გარდა.

დაფიქრებულმა, ცოტაოდენი ბოლთა დასცა, ორ-სამჯერ გაიარ-გამოიარა. მაგრამ ეს მგონი იმიტომ კი არა რომ თავისი ყოვლად-უზადო გარეგნობით თავს მანონებდა, არა... — ფიქრობდა, სათქმელს.

შეჩერდა, მერე, მთელი ლამაზი მოყვანილობებით თუ როგორ ჰქვია, მე კი, უიღბლო მაგრამ მთავარია რომ ყელქვეით ზოგ-იღბლიანი-კავაბეშნიკივით? — ფარული ვიყავ.

და, რომ შეჩერდა, ჩერების მერე ჯერ შემცქეროდა რალა თქმა უნდა თვალებით და ხოლო მხოლოდ შემდგომ ამისა მერე კი მითხრა თავისი პირით, რასაკვირველია:

— მე სამი ძმა მყავს, ზურაბ, და თუმცა

მთლადაც ჩემსავით არა მაგრამ მაინც არცთუ ურიგო საქმიანობით იყვნენ სამთავე, გატაცებულები, არიან კიდევ კარგად ამყოფოთ, ღმერთმა, ასე მაგალითად მათში უმცროსი, გრიშა ანთებული იყო ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობებისათვის და განსაკუთრებით დასაწყისში ძალიან ყოვლად დაუზარებლად იღვწოდა ამ მხრივ და თუმცა ჩავარდნაც მოუვიდა მაგრამ სინამდვილეში იგივე საქმეს განაგრძობს ახლაც რადგან ჩუმ-კარგია მიუხედავად იმისა რომ როიალებს ხმამაღლივ აწყობს, მეორე ძმა კი ეგრეთ-წოდებულ თავისუფალ დროს სუშთლად ჩაფლული იყო მხატვრულ ლიტერატურაში როგორც ასეთში და ოღონდ მხოლოდ თავის კლიენტებს ანუ ფოტოსურათებისა გადაღების მნდომთ მოუწოდებდა თანადგომისაკენ და ეს რალაცავგარ — მაპატიე უცხო სიტყვისათვის — უტოპიად ანუ წყლის ნაყვად ჩათვლებოდა ისევე როგორც სამთავე ძმას თავ-თავიანთ ლოკალური... აჰ, ისევე უცხო სიტყვა ანუ ქართულად შემოზღუდულსა ნიშნავს რადგანლა მხოლოდ კაბინეტურად ნაღვანი საქმე ეგულებოდა თუმც თავდაუზოგავად და უანგაროდ და კიდევ კარგი ერთმა მოცლილმა რაც არი არიო და რომ აილო და სულ ცალკ-ცალკეულად და ერთადაც კი / „რალაცას ურევდა“... /, და მხოლოდ სამი და მეტიც უფრო მოთხრობა დანერა იმათზე, მათზე, შენ ნაგიკითხავს რომელიმე?

— მეე?.. ეეე... არა.

— და მესამე ძმაც, თვითონ შალვა, მათსავით ასევე თუმც საქმიანი იყო ნამდვილად და მაგრამ მაინც ანუ მხოლოდლა ნაცნობებისთვის შრომობდა თუმც დიდად იმისათვის რომ იმ ერთი რამის სიყვარული ესწავლებინა დაფარვა რომ სჭირდება სამწუხაროდ-რომ იმ ერთი რამის დავინყებულთათვის, და ამისათვის ძირითადად სულ სოფელ - სოფელ დაიარებოდა რადგან ის ერთი რამე სოფლად უფრო შეიმჩნევა, კი, და დაიარებოდა თუმც უშურველად მაგრამ მხოლოდლა შემთხვევითლა შემოხვედრილი ახალგაცნობილებისათვის და როცა მხოლოდ და მხოლოდ ნაცნობებისათვის იღვნი და იბრძვი რაცვინდ ხერხით ესაც მხოლოდლა ისევე და ისევე წყლის ნაყვა არი ქვასანაყში იმ საოკეანო საქმისათვის და ისინი რომ შეზღუდულად ცდილობდნენ თავ-თავიანთსას? — ეგება კიდევ კარგი რომ როგორც გითხარი იმათი საქმე ეგებ ცოტათი გამოსწორდა რადგან იმა - მოცლილის გამოსწობით ის მოთხრობები რადიოსა და სახ - ტელევიზიაში დაიდგა... ხომ მისმენ?

— კი, კი როგორ არა და ძალიანაც მისასალმებელი ეს... ეე, და მაგრამ ვისი სახე-

ლობის ტელევიზიაში ესა ცოტათი ვერ გავიგე,
— სახელობისა კი არა, სახ-ელმწიფო
ტელევიზიაშიც / — „ააა“... / კი დაიდგა
ცოტათი შეკრეჭისა მიუხედავად მაგშენი
ეშხიანური თმისა არ იყოს / „ვაჰ“... / და
მგონი თეატრებშიც კი და სულაც კინო-
ფილმებადაც კი გადაიღეს და ამან ცოტათი
უშველათ იმათ შემოზღუდული საქმიანობის
გამჟღავნებას რადგან სიმართლე რომ ითქვას
მკითხველზე გაცილებით მეტი მჯუჭურებელი
და შემყურეა ჩვენში როგორც მაგალითად შენ
და ხოლო აგრეთვე სიმართლე რომ ითქვას არ
იყო ცუდი ის ტელე-რადიო-დადგმები და
წარმოდგენები ხოლო მათდამი მიძღვნილ ორ
ტელესპეკტაკლში თვით ჩვენი როგორი
საყოველთაო ეროსი მანჯგალაძე მონა-
წილეობდა და ამით ამათ გარკვეულად
შეუნყო ხელი მათი ჩანაფიქრების გაზიარებას
ხოლო ჩემზე კი თავისუფლად შეიძლება
ითქვას რომ არ დაუძრავს თითქმის არც ერთი
სიტყვა, თუმც არა, ორიოდ სიტყვა კი აქვს
დაძრული ერთგან მაგრამ თუნდ ერთიც
გვერდობითა, წიგნის? — არ დასცდენია,
კრინტი.

გულდანყვეტილი, ჩანდა.
მე კი, ზრდილი და ხათრიანი, ის მერე რა
რომ საერთო ჯამში მარტოკლ ვინეკი
/— „ვაიჰ“!.. / მაგრამ მაინც შევედი გულდან-
ყვეტილსა მდგომარეობაში-მის, გავამხნევე:

— დიდ ეროსის თუ ათამაშებდა რევი-
ზორი... ე, არამედ რეჟისორი, გამოვიდოდა აბა
რა იქნებოდა კაი წარმოდგენა და თვითონ
ეროსიც რო დათანხმებულიყო მეც კი
დავწერდი მაშინ ისეთსა კარგსა დრამა-
ტურდიურსა რამესა რომ არამცთუ გინდაც
სოციალისტური სახელმწიფო მხოლოდ
ტელევიზია კი არა და მისი კარგი ხმით აღე-
ბული და დაპყრობილი და ანექსირებულ-
იქნებოდა / — „საიღამ ვიცი, აგისიტყვა? —
ვეჰ“... / თვით რადიოსი არამცთუ მხოლოთ
ეთერი, ეე, არამედ მთელი აბესალომ და
ეთერიც ეე, მუსიკალური ოპერულათ
აბესალომ და ეთერი და, ა, ეე, და აქედან კი
გამომდინარე თეორემაულად ესა ნამდვილად
არაა, ვერა იმა მოცლილისა დამსახურება
რადგან მთლად პირველ რიგში სულაც
თქვენსზე უნდა დაეწერა იმას მთელი, ეე,
რომანი, და, ა, იმას რომ თქვენზე გინდაც ძა-
ლიან ბევრკილოგრამებიან რომანი რომ
დაეწერა რაცინდა დიდი მოცლილობისას და
ტუნეიადეცობისას / — „ეს რა სიტყვები
მცოდნია, კაცო“... / მაშინ თქვენზე, კი? —
მრავალსერიანებებს გადაიღებდნენ და
მსახიობის მოძებნაც სულაც-არ არცკი
დასჭირდებოდათ და ხმაც კი რომ არ ამო-
გელოთ და ყრუ-მუნჯივით გაგველ-გამო-

გველოთ აქეთ და იქით არა არამედ უფრო
აქეთ გინდაც თვით მხოლოდ კინოში კი არა
არამედ სქელტანიანსა ბევრკილოგრამებიანს
რომანში რომანს რომოუკვცა როგორიცინდა
პატრონი მე უმფრო იუმორისტობებიანი ჟურ-
ნალები მომწონს როგორიცაა ნიანგ-კრაკა-
დილი და სხვა და იქ კი თქვენი ხმისამოუღებ-
ლობითაც კი სულ არაფერი დაშავდებოდა
რა თქმა უნდა რაღა თქმა უნდა ამას და
წითელფანტრისი ხაზისიგასმა რადგან ყვე-
ლანი სწორედაც ისე და ასე იტყოდნენ-რო
გოგოვ, შენ კი გენაცვალე გავლა - გამოვ-
ლაშიაო, და... —

და აქ კი, შევცბი... რაღაცა მგონი მთლად
ვერ ავანყვე სათქმელი კარგად, რადგანაც
ისე შემომცქეროდა რაღა უნდა თვალებით,
კი, და მე კი პირით ვუთხარი რასაკვირველია
რადგანაც როგორ შეველად, ირმულა-შვებად
გამახსენდა, კი, და რა გასამეორებელია ეს და
თანაც სამჯერ მაგრამ სიმართლე არ
იკარგება და პირით ვუთხარი აბა რითი
რასაკვირველია:

— ვაჰ, იქა ერთგან ისა ეროსი რო-ჰთამა-
შობს ის ხო არაა ეგა შენი-ეროსი რო ჩიტი-
რეკიაულათ ჩიტებს რო საკენეს უყრის გალი-
აში და კედელზე კიდე რაღაც სხვა არტის-
ტების სურათები რო უკიდია...

დამცქეროდა, კი, როგორღაც მწარედ
დაფიქრებული, კი.

— ისინი არტისტები არ არიან.. არამედ
კარგი მოცლილები. — და, გამოცოცხლდაც,
— თუმც, არტისტიზმიც საჭირო არის იმ
ხალხისათვის თუმც ძირითადად მხოლოდლა
ალაგ, კანტიკუნტად და შიგადაშიგ, თუმც,
ზოგისთვის კი, განსაკუთრებულად მოცლილ-
თათვის როგორ გაბმულად და მთლად ძირის-
ძირამდე ერთიანად...

— აჰ, ერთიანი ძალიან ცუდი ნიშანია,

— მაგრამ ძალიან სახიფათოა, დიდად-
გაბმული, არტისტიზმი...

— გაბმით არტისტი რა, ცუდია? — საბნი-
დან კილამ ამოვყავ ხელი, — დამსახურებებს
ანიჭებენ, ეს რა სუმუდამ ხალხის წინ იყო ეს
რა, ცუდია?

— გააჩნია, ნიჭს.

...

იდგა, ვინეკი.

— ნავედი, ახლა. დიდხანს ვერ მნახავ,
მერე კი, ღმერთმა თუ ინება და იქამდე თუ
მივალწიე და ჩემი ნაკლი გამიქარწყლდება,
მოვალ შენთან, კი. და მთავარს გეტყვი.
მიგახვედრებ. და,

— მე თითონ მოვალ!

— ვერ მოხვალ. მე სხვა უბანში გადავდი-
ვარ.

მაგრამ კვლავ იდგა, კვლავაც იდგა, არ

მიდიოდა, ჯერ, —

რა საზრიანი ქუსლები, ჰქონდა.

— და ეგებ მითხრათ, რომ მითხრათ რომ ეგებ ერთ რამეს, ძალიან მთავარს, მიგახვედროო.

...

— არ გამაცილო. და არ წამოდგე, ისედაც იცი, ყელსქვეით, რაც ხარ. თუმც, წარბებს-ზემოთაც, ანუ შუბლსა და ირგვლივ თავზე ვაიმე დედა ეს რა ძალიან საზრიანიაო, ვერ იტყვი. შენზე. კარგად იყავი,

დაა, ნავიდა.

.....

რა ნაკლი ჰქონდა მაინც, ასეთი... ეგება ის რომ გამოთხოვილიც რომ იყო, ალბათ.

7.

....,

.....,

.....,

.....

ასე, 63 - ს რომ გადასცდები, როგორ ძალიან ჩქარათ გადის, დრო.

საკვირველია.

ხოლო ასე 70 - ს რომ გადავცდი, არა? მთელი წელიწადი და მისი მგონია 12 თვე ისე ძალიან გარბოდა რომ, ბავშობაში უფრო ძალიან ინელებოდა და მეტი იყო ბიოგრაფიის თუ გეოგრაფიის თუ რაღაცა ქვია და ერქვა და საერთოდაც, ყველა სკოლისი გაკვეთილი 45 სრული კი არა რამდენ-მეტიითიც, წუთი, მერე — ლექციის წამებ - წუთები როგო ძალიან იჭიმებოდა რომელი კაი თანამედებობის კაცი გინდა იმასავით, კი, ხოლო ახლა კი, სწორათ არ ვიცი რადგან არ მახსოვს მაგრამ 83 - ს თუ ოთხოცდაოთხისს რომ ვუკაკუნებ? ერთი ის შემრჩა ჩემ სიმარჯვიდან ოღონდაც მარტო 63—მდისინ, რომ, დროს ამაში მაინც ძან მარჯვედ და თუმც დუნეთაც, მივერეკები, მოსვლაზე არი ყველაფერი ნარდის და კარტის არ იყოს და რაღაც თამაში იყო კიდე, აი, ექვსიანს ექვსიანზე რო მიადებდენ პატიოსნათ და ნულიანს კიდე ნოლიანზე რაღაცა ერქვა... ეჰ, იმ თამაშის სახელი კი არა, ხანდახან ჩემიც მაკინყდება თუმც არა მაგრამ — ზურაბი, ზურა! — ხანდახან ისიც კი არ ვიცი არამცთუ რა რიცხვია და რომელი დღე და თვეცკი მეშლება ხანდისხანობით, და მინამ... დომინო, კი, ჰო, ერქვა იმ თამაშს, კი, მაგრამ ნეტა დომინო რამ გამახსენა, მაგრამ ყოველთვის კი არ ვარ ასე, ხანდახან ძან მინათდება ტვინიეძახე შენ და თუნდა შუბლი

ეძახე და თავი ეძახე თუგინდ, და მოციმციმე კლეროზის თუ რაღაცა ასეთს ეძახიან თეთრიხალათის პატრონები, ამას, რადგან და მაგრამ ასე მაგალითად პენსიის მოტანის რიცხვი მაინც ხო კარგა მახსენდება კატის ნაკბენივით, და თუმც ხანა მოაქვს მეზობლის ბიჭს ის ჩემი დამსახურებული და ხანკი ვერა რადგანაც რაღაცა სიტყვას ახსენებს, კი, რაღაც ყუმბტი თუ ბიუჯესტი თუ რაღაცაო და რა უჭირს მერე ორ-სამ თვეს თუ გადა-აცილებს ბიუსტ- ყუმბტობით თუ რააცაა აბა ზოგმა რაღა ქნას მაგალითად ძმაკაც სუპხარჩოს სულაც არააქ ალბათ პენსია ძალიან იქა, რახანი არი მიწაში წევს, აბა ტყვილა სვა იმან იმდენი ცხარ-ცხარიარაყი და სხვადასხვა ღვინო და პივები და ნალივკები და ამისთანები და, მოკლეთ, ძან ყოველმხრივ დაიმსახურა ის მითომაცდა ნაადრევი და რატომ ნაადრევი იმანე რო სვა და არ ესვა ახლა ასოცი წლის იქნებოდა და, 120 არი, ნაადრევი? ჩვენ წელთაღრიცხვით, მგონი, და სანამდე ევლო დედამიწისი ზურგზე მობეზრებაა ყველაფერი და კიცკი დახვთა თავის მიწა და ზედაც სულ გრანიტისი შემოლობვილი კაი ინდოეთისი აკლდამაო თუ რას ეძახიან მავზოლესავით ჩემთან კიდე პენსიისი ერთათ მეზობლისი ბიჭს რო მოაქ პენსია და მარტო ესი ბუიჯეტი კი არა და სხვა დიდ-რამეც ისეთი ძან კაი ბიჭია თვეში ერთხელ და უკეთესიც იქნებოდა ასე ტყვი-ლათე როარ აცდენდეს დროს ეკლესიაო თუ სიონი როქვია დადის თურმე იქ და სანთელს ანთებს ტყვილა-უფულოთ კიარა და — დაგიხატავენ, უფულოთ, კი — და, კიდე რო კირო მომივა და გამინათდება როგორც ახლა, ა, მოციმციმეო კლეროსისაგან გონება - ჩემი, კივარიგეფ რო რაზე აცთენ ბიძია ამდროს თლათ ტყვილა-მეთქი, საქმეს მოკიდე ბაბუა-თქვა, ხელი-მეთქი და, მაგრამ, აჰაა, გაგიგონია? ის კი არა და, რაღაც ჭკუებსაც მასწავლის ხოლმე თავისი ჭკუით, ვითომ, არაა გვიან, გამოფხიზლდით მარა მე მთლათ მაშინათვე მეძინება, კარქია ძილი, ენერგია თუ მედია თუ მედიკო თუ რას ეძახიან, ჰო — ვიტამინეფს, შოფს.

ჩემი წვეტიანი დანა-ჩანგლისი პუნქტი კი-დე უჰ, რა კაიხანია ძანაც ბევრი ლექციისი დროისი წინათ რომ ვილაც ძალიან ახლობელს რო გადავაბარე ახლობელია რაა აბა და ძალიანიც კაი ბიჭია ის მერე რა რომ გვარ-დასახელი აღარ მახსოვს და ჯერე ხანდისხან და პატარეთი რო დამივიწყა ძალიან, მერე, და არ მოქონდა ჩემი წილი და გონება რო მოშვივებულზე გამინათდა რიონჰესივით და იმ მეზობლისი ბიჭს რო შევჩვილვევი მიგვიანებს, თქვა? — ის მერე რა რო ეკლესიაა თუ რაღაცაა

ტყვილა რო დადის მარა სახე აქვს ისეთი რო, შეგეშინდება თუ არ იცნოვ და, დიდისაა ტანიტანათ და მარა გული აქ დაან კეთილი და, ამისი თქმა იყო ჩემიპირით და, იმეზობლისი ბიჭს, გუჯა ქვია და გიტარაზეცკი უკრავდა ადრე გონია და გიტარა არ ვიცო არა მარა პენსიასთან ერთად იჩემი წილიც დანა-ჩანგლისი კიმაქხოლმე, თვეში ასე 320 ის მერე რა რო, დაჭმუჭვნილები, ლარი, და იმის მოტანილ პენსიასაც თუ დავუმატებთ, გაქუცულს, იმას? — 334 ლარი მაინც მაქანუ 10 ლარზედაც მეტი მაქ დღეში გინდ ტელეფონის გადასახადს თუ ბინისქირას და გაზები და ამისთანების თუ გამოვაკლებთ, მაინც სუცოტა 11 ლარი მააქ დღეში და რამინდა მეტი, მეხო ამდენი მათმატიკები და ამისთანები გონია სულაც ახალგაზრდობაში არ ვიცოდი და თურმე რა და რა არ შენაძლება ძილს, ტვინისთვის მოაქ ვიტამინები თუ რას ეძახიან, კი, ხოლო სასმელ - საჭმელიც იმ ბიჭს მოაქვს, ქირებსაც ისიბიჭი იხდის, გუჯა, მეზობლისი, კი, და ისე სწორათ იქცევა რო გინდ პალკოვნიკი ვიყო მე და ისი კიდე? — მაიორი, გადალილია ხანდისხან ძალზე და მაინც მზრუნავს, გადმოგდებული აქენა ჩემზე ლაპარაკებით კი არა და აქა - იქ დაან სირბილებით, კი, და, ახია მაგაზე, მეტი იაროს ეკლეიებში და მარტო უბრალოთ კი არ დადის, რალაცა ზვანიაც კიაქ იქ და რას ეძახიან, ჰო — სტაქანოსანი თუ რალაცაა ალბათ სტაქანებს უვსებს ღვინით ვინცხა მაგასავით სტაქანოსნებს და მე კივარ ასე, მაგისი — არ მეკუთვნის თუ რა - მოსამსახურეობით სუ დომ - ხიზილალას ვირთმევინიები ხანდისხანობით და ხანდახან ბებერზე ცხელი რომომინდება იბიჭს სილაციდან კაი ბორშიც და კატლეთი მოაქ შინაურული და ის რა ვიცი მე სიდან რახან აუ ნეტაი რამდენი წელი იქნება რო სახლიდან სუარ გავსულვარ, კი, კი, არამედ მარტო ოთახებში და ტუალეტში კი კაი ჯოხითი დაეჩაკუნოვ და, ვინ თქვა სიბერე გლახააო, იმდენი კაი რამე მოაქ წლებს? — რომელი ერთი ჩამოვთვალო, დავიწყო სიდან:

ე, ბოვშობაში და გონია მერეც ჩემიფრჩხილებს რო ვიკვნიტავდი, ახლა, პროტეზით, შევძლებ ამას? ჩამომაცილა ის მავნე ჩვევა, ანდა, ყოველ სამ თვეში ფეხსაცმელებს რო ვცვეთდი ხოლმე ახლა ჩუსტები ის რავიცი რამდენ ხანს მაგრამ დიდხანს მყოფნის მე მაგრამ სად ვიცი აბა ახლა მე მაგდენი და მათემატიკა, გალსტუკის ყრონჭში ნაჭერაც მე არ მჭირდება და სუარაფერი თათბირეფზე თუ რევიზიებზე თუ რას ეძახოდენ მოთხოვნილობას — იმ, ს, და ჩემითვალებს რო ვილამებდი სუ ცუდდაგლახა და გინდაც მთლად კაიკაი გაზეთებისი კითხვით რა ძალა

მადგა, უცნაურია ახლა კი რწყვილი აჩკებით ვუყურებ ყოველს და ერთის მაგივრათ მთლადაც ორი მაქ აჩკებები მე ერთი ტელევიზორში ისეთი გოგოდაბიჭეფს სამისაჩერებოთ და მაგარ კინოებს რო აჩვინებენ კინოებია ისეთი რო რაცვინდა გულით დამეძინოს შვა-ყურებისას დაან ხშირათე მალვიძებენ ვინცხამავების ბლავილები დამანჭვა - გრეხები ისეთი რო დახუჭულ თვალებსაც კირო მიკროთბენ, მეორეთი კი, აჩკებითი, გაყყურებ, ქუჩას, მიდი-მოდიან, ახალიხალხი, ადამიანებს რაგამოლეფს ჩვე - მთავრობების ხელშიაცკი, კაია, აჩკი, იმეზობლის ბიჭს მექისე მოყავს კვირაში ერთხელ, და, მხეხს მარა რას მხეხს, ამსიბერეში ძალიანაცე შემყვარდა დაან მდულარე ორთქლისდამყენი ძალიან, წყალი მაგრამ ისინი მოხარშულსც, მცნობენ, ვიბანავები, მათით, და მერე კიდე თავს კი მაინც ჩემით ვიმშრალეფ და ადრე თუ ჩემს აუ როგორად ახორხლებული თმისისი გასამშრალეულათ სამი დიდძალი კაიძალი სიგრძე-სიგანის პირსახოცი არ მყოფნიდა? და მთელ ნახევარ საათს - მაინც ვიმშრალეფდი ჩემირიყათმას? ახლა, ბატონო, ნახევარი პლაკოტი რო გადავისვა და ისიც ნაზათ ორ - სამხელ თავზე ერთი წვეთისი ნატამალიც სუარ შემრჩება მოტიტვლებულზე რავა არა აქ სიბერეს მისი პლიუსები და პროცენტები და ამისთანები და მინუსები და გაყოფები ისედაც სულაც არც მინდა მე და, გამრავლებები ხო სუარ მჭირია, იყვენ ქალები თავისთვის და მეკიდე ჩემთვის, მარა,

რაცვინდა კაიმყავდეს ის მეზობლისი სულელი ბიჭი, სუსტი ვარ მაინც და ჩემიანებიც, ჩემი მკვიდრები, მაინც მინდა რომ მყავდეს, სახში, ხანდისხანობით მაინც, აი ესა, ეს,

მაგრამ?

სახელი რუსო შევარცხვინე მე, რუსოს და კუსოს და ამისთანებს მოუკვტა პატრონი და, რუსუდანას? აგერ რამდენი წელი და წელიწადები იქნება უკვე, არ ველაპარაკები და სახშიცარ ვუშოფ — აკი მითხრა, კი, ერთხელ ვილაცამ რალაცა ერქვა, ვერა თუ სონა, რაერქვა კაცო, თუ... უიჰო, ჰო, ლუბა, ბოვშები კიკი კაი არიან მარა რო წამეიზრდებიან რალაცა... ეე, სულეც სხვა რალაცები ხდებიანო, რა სიტყვა მითხრა ნეტა, კაცო, მგონი რალაც და რალაცა დრ ერია, ეე... სა-ო... და დრ... მოკლეთ, სამხედროეფდებიან თუ რალაცაო, მტერმა გაუძლო სამხედროების უფროსობას, პატარობაში კი? — რაც მე იმასე ვეფერებოდი ისე დაან რო რუსუდანას-სი ნაცვლად სუსუ რუსოს ვეძახდი და მაინც სურო სუროგორ სუარ გამიმართლა —

აყოლიან, კი, ერთიმეორეს ირუსუდანა და ეჩემი მეზობლის ბიჭი გუჯა თუმც რა ბიჭია შვილიშვილები ყავს ორი უკვე მაგრამ ჩემთანე შედარებით ბიჭია და თელიამბავი და არიან ვითო დიდსაქმეში და ყოფილი რუსო შვილიშვილათე ყოფილი ჩემი აყოლია და იმასავით, გუჯასავით, კი, ტყვილა ხარჯავს დროს და დროს კიდო რა უჭირს, — შეუსწავლია ინგლისური და ამისთანები და კაი ადგოლას კი მუშაობს თურმე მარა რათ გინდა — სულ ვილაცხანებს ეხმარება თურმე სულ — არა, ნათესავები რო მაინც იყვენ ეს კიდევ კიდო გასაგებია ნათესავი ხო სისხლია შენი და ხორცი და ბიძაშვილებიც მთლადაც თუ არა სანახევროთე მოგვარეები მაინც არიან შენი და გარე ბიძაშვილებსაც რა უჭირს ბოლოსდაბოლოს ძაან თუ გაჭირდა მაგრამ, თურმე, არა, თელათ უცხოებს ეხმარება სულაც და სულე და, ვუთხარი ერთხელ, ვორჯერ უთხარი და ბევრჯელ კიდო რო მოდი და გოგო დააბანდე - თქვა რუსო - მეთქი მაშინ ჯერ კიდევ რუსოს ვეძახოდი, დააბანდევი ფული რაცხა საქმეში მომგებიანს და თლათ ნამყვანი პოლიტიკოსი თუ არა და, რაცხან - პარტიის წევრი მაინც გამოდი-მეთქითქვა და - მეთქი, თვალეები ტყვილა ხოარა გაქ, ტელევიზორში მაინც ვერყუროფ რა მშვენიერიკარქათ ლაპარაკობენ, რაფრათ შვენიერ მომავლებს გვპირდებიან რო თლათ საამური ცხოვრება გექნებათ ანიდაანი ოცდაოთხ-სათობით კვირაში შვიდეჯერ და კიდომეტი, მთავარია რო სხვა ცრუპანტელა პარტიებს კინუ დაუჯერეფთო, ლაპარაკობენ ამას და არ დოუჯერეფ? — ტანი იმათე არ აკლიათ და ტანისამოსი და ფერი და კაი აქვთ რაფრათ ფერი და ხორცი და ერთია მაინც იმათში ერთი ისეთი რომე რო ხუთ ადამიანს იწონის ერთად მარტო და ამას რო თავი გავანებოთ ვოთხი კაცი და ათი კაცუნე და ვარაშილოვი — ვინ ოხერია... საიდამ მახსოვს... ეე, მოკლეთ საქართველოსავით თავისუფლათე მაინც გამეიჭრებოდა იმისაგან და, იმათ ბინები უშენებიათ? იქიდან ერთ-ერთს ორსართულიანი მარტო პადვალი და ზედაც აგარაკი-რამ ბასეინიანი ნაქონებარა, თურმე, და ახლა მიწის მაღალ-ზედათეფს აღარ იკითხავ? ბოლო სართულში ვერც ანავალან, თურმე, არყოფნით იმათ რაცგინდა კაი დიხანია და მარა სურო არსებოფს გამოსავალი იიოხერი და ლიფტებიც ქე მიიშენეს, თურმე, ეზო - ეზოში სუსაცურაო და საჭყუმპალო ბასეინები თანაც სავსეთი ნატახტარის წყლით აქვენ თურმე მარა ეს ნატახტარი ვერ გავიგე მე ტახტთან და ისიც ყოფილანე იმდონ წყალს ნეტა სიდანე უნდა და იმ ნატახტარში აღბათე კაი კრესლოთ-საჯდომი იგულისხმება,

აღბათ, და ის მერე რა რომე ხან როდაცლიან ჰაუზებსა თურმე აესებას აღარ უცთიან და იბეტონზე პირდაპირ თავით ხტნებიან ან და ენარცხებიან თურმე ხანდისხან ტვინისი თურმე კინკრიხოთი მარა რათ გინდა ცოცხალეებია, მაინც, და ამან კიდე, ამან კი არა, იმან, სულელ - ჩურჩუტა რუსუდანამ, ამის პასუხათ პასუხი კიარ მითხრა არამედ ამის სანაცვლოთე მოფერებითე მითხრა მითამ, რათ მინდოდა მე იმისი ლაციცება და გააზიზება და ფოფინი - ვითო, — ბაბუ, პატარათი რო შემობერდი, რვა წლამდე თურმე სოჭელში იყავ და სოფლად თურმე იზრდებოდი და ამსიბერეში რაუცნაურად დაგიბრუნდა ეს სოფლურიო, კი, სიტყვებო, და ბავშვობაო აღმოგიცენდაო თუ რაცხაასეთი მითხრა კიდო, სიბერეშიო, და მარა მე ძაან ვიუცხოვიე იმისი ნათქვამი — რა უნდა სოფელს ჩემ ამ შვაგულსა დედაქალაქში ჩემი სტოლისი დანაჩანგალს, თქვა, სოფლელები ემაგ მაგშენში მეიკითხე სუ სამითითთი ქერო ამოუსვამთ პურს ლობიოში და ზედაც პრასი, -მეთქი, ეს მე თქო-თქვა, მარა იმან კი? გაიღიმა და ნარიჟათმალზე, არ გადამისვა თავ-აგდებული, ხელი? სულელი აქვენ იმას და გუჯას ორვე ხელი და განსაკუთრებით კი მარჯვენა, იმით შველიან ვილაც ქვრივ - ობლებს და თელათეცე უნპატრონობს — ოხრებს და ვოხრებს ფულს და ზედაც საჭმელსაც უზიდავენ თავისი ხელით ნეტაი გუჯა ჩემგან ხვარ ღუნავს გინდაც წვრილ-მანებს როგორიცაა ოხრახუში და ამასთანავე ვინცხა სულაც ცხვირმოუხოცელ თლათ-ვობოლ ბოვშებს უზიდავენ საჭმელს მაგინი და კაი, ესი გუჯა რაცგინდა იყოს უცხოა და გადამთიელი და მთიელია გონია სულაც და მარა ხოა რაცგინდა იყოს კარის მეზობელი მაინც ჩემი და ეს რამ შეშალა, და რამაგისი საქმე არი, ეს, აბა ტყვილა ამბობენ თელი-ხალხისი თავიდათავი თითან რჩეულები რო თქვენ ნუ შეინუხეფთ ნურაფრითე თავს და თლათ ჩვენსავით აგაშენებთო ოღონდ მარტოკინ თქვენთქვენი ხმები მოგვეციოთ და ნეტაი ყველა შლაპაპინინი თუ რაცხა გვარია კაიდიდიძალი იმისთანა ხმა მქონდეს მე და, სულაც იმათე მიცემებებდი-იქნებოდა თელიჩემი, ხმას, ჯერ მარტო ისი რავალიკაი სანახავია ტელევიზორეფს შოჩოული კაი-დღეეფსში რაკეტ-რაკეტებს რო ასროლიებენ იმაზე მეტიდიდებიც და ფულებითაც გამოშვებულები და ხოხო რა ხთება ირა-კეტებით ქართულიცაში იმასე არი დამიზ-ნებული თელი პეხოტა და საპიორები და გაგისკდათ მიწა საპიორებზე და სხვათა შორის პეხოტაზე არუნდა თქვა ვილაცა ხარ შენ, და ამისი პასუხათ იმე სულელმა რუს-

დანიამ კიდო გადმისვა თავზე ხელი, დასაწყ-
ნარებლათ - ვითო და მარა მე მაინც მოვუთ-
მინევი, ჯერ, ნათესავი და მერე როგორი
თლათ შვილიშვილი იყო ის ჩემი და თელათეც,
ჩემსავით, რიჟა, და მარა რა ვქნა სირიჟავეზე
სიმართლე უმფრო ვარესათ მიყვარს და პირში
ვუთხარი გოგო შეშტერო, ამერიკაში კირო
ნახველი და იქ დაამთავრე რაცხა კურსები ამ
დასაწვავში რაღას დაბრუნდი ვერ დარჩი იქა
პურის ფულიც ქეგქონებია და პრაფესიის და
ამჩვენ განჩხრიკულ და მაშხალებით და
რაკეტებით დასაწვავში რაღა ჭირდაჯახანბამ
მოგაბრუნა-თქვა ტელეფონორში იმასაც
ხომკი უჩვენებენ და გადმოცემენრო იმ ჩვე -
დასადგომ დაუდგა თვალი ნამეტნაური
საამურობამდე ცხოვრებისიმდინ ხალხი ვერ
ძლებს და თავსაც იკლავენ კაი ხშირ - ხშირათ
აქა-იქა ზოგიერთები გამუდმებული შიმში-
ლებითო და გაჭირვობითა და რაცხა ნემსებ-
საც კი - ნაკვეხარიან და ირჭობენ თურმე ზოგი
სადა და ზოგიც სადე ეგემოვნებასე გააჩნია,
აქ, და, როუთხარი, მაგ გლახაკების ფული მე
დამახარჯე ასე თუ გინდა ყარაჩოხლობა
აბატყვილათე ხუარ გზდიდი - მეთქი, ფულ-
დასახარჯის მეტი რა მაქმე, აგერ მომბეზრდა
ესი დღედაღამ წვანე ჩუსტებფოსტლები თუ
რას ეზახიან და კაი ფეხსაცმელები მიყიდე -
თქვა, აი, თითონე იმას კირო აცვია - მეთქი,
ნუ თლათ ისეთს ალბათ სადანე მოიძიეფ მარა
ცოტათი როგავდეს, მეთქი, და, არ დამი-
ჯერებთ ვიცი მაგრამ, — არ დამცინა, ვაჰხ?
და, ღიმილზე ეძახე შენე და მესამედაც კირო
უნდოდა ამჩემი თავზე ხელგადასმა, ჩემზა,
ვინაა შენი მოადგილე და თანაშემნე და ლაბო-
რანტი თავზე ხელეფს რო მისოფ - მეთქი, შენა
რომელი გოდ - რაჟდენია ხაარ ხარ-თქვა ასე
ვუთხარი თუ რა, და, მერე რამდენი მოვიდა
ჩემთან, მაშინ ქე მქონდა უკეთესური
მახსომრობა და, მაშინვე ვცნობდი და ვენერვი-
ანობდი ძალიან ისე? — მარა ჯერ მაინც
შევეკითხე ისევ სუტყვილა ხოარ ყრი ფულებს
წყალში - თქვა, და, კირო დახარა ერთდროს
ჩემსავით იცეცხლებძაან-მოკიდებული, თავი,
კიდო კაი რო, დამნაშავეთ და უგალოვ-
ნიკივით რო გრძნობდა თავის ირიჟათავს და
ავნევირინდი კიდევაც მეტად ძალიანი და ისევ
უყვირე სირენებითაც რომკი დადიან, სხვები...
ხო, სუ ფერშლები და იექიმები და თირა-
პევტივები და ფერმარშლები და ვეტერინა-
რები მადგენ ამჩემ თავს, ლამის თავზე და
კიდოკაი რო, ცოტათი გვერდზე, მე კი ვინექი
ნამლებისთვის კაკანათივით გამზადებული
და კარქა რო გავხდი და მოვიხედე სუყველა
ჩემი რიჟაიანა გავავდე კარში იქ გადენადა
ფული თუქონდა ისეზედმეტი, მისი მესამე თუ

მეოთხელებე მოსვლაც, კაცო, ასე დამთავრდა
და აღარ დგამდა, შეშინებული ჩემისახში,
ფეხს, მარა ერთხელ რო ძალიანევი დავი-
ლალევი კინოს ვიყურე ისეთს რომე კირო
გადინვა და თლათ გადინვაც და გედვიბუგაც
თელიქალაქი ადამიანეფს და მაშინებს ვინ
დაექებდა, და, ისე მომანვა ესი სკლეროზი თუ
რას ეძახიან თელიხალხში, რო, ერთ ადგილას
მომინდა უცეფი გასვლა აი იქა რო ჩვენ როვი-
ციოთ სწორეთაც იქა და სუყველასე რო
გვახასიათეფს და, მარა, ისე ვიყავი ნათელგო-
ნება დამძიმებული იმე - კინოთი დამლუპ-
ვართო რო მხარე მექცა და კარებები სულაც
ძანი ამერია და, კიდოკაირო იმეზობლისი ბიჭ
- ბაბუასთან შეველი და მივბანცალდი და
როგამოვადე იმისი ზომის ტანსაცმელისი
რაღაცაშკაფის ხისი კარები რადგანე ჩემი
უბორნიისის კარებიც რაღაც იმფერი რაცხაც-
ხისაა, კი, ტყეში რომოდის, და, მარა, იმეზობ-
ლისი ბიჭი კი იყო ხათრიანული ბაბუა მარა იქ
მაინც არა, არ მექნენია და იქ შემეყვანა
თქვენც ქერო იციოთ და იციოთ ეს კარქათ არა
ერთხელ და ორჯელდა სამჯერ, და,
გამოსულმა, არ დავინახე, იქავ, ყოფილი-
რუსო, ირუსუდანა, ვითომაც ჩემი? და,
დავკარი კიდოვ ცალი ფეხი არ მკითხოთ ახლა
რომელიო მაგრამ იატაკისი პოლის ძირაზე
რასაკვირველია და, დავატიებე იმეზობ-
ლისიც ოთახი და გავავდე კარში და თუმცკი
არ იყო უქმე - დღე რაკეტებსაც არ სროვი-
ლობდენ და, სუარ წამსვლია მაინც გული და
ჩემი ფეხით შემეყვანა ისევ იბიჭმა და ითავისი
შვილიშვილივით კიცდამანვინა ძანე ფრთხი-
ლათ ჩემიკრაონტზე და ისე ვიყავი გულ-
მოსული რო რაც გინდა დანა ალესილი
პირდაპირ პირს არ მიხსნიდა და, მარა იმან,
ერთის წამითო, და, მაშინათვე, შემომიტანა
კაიბორში და კოვზი დანასთან შედარებით აბა
რა სახსენებელია და სულეც არ იყო პირბასრი
და პირალმასი მარა შეენივრათ კარქათ
გამიხსნა პირი, და, ჩემქვაბში კირო გადმოასხა
იდარჩენილი, ხვალისთვის, ბორში?, დაავლო
იმე ცალიერ ქვაბს თავისიხელი და, ახლავე
მოვალო, ბაბუავო — რომელი იყო ჩვენში
ბაბუა და მეტსახელი სუვერ გავიგე, — ამ წამს
მოვალ ამას რუსიკოს დავუბრუნებ და გავა-
ტანო და, რა შვაში იყო მაინც, აქა, რუსო!! —
? — რიჟიკაისი... .

თუმც — რუსუდანა, კი, რუსოსი ძახილ-
დაძახილების ძველმა კაი - დრომ მოგჭამა აკი,
ჭირი... დამიხედეთ მაგას! — კაი, თუ
ტუფლები და საათი არა, იძალიანი გალლე-
ტილებისი ფულით ერთი კაი კასტუმი მაინც
ეყიდა, გალსტიკიანიც, ზედ, მე რა, რითი ვარ
დენაშუტატებზე ნაკლები ვითო, მე რა, რითი
ვარ ისეთი ძან უცხვირპირო რო ვერ გავი-



დახი თლათ უკეთესათ გაცხოვრეფთ - მეთქი, და, უკარქფინჯაკოთ ვინ შემისვებს მე თლათ პარლამენტში კიარა და, უმფროსაც ვარესათე საამოურულ ცხოვრებაში, - ჰეჰ!!? - ასეთებია, ზოგშვილიშვილი, ეჰ, ... და, კიდევ კარგი რომ, ცოტანები არიან მაგისტანები და გუჯას-თანები, აბა ყოველი კიარ დადის ტუფლის საცვეთათ, ეკლესიაში, და, იმდენს და ძაან იძახიან ფხიზელი იყავ, ფხიზელ - იყავო, რომ, ჩამეძინაც...

მგონი.

...
.....

ვაჰ, კვლავ ისევაც დღე იყო, კი, კი, და მგონი. ვილაცაც იყო ჩემოთახში, აჩქებს დავნვდი ჩემი ჭკუით და, ძალიან კი მოვაფათურე სკამზე ხელი მაგრამ ნურას უკაცრავად, აბა სად იყო, და, შემომესმაც:

— ტყუილად ეძებ. დაგიმალე.

რალაც ნაცნობი ხმა იყო მგონი, კი, მგონია, კი, ოდესლაც, სადღაც გაგონილი,

— ლუბა ვარ, ზურაბ, არ შეგეშინდეს. ვინმე უცხო არ გეგონო, მე.

...

რალაც ლანდივით ძლივს მოჩანდა, რად დამიძალა... თვალთ - სასინათლო...

— ნუ წამოდგები. შეგიძლია რომ, წამოჯდე. მანდვე,

წელს ქვევით, გვერდზე გავისვი ხელი, — ჩაცმული ვიყავი.

და, წამოვჯექი. არცთუ ბებრულად, მაგრამ ნელა...

— ხომ გითხარი რომ, დიდი ხნის შემდეგ მაინც მოვალ - მეთქი.

ხან შევეყურებდი ჩემი ჭკუით ჩემი თვალე-ბით, უღონოთი, აჩრდილი იყო ოლონდ ცოცხალი და მეტყველი ლუბასი, კი, არც ვიცოდი თუ, მიხაროდა?, არ მიხაროდა?, და ძირითადად იატაკს ჩავეჩერებოდი, ფოსტლებიანი ფეხები მედო, ზედ, მაგრამ უმწეო თვალეების სანაცვლოდ სუყველაფერი კარგად მესმოდა, ყურებ - ად, ვიყავ.

— მიმოკითხვები არ გვინდა და, და გინდაც სულ არ გასულა დრო, განვაგრძოთ იმით, რაზეც შევეჩერდით. მე რომ გითხარი ერთი ნაკლი მაქვს - მეთქი, არა აუარება ნაკლი ვის არ გვაქვს მაგრამ მე ძლიერ გამოსაჩენად თვალსაჩინო ნაკლს ვგულისხმობდი, ჩემსას,

— რა ნაკლი... რომელი... - იატაკისაკენ, დავიძაბე.

და, მითხრა:

— ცოტა ზედმეტად ლამაზი, ვიყავ.

გავხედე, კრძალვით... მე მგონი არ, არ მეჩვენებოდა, და ერთი მგონი ის გავარჩიე რომ თმა? — მთლად თეთრი ჰქონდა, ისა

ყოველი კუნაპეტი ახალ - თოვლივით უქა-ქადებდა, ხმა კი ისევე ძველ... ძველი კი არა, ახალგაზრდული ჰქონდა ძველებურადვე თამამი და დარწმუნებული და შემართული და დასაგდები. ყურის.

— და მეც რა მექნა, აბა... გარეგნობას ხომ ჩვენით არ ვირჩევთ. და ერთის მხრივ როგორ გიზიდავდი მაგრამ მეორეს მხრივ კი ჩემი სათანადოდ მოსმენის თავი აღარ გქონდა შემომცქეროდი მოჯადოებული, ისე. ჭკუა სულ სხვაგან გაგირბოდა. ისედაც თხელი...

...

— ახლა კი, მე საშენოდ და შენ კი საჩემოდ დაგვიდგა დრო, კი. რადგან ვერ მხედავ. და, გინდაც მხედავდე, გარეგნულად აბა რა დიდი იმდენი ყრია, ჩემში, ახლა... მაგრამ, ისევე, ის ვარ, იცოდე.

.....

— და მოდი, საქმეზე გადავიდეთ. შენ რა, დამუნჯდი?

— გადავიდეთ, კი. — ვთქვი მე და მაგრამ აბა სად უნდა გადავსულიყავ, თვა-ლდავსებული, აბუეტი... — ვაჰ, რა სიტყვები მომაგონდა!

...

— როგორც გითხარი, ალბათ გახსოვს რომ მე სამი ძმა მყავდა, და ახლაცა მყავს, კი,

მახსოვდა, როგორ არ მახსოვდა, ერთის სახელიც მახსოვს, - ეროსი!.. სადღა იყო ისი არამცთუ მოციმციმე სკლეროზიც კი, სულაც აღარ იყო, — თუ გული გულობს ქადა ორივე ხელით იჭმევა გინდაც რომ ჯამში ჩავარდესო, — კი.

— და როგორც გითხარი ერთმა მოცლილმა სამთავე - მათზე დანერა იმათზე აქა - იქური მოთხრობები რადგან გრიშა და შალვა დაბოდილობდნენ ძალიან და ხოლო მე კი თუმცა მახსენა - მეთქი მაგრამ რად გინდა, ისე გაკვრით და ზედაპირულად რომ გინდაც სულ არ ვეხსენებინე, სჯობდა, და არ გეგონოს რომ ნარცისი ვიყავი და ვარ ის მერე რა რომ ჩემი მინებებული როგორ ყოვლად ზედმეტი სილამაზით, იმ ყმანვილივით აღფრთოვანებული არ ვარ, სულ რომ არაფერი ნარცისი მაინც უფრო კაცი იყო, შესაძლოა რომ, კიდევაც ჟღალი მაგრამ თავი და თავი ჩემზე უნდა დაენერა იმას მოთხრობა, თუნდაც კარებში ჯერ ხომ ქალს ატარებენ და მოთხრობა რად უნდა იყოს გინდაც თუთიის მძიმე კარზედ უფრო ნაკლები და მეორეც ის რომ იმას მიუხედავად იმისა რომ ბევრზე ბევრი დრო წყალში ჩაუყრია და მაინც, მოცლილობები და მოცალეობა რამდენიც გინდა იმდენი ჰქონდა ვითოსაქმესი, გამოლეულს, — გულნანყენობა, მალაპარა-

კებს, - და მგონი მესამეც ის რომ... თუ, მეოთხეც?... შენ გეკითხები, მესამე თუ მეოთხე-მეთქი...

აბა მე რა უნდა მცოდნოდა, სკლეროზმა კარგა გამიარა, სუბთლად კი არა... მაგრამ ხომ მუდამ არსებობს, კი, გამოსავალი - :

— ეე, ანა-ბანა...

აქ თუმცა უხმოდ, მაგრამ როგორღაც ძალიან გულით გულიანა გაეცინა, კი, რადგან მე მგონი ძველსა ლოყაზედ შემოირტყა თავისი ხელი ხელი კი კარგამწარე ქონდა, კი, მეთქი, კიკი,

— და ვიპოვე რალა მეც, შვების წყარო, შემშველებლურად ხელისშემწყობი, ისემც რა გითხრა, შენ, მაგრამ განვაგრძოთ, როგორც გითხარი ჩემგან უნდა დაეწყოს რადგან გრიშადან ანუ უმცროსიდან რახან დაიწყო მე მთლად უმცროსი ვიყავ გრიშაზედ, კი, და უმცროსიდან რომ შეუდგა ჩვენი ოჯახის, უფრო სწორად კი დედამამიშვილების ასე საქვეყნოდ გამოჯაყვას და ჩემთვის თუმცა გადმოვადო ორილ-კინკილა წინადადება მაგრამ ჩვენს დედამამაზეც არ დასცდენია მოცლილიც, კრინტი, არ იყვნენ ისინი ასე ძალიან გადასაკარგი ხალხი ხოლო არამცთუ გრიშაზე არამედ ვასიკოსა და თვით შალვაზედაც კი უფროსივითაც კი გამოვდივარ მაგრამ ეს მხოლოდ ერთ, ერთსა დარგში.

სულ ვერ გავიგე სუვერაფერი, თუმცა სადღა იყო საერთო ჯამში ის მოციმციმე არამცთუ სკლეროზი არამედ როგორმართლა უტვირთვად გადაკიდებული ათეროსკლეროზიო როამბობენ ლუბას თმასავით თეთრ-ხალათიანები მაგრამ იმათ ხალათები ასე - ძაან არ უელვარებდათ, მაგრამ... მოკლედ, ძველი კლეროზის ბრალი არ იყო, ეს.

— მე გიამბე შენ ჩემი სამივე ძმისა სამთავური მიდრეკილება და ამას იმათი დობით კი არ ვამბობ მაგრამ რალაცა - მცირე ერია და ეყარა კი არა და, ძალიან იდო იმათში რალაც ნამდვილად ყურადღებისა, და შენ წარმოიდგინე, მოწონებისაც, ღირსი, და რა მექნა მე იმათ შემყურეს, და პატივ-მოყვარეობით არა მაგრამ რალაცა ის ურჩევნია მამულსა რომ შვილი სჯობდეს მამასა - ს მიხედვით მე ძაან, ძლიერ მომინდა ისიც რომ ის ურჩევნია მამულსა უმცროსი სჯობდეს უფროსსაო და ახლა თუმცა ისეთი დრო დაგვიდგა რომ, ამა მართლაცდა გამოგონილსა გამონათქვამზე? — რომ უმცროსები სჯობიან უფროსებსაო? — ისემც!! და მე კი აბა რალა მექნა - მეთქი, იმათ შემყურეს, რალაცა უფრო განსაკუთრებული რამ რომ უნდა გამომერჩია და, ჩავუკვირდი თავს, ჩავუღრმავდი, აბა რა-რისი მონაცემები ნეტა ისედაც რა მაქვს - მეთქი, და, წარმოიდ-

გინე, ვიპოვე კიდეც... აღმოვიჩინე. და, შენ რომ როგორ პირლიად მომჩერებოდი ჩემი ყოფილი გარეგნობა არ გეგონოს ეს, ის ნაკლად მქონდა რადგანაც ისე პირდაფ-ჩენილი შემომცქეროდი რომ ჩემი სიტყვები უსკლეროზოდაც ნაკლებ გესმოდა ვიდრე ახლა, და, ჩემს მონაცემებს, არად აგდებდი.

— რას! რომელს...

დუმდა, წყნარს იყო, სინყნარესა, პატარათი... აი, გრიგალის წინ რომ იცის ხოლმე. ალბათ, იმას თუ ფიქრობდა და სწონიდა თუ, რომ, ეთქვა? არ ეთქვა?... და, რომელი გრიგალი, გრიგალი არა მაგრამ დაბალის ხმითა, აი ესა თქვა, რაცგინდა იყოს მთავრობებისათვის, საგრიგალე, რამ:

— მე თავისუფალი ვიყავი, ზურაბ.

ვაჰ!.. დიდი ამბავი, — აქა მემგონი, კლეროზი ისევ და ისთველემ მომერივა, კი, მაგრამ თავს ვძლიე, ფოსტლებში ვიყავ, მყარად ვიჯექი იატაკს მაგრად დაბჯენილი, — დიდი ამბავი თუ ლეონიდაე ბრეჟნევისაც იმ ვოხერდროში ამისა გამო, თავისუფლების, კამერები და ფსიხუშკები თუ რალაცებიც ამდაგვარები შემოიღეს რაც თავისთავად არ იყო კარგი მაგრამ ახლა - ხო თავისუფლები ვართა ყველა, ყველანი, თუ არა გჯერავსთ თვით იმა სუქნურათ-სქელსა კანსტიტუციაში ჩაიხედვეთ ან რადიოში მოუსმინევით თქვენი ყურებით ჩემსავით თუ ხართ უსათვლოდაც ბრმა და სათვალთანადაც კი ნახევრადბრმა, არ გამაკვირვა? — თავისუფალი არ ვიყავი ემაშინაც, ძალიან წინათ, მე? ბორკილი ამჩემი მაჯებს არ უნახავთ და ფეხზე თოკები და ბანრები, მე რა, სუპხარჩო დამიჭერდა თუ რა, სხვა მილიცანრებთან კი საქმე მისდღემჩი არ მქონია, მარტოკა ხოლოდ ერთადერთხელ ერთხელაც ტროლეიბუსიდან უკანა კარიდან რომ ჩავედი ჯერკიდე ასე მეხუთე - მეექვსე კლასის პიონერულათ მოსწავლე - ახალგაზრდობა რომ ვიყავი და მაჯარიმებდა კიდეც ერთიც ისეთიც მილიცანერი რო, უღვაშიანი, მაგრამ რადგან სკოლის ბუფეტის ფულიც შემოხარჯული მქონდა და მთლად უკაპიკო ვიყავ და იმას კი თავისის მხრიდან ჩემი კალინინის რაიონის ერთ - ერთ ქუჩაზე, მგონი ვილაცა ძაან - ძნელადის სახელწოდების მდებარე ქუჩაზე მილიციის მორაჭეულო - რამ ქვე - განყოფილებაში ჩემი წაყვანა თან ეზარებოდა და თან მე კი იმას /იმისი... / სამაგიეროდ კი სონასთან ნაყიდი მთელი სავსე ერთი მუჭა... ვაჰ, არ გამიტკბა ეს სწორ-ქართული? — ძალიან სამსე მთელმუჭა გოგრი-სემიჭკა თანაც და ჰამაც შამწვარი როვუნილადე, გამიშვა, კი, კი, როგორც იტყვიან ოთხსავე მხარეს მიშასავითა, გორბაჩოვივითა მაგრამ



ეს აბა რა ანგარიშში ჩასაგდება დანა-ჩანგალი კი არ არი, და, ესა ლუბა, გაფიქრებაზე, ამ, ჩემ გულში იჯდა? :

— და შენი მოჩანგვლა სულაც არ მსურდა მაგრამ რა მექნა, თავისუფლებით ისე-ძალიან რომ დამაჯილდოვა ისე, ღმერთმა? — სამაგიეროდ, სილამაზეცკი მომისაჯა ისეთი რომ, მთლადაც კოპიოდ სადასამსჯელო, კი, რადგან იმის ნაცვლად რომ ჩემი სიტყვებისათვის კარგად დაგეგდო რომელს არა გვაქვს თითოც ნაკლი და შენი ეგ შენი ერთგვარი ყურები შენ ამის ნაცვლად ისე ძაან პირლიად გადაფჩენილი შემომცქეროდი რომ ბუზი კი არა, კარგა მოზრდილი ფარვანა რომ შეგფრენ - გამოგფრენოდა მაგშენ კუპატებმრავლადნაგემებ პირში? — ვერც გაიგებდი, ეს იყო, საქმე? სილამაზეთი, დასჯილი, ვიყავ.

რატო, დასჯილი... ვა, მარლენ დელონა თუ ლამაზია, იმიტომაც არ უკიდია თავისისახლის ალბათ როგოკარგ შპალერიან კედლებებზე ისეთი მხატვრების სულ - სუ ფერებით ნახატები ჩარჩოებიანა როგორებიცაა, ეე, ვან გოგი, გოგი, ჟორა, ეე, გოგენი, ჟორენი, ეე, შოპენი და იმათ მსგავსთა ფუნჯისი ოსტატების კუპიურები... აქ კი, ურევდა... და, იმის ნაცვლად რომ, გამოესყიდა ესი შეცდომა, აქა - და ვითომც არაფერი და ეგ არის და ვან გოგის რა იყო გორის ციხეო, განაგრძობდა, კვლავ. :

— არა, სამთავ ძმა, ჩემი, როგორ არ იყვნენ თავისუფლები მაგრაამ ჩემთან კი, შედარებით? მხოლოდლა ცოტათც მოთავისუფლოები იყვნენ, კი, მხოლოდ, მე კი, სილამაზისდამიუხედავად იმათზე მეტად, თავისუფალი, ვიყავ, და, მართლა ნამდვილი თავისუფლება იცი შენ, რაა?

როგორ არ ვიცოდი... აი, პარლამენტების ნევრებსა რო ავარიების და ნარკოტიკობისაც შამთხვევებშიც კი და ურთიერთ მწარე - კბენებისა ენითაცა და თვალებითაც და აღმას - კბილებითაც კი ხელშეუხებლობის უფლება როაქვთ ნიღბებიანიც მილიცანრებებისაგან, არა?, თავისუფლება ძაან ისი არი რაარი აბა სხვა რა რომელიერთი ჯანდაბა და გამოთქმაცა აქვთ შესაფერისი, უზურპაციო თუ პრეზუმპრეპარაციო თუ შინაურულათ ოვაციო თუ რალაც ამგვარი ბრავოსნაირი, ააქვთა, კი, ესა კი, ლუბა, სულაც სუ სხვაგან დაფრინავდა, კი — :

— და ერთის შეხედვით ცოტათი ძნელად დასაჯერებელია, რადგან აბა სად შიში და სად თავისუფლება, მაგრამ, მართლაცდა სწორი, განუსაზღვრელი თავისუფლება სწორედ ღვთის შიშს, კი, მოაქვს ზურაბ, სწორედაც იმათდამი რომელთაც ძლიერ ეშინის უფლისა რადგან ცუდს არას ჩაიდენენ და, ამაზე მეტი თავისუფლება, მართლმადიდებლურ

ქრისტიანობაზე უფრო - სა და მეტს, ვერსად შეხვდები და აღმოაჩენ ეეჰ მე ამას ისე ვამბობ თითქოსდა გინდაც მთლად უცოდველი, ვიყო, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, იმას კი მაინც ვცდილობდი, ჩემით, თუნდაც მაგ შენთან, რომ ჩემი თავისუფლებისაკენ... — სწრაფვა როგორღაც ხმამალალი სიტყვაა, უბრალოდ გეტყვი — მიდრეკილება მინდოდა შენთვისაც კი რომ გადმომედო მაგრამ, როგორც ვითხარი, სილამაზით დასჯილი ვიყავ და ამიტომ მგონი ამაოდ ვცდილობდი რომ მხოლოდ ყელზეთ შემოგეხედა და გეგდო, ყური... - - - :

„ვაი-მეეე“ ...

— და, როგორ გგონია, იმ მეორე დღეს შენზე ნაკლებად მოველოდი თუ?, ისე ძალიან მოველოდი ვაითუ რუსუდანს ჩემს გამოც ვაითუ სიცხემ მისცეს - მეთქი და, ხოლო ეს იმიტომ რომ ძაან სათუოდ რა იცი ეგებ მეკოცინებინა კიდევაც ოლონდ ყელამდე, და ხომ ცოდვაა პირნავარდნილი ეს ისეთი რომ, მოდი ასე ვთქვათ და დაუშვათ, წარმოდგენითაც, კი, რადგან მინდოდა ამითი უფროც ჩამეთრიეკი, მაგრამ შენს რუსოს მაგის გამო რომ სიცხე არ მისცა, — შენ რომ მხოლოდ განგებას ეძახი, იმან, და განგებაცაა, რაა აბა, ღმერთი, და, როგორ შევებით ამოვისუნთქე, დაუშვათა და თუნდა ფიქრებში რომ რო მომეცა შენთვის ამისი წარმოდგენა, ჩემს — დაკოცვნისა, ანუ, ესეც ხომ ცოდვა იქნებოდა, ასე სწერია, შენ რომ დანა - ჩანგალზე ძალიან ბევრად ნაკლებად იცი, და ბაიბურში ჯერ რომ ვერა ხარ, იქ, ხოლო მართლა რომ მიგეშვი, შენ, ოლონდ მხოლოდლა ყელსქვეით, არა? — გამოიჩენდი, ოსტატობას? ... — , — , — ,, — :

„უუი, — მეეეე, ვაიავაიიჰ, ჰ“ ... —

....., და, — .

— ახლა, წამოდექ.

წამოვდექი, კი, ოლონდ ჯერ ჯოხი მოვიძებნე ხელის ფათურით და,

ფეხზე ვიდექ, თანაც ხელჯოხით, და, სამსა საყრდენზედ? — როგორღაც, მაგრამ, ჩემს პირობაზე მყარად, იმედით ვიდექ და ვიდექ, ხოლო ისა კი? :

— და თუმც კიუნდა გცოდნიდა ის, რომ, როგორ ვუყვარვით ღმერთს ყველანი, სუყველანი, კი, და შენისთანასაც კი ერთი ისეთი რამ მოგივლინა რომ, შენი მრავალი ცოდვებისაგან, ერთ-ერთში მაინც რომ შეიკავე შენი როგორი არ გენყინოს და, უგუნური, ძვირფასო, თავი, აბა თუ ხვდები, როგორ წყალობად რა მოგივლინა... —

— რა...

— რა და, მრავალბთაგან, შენი ერთერთი ხშირ - ცოდვისაგან რომ შეგიოკა ეგ შენი თავი რადგან რუსუდანს, მაშინ როგორ ძალიან შენსას, შენი წყალობით?.. კიარა და, შენი

ულვობით ერთსაც როგორ მრავალ და წყეულგზისი განმეორებულ შემთხვევებში, სიცხეს უწევდა, და ისე კი იმა მოცლილსაც-ხომ თავისთან ერთგან გადმონერილი აქვს მართლა წყალობით რომ ერთსა ცოდვას თუ ჩაიდენს, კაცი, სხვა ცოდვებიც კი უკლებლივ აეხორხოლავება და იმავ მოცლილ-ავტორით გადმონერილ ერთსაც ასე ვთქვათ გმირსა კირომ ეჩვენებოდა ეს ის რომ იმა ერთ - ერთ ვილაცას, დაახლოებით შენისთანას, რა უჭირდა თუ, რომ იპარავდა, მპარავი რომ იყო, სამაგიეროდ კი იმითი ძლიერ იმხნევებდა თავს რომ კაცი არ ჰყავდა მოკლული და, მერე კი, ბოლოს ადამიანის მოკვდინებამდეც კი მივიდა და თანაც დანით და თანაც ყოვლად უცოდველის, და რა, გავამართლოთ რომ ზედაც ჩანგალი არ უხმარია? ხოლო შენ, ზურაბ, აბა თუ იცი კაცისკვლაში აბა რადარა და რომელ - რომელი, სახეობები, შედის...

— როგორ არ ვიცი... — ხელჯობი მოვიმარჯვე, — დანით, თოფით, და ავტომატი... ჩამოხრჩობები, დახრჩობები... გილიოტინა...

— მხოლოდ ეგენი არა, ზურაბ, რადგან არა კაც ჰკლა-ში ისიც შედის, რომ, საღვთო წიგნებით, გვეკითხებიან, და როგორ მკაცრად, სიტყვით ხომ არ გინწყენიებია ვინმე, ო, ზურაბ...

... — „ვაჰ“...

— შენ კი, წარმოიდგენდი რომ ჩემდამი სიტყვით, ანუ მოკვლასთან მიახლოებით, სიტყვით რა-ძაან, მანყენინე? რომკი გაიგე გამოთხოვების ჩემი, ამბავი, ვითომდაც პატივი დამდე და ამისაგან ეგრევე შენობით - ზე რომ გადმოხვედი და ცოლად გაყოლა როგორ ქედმაღლურად, კი, შემომთავაზე შენ, შენს ცოლ-შვილს თავი რომ გავანებოთ, შენა იმ შენი მაშინდელი, რუსო-სიც, ლალატთან ერთად...

... — , :

— და კიც მიიღე, სწორედაც უფრო რუსოსათვის, და თავს ბოლომდე არ ვიმართლებ მაგრამ დასჯაც ხომ შედის საღვთო წიგნებში, და მაინც, ეგებ სწორედ ამანაც მარგუნა მე, მონამებთან შედარებით რამდენად გინდაც განუზომლად ჩიად და, მაგრამ მაინც თავისუფალს, ეგ შენი თავი, მანამდესაც, კი, მარგუნა მე, ხოლოკი რუსო შენი სხვა დროსა თავშეკავებისათვის დაგაჯილდოვა ღმერთმა იმით რომ შენი რუსო კეთილმონყალე და მზრუნველი გახდა ყოვლად უცნობი გაჭირვებულებისათვის, და, ეგებ იმიტომაც რომ, რომ შენცა, ზურაბ, თვალმისაცემი იყავ ჩემსავით ოლონდ თუ ეს მე გინდ სიკუპრეთი, შენ მთლად ჟღალობით,—

ვაჰ, სადლა მქონდა გინდაც სიჟღალე, „ვაჰჰჰ!“ — :

— და, თუმცა მე კი შენთვის გასაგებ ენაზე მოგმართავდი შენ, ენაცაბნეულს, თვით ის მაინც როგორ მაღალი სიტყვა, თუნდაც ქა,შ, ვეთი, შენ რომ გაგეგო ერთი ბგერითლა შევცვალე მხოლოდ, არა — კი არ შეცვალე, მთლად სწორად არ გითხარ, და რა შეცვალე წმინდა ქაშვეთში, შეგიძლია რომ დღესვე გაიგო. თანაც, ორი გყავს ამისთანა... ხომ ხედავ, იმა ორითაც რომ შენისთანაც კი მაინც როგორ, კი, უყვარს, კი, თვით ღმერთს... და რომ გითხარი ცოდვები როგორ იხორხლებიან ერთმანეთზე, ძალიან, მეთქი, ისიც იცოდე რომ სიკეთეებიც დაიხუნძლებიან მნიფე მტვენებად — ქართველები ვართ, — ერთიმეორეზე და, იმ შენი ერთი ცოდვისაგან ცოტა - გარიყვით, მაინც როგორ დაჯილდოვდები, და, ახლა კი, ჯერ, სანამ დაჯდებოდ-დანვე-ბოდე, იმასაც გეტყვი რომ მე თვით სალოსობამდე მართალია ძალიან ბევრი მაკლია მაგრამ, ცოტათი, ოდნავ წინასწარჭვრეტისა და შენი ფიქრების ამოკითხვისაც უნარი? — ცოტათი, მქონდა, და ამაზე კი შენ რომ მხოლოდლა იმას ფიქრობდი ვაჰ ეს საიდან გაიგო, ვაჰ, ჩემ გულში იჯდაო? ვერას ხვდებოდი, ამას კი იმით ეგებ განგიმტკიცებ რომ კეთილისმყოფელი შენი, გუჯა, სტიქაროსანია და არა შენსავით თუნდაც ყოფილი, სტაქანოსანი. ოლონდ, ქაშვეთზე, სხვასა ჰკითხავ, და, ახლა, კი, ჯერ, დაჯექ, ახლა.

დავჯექი, კი... ჯობიც, საწოლზე მივიყუდე...

— დანექი, ახლა... წამოწექი. ვხედავ, დაგლალე.

წამოწექი. შარვალი მეცვა...

— და ახლაც, სიბერეში, ზურაბ, არაა გვიან გონს რომ მოეგო, რომ არ ვუმუხთლოთ მთლად საბოლოოდ, სიკეთისათვის, გამჩენს... რადგან ერთი რამ? მონანიება? — ყველა ცოდვას, სპობს... დახუჭე თვალი...

თვალეები დავხუჭე...

.....

..... —

ჩამძინებოდა... და ესაც, მგონი... — მგონი მეძინა... მაგრამ,

სიზმრებითა, თუ, უსიზმრებოდ თუ და თუ არამედ სულაც, კი, ცხადში?... —

ველარ ვიცოდი, ეს.

მოხუცებული ვარ, კი...

გულზე რალაცას ვგრძნობდი, თანაც... მოვისვი ხელი, —

სათვალე იყო.

გადასარევი... და აბა და თუ რატო, გადასარევი?

რადგან სათვალე ძირითადად სკამზე მიდევს, მაგრამ და მაინც



საზმრად ყოფილა, ყოველივე ეს... — თუმცა სათვალე ძილში რად მინდა მაგრამ მე მგონი სიზმრად სათვალეს რომ ვერ ვპოულობდი? და სიზმრად იყო, ისიც, რომ ქალი ლუბა, რალაცა გვარის, მემუსაიფებოდა და თანაც სათვალეები დამიმალა...

მაგრამ, ასეთი ცხადი სიზმარი, კაცო!?

და, მითხრა რალაც, ჰო — ორი ისეთი კარგი ვინმე გყავსო, თუ ამდაგვარი... ერთი, გუჯაზე მითხრა, ალბათ... მაგრამ ის ახლა სამსახურში იყო, ვერ მივწვდებოდი...

ხოლო, მეორე? — აქ რეჩხი მიყო, ისეც ბებრულმა, გულმა... მაგრამ სათვალე აქვე მქონდა, და, ეგებ შინ იყოს, მეთქი, ჩემ თავსა უცებ ძალზე - ძალიან - მე - მეთქი, ეს, და... ეგებ... და, ვაი სირცხვილო — მისი ტელეფონის ნომერი რომ აღარც მახსოვდა, და მაშინათვე ჯიბის კი არა არამედ იატაკისი ნიგნაკი მოვიძიე — იქავ მედო, როგორც ყოველთვის, იატაკისავე ტელეფონთან, კი, და, გადავშალე სადაც ჯერ-არს, იქ, და, დავურეკე; ტელეფონიც ხომ აქავე მიდევს, იატაკისი თავთან, —

და როგორ ძალიან აღელვებით, ველოდი ზარს... უფრო სწორად, ზარის შეწყვეტას, და, შემომესმა, როგორ ნეტარი, — :

— გისმენთ.

— შენ ხარ, რუსუდან? — არ ვუჯერებდი, ვუჯერებდიც, ყურს.

— ვაიმე, ბაბუ... როგორ ხარ, როგორ გამეხარდა... — ეს ისეთ შვებად შემომესმა, სულ მთლადაც დავდნი, ვიღას მახსოვდა ძველი წყენა-ისი, ახირებებით, ჩემი, და, შევევედრე:

— რუსო... — ძველი მიმართვა! მისი ბავშვობის, დროინდელი... ძვირფასი როგორ, გავიმეორე, : — რუსო, ერთი რამე უნდა გკითხო და თუკი იცი ხომ მეტყვი მაინც, სიმართლეს... ის მერე რა რომ ცუდი... ვიყავი...

— შენ ცუდი არ ხარ, კარგი ხარ, ბაბუ, რაც გინდა, მკითხე და, თუ შემიძლია...

აი, ახლა კი დამტკიცდება, სიზმარი იყო ის - ესი ლუბა, თუ სინამდვილე... —

— რუსო, ქაშვეთი უფრო სწორად როგორმე უფრო გამოითქმება?

— კი, როგორ არა, — მითხრა რუსომ, — უფრო სწორად? ქა, შ—უ, — ე, თია... ქაშუეთი, კი, —

მართლა ყოფილა, კი!, ლუბა, კი!, და, სიხარულისაგან, ისეც დავეჭვდი. ისეთი დიდი სიხარულისაგან? — მაინც დავეჭვდი, დავიზუსტე:

— ნამდვილად იცი, შენ?.. —

ეგებ, ცდებოდა, ისე პატარა, ერთ დროს, იყო...

— კი, როგორ არა. ნამდვილად ვიცი.

...

და, შემომპარა ოლონდ პარვასავით კი არა არამედ როგორღაც შიშით იყო თუ სიყვარულით იყო და გინდაც ჩემისთანა და მაინც უფროსისადმი პატივისცემა იყო თუ ისე ახლო, ის მერე რა რომ ყოფილი ნათესაობა იყო თუ რა იყო სწორად არ ვიცი რა იყო და ვერ ვხვდებოდი მაგრამ თქმით კი? მითხრა, არა, უფროლა შემეკითხა, ასე:

— მოვიდე, შენთან?

— აბა რა!.. რუსო!, —

— ხუთ წუთში შენთან გავჩნდები, ბაბუ... ცრემლი შემერთო, ხმას, :

— გიცდი.

და კინალამ ისიც არ გავიფიქრე რომ მე რა — შენი უპატრონოები და გაჭირვებული ხოარ ვარ-მეთქი, მაინც ძველ სიჯიუტე-შენარ ჩუნებული ვიყავ, ბებერი,

და, მაშინვე შემრცხვა, თანაც სკლეროზის ბუნდლა - ნატამალიც კი არ მერია მხოლოდ თავში კი არა მთელ ჩემს იმ ბებრულს სხეულში, კი, — რადგან რომ ძალიანაც შორს შვრება - აკეთებს მიკეთებს, რუსო, მე—მეთქი, და მთლად უცნობებს და უპატრონობს თანაც, თუკი სწყალობს რომ უვლის-მეთქი, ყოჩაღ შენ, რუსო, გავიფიქრე, ბარაქალა, აბა სტილნურსა ფეხსაცმელებს რა თავში ვიხლი ამ ოთხკედელშუა, მე, და ჰალსტუხებიც ფერად-ფერადი სხვებმა იკეთონ, მე შენ გეტყვი და გვაკლიან, თვალში, და კარგა ბლომად თუმც არიან, მაგრამ მეც მთლად უპატრონო სულაც არ ვყოფილვარ, რაც გინდა ცუდ ვყოფიყავ, შვილიშვილი მაინც როგორ, როგორ ნამდვილი, ძალიან ჩემი, და, ჩემი ყოვლადსათაყვანო, მყოლია, თურმე, და ჩემი გუჯაც, როგორ ჩემია, იმთავისი და ჩემი, კი, ღვთით, კი, ის მერე რა რომ უცხო თვალისათვის მოწაიბანდიტო - რამ სახესავით თუმც გააჩნია, როგორი სათნო ყოფილა, თანაც, ჩემი, ჩემთვის, მე კი, უგნური...

და, უცებ როგორ გამახსენდა რომ რუსომ, სანამ დავემდურებოდი, ძალიან მითხრა რომ სიტყვა „გამოთხოვილი“ თურმე გვიან შეძენილ შვილსა ნიშნავს რადგანაც დიდი სურვილითა და თხოვნით, ღვთისადმი, მოვლენილია, ამჩვენ ქვეყნად, და მათგან მთავარ გამოთხოვილს ამ სიტყვის ძველი შესატყვისი, „სამოელი“ ერქვა, კი, თურმე, რატომ მითხრა ეს, იმან ლუბაზე მთლად არაფერი არ იცოდა, მე მგონი, კი, კი,

და, ახლახან თურმე როგორ მართლად და ნათლად და ნაღდად თქმული როგორ, გამახსენდა, რომ,

სუყველაფრისი გამოსწორება შეიძლება, ო, თურმე, — იმან, და,

მონანიებით?
 ვტიროდი კიდეც თურმე ოღონდ ეს ძა-
 ლიან ძლიერ სიხარულით, კი,
 და,
 მერე,
 ცრემლები რომ მოვიწმინდე, ჩემი ბებრუ-
 ლი, და ალავ ისე რომ ძალიან ყავისფრად
 დალაქავებული, მჯილით,
 იმედისაგან, ისიც გავიფიქრე რომ,
 რა კარგია რომ, არიან მაინც, ამ დღევან-
 დელურ ცხოვრებაშიც, როგორი შვებად-
 ადამიანები, მეთქი,
 ვუცდიდი, რუსოს,
 და ხოლო მე კი, ხოლო მე კიდეც რაც შემი-
 ხება, ეგებ თავისუფლება ჩემს უნებურად ისე
 მიყვარდა, რომ, მოწინებით ეგებ აქამდე
 სულაც ძალიან ვერიდებოდი ჩემს უნებლიედ,
 თურმე, და ჩემი ცხოვრება ისე განვლე რომ,
 თუმც კი არ განვლე, არამედ რუსოს ვუც-
 დიდი, ახლა, ერთი ეგაა რუსოს სახელი და
 მეორე კი, — ლუბა, — გაგიგონია? არ დავი-
 ჯერო, აჰ, და ჩემი რუსო მხოლოდღა კი არა
 და, სხვებისათვისაც კი როგორ ძალიან
 კეთილისმყოფელს, ეგება იმ ჩემგან ერთიც
 ცოდვისა არ - დარღვევებით ებოძა, ეს, არა,
 ტრაბახა არ ვარ მაგრამ არამედ როგორ
 მადლიერი, და ხვდებით ალბათ, ვისითაც, კი,
 და, საღამოთი რომ მობრუნდება გუჯა, იმა-
 საც როგორი სიყვარულით, აღმოჩენილით, კი,
 და რა მადლიერებით, რაც მთავარია, მთლა-
 დაც უსიტყვოდ შევაცქერდები, გახარებული
 და გაკვირვებით მიხვდება, ყოველს, —
 საზრიანია, ხოლო აქამდე? — არ გადავ-
 მსტარვარ იმ ფიქრიდან რომ ჩემი რუსოსი და
 გუჯასი ასეთ - ასეთი ტკბილ - შეხსენებით
 მხოლოდ კი არა არამედ მართლაც რაღაც
 უცნობი ადამიანობის გაგრძელება იყო ეს და
 ამ გაგრძელებისა, ც, შემდგომ, იმასაც
 კვლავაც გავყვები რომ ეგებ ეს-თავის-

უფლება — არ ვმეორდები, სიყვარულმა
 გაორება სულაც არ იცის, — ისე მიყვარდა -
 მეთქი ეგებ თავისუფლება რომ მასთან, თვით
 იმისადმი, უმთავრესისადმი ოღონდ რაღაცა
 მაინც ნაკლულ - გაგებით შეხებას იმდენად
 ვერ ვუბედავდი, რომ, თავის დროზე რომ
 მათემატიკა ჩემთვის მთლად უცნობ ღვთის-
 მეტყველებაზე მაინც რამდენად კარგი და
 სასარგებლო და დიდიცა - რამ რომ მეგონა —
 ვაჰმე-სულელი..., — და მათემატიკოსობას
 კიდეც რა უჭირს, სუპხარჩოსი რომ ალტაცე-
 ბითი ამხანაგობა ძალიან დიდხანს შევიწარ-
 ჩუნე და მომქონდა კიდეც, ამით თავი ისე
 ძალიან რომ ფულის ყადრით დანაჩან-
 გლობანას სპეციალისტობა ამოვიჩიე, კი, და
 მუდამ ჩემისთანა და ჩემნაირებისკენაც კი
 როგორ ძალიან მივიღტვოდი, კი,

ხოლო ეს კი, ახლა რომ ვნანობ ძალიან ამას,
 როგორი ყოფილ-მართლაცა და სკლერო-
 ზიანი — სიყმანვილიდანვე ოღონდ, როგორ
 წყალობად, მხოლოდ აქამდე, აი ამ დღემდე,
 მე,

ხოლო ესა კი, ეს შენ მიბოძე და მენყალობა
 შენგან, შენ შესძელ ესა, ჩემ ნაცნობთაგან,
 ნაცნობებისათვის, გადაგვარებულ ჩემთვის,
 კი, ეს, ერთადერთმა, შენ,

და თანაც ვითომ როგორ უცხომ რადგან
 გუჯა ხომ მთლადაც კარის მეზობელია და ხო-
 ლო რუსო? — შვილიშვილი,

შენ კი, რა გრჯიდა თუ არ შენი თავისუფ-
 ლება, და სიყვარული ოღონდ მაღალი, შენი-
 ლბული, ღვთივ ბოძებული მიუხედავად იმისა
 რომ მაგ ემაგ შენი როგორი დამლით,
 სილამაზისა, მომევილინე, შენ, აი ეს ვინ შენა
 და... —

ლუბა—ვ, ჩემო სიყვარულო...

2005 წელი, ისევ 17 აგვისტო





ქანსუტ
ხარცვიანი

ლიქსები

ციკლიდან „განწირული ბედნიერება“

ნგრევა ქვეყნისა

დიახ, იყო დრო, იყავ კეთილი,
დღეს, მომავლისგან იმედს არ ველი,
დღეს, უფლისაგან ხარ მოკვეთილი,
ალარც არავინ არ გყავს მფარველი.

დაინგრა, მერე ველარ გამთელდა,
დღეს, საქართველო არის არ მთელი,
წყეულიც იყავ მტერო ქართველთა,—
გინდ რუსი იყავ, გინდა ქართველი.

განწირულია ბედნიერება,
შთამომავლობავ, ეს რა გელირსა,
ო, რა ძნელია, ქვეყნის შენება,
რა ადვილია, ნგრევა ქვეყნისა.

ეს სიძულვილი ვილამ შეგეყარა,—
დრო—ფრინველია, რა ვქნათ, დრო მიქრის,
იცი რას გეტყვი? ჩემო ქვეყანავ,—
„რასაცა დასთეს, იმას მოიმკი.“

ალიარება

რაიც გაფრინდა
ის აღარ მოვა,
რა დრო დაგვიდგა,
რა მკაცრობაა,
ალიარე, რომ
შენა ხარ—მონა,
ალიარება—
ვაჟკაცობაა.

შენ თუ მოირჩენ
შენივ იარებს,
იმ დაუნდობელ
მტერსაც დამარხავ,
ხოლო გახსოვდეს,
თუ ალიარე,
ვაჟკაცი ხარ და
მონა აღარ ხარ.

ქვეყნის თუ სირცხვილი

რის ასაკი და რისი გონება,
დღეს, სუყველაფერს ვუმზერ ბავშვივით,
სიტყვა—„დაშლილი“ გაგეგონებათ,—
დღეს, საქართველო არის დაშლილი.

რას ერქვა ნეტა აღმოცისკრება,
ნეტა რას ერქვა აღმობრწყინება,
სუყველაფერი არის მტრის ნება,
მტერს კი დათრგუნვა არ მოსწყინდება.

დამსგავსებია ქორწილს ქელეხი,
რომ გვეტირება მაშინ ვიცინით,
მინდა დავარქვა ამ ლექსს—„ქვეყნის“,
თუმცა, თავიდან ერქვა „სირცხვილი“.

დავბადებულვართ კაცნი მონებად,
ხის კენწეროზე მღერის ავსული,
აი, მომავლის გაცისკროვნება,
აი, ანმყო და აი, წარსული.

როგორ გაქრა და როგორ განქარდა,
ღმერთო რაითაც ჩვენ გვიფარავდი,
ის ეროვნული გული გაქვავდა,
რომელიც ლექსით ენთო მარადის.

მე, იმედამდე ვერც კი მივედი
და არაფრისაც არ მაქვს იმედი,
რადგან წერტილი გახლავს მცირედი,
ამ ლექსს ვამთავრებ წერტილ—მძიმეთი;

ვილაც ისვენებს სადღაც ჩეროში,
მე, ბილიკ-ბილიკ—დავალ ცეტივით,
აღარც კი მახსოვს საქართველოში
იყო თუ არა—„მრავალწერტილი“.

ვაჟას

„გადაამტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს კახეთსა,
საკუთარ ანბანს შეუდგენს,
სამეგრელოს და სვანეთსა.“

ას სამი წლის წინ ვაჟაო,
ეს სევდა რამ გათქმევიანა,
ვახ, დაჟანგულო ხანჯალო,
შენ—ვინა, მაგრამ მე—ვინა?

დღეს, არც არაფერს არ ვჯავრობთ,
ჯავრს მტერმა უბატონოსა,
ვაი ჩვენს პატრონს ვაჟაო,
ჩვენ პატრონს—უპატრონოსა.

ყველა ცალცალკე გოგმანობს,
დამღუპველია რაიცა,
მდიდარს არქმევენ—ბოგანოს,
ჩამშვებს, ვაჟკაცს და რაინდსა.

ზემოთურ—ქვემოურებით,
გადაღმელ—გადმოღმელებით,
ჩამოგვიყრია ყურები,
დავდივართ ხველებ—ხველებით.

ცრემლი თვალს არა, გულს ახლავს,
ქუჩა სავსეა მშივრებით,
ვირიც არ შეგვჩა, თუმცაღა
ბლომად გვყავს ვირიშვილები.

მონა მტერს სათიბს უთიბავს,
პირიც აღარ გვაქვს—ვით ვხვნივით,
ხმას ამოვიღებ? უტიფრად
ამოგალპობენ ციხეში.

არც წარსულს ვნატრობთ, არც აკვნებს,
არც არაფერზე არ ვჯავრობთ,
არასდროს, ეგრე ცალ—ცალკე,
არა ვყოფილვართ—ვაჟაო.

არა სჩანს ნათელმხილველი

უკუნის საუკუნეში,
სხივნი არ სჩანან მზისანი,
დღევანდელი დღე—ბოროტი
ნეტაი ვისი ხნის არი.

ქვეყანას არა ჰყოლია,
ამდენი უცხო ხიზანი,
ის ყველაფერი, ცხადია,
ჩვენ რო გვეგონა სიზმარი.

პირდაპირ გულში გვიმიზნებს,
წვერშხამიანი ისარი,
არა სჩანს ნათელმხილველი,
არცა ერთგული მისანი.

ის კაცი, თუში გახლავსო,
ის მეგრელიო, ის სვანი,
ყველა კუთხეს და მხარესა,
გული გაუხდა ქვისანი.

ცდილობენ დანიანებას,—
ბარსა ჰქონია მთის ვალი,
აღარ გვაქვს მინის იმედი,
არცა იმედი ცისანი.

სამშობლოს მტერსა გვეძახის—
ვერა, მთანმინდა ისანი,
ვინც თავის თავზე მიიღებს,—
სამშობლოს მტერიც ის არის.

წყვილი

მლიქვნელები იყვნენ, მაგრამ
ახლა როა იმდენი?
ცაო, მინას ნუ დაჩაგრავ,
რა, ხევისკენ მიდენი?

ისმის წყრომა, ისმის გლოვა,
ტირილი და გოდება,
ის, რაც იყო, აღარ მოვა,
აღარ განმეორდება.

სადაური წყვილიაღია,—
ასე უშორებელი,
ეს, ლალატის წილაღია
თუ სული გაქვს ბებერი.

თუ, ტალახში ამოვსვარეთ
გული სევდით ნაქარგი,
მაშ, რა ხდება ამ ოთხ მხარეს,
რა ბოროტთა ავკარგი?

არა ხდება არაფერი,
არც რამე გვაქვს სადარდო,
ერთი, მაგრა გავაფრენდი,
მაგრამ უნდა გადავდო.

დავალ ასე ძველ უბნებით,—
საძმოს სევდა გავანდე,
ეე, ახვრებო, გეუბნებით,
დამელოდეთ ხვალამდე.

აღამ და აღამ

ღმერთს და ჩვენს შორის
დაეშვა ფარდა,
კაიხანია,
ჩვენ კარგად ვერ ვართ,
უფალს არ უთქვამს
„აღამ და აღამ“,
უფალმა ბრძანა,—
„აღამ და ევა“.

მამაპაპური
ჯილაგი გაქრა,
წყევლამ შეცვალა
აკენისა რწევა,
ვერც ვიფიქრებდი
ვერასდროს, რა ვქნა,—
თუ გახდებოდა აღამი ევა.

ვიღაცა სისხლსაც
ცისფრად იღებავს,
ტელეეკრანზე
ქალივით ტირის,
კაცი, რომელიც
იღვრება „ცისფრად“,
ღირსია—კახთა
მამალი ვირის.

იყავ მართალი

შენი სანათი, კანდელი,
ჩირაღდანი და ლამპარი,
ერთია ვითარ გამდელი,
ვითარცა მამაპაპანი.

მაგ გულში რწმენა გქონდა კი,
რა უღელს იყავ შებმული?
აჰა, მიიღე კონდაკი—
ღვთისმსახურების კრებული.

რასაცა დასთეს—იმკიდე,
შენივ სიმართლით დათბები,

ჩვენ, ვერ გვექნება სიმშვიდე,
რადგან არა ვართ მართლები.

კაცი ეროვნული

გივი კარტოზიას ხსოვნას

საქართველოში გიცნობდნენ რაინდს,
თავისუფალი იყავ-აზატი,
ამაღლებული, შენ ქმნიდი ამინდს
და კუნთი გქონდა, ვით ქვა ბაზალტის.

არცა სიხარბე, არც ანგარება,
გულში სიძულვილს ვერც გაივლებდი,
არ უნერია გადაგვარება
ერს, რომელს ჰყვანან შენნაირები.

მახსოვს უნგრეთი, მთელ მსოფლიოში,
ვითარ შემოჰკარ ზარი მესამედ,
ჩემი გულიდან იმ დღეს ვინ მოშლის,
როგორ მოგვარდი და მოგესალმე.

მოგიგონებ და ვიტყვი ხმამაღლა,
ქვეყანას ენთე ვითარ სანთელი,
შენს გამარჯვებას, როგორც არმალანს,
იღებდა მაშინ ყველა ქართველი.

დღეს, არც კი ვიცით, ვის ვეჭიდებით,
მომავალისაკენ მივალთ ცრემლითა,
ბნელ საქართველოს მზეებერ სჭირდები,
შენი ქართული ბრწყინვალეებითა!

ღეღაო ღვთისავ!

ჭაბუა ამირეჯიბს

კვლავაც მინიდან,
ღმერთისადმი მესმის შეთვლილი,—
„თუ ჩვენ ცხვრები ვართ,
რად არა სჩანს მწყემსი კეთილი?“

არც არვინ მღერის,
შორით ისმის რალაც ყაყანი,
მინა წილხვედრი მარიამის—
აღარა ჰყვავის.

თურმე ოდესღაც, ღამე—არა,
მზეი გნათობდა,
ვერც ვიფიქრებდი, ბოროტება
თუ დაგვათრობდა.

ღეღაო ღვთისავ!
მფარველობას ვერ დავიბრალებ,
შენი წილხვედრი საქართველო,
შენ დაიფარე.



ზენა
ჩიქოძე

ლიხეხი

„მუსლიმობით მიც მათგანით
ქართლის ქათქათა მინდვრებს“

ქართლი

როცა ქართლში გაზაფხული
აამწვანებს სერს და ყანობს,
ცხელი სისხლი ჩაუდგება
სამაჩაბლოს, სამუხრანოს.
დამშვენდება საულვაშე
დოლის პურს და ქერის თავთავს,
ქსანზე ნისლად აცურდება
წმინდა სული ერისთავთა.
მუხრანს ზემოთ ერთი შინდი
რომ ყვავილობს გამთენია,
ქეთევანის სულის საოხ
ანთებული სანთელია.
მინას, ასჯერ გადაბუგულს,
თავზე ადგას სვეტი ნათლის,

პირფერის წერით სათქმელია:
ზემო, ქვემო, შუა ქართლი.
ქართლო, საქართველოს ძირო,
ქართლო, საქართველოს ფარო,
არც არავინ გაგიტოლო,
ვერც ვერავინ შეგედაროს.
გადავძახი ოთხივ მხარეს,
სადაც მზერა გადამიტანს:
„საქართველო ქართლით არი!“
ზეცა ამბობს:

„ჭეშმარიტად!“

მეფედ საქართველოსა
არ ითქმოდა არვის ნებით,
თუ სკიპტრას და ოქროს გვირგვინს
მცხეთას შენ არ უკურთხებდი.
უნინ ბევრჯერ ნანამები,
მინც მუდამ მთქმელი მართლის,
ერის მჩენი, გადამრჩენი —
ქართლი,

მშვენიერი ქართლი!

მცხეთას ლოცვად დაგიდგები,
ვიმარტვილებ, ვიმარხულებ,
თუ ათას წლებს შენ ასეთი
ეშხით გამოიზაფხულებ.
დღეისდღესაც ღვანლი შენი,
მადლი შენი უდევს დვრიტად,
„საქართველო ქართლით არი!“
ცა მიმონმებს:

„ჭეშმარიტად!“

მე ვით გეტყვი, ანდა ქვეყნად
ღვანლი შენი ვინ თქვას დათვლით...
დედა საქართველოსა,
გული საქართველოსა —
ქართლი,

საოცარი ქართლი!

გამოზაფხულდა

მწვანე ფაფარით ჩანან ახლა
სამების მთები
და ჟრუანტელი ტალღასავით
გულზე გადამდის...
მთელი წელი ხომ
მოთმინებით ბაგაზე ვები,
მთელი წელი ხომ
მორჩილებით ვლეჭე ლაგამი.

გამოზაფხულდა!

მინდა, მინდვრად იმ ქარს ვუყელო,
ცაში რომ ღრუბლის
მოქათქათე აფრა გაშალა,
ოღონდაც ახლა მიმატოვებ
ერთად სუყველამ,
ოღონდაც ახლა გადამაძრეთ
თავზე ავმარა.

რომ თავისუფლად
ერთხელ მაინც დავბრიცო გზები
და დაქანცული დავენაფო
წყაროს სათავეს, —
მთელი წელი ხომ
მოთმინებით მაგიტომ ვები,
მთელი წელი ხომ
მორჩილებით ვხრავდი სადავეს.

რამ დამასიზმრა

მწყრების ქვითქვითში მნიფდება ყანა,
შორს დარჩა ცივი ქარების ქორო,
დღეები თითქმის ერთმანეთს ჰგვანან,
მეც ნამეტანი ჭკვიანად ვცხოვრობ.

ცას ზოგჯერ ელვის გადახსნის ხმალი
ქსნის ხეობიდან ბებერ მცხეთამდე,
სასაცილოა, ოჯახის ქალი
გერქვას და...
ასეთ სიზმრებს ხედავდე.

დღისით მორჩილად მადგას უღელი
და მორს მივათრევ ძლივს, დაცურებით...
რამ დამასიზმრა, ღმერთო, წუხელის
გადაწყვეტილი აპეურები.

გამაჟღერებ

დაბადებიდან სულ შენს ვალს ვიხდი
ჩემი წინაპრით და მისხის-მისხით,
მე უკვე მივხვდი,
მე უკვე მივხვდი,
გჭირდება ჩემი ოფლიც და სისხლიც.

თუ ველარ გნახო,
მზე მოფარფაშე
ჩემს სამზეოზეც ჩანდეს დახრილი,
მკვდარს ნუ დამარქმევ,
მინის ქარქაშში
ჩამაგე ისე,
როგორც მახვილი.

* * *

ყამო, როგორ მიქარწვიმე,
ულოს მიგრეხ ნარ-ეკალით,
ვაი, ჩემო სიყმანვილე,
იმ დროს მაინც დავეკალი.

ჩანელეზულს ვუცქერ ღაღარს,
სად დავკარგე აბედ-კვესი,
ტყეში შაშვი ბევრია და
ნეტა, სტვენა რად არ მესმის.

ბილიკები გამისალკლდა,
წლებს ვლენავ და ვუძლებ ხვატებს,
კევრს რომ ერთი კოხი აკლდა,
ადგენენ, ისიც მომიმატეს.

გამოჟონავს ხშირად ხმაში
სევდა, ცრემლში ანალესი —
ტყიდან გადიკარგა შაშვი,
თუ... მე სტვენა აღარ მესმის.

ქართლის გზაზე

ეს ოქროვანი ყანები — ვისა,
ან ეს კუნელის შავი გიშერი?..
წვიმს ქართლის გზებზე და ციხე ქსნისა
ბერიკაცივით ჩანს თავშიშველი.

ცა — ამორძალის სიზმრით ნანახი,
უხსოვარ დროდან მე რომ მიცდიდა,
ვინ თქვა სიმშვიდე, როცა ბალახიც
სატევარივით მოდის მიწიდან.

და როცა ქარი აჟღერებს ქვიშას,
ველარ დავივლი ამ გზებს ხალვათად,
ჩემს ათრთოლებულ ტანს ახსოვს შიში
შაჰ-სულთანების ჰარამხანთა.

ეს ოქროვანი ყანები — ვისა,
ან ეს კუნელის შავი გიშერი?..
წვიმს ქართლის გზებზე და ციხე ქსნისა
ბერიკაცივით ჩანს თავშიშველი.

ჯერ თუ არ გამოვალვია

სულ კლდე-ღრეს მოვეხეთქები,
რა მიგავს მშვიდს და იღბლიანს,
მაინც სანუთროს სურვილზე
არც როდის არ გამივლია.

მე რა სიმდიდრეს მაგულვებ
უქონ-უპოვარს, ხამლიანს,
ქვიშისფერ კლდესთან ნაწოლი
სულ სხვის სურვილმა დამლია.

წანწკარა ღელეს ნაჩვევი
დიდ ზღვებს ვერ გავყევ მორხევით,
სხვათ მუცოს ციხე ვეგონე, —
გულგამოხრული, ოხერი.

მე ქერის პური მალოღნეს,
სხვანი დალაღდნენ დიკითა,
ვერ იქნა, მაინც სანუთრომ
ფეხებზე ვერ დამიკიდა.

სიცოცხლე — ვისთვის ეკალი,
ვისთვის გაშლილი ბალი ძევს,
ისე ვერ მომკლავ, სიკვდილო,
ჯერ თუ არ გამომალვიძე.

ალბათ, აპრილში

ნავიდა მარტი,
თოვლიანი ჩამოშრა ახო,
წვიმის წვეთები მოჰკანარავენ
ჭვარტილიან მინას...
ჯერ ისევ აქ ვარ,
ყველაფერი ჯერ ისევ მახსოვს
და ძველებურად
კვლავ თამამი სიზმრებით მძინავს.

ალბათ, აპრილში,
მზე რომ მწვანე აბრეშუმს ლამბავს
და როცა უფლის ბარათივით
მოდის სამყურა,
ქარი გადამხდის
ამ ვარდისფერ ატლასის საბანს
და გულზე
ქართლის ჭრელყვავილა
მინდვრებს დამხურავს.

ვინ ნახა

ისევ და ისევ ამ ბებერ ციხეს
ბებერი მგლისა გადასდის ფერი,
ადრეა კერაც, ეგრე ნამეტან
ნუ ჩაითბუნე კერა და ჭერი.
ნუ გადახედავ ამ მთებს და ველებს
არაფრსიმთქმელი, უნდილი მზერით,
შეხე, ქართლისკენ მიმავალ გზაზე
ისევ ავარდა სვეტებად მტვერი,
მახვილი! —
თორემ მარტოდენ სიტყვით
გაბრუნებული ვინ ნახა მტერი

სიზმარში ვნახა

ვარსკვლავნი ამოკიჟკაუდნენ,
ცამ დაიძინა ველარა,
სიზმარში ვნახე, მანდ ვიყავ,
გულზე ყაყაჩო მეყარა.

შორს ჩანდნენ მთები ატენის,
დამსხდარნი დარბაისლებად,
ხევის ჩიბუხში ჩატენილ
ბინდს აბოლებდნენ ნისლებად.

არც არას ჯანლი მაკრთობდა,
არც არას — ცივი ნანვიმი,
სწორფერი ვიყავ კაი ყმის,
თავს დამბრუნავდა არნივი.

სულს გადმოგიგდებ მე თვითონ

რა ავად მებრძვი, სიკვდილო,
როგორც კლდის ვეფხვი, პნკლიანი,
გაზით გამართვი სიყრმე და
თვალები, ნაპერწკლიანი.

მზე თუმც თანდათან შავდება,
სისხლის ჩამუქდა ტბორები,
მაინც ავხედავ ერთხელ ცას,
ერთ ვარსკვლავს ვეამბორები.

მერე კი გადავუწვები
ქარებს, ავსა და არჯალსა,
სულს გადმოგიგდებ მე თვითონ,
როგორც გატეხილ ხანჯალსა.

დიდი ხნის მერე

დიდი ხნის მერე
მე ვუსმენდი საყვარელ მოტივს,
გადაეცალა თითქოს წარსულს
ერთბაშად მტვერი,
რომ ვთქვა: „მასსოვხარ“ —
ეს იქნება ძალიან ცოტა,
რომ ვთქვა: „მიყვარხარ“ —
ეს იქნება ძალიან ბევრი.

დაბზარულ ყავარს
ლაპალუპით ჩამოსდის წვეთი,
მადლობა ზეცას,
მითანაგრძნო ამჯერად ურვით,
რა დაერქმევა მონატრებას
შორეულ ბედის,
ანდა ხსოვნაში
ხანჯალივით ჩატეხილ სურვილს.

და ძველ ჭრილობებს
დროის ჩქარი მდინარე ლოკავს,
არ ილენება თუმც ყოველი
ჟამთასვლის კევრით...
რომ ვთქვა: „მასსოვხარ“ —
ეს იქნება ძალიან ცოტა,
რომ ვთქვა: „მიყვარხარ“ —
ეს იქნება ძალიან ბევრი.



მამუკა
დავითი

მოთხოვნები

მაესტრო

ახალგაზრდა მაესტრო, კონსერვატორიის კურსდამთავრებული, ახლახან დანიშნული კომერციული ორკესტრის დირიჟორის პოსტზე, ერთ მშვენიერ დღეს მცირე აზიის სანაპიროზე, ქალაქ ილიონის მისადგომებთან აღმოჩნდა. თხრილის აქეთ, კარვების უკან, უზარმაზარი კოცონი ენთო. შეშის ნაცვლად ცეცხლს მტრის გვამები კვებავდნენ. სულ ზემოთ კი, ოქროს სარეცელზე, სახელოვანი აქილევსის ძმადნაფიცია—პატროკლე განისვენებდა. მაესტროს რეპეტიციაზე ეჩქარებოდა, ამიტომ არც დრო ჰქონდა, არც თავი კრემატორიუმთან მდგარიყო, მაგრამ იდუმალი ძალა ბოჭავდა მას და ისიც პირდაფრენილი, თვალს ვერ აშორებდა მტრის ანთებულ ძვლებზე შემწვარ-მოხრაკულ პატროკლეს, აქილევსის ძმაკაცს, ტრაგიკულად დაღუპულს ჰექ-

ტორთან ბრძოლაში.

„რას იტყვი, ცხენი ხომ არ გამოგვეთალა?“ ჩასჩურჩულა დიომედემ, მაგრამ მაესტრომ ხელი აუქნია „ჯერ ადრეაო“. ხელის აქნევა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამლერებულიყო ვიოლინო: სევდიანად, გულისგამანვრილებლად. მისი თემა ალტებმა აიტაცეს და მთელი ორკესტრი აგუგუნდა. სწორედ ამ დროს კრემატორიუმიდან ცეცხლის ენა გამოხტა და აქილევსს შემოეხვია.

—სიკვდილი ჰექტორს! — დასჭყვივლა მაესტრომ და ჯოხი შემართა. ბერძნები წამოიშალნენ. ხმალზე გაიკრეს ხელი. მაესტრო პირდაპირ პიუპიტრს გადაახტა, საორკესტრო ორმოდან ავანსცენაზე აფრინდა, შემოახტა სცენის მუშას. ამ უკანასკნელმა მთელ მცირე აზიაზე დაიჭიხვინა და მხედარი ან არარსებული ქალაქის გალავნისკენ გააქროლა.

წკრიალით შეეჯახა ორი ხმალი ერთმანეთს. ჰექტორის დარტყმამ მაესტრო ძირს გადმოაგდო. ძლივს მოასწრო გვერდზე გადაგორება, რომ ეტლმა პირწმინდად გათიბა ბალახი. ვიდრე ტროას მოქალაქეთა ლიდერი მოაბრუნებდა ცხენებს, მაესტრომ ლოდს წამოავლო ხელი და მეეტლეს ესროლა. ეტლი გადაბრუნდა. ჰექტორმა მოახერხა ჩამოქვეითება, მაგრამ აქ დიროჟორმა ჯოხი შემართა და თავბრუდახვეული მტერი შამფურივით ზედ წამოაგო!

პარისმა სცადა შურისძიება, ეტლის სადავეები ხელთ იგდო, მაგრამ ჯოხის შემოქნევამ ისიც ძირს დასცა.

— ყურადღებით! — ნოტები გადაფურცლა დირიჟორმა. — მე-7 ციფრის მე-3 ტაქტში დაფდაფების ცემა ადრე დაიწყო.

რა თქმა უნდა, ჯერ ადრე იყო ზეიმი. მშვენიერი პარისი ზენამოიჭრა და მაესტროს ეკვეთა. ეს ორთაბრძოლა არ იყო შეტანილი ბრმა პოეტის სტრიქონებში, მაგრამ თვალმა ის სტრიქონებს შორის ამოიკითხა. თუკი მოქალაქეთა მებრძოლი სული ძმიდან ძმაში გადასახლდა, მაესტრომაც ფერი იცვალა! ახლა ერთმანეთს ორი ახალი გმირი ებრძოდა; მშვენიერი ელენეს ახალგაზრდა ქმარი, ორკესტრთან ოპოზიციაში მყოფი პიანისტი და მრისხანე დირიჟორი—შემოსულ გმირთა კრებითი სახე—ლომევით მძლე, მელასავით ქვეშევრეშა, კენტავრივით ბრძენი და თევზივით მოუხელთებელი. ო, რა შემზარავი ხოცვა-ჟლეტა დატრიალდა ირგვლივ! თავპირისმტვრევით გარბიან მოქალაქეთა პარტიის წევრები!

—ნუ ჩქარობთ! — ჯოხი პულტზე დააკაკუნა დირიჟორმა — ეს კლასიკაა, მეტი სიმშვიდეა საჭირო!

ოქროსთმიანი პიანისტი ვერაფერს პასუხობს, თავს ხრის, გულში კი ბოღმას იხვევს, შურისძიების უამს ელოდება. „ვერ მოგართევს“ გაილიმა მაესტრომ და ძირს დაცემულ მტერს ხანჯლით ქოჩორი შეაჭრა. „ნადი და ელენეს უთხარი, ოპოზიციამ არ გაამართლათქო“.

პარისი გარბის. სიკვდილს გაურბის. ისეა შეშინებული, ერთი სული აქვს გატაცებული ქალი უკან დააბრუნოს, აიკრას გუდა-ნაბადი და გავარდეს ტყეში; იქ, სადაც აიდგა ფეხი, მოიკრიბა ძალ-ღონე და გაბედა ის, რაც არ უნდა გაეხედა. ახლა თავიდან დაიწყებდა ყველაფერს, აღარ აყვებოდა გრძნობას, ასე დაუფიქრებლად არ ჩააგდებდა ხიფათში ქალაქს, სასახლეს, საკრებულოს, მთელ თავის საძმოს. „გვიან არის ძვირფასო!“ ფიქრებში გაილიმა მაესტრომ. „შენ ველარ ისწავლი დაკვრას“.

დირიჟორმა შესვენება გამოაცხადა. თავისი ასისტენტი სიგარეტზე და ლუდზე გააგზავნა. პიანისტი განზე გაიხმო და ის ადგილი აჩვენა, სადაც ვერ იმორჩილებდა ტემპს. „ნამეტანს გარბიხარ, მეტი თავდაჭერა გმართებს“ — ასე დაარიგა და მეტრონომი ჩაურთო, თვითონ სცენის კიბეზე ჩამოჯდა და ასისტენტის მორთმეულ ლუდს დააცხრა.

ო, ღმერთებო! გადმოხედეთ წყალობის თვალთ ათი წლის მანძილზე ოჯახის კერას მონყვეტილ მეომარს! აჩუქეთ იღბალი, როცა ქალაქის ნანგრევებიდან თავის ხომალდზე გადმოაბიჯებს და თავის ბედსა და წერას თვალთმაქცურად გატრუნულ ზღვას მიანდობს! ნუ ჩამარხავთ ზღვის სამარეში, გადაარჩინეთ ვნებათა მორევს და როცა შეაღებს ნანატრი სახლის კარს, ჩაბერეთ ძალა მუსრი გაავლოს მოძალადე მდგმურებს!

მაესტრომ ბოთლის ფსკერს შერჩენილი ქაფიც დახვრიპა და ცარიელი ბოთლი კულისებში მოისროლა. ასისტენტი, ერთგული ძალღვივით ჩაცუცქული, თვალეპ-ში შესცივინებდა პატრონს. ათასნაირად ელაქუცებოდა, თავს ევლებოდა, ზურგს უკან კი სამარეს უთხრიდა, ჩუმ-ჩუმად გზას მიიკვლევდა კომერციული ორკესტრის პულტისკენ. როგორ არ ჰგავდა და რაღაცით მაინც წააგავდა იმ ტანმორჩილ მეეტლეს, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის რომ დააქროლებდა მას და რომელიც კალიფსომ ღორის სხეულში ჩაამწყვდია. ისიც, ამ ასისტენტივით თავმოტვლეპილი იყო, თვალეპი იმასაც წყალნარევი სისხლით ჰქონდა სავსე. თუ რამეს ჩაიდებდა გულში, რამეს დაისახავდა მიზნად, დანდობა აღარ იცოდა. მაესტრომ ზურგი შეაქცია ძალ-

ღვივით ერთგულ ასისტენტს და დირიჟორის ხიდზე ააბიჯა. ორმოში ციციანათელების გუნდით ბჟუტავდა ნახევრად მთვლემარე ორკესტრი.

„დღეს ადრე გამიშვით მაესტრო...“ სთხოვა პირველმა ვიოლინომ და დირიჟორმაც ათი წუთი ჩამოაჭრა შესვენებას; თვითონაც გარბოდა საიუბილეო საღამოზე, ხოტბის შესხმისა და გრძნობებად დაღვრის შეჯიბრებაზე; თუ ვინ უფრო მოაწონებდა თავს ბატონ აპოლონს, მის შორეულ ნათესავს, რომელიც ხელოვნებას მეცენატობდა და საერთოდ ფაქიზი სულის ბიზნესმენი გახლდათ. ასე რომ, საღამოზე სიტყვით გამოსვლა აუცილებელი იყო. მართალია მუზეუმის მსახურისთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო ასეთი ანგარება, მაგრამ მაესტრომ თავს იმით იმართლებდა, რომ ახლა სხვა დროა, გმირები აღარ არსებობენ და მითოსურ სახეებთან შერწყმას, საკუთარ კარიერაზე ზრუნვას არჩევდა.

ასეა თუ ისე, მუსიკის რიტმიდან ამოვარდნილმა, წარმოუდგენელი მკრეხელობა ჩაიდინა! გამოტოვა კონცერტის შუა ნაწილი; წყნარი, იდილიური თემის შემპარავი მომძლავრება უეცარი აფეთქების წინ; მდორე, თითქმის შეუმჩნეველი სვლა უხილავი ნაპირისაკენ, მსუბუქ, ძალდაუტანებელ სრიალს რომ ჰგავდა ზღვის სარკეზე. გამოტოვა მეორე ნაწილის ფინალიც, რაც დირიჟორს ძნელად ეძლეოდა და რომლის ატონალურ დისონანსებში ცეცხლს მიცემული ქალაქის გოდება ისმოდა. ასე რომ, ბერძნებმა ისე აიღეს ილიონი, სიძულვილის ალში ისე ჩაიფერფლა გმირების მთელი თანავარსკვლავედი, ისე მოსწყდნენ ნადავლით დატვირთული გემები აოხრებულ ნახევარკუნძულს, ისე შთანთქა ისინი გაბოროტებულმა ზღვამ, დირიჟორს ყურიც არ შეუბერტყავს. ახლა ის, ერთგული მუსიკოსებით გარემოცული, ჯიუტად მიაპობდა ტალღებს დასასარულისკენ. უკიდევანოდ გაშლილი თემა ნელ-ნელა მიმართულებას დასიჩქარეს იძენდა, მიაქანებდა ნაპირს დანატრებულ მეზღვაურს საბოლოო გამარჯვებისკენ, სულის მოთქმისა და მშვიდი სიბერისაკენ. ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევდა ომგადახდილი მეფე საბედისწერო თემას. გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა განკითხვის უამი, როცა შინ დაბრუნებული, კარს გადარაზავდა და მოზიდავდა თავის მშვილდ-ისარს... მაგრამ მაესტროს ეზარებოდა შურისძიება. ნუ დაგვაზინყვდება, რომ ის 2000-ზე მეტი წლის იყო. რომ ოცდამეერთე საუკუნის გარდაქმნებმა დაქანცეს, გამოფიტეს მისი გული, გონება აუზნის. მხოლოდ ერთი

ნაპერნკალი, ერთი სურვილი ბჭუტავდა ტვინში, როგორმე თავი მიეტანა სალამოდდე, არ დასძინებოდა იუბილეზე, რომ ხოტბის შესხმის ურთულესი ხელოვნების შედეგად შემდგომი წინსვლის საიმედო გარანტიები მიელო.

— გვეყოფა! — პიუპიტრზე ჯოხი დააკაკუნა დირიჟორმა — ფინალი ადრე გვაქვს გავლილი. თანაც, აქ ორმაგი ფორტეა, ზედმეტი დამუშავება მხოლოდ შეამცირებს ეფექტს.

— ჩემი პარტია რატომ გამოტოვებ? — არფის სიმებიდან გამოანათა ქალბატონმა კალიპსომ.

„ჯანდაბას მაგისი თავი“, „სამინისტროში არ მიჩვილოს“. მაესტრომ უკან გადმოფურცლა დაძენილი ნოტები.

— ყურადღება! — ჯოხი შემართა მბრძანებელმა. დავუბრუნდეთ 37-ე ციფრის 31-ე ტაქტს; არფის თრთოლვიდან, ჩელოების ქროლვამდე.

ორმოში ჩამჯდარი, შავთეთრი მექანიზმი ისევ აგუგუნდა. თითქოს შოლტის შემოქნევაზე ორასი მონა ერთბაშად დაანვა ნიჩბებს. ხომალდი მოსწყდა წყლის ზედაპირს და კუნძულის სიმწვანეში შეჭრილი, კონცხს შეენარცხა.

გონს რომ მოვიდა, ლერწამში იწვა. ბროლის ციდან ჩამოდიოდა არფის ხმა. „იუბილეზე დამაგვიანდება“ წამოხტა. საათს დახედა. შვიდს აკლდა თხუთმეტი. „შინ შევლას ვეღარ მოვასწრებ, აქვე, ბუფეტში რამეს შევჭამ და ჰაიდა, ოპერისკენ! მთავარია არფასთან ურთიერთობა დროზე დავამთავრო“.

მაესტრომ მიმოიხედა და ხეობაში შეაბიჯა, საიდანაც მუსიკა მოედინებოდა. სპონსორი გაახსენდა და სიმწრის ოფლმა დაასხა. „თინა მომკლავს“, გაიფიქრა. „თუ აპოლონი არ შევაბი, ნალდად მომკლავს“.

მაესტრომ ქვას ფეხი წაკრა და მდინარეში მოადინა ტყაპანი. ტალღამ აკვანივით დაარწია და ტყის სიმწვანეში შეაცურა. „ცოტა ნელა!“ ჯოხი აუქნია პიანისტს და დინებამაც იკლო, ტალღა ადგილზე დატრიალდა. კაცი ხის ფესვებს მოეჭიდა და წინ გახობდა. მზის სხივები არფის სიმებივით თრთოდნენ ტოტებში. ისინი გამოსცემდნენ ჯადოსნურ ხმოვანებას. მაესტრო ერთ-ერთ სიმს დაეკიდა და ნაპირზე გადახტა. ისევ სხივს მოეჭიდა, ისევ ისკუპა. თითქო ზღვისპირს შეატოვა ცოდვით დამძიმებული სხეული. „თინა, იუბილე, სამინისტრო“... „მნიშვნელობადაკარგული სიტყვები ერთმანეთში გადათამაშდა და ჟონგლირობა დაიწყო“. „თინამინი სტრო-იუბილე...“

ფორტეპიანოს სარკეში ნიმფა გამოჩნდა. ისე შეუმჩნეველად ჩაება თამაშში, მაესტრომ ვერც კი შენიშნა. მხოლოდ მერე, თანდათან გააცნობიერა მისი სახე. „სხვის პარტიაში ნუ შეიჭერი!“ უნდოდა დაეყვირა, მაგრამ რაკი იგრძნო, ორკესტრის ბედ-იღბალი ამ ქალის ხელთ იყო, ხმა აღარ ამოიღო. მაესტრო ახლა აკრობატივით დახტოდა სიმიდან სიმზე, თემიდან თემაზე. უხილავი ძალა ათამაშებდა. ბუჩქებიდან გამოცვენილ ღორებში მუსიკოსები შეიცნო! აი ურჩი პიანისტი, დინგით რომ თხრის მიწას! ეგერ ბალანაბურძგვნილი პირველი ვიოლინო, პანაშვიდზე რომ გარბოდა!

თვით ბატონი აპოლონიც გალორებულა, ღრუტუნ-ღრუტუნით დაგორავს ტალახში. არფაზე დამკვრელი ნიმფა კი დიდი, ფოსფორანთებული თვალებით შესცქერის, გატრუნულა ტირიფის ტოტებში, ელის მას, ომგადახდილს, დირიჟორის ტახტიდან ჩამოგდებულს, და ბედით ნათრევი მაესტრო, კომერციული ორკესტრის ლიდერი, ერთდროულად გმირი და ობივატელი, მეფე და გლახაკი გზაგასაყარზე დგას; აღარ იცის საით გადადგას ნაბიჯი; უკან, ოპერის თეატრისკენ, სადაც თავი უნდა დაიმციროს, ნემსის ყუნწში გაძვრეს, რომ თავისი კარიერა გაინაღდოს, თუ წინ, შურისგებისკენ, რომ მიწა აჭამოს დაუპატიჟებელ სტუმრებს და სისხლის ღვრით დაიბრუნოს მასპინძლის უფლებები თავის ქვეყანაში, საკუთარ სახლში.

არის კიდევ ერთი გზა. გზა მარადისობისკენ და სიყვარულს დანატრებული სულიც აღარ ბრუნდება უკან, რჩება იქ, სიტყვით არსებულ მიწაზე, მუსიკით სავსე სიჩუმეში, რომელიც ორკესტრის გარეშე ყლერს. იქ არ მოძრაობს დრო, არ იძვრის ღამე. მზე და მთვარე ერთდროულად განრთხმულა ცაზე. ჰადესის ქვა კი გვერდზე გადაგორებულა და მაესტროც შორეულ წინაპართა აჩრდილებში მოცურავს.

მუსიკა დასრულდა. წყნარი, მდორედ გაშლილი თემა ნელ-ნელა დაიძაბა და უეცრად შეწყდა. მას აღარ ეწერა გაგრძელება. ახალგაზრდა მაესტრო, კომერციული ორკესტრის ლიდერი აღარსად იყო. მის ნაცვლად თავმოტვლეპილი ასისტენტი იდგა ორკესტრის სამართავ პულტთან და ბგერათა კაკაფონიაში ისე იქნევდა ხელჯოხს, თითქო მარტოდმარტო იგერიებდა ყოველი მხრიდან შემოსეულ მტერს.

მეხანე ოღისაა

ქალღმერთი გამითავდა და კარდიოგრამის ფურცლებზე დავინყე წერა. რა კარგი ყოფილა! თავისით რომ გარბის სტრიქონი და ზედ აღიბეჭდება გულის ყოველი სიტყვა! გაიგონე ოღონდ გულის ხმა! ვირო! ჯორო! უფრო კი აქლემო! ჰო, ნაღდი აქლემი ხარ, სიცოცხლის ფილოსოფოსმა რო დაგხატა; საპალნეაკიდებულო. არადა, შენი ბარგის ნაცვლად სხვისას მიათრევ. ვილაც-ვილაცეებმა რომ აგკიდეს. ზოგი ნაცნობის ნიღაბს ატარებს, ზოგიც უცნობის... მწვანე, ხასხასა ტყე... დილის მზე რომ მიადგება მოსაფერებლად, გასაღვიძებლად. ტალღებ-მოშრიალე ტყე „პასტ-კონტინიუსის“ დაუსრულებელ ფორმაში. ტყე თუ ბაღი? არა, ისევე ტყე - მზემოკიდებული, მწვანე თვალებით. მის ბნელ ტალღებში გემი ტრიალებს. ირხვევიან ნაძვის იალქნები. გემზე კი ოდისევსი დგას. მას სურს, თუ მე მსურს, რომ დავბრუნდე უკან, ჩემს ბავშვობაში. გემი გაცდა კომპოზიტორთა სახლს, გაცდა საბაგიროს, ეშმაკის ბორბალსაც, გადავიდა პლატოზე, შეჩერდა დედათა და ბავშვთა სანატორიუმთან. ბორჯომიდანაა ხომ იცი ნამოსული! გაგიგია ბიჭო ბორჯომი? სას-მელს, მინერალურს არ ვგულისხმობ პოლიტიკურად უმნიფარო რეგვენო! მთელი საქართველო შეიშალა მოპოლიტიკო, საპოლიტიკო, უპოლიტიკო პოლიტიკოსობით და შენ კი ის ვერ გაგირკვევია, ბორჯომი სასმელია თუ ქალაქი. ისე, ფალსიფიცირებული და გაყიდული, ორივე შეიძლება აღმოჩნდეს. მოკლედ ტყე... ადის და ადის ნისლისკენ. ნისლში გახვეული გული მიმიწევს ზემოთ, ტყე-ტყე. სიმწვანეს ტყისას უთვალავი ფერი ჰქონია... კიდევ კარგი წერა მაინც შემიძლია, თორემ გავა-ფრენდი ამ კალეიდოსკოპურ დროში. ხან ასე გათამაშებენ, ხან ისე. თვითონ არ იცი, რა ფორმის და ფიგურების შემდგენელი კენჭი ხარ ანონიმურ ძალთა საჭადრაკო პარტიაში. ეჰ, ისევე ტყე... როგორ მიზიდავს, როგორ მათრობს...

- რავა ხარ მამუკ?
- ნახე უოლკოტი?..*

ასეც შეიძლება დაიწყოს ოდისევსის ცნობიერების ისტორია. რა ეშმაკია ეს ერნესტი! როგორ შემპარავად ჩააქსოვა ოდისევსის მითი თავის პატარა მოთხრობაში! მეც

* — პერიფრაზი ჰემინგუეის მოთხრობიდან „ორმოცდაათი ათასი“./

დილიხორში ჩამავდო... და აი ტყის მშვენიერი ნიმიფა ამოცურდა აზვირთებული ბუჩქებიდან.

— ოჰ, ქალბატონო! ამ შუა ტყეში მარტო სეირნობთ?

— არა, ქმარს მოუნდა პატარაზე გასეირნება და ველოდები.

ტყუის! მაგრამ სუსკაც! თავი შეიკავე! ამ სილამაზეში უკადრისი ვნება არ აინწნოს! ორიენტირი არ დავკარო მოგზაურობის. ისე არ მომაჯადოვოს, გზის გაგრძელება ვეღარ შევძლო. ამიტომ ისევე ტყე... თავი შევაფარო; ვითომ არც ის ქალბატონი შემხვედრია, ახლა რომ შემხვდა. სუსკაც-მეთქი! ტყე... მწვანე იმპროვიზაცია ნოსტალგიურ თემაზე. ცრემლის ფრქვევით რომ დაგალობს, გაგადებილებს. აი, დაახლოებით „ბაში-აჩუკის“ ბოლოს, ცრემლი რო მომერევა ხოლმე. დავბერდი კაცი, ვიცი რომ კინოფილმია და მაინც ვტირი. რა მატირებს? ეტყობა არის ჩემში შემორჩენილი ქართული ჯიგარი, ტყესაც ცეცხლივით რომ შემოენთება, იმ ქალბატონსაც ვნებით რომ ააცახცახებს და მეც მიმერეკება ზემოთ, დროთა სივრცეში, მიმერეკება სისხლის ყივილით, რომელსაც ფარავს სიმშვიდით სავსე სიჩუმის სიმღერა. რა საოცრებაა! რა საოცრებაა! ტყე თავის თავს არ ჰგავს. სულ სხვადასხვაა. ნაძვის ხეებს, გეგონება ახლახან ჩამოხსნეს საახალწლო საჩუქრები. ბამბის წვერიანი თოვლის ბაბუაც შეუფუთავს დედის ხელს; მუყაოს ყუთში ფრთხილად ჩაანვინა, იქვე ფერადი შუშის ბუშტებიც შემოუნყო, ბრჭყვიალა „წვიმაც“ ზედ დააყარა და შემოდგა მაღლა, საკუჭნაოში, ლენინის ძველი, დამტვერილი ტომების თავზე. ასე გამოიზაფხულა საახალწლო ნაძვის ხეების ტყემ კომპოზიტორთა სახლის გარშემო. ზევით კი ღია სიმწვანე მუქდება, უღრანდება; ნაძვნარი თხილწარში გადადის და ტყის სიბნელეში ვეღარ გამირკვევია რას ვიგონებ თუ რა მაგონდება... ბაჯ-ბაჯით გამოვგორდი სოფლისპირა სახლიდან, ბევრი ვიარე, ბევრი ვიბრძოლე და ბოლოს ისევე დავბრუნდი დედასთან და გული გამინათდა რომ დავინახე, ნისლები როგორ ეთამაშებიან ერთმანეთს. ჩემთვის წარსულს ჩაბარდა დღევანდელი და ხარბად ვენაფები სოფლის ანკარა წყაროს. ვიცი რომ რაღაც მელოდება პატარ-პატარა სახლების უკან, რაღაც ძალიან დიდი, სასიხარულო; მზის გულივით რომ ფეთქავს და იფრქვევა ჩემი ცხოვრების შუქ-ჩრდილში, რომელიც სარკესავით პრიალა საქსაფონის სევდანარევი სიხარულით ალავსებს მიდამოს. სახლები კი ნაბიჯ-ნაბიჯ ახლოვდებიან. აბა,

თუ გამოვიცნობ, ბავშვობაში სად გავატარე ზაფხული! აი იმ აივანზე? თუ მანსარდიან სახლში? თუ უფრო იქით, ტყის განაპირა კოშკში? მოგონებას რომ ვერ ვაზუსტებ, ამიტომაც ყველაფერი მიზიდავს, ყოველი სახლი მიყვარს. თანაბრად ნაწილდება სოფელთან შეხვედრაში ჩემი მოლოდინი — ხილვა ოდისევის დაბრუნებისა იქ, სადაც ასე მოუთმენლად ელოდებიან. თუმცა აღარავინაა ვინც შეიძლება მელოდებოდეს, მაგრამ მოლოდინი მაინც არსებობს, არსებობს თავისთავად, ყველასა და ყველაფრის გარეშე. მოლოდინი განფენილი ხალიჩასავით; დღე რომ იქსოვება ყვავილებისგან და ღამე რომ ირღვევა მთვარის სხივთა ძაფებად. მოლოდინი, რომელსაც აღარა აქვს ერთგული ცოლის სახე, მაგრამ სახის უქონლობა სახეს არ უკარგავს მას. პეიზაჟის სახით ის მაინც აგრძელებს ყოფნას. ამიტომაც რაღაცას მეუბნება ეს ნისლში გახვეული სოფელი, რომელსაც ზღვასავით აწყდება ჩემს გრძნობას აყოლილი ტყე; რაღაცას მეუბნება ფოთლების ქარში, უსიტყვოდ, ... აი მუსიკა რომ ჩაგწვდება ღრმად, სულში, გულ-ღვიძლს რომ ამოგიტრიალებს და ურუანტელივით დაგიბრუნებს ძარღვებში... ასეთია სოფელი. სოფელი სადგერი პლატოს გაყოლებაზე, კომპოზიტორთა სახლის ზემოთ, ხუთ კილომეტრში. და ირგვლივ ისეთი რამ ხდება, მეშინია გავინძრე, მეშინია არ დავარღვიო გულის გულში ჩაღვრილი მუსიკა, არ ავამღვრიო მწვანეთვალეებიანი, სახეგანათებული, მიუწვდომლობის სევდით მოღრუბლული სივრცე; არ დავკარგო სიმშვიდის მღელვარება, არ ჩავახშო სიჩუმის ყვირილი. აღარ ვინძრევი. გაოცებით შესცქერიან ჩემს მოჯადოებულ არსებას სოფლის მაცხოვრებლები. გაგებაში რომ არ არიან, სად ცხოვრობენ, რომელი და ვისი წარსულის დროთა

სიღრმეში შეიძლება გადავიდეს მათი აქ ყოფნა, ჩემი მახსოვრობის რომელი შრე შეიძლება განათდეს მათი ღიმილით. იდუმალებით სავსეა თვალწინ აჩრდილივით გამოცხადებული ტყე. ტყის უკან კი იგრძნობა თავისუფლება, სიმშვიდე; იგრძნობა დიდი სინათლე და სივრცე, მაგრამ არ შეიძლება იმ სინათლეში შესვლა. ფრთხილად, მონინებით უნდა მივეუახლოვდე ბავშვობის მინდორს, ჩემს მოლოდინში მთვლემარეს. ფეხაკრეფით უნდა მივეპარო, ან ხავსის ქეჩებზე შემდგარი, მივსრიალდე, რომ არ დავარღვიო მისი სიზმარი, რომელშიც ვესიზმრები მე, რომელსაც მესიზმრება ის; პურის, ჭვავის თუ სიმინდის ყანა, თივის ზვინებად დამდგარ სურნელებაში. მთა კი არ ებჯინება მინდორს, არამედ არ ჩანს, მაგრამ იგრძნობა უფსკრული შუაში, თითქოს ცა ჩაიღვარა მათ შორის და ჰაერში ჰკიდია ფიქრივით უსაზღვრო და სიზმარივით მსუბუქი მინდორი; ფრთხილად ვუახლოვდები, ღობის იქიდან შევცქერი, როგორც მესხიერების სცენაზე ხელუხლებლად შენახულ წარსულს და სიხარული მიზიდავს მისკენ, მაგრამ ვერ გადავდივარ სევდისა და სინანულის საზღვარს, რადგან ვგრძნობ, რომ ვერ ვიტყვი, ვერ გამოვხატავ, ვერ დავწერ, ვერ გავაცნობიერებ იმას, რაც ახლა ჩემს გულში ტრიალებს, ჩემს თვალწინ ხდება! მხოლოდ საქსაფონი, ზეცისკენ საყვირივით აღმართული, სარკესავით ირეკლავს მზით სავსე მინდორს; თვალს მჭრის, მაბრუებს და მუსიკადქცეული ტყის ჩუმი შრიალით მიყვება ზღაპარს ჩემი წუთისოფლის მარადისობის შესახებ.

2005წ.

ბორჯომი





გიორგი
 ხუმბურიძე

ღეიშე

ოღეს

ქარი ამტვრევს ხეთა რტოებს ოღეს,
 ცა გრგვინავს და როს იქცევა ძალათ,
 გეშინოდეს, გულო, გეშინოდეს,
 მახვილი აქვს აღმართული ჯალათს.
 ოღეს ნისლებს დაიბურვენ მთები
 და მზეს ოღეს მიაძინებს რული,
 სწორედ მაშინ დამჯაბნიან მტრები,
 სწორედ მაშინ გამისკდება გული.

მონატრება

მონატრებიხართ თბილი ალერსით,
 ამღვენებია თქვენი ზმანება. . .
 გული ლადარზე უმხურვალესი
 მწუხრში ფართხალებს და მენანება.
 ცაზე ღრუბლებმა შეკრეს კამარა,
 იცრემლებიან ვაზის მტევნებიც. . .
 ნეტავი ტანჯვა რამ შეგაყვართ,

ავზმანებად რომ მომეღვენებით.
 ვერა გასმინეთ ჩემი ლირიკით,
 არარად გიღირთ სიმთა გალობა. . .
 მე გეღვერებით, თქვენ კი პირიქით
 შემომაგებეთ შეუვალობა.
 მონატრებია თქვენი ალერსი...
 ამღვენებია ტკბილი ზმანება...

მარტი

ცამ ღრუბელი მიიფარა,
 გამეტებით ბარდნის. . .
 ვერაფერი ვერ გავიგე
 ამ გიჟმაჟი მარტის.
 აგრე როგორ დაგიმსგავსა,
 მისებრ ინყებ ძახილს,
 შუალამის პირზე მართავ
 წასასვლელად მარხილს.
 როგორ დარბის, დაცულლუტობს,
 გამყიდველი ლაჩრობს,
 ონავარი მარტი თოვლზე
 თებერვალთან ვაჭრობს. . .
 და შენც მეტი რალა გინდა,
 დრო ველარა დაგღლის. . .
 წახვალ თოვლის მარხილით და
 გულში წუხილს ჩაღვრი.
 მაგრამ ნეტავ რად ვიდარდო,
 მარტი გყავდეს ახლოს?
 მე აპრილის მზეც მეყოფა,
 ჩემს სულში რომ სახლობს.

უშენობით

ეული ვარ და არ ვიცი
 უშენობით, როგორ გავძლო,
 მე სიცოცხლე გამიხუნდა
 შენ კი კაბა საპატარძლო.

განკითხვისას

სამოთხისაკენ სავალი გზა გადაიკეტეთ,
 სახრჩობელაზე ებლოტებით თქვენიც
 ხელებით. . .
 განა არასდროს გიფიქრიათ, რაა სიკეთე?
 ისე მიღენით სანუთროეთს გულ-გახელებით.
 ზოგჯერ ხატებთან პირჯვარს ინერთ
 ძალისძალათი,
 ცრემლობს და ინვის ცოდვილთ ხელში ღვთის
 კელაპტარი. . .
 განა სხვა რაა უღმობელად უფლის ღალატი?
 ტაძრიდან გასულთ ჩირად გიღირთ ტყუილ-
 მართალი.
 მაინც ვილოცებ მხურვალეებით: გქონდეთ
 შენდობა!

გაგიხანგრძლივდეთ სანუთროში უამი
 ნამების. . .

თქვენს ცოდვილ სულებს ღვთისმიერი არ
 მიენდობა
 და განკითხვისას ღმერთსაც აღარ
 შეენანებთ.

ო, როგორ კვნესის. . .

თქვენ ურცხვად ებრძვით ღვთაებრივ
 რწმენას,

წუხილით ზეცას ასდის აღმური. . .

უსმინეთ აბა! ო, როგორ კვნესის,
 ო, როგორ კვნესის ეს სალამური!

გაადიადეთ ქვეყნად წყვიადი,
 თავად ღვიძლიც უხმოდ ძილია. . .

შებიღწულია ყოვლად ყოველი,
 სიცოცხლის უამი შეკვეცილია.

მწუხარობს სული მარტოდ შთენილი,
 /გუშინ ხატები მტარვალთ მიჰქონდათ. . ./

ო, ველარ უძლებს გული ამ უკუნს
 და შეძახილი მაკრთობს სტრიქონთა.

მაცრემლებს ოხვრა ცივი კედლების,
 სანუთრო თითქოს მხოლოდ შურია. . .

ვჩქარობ გაფრენას მზის გულისაკენ,
 მწყურვალს წყურვილის წყარო მწყურია.

თქვენ ურცხვად ებრძვით ღვთაებრივ
 რწმენას,

წუხილით ზეცა იწვის აღმურით. . .

ო, როგორ კვნესის, უსმინეთ, აბა,
 ო, როგორ კვნესის ეს სალამური!

. . .

ვზივარ ჭმუნვით. . . მძაგს სამყოფლო მიწის. . .

ჩამიღამდა სილაჟვარდის ბრწყინვა.

რა მომელის ბედისწერით, ვიცი?

სულს მითოშავს უშენობის ყინვა.

გული ისევ მოგელის და ღელავს,

ვითარც ტალღა, კვლავ მჩქეფარობს ზღვაში,

მაინც გზნებით მივაქროლებ მერანს

და ოცნებებს ნისლებივით გავშლი.

ბედს მივანდობ გაზაფხულის ნიავს,

ის შეინდობს დუმის ღვთიურ სულით. . .

მერე გნახავ, ალბათ, თვალცრემლიანს,

მაშინ შევსვამთ სიყვარულის სურვილს.

ზმანება

სულ სხვაგვარია სიზმრის ფერები

და ახდენილი ნატვრა, ოცნება. . .

მოხვალ მოლხენით, მომეფერები

გასაკვირად და გასაოცებლად.

ჩამოგვიდგება სულში დარები,

ქარებს მზე შთანთქავს ამონაქროლარს. . .

ძვირფასო, კრძალვით და ნეტარებით
 თმაში ჩაგინნავ სხივებს ოქროვანს.

მერე უეცრად წავა ზმანება,

დამხედავს სხივი მზეში ნავლები,

დილა ჭიკჭიკით ნამეტანება

და შენც ნელინელ მიინავლები.

მოდ

ჩამიბინდა სულში შვება,

მომეცელა ეულს ღონე,

მომწყურვია მოფერება,

მოდ, გულზე მომეფონე.

გადაიღოს იქნებ თოვამ,

აბიბინდეს სული მწვანედ,

გაზაფხულის შმაგო თრთოლვავ,

მოდ, მზემდე ამიყვანე.

უამი

მიბილიკობს უსასრულოდ უამი,

აღარ აგდებს აღარავის არად,

ფიალებში ჩაგვიყენა შხამი,

რომ შევსვათ და გავქრეთ წამისდარად.

გულს ალაგზნებს მწველი ცეცხლის ალი,

აცრემლებით ვინანიებ ცოდვებს,

ფურცელს შერჩა ერთი ციცქნა ბნკარი,

უფლის ხატთან მლოცვარე ვგოდებ.

გულს ვიოხებ ნავედრებით მცირედ,

აღარა მაქვს წუთისოფლის შიში.

საზვარაკო ვისაც შემოვწირე,

შეიყუჟა ყველა ღამის ჩრდილში.

განიწმინდა ლოცვით ჩემი სული,

გადიღვარა ფიალიდან შხამი,

დასალბუნდა გულში ძველი წყლული,

მიბილიკობს ჩვენდა უვნოდ უამი.

პაპისეული ბუხარი

რა ადარდებს პაპისეულ ბუხარს,

ძველებურად რატომ აღარ ღვივის?

თავის თავთან მარტო ყოფნა უყვარს,

კუშტი სახე არ იკარებს ღიმილს.

იქნებ ვალი დროულად ვერ გასცა?

ან ახალ დროს საერთოდ ვერ ჰგუობს,

გამუდმებით თავზე იყრის ნაცარს,

რაზე ჯავრობს, რა აქვს საათუო?

ჩამომდნარა ბნელ კუთხეში სახლის,

თითქოს მძიმე ლოდი აწვეს გულზე,

ფიქრებით და მოთმინებით დაღლილს,

დიდ-პატარა გაოცებით უმზერს.

თავის თავთან მარტო ყოფნა უყვარს,

კუშტი სახე არ იკარებს ღიმილს.

რა ადარდებს პაპისეულ ბუხარს,

ძველებურად რატომ აღარ ღვივის?



აწუღაგაგა
როიუნოსე

ი ა პ ო ნ ე ი ქ ა ნ ე ბ ი

ხელთა მაქვს ძალიან საინტერესო წიგნი. მას ჰქვია „ჯაპან“ და 1852 წელსაა დაბეჭდილი. მის ავტორს, ჩარლზ მაკფერეინს, თუმც კი იაპონიაში ყოფნის შესაძლებლობა არ მისცემია, მისდამი უდიდეს ინტერესს იჩენდა, ან მას, სულ ცოტა, ასეთი ინტერესით გამსჭვალულ პიროვნებად იცნობდნენ. „ჯაპანი“ წარმოადგენს ლათინურ, პორტუგალიურ, ესპანურ, იტალიურ, ფრანგულ, ჰოლანდიურ, ინგლისურ და სხვა ენებზე დაწერილ, ბევრ წიგნზე დაყრდნობით გადმოცემულ მონათხრობთა — უამრავი მონათხრობის — კრებულს. ეს წიგნები 1560-1850 წლებში ქვეყნდებოდა. ავტორს ასეთი თემა ანუ იაპონიისადმი ინტერესი საინტენდანტო სამსახურის მთავარი ინსპექტორის ფეიმს, დრამანდის წყალობით გაუჩნდა. ეს სწორედ ის ინგლისელი დრამანდია, რომელიც ახალგაზრდობაში კომერსანტო-

ბისას ჰოლანდიელის სახელით წლების მანძილზე იაპონიაში ცხოვრობდა. წიგნის ავტორი მაკფერეინი ბრაიტონში შეხვდა დრამანდს, რომელმაც მას იაპონიის შესახებ შექმნილი წიგნების კოლექცია უჩვენა. მან მაკფერეინს არა მარტო ეს წიგნები მისცა, არამედ ბევრი რამ აუნყა იმაზე, თუ რას წარმოადგენდა იაპონია. ავტორმა ისარგებლა ამ წიგნებით და საუბრებით და დაწერა წიგნი „ჯაპან“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დრამანდი დაქორწინებული იყო ცნობილი მწერლის — სმოლეტის ძმისწულის ქალიშვილზე, რომელსაც წიგნები ძალიან უყვარდა.

მაკფერეინის ეს წიგნი ყველა ამ გარემოების დამთხვევის შედეგად შეიქმნა, და ამიტომ ის იაპონიის მიწაზე სამოგზაუროდ ნამყოფი პიროვნების ჩანაწერებივით უტყუარი და სანდო არ არის. მართლაც, ოფორტები, რომლებიც წიგნის ილუსტრაციების ფუნქციას ასრულებენ, კორეულ ჩვეულებებს იაპონურ ჩვეულებებად წარმოსახვენ. და მაინც, ეს წიგნები ჩვენ, დღევანდელებს, გარკვეულ ინტერესს აღგვიძრავს. მაგალითად, მასში სავსებით სერიოზულადაა მოთხრობილი იმაზე, რომ იმპერატორს უამრავი მოსაწვეი ჩიბუხი აქვს და ყოველდღე იცვლის მათ, რაც უზარმაზარ ხიბლს უქმნის. ამ წიგნში არის თავი, რომელშიც ავტორი იაპონელ ქალებს გვაცნობს და მათზე მსჯელობს, მინდა მოკლედ გაგაცნოთ ეს თავი.

მაკფერეინის თანახმად, ის მდგომარეობა, ქალებს საზოგადოებაში რომ უკავიათ, ცივილიზაციის ნამდვილი დონის მაჩვენებელია, სოციალური თვალსაზრისით კი იაპონელი ქალები შორეული აღმოსავლეთის ნებისმიერი ქვეყნის ქალებზე გაცილებით მაღლა დგანან. იაპონელი ქალები, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ქალთაგან განსხვავებით, არ აწყდებიან ისეთ ვაებას, როგორც ციხეში სასჯელის მოხდა. ისინი არა მხოლოდ უზრუნველყოფილი არიან საზოგადოების ლოიალური დამოკიდებულებით, არამედ შეუძლიათ მამებისა და ქმრების ზრუნვის იმედიც იქონიონ. ცოლის ერთგულება და ქალიშვილის უმანკოება სრულად შედის მათ ღირსებათა ცნებაში და, შეიძლება ითქვას, რომ იაპონიაში არ არსებობს ქალი, რომელიც გათხოვებამდე უმანკო არ იყო. რამდენადაც, როგორც ცნობილია, უმანკოების დამკარგველი ქალწული დაუყოვნებლივ სიკვდილით ისჯებოდა, ქალები ამ მხრივ თავს ძალიან მკაცრად უვლიდნენ — ეს ფაქტია.

იაპონიაში, ყველა იმათით დაწყებული, ვისაც ყველაზე მაღალი საზოგადოებრივი

მდგომარეობა უჭირავს, და მათით დამთავრებული, რომლებიც საზოგადოებრივი კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე დგანან, აუცილებლად იღებენ სასკოლო განათლებას. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, იაპონიაში გაცილებით მეტი სკოლაა, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. მეტიც, გლეხებსაც და ლატაკებსაც კი ძალუძთ კითხვა. ამგვარად, იაპონიაში ქალები აბსოლუტურად ისეთსავე განათლებას იღებენ, როგორც მამაკაცები. მაგალითად, აქ ყველაზე ცნობილ პოეტთა, ისტორიკოსთა და ლიტერატურის სფეროებში მოღვაწეთა შორის ძალიან ბევრი ქალია.

მდიდარი და არისტოკრატი მამაკაცები ისე წმინდად არ იცავენ უმანკოებას, უმწიკველობას, როგორც მდიდარი და არისტოკრატი ქალები.

იაპონელ ქალებს ყველაზე მეტად სახელის გატეხა ერცხვინებათ. ვინ იცის, რამდენმა შერცხვენელმა ქალმა მოიკლა თავი. ვფიქრობ, ამას ჩინებულად ადასტურებს ის, რასაც ახლა მოგიყვებით.

ერთი დიდგვაროვანი მამაკაცი სამოგზაუროდ გაემართა. როცა ის შორს იყო, სხვა არისტოკრატმა სცადა შეეცდინა მისი ცოლი, რომელიც არა მარტო ცთუნებას არ აძყვა, არამედ ამ კაცს შეურაცხყოფაც კი მიაყენა. მაგრამ ამ არისტოკრატმა, ნებით იყო ეს თუ ეშმაკობით, მაინც წამუსი ახადა ქალს და აი, ქმარი ბრუნდება. ცოლი მას, ჩვეულებრივ, აღერსიანად შეხვდა. მაგრამ მის საქციელში ჩანდა რაღაც ისეთი შებოჭილობა, თითქოს ის ქმრის ძალადობას უწევს წინააღმდეგობას. ცოლის საქციელი ქმარს ეუცნაურა, და მას რაღაც ჰკითხა იმის გამოსარკვევად, თუ რა ხდებოდა, მაგრამ ცოლმა, გაუგებარი რატომ, ასე უპასუხა:

— ხვალამდე ნურაფერს მკითხავ. ხვალ ჩემებს და ჩვენი ქალაქის საპატრიცემულო ადამიანებს მოვიწვევთ, და მათი თანდასწრებით მოვყვები ყველაფერს, რაც მოხდა.

მეორე დღეს მათ სახლში სტუმრებმა თავი მოიყარეს. მათ შორის ამ ქალის წამუსის ამხდელი არისტოკრატიც იყო. მონვეულთ სახლის ბრტყელ სახურავზე მასპინძლობდნენ. როცა ყველა დაპურდა, დიასახლისი წამოდგა და ხალხს აუწყა, თუ როგორ მოეჭრა თავი, მეტიც, ქმარს გულმხურვალედ განუცხადა:

— მე თქვენი ცოლობის უფლება დავკარგეთ ხოვით მომკლათ.

ქმარი და იქ მყოფი სტუმრები ამშვიდებდნენ ქალს, ეუბნებოდნენ, რომ მისი ბრალი არაფერია, რომ ის უბრალოდ იმ არისტოკრატის მსხვერპლი გახდა. ქალმა ყველას

დიდი მადლობა მოახსენა, რის შემდეგაც ქმრის მხარზე თავჩამოდებული გულის გამგმირავად აქვითინდა. მაგრამ უცებ აკოცა ქმარს და მაშინვე ჯერ ხელი დაუქნია მას, მერე კი სახურავის კიდესთან მიიბრინა და გადახტა. ამ ქალის ხელყოფის ფაქტი ყველა იქმყოფმა გაიგო, მაგრამ მისი ხელმყოფელის ვინაობა არ იცოდნენ. ვიდრე მისი ქმარი და სტუმრები ფორიაქობდნენ, ქალის ხელმყოფელი არისტოკრატი ტერასიდან ჩუმად დაეშვა კიბეზე. ამის შემდეგ მან თვითმკვლელი ქალის სხეულის გვერდით, სამურაების წესისამებრ, ღირსების გრძნობით ხარაკირი გაიკეთა (ხარაკირი თვითმკვლელობის ნაციონალური ხერხია იაპონიაში, რაც მუცლის ჯვარედინად გაფატვრის შედეგად სიკვდილს გულისხმობს).

„ჯაპანის“ ავტორი მაკფერეინი ამტკიცებს, რომ ეს ეპიზოდი ლანდორის მოგონებებშია ჩართული. არ ვიცი, იაპონიაში ასეთი მოთხრობა ნამდვილად არსებობს თუ არა, მაგრამ მცირე დაფიქრების შემდეგ დავასკვნენ, რომ ასეთი ეპიზოდი ტოკუგავას ეპოქის მოთხრობებსა და დრამებში არ შემხვედრია, თუმცა, შესაძლოა, ლანდორს ასეთი რამ კიუსიუს კუნძულის რომელიმე სოფელში მოესმინა და მაინც, სახლის სახურავზე სტუმრების მიღებისას კოცნა, რომლითაც ცოლმა იაპონელი სამურაი, თავისი ქმარი, დააჯილდოვა, თავშესაქცევი, საინტერესო, მაგრამ მეტისმეტად ევროპული ქმედებაა. იგულისხმება იმის თქმა, რომ ეს თავშესაქცევი ამბავია და გაცივება ძალიან იოლი რამ იქნებოდა, მაგრამ, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ძველად დასავლეთის შესახებ იაპონელთა მონათხრობებიც არცთუ იშვიათად მცდარი იყო, ჩვენ ამას უდარდელად არ უნდა მოვეკიდოთ, აქაოდა, სიცილს ევროპელებიც ვერ შეიკავებდნენო. ჩვენს მეზობელ ჩინეთზე მონათხრობებში შეცდომები წარამარა გვხვდება. საკმარისია წავიკითხოთ, მაგალითად, ტიკამაცუ მონძემონის პიესა „კოკუსიგის ბრძოლები“, რომელშიც მოქმედ პირთა და პეიზაჟების აღწერილობები ფრიად უცნაურია, და ძნელია იმის გაგება, თუ სად ხდება მოქმედება, — იაპონიაში თუ ჩინეთში.

მაკფერეინი ჰყვება ერთ ამბავს, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი დიდი პიროვნებები იყვნენ იაპონელი ქალები.

ბრწყინვალე სამურაიმ, ტიუიამ, თავის მეგობარ ძიოსიცუსთან ერთად იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა განიზრახა. ტიუიას ცოლი გონიერებითა და სილამაზით გამოირჩეოდა. ეს შეთქმულება ჩუმად მზადდებოდა ხუთი-ათი წლის მანძილზე, მაგრამ ტიუიამ წინდაუხედაობა

გამოიჩინა, შეთქმულება გამოაშკარავდა და მთავრობამ ტიუიასა და ძიოსიძეს დაპატიმრების განკარგულება გასცა. ქვეყანაში შექმნილი ვითარება მთავრობას აიძულებდა ტიუია ცოცხლად შეეპყრო. ამისთვის აუცილებელი იყო მას მოულოდნელად დასცემოდნენ თავს. პოლიციელები ტიუიას სახლის ალაყაფს მიადგნენ და აყვირდნენ: „ხანძარი! ხანძარი!“ ტიუიას ხანძარი საკუთარი თვალთა რომ დაენახა, სახლიდან გამოიჭრა. პოლიციელები მას თავს დაესხნენ. ტიუია მამაცურად იბრძოდა და ორი პოლიციელი აკუნა, მაგრამ ერთმანეთს არათანაბარი ძალები ერკინებოდნენ და პოლიციელებმა ის, ბოლოს და ბოლოს, დააპატიმრეს. ტიუიას ცოლმა, როგორც კი შეტაკების ხმაური გაიგონა, მაშინვე გაითვალისწინა, რომ პოლიციელები სახლში შემოიჭრებოდნენ, და ქმრის მნიშვნელოვანი დოკუმენტები ცეცხლში შეყარა. მასში შეთქმულებაში მონაწილე არისტოკრატების გვარები და სახელები იყო ჩამოწერილი. ტიუიას ცოლის ასეთი გამჭრიახობა ახლაც აღტაცებას იწვევს. როცა ქალის საზრიანობის, მიხვედრილობის შექება უნდათ, მას ეუბნებიან: „შენ ტიუიას ცოლის ასლი ხარ“.

ტიუია, რომელზეც ვლადიმერ კობდით, რასაკვირველია, მარუმასი ტიუია¹, ძიოსიძე კი — იუი ძიოსიძე². მაკფერეინის თქმით, ეს ლანდორის მოგონებებში მოქცეული ამბავია.

იაპონელი ქალები, რომლებსაც მაკფერეინი თავის „ჯაპანში“ ხატავს, უტოპიური ქალები არიან. შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ 1860-იანი წლების იაპონელი ქალებიც კი — ქალიშვილებიცა და ცოლებიც — ასე სწირავდნენ თავს.

უმნიკვლობის, უმანკობის შესანარჩუნებლად შეიძლება მხოლოდ გაგვაცინოს მაკფერეინის სისულელემდე მისულმა პატიოსნებამ, მაგრამ საზღვარგარეთელ ადამიანებსა და წეს-ჩვეულებებზე იაპონელთა მონათხრობებში ახლაც კი შეიძლება ბევრი კომიკური რაღაცის პოვნა — და ამ ფაქტს ვერსად წაუხვალ. ამასწინათ, რომელიღაც გაზეთში, რომელიღაც ქალბატონმა ამერიკელი სტუდენტი გოგოების ცხოვრება ანგელოზურ ცხოვრებად შერაცხა, მაგრამ ამ სტატიას ნახევარი საუკუნის შემდგომდროინდელი ამერიკელების თვალთა თუ შეგხედავთ, ეს, მაკფერეინის „ჯაპან“ რომ

იწვევს, ისეთივე სიცილს გამოიწვევს.

სერ რუტერფორდ ოლქოქის „სამი წელი იაპონიაში“ იაპონიის ნამდვილ სახეს გაცილებით უფრო სწორად წარმოსახავს, ვიდრე მაკფერეინის „ჯაპან“.

ეს ორტომეული ნიუ-იორკში 1863 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „ჰარვარდმა“. მასში ბევრი ილუსტრაცია და ასევე კეისაის ჟანრული ნახატების ბევრი რეპროდუქციაა.

ჯერ ერთი, სერ რუტერფორდ ოლქოქი იაპონიას სანერ მაგიდასთან მჯდარი თავისი წარმოსახვით არ ასახავდა, როგორც ამას მაკფერეინი აკეთებდა.

მეორეც, სერ რუტერფორდ ოლქოქი მაკფერეინის თვით უვიცი არ იყო. მას სერიოზული განათლება ჰქონდა მიღებული: იცნობდა მილის ფილოსოფიას, რომელიც იმ დროს ფრიად მოდური რამ იყო. ამის გამოისობით იაპონიაში ყველა იმ მოვლენაზე, რისი მოწმეც ის იყო, მას საკუთარი თვალსაზრისი უყალიბდებოდა. ზოგჯერ მისი ესა თუ ის თვალსაზრისი ახლა ღიმილს იწვევს, ზოგი რამ ჩვენს ყურადღებას იქცევს. ესაა მისი წიგნის განსაკუთრებული თავისებურება, რასაც მაკფერეინის წიგნზე ვერ ვიტყვი.

სერ ოლქოქი იაპონიაში ტოკოგავას სიოგუნატის უკანასკნელ წლებში აკრედიტირებული ინგლისის განსაკუთრებული და სრულყოფილი ელჩი იყო, მისი აკრედიტაციის პერიოდში იაპონიის უხუცესთა საბჭოს წევრი საკურადამონის ალაყაფის კარებთან მკვლელმა გამოასალმა სიცოცხლეს. რონინებმა ასევე რამდენიმე ევროპელიც მოკლეს.

ოლქოქი არ დაშავებულა, მაგრამ რონინები შეიჭრნენ ტოძენძის ტაძარში, რომელიც არის სინაგავას რაიონში, სადაც ის ცხოვრობდა იაპონიაში ტოკოგავას სიოგუნატის მმართველობის ბოლო წლებში. თუმცა ის ქვეყანაში მიმდინარე საშინაო და საგარეო მოვლენებში იყო ჩართული, ეოში ყოფნით მაინც არ იფარგლებოდა, ყველგან უხდებოდა ყოფნა, ამიტომაც სერ ოლქოქის „მგზავრის წერილები“ დიდად საინტერესოა.

რასაკვირველია, სერ ოლქოქის ეს წერილები მხატვრულად ლოტის ან კიპლინგის წერილებით შთამბეჭდავი არაა. მაგალითად, ასაკუსას აღწერისას, მკითხველის წინაშე არ ჩნდება გაყვითლებულფოთლებიანი გინგკო ან ნითელი ტაძარი, როგორც ლოტის „იაპონური გაზაფხულის“ ასაკუსაშია. მაგრამ, მე როგორც უკვე ვთქვი, მისი თვალსაზრისი ამა თუ იმ მოვლენაზე, რომლის მოწმეც ის იყო, სერიოზულ ინტერესს იწვევს.

მაგრამ სერ ოლქოქი, როცა ხედავს, გლეხის სახლის ღია გალერეაში ბებია ბავშვს მოწვით

¹ (მარუბახი ტიუია (?-1651) — როპინ — სამურაი, რომელმაც თავისი ბატონი დაკარგა.

² იუი ძიოსიძე (1605-1651) — სამურაი, შეთქმულების მონაწილე, რომელმაც თავი მოიკლა.)

როგორ მკურნალობს, ასეთ დასკვნამდე მიდის: „ჩვენ, ადამიანებს, წარსულში თუ დღეს, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, გვიყვარდა და გვიყვარს ეფემერული ბედნიერებისთვის ჩვენი სხეულის წამება“.

მთაზე გადასვლისას მან ლელიანის ბელურას გალობა მოისმინა და გესლიანად თქვა: „ლელიანის ბელურას გალობა ბულბულის რაკრაკს ჰგავს. იაპონურ თქმულებებში ნათქვამია, რომ ლელიანის ბელურებს იაპონელებმა ასწავლეს გალობა. გასაოცარია, რომ ეს წამდვილად ასეა. თვითონ იაპონელებს ხომ მუსიკის არაფერი გაეგებათ“.

ამგვარი აზრები მხოლოდ ღიმილს იწვევს, მაგრამ, ამავე დროს, მისი მსჯელობები საკურადამონის ალაყაფის კარებთან დაღუპული მათი ნათესავებისა და მეგობრების გამო შურისძიების უფლებაზე, მსჯელობები უბრალო ხალხზე — პიესა „ამბავი ერთგულებისას“ ვავლენის თაობაზე, ძალიან საინტერესოა. ამ თემაზე საუბარი მეტისმეტად დიდ დროს წავგართმევს, ამიტომ მას ოდნავ გვიან შევეხები.

მაგრამ მანამდე, იმისთვის, რომ ძალზე ზოგადად მაინც გაგაცნოთ წიგნი „სამი წელი იაპონიაში“, მოვიტან ერთ ნაწყვეტს ნაგასაკის პირველად მონახულებისას მიღებული მთაბეჭდილებებიდან:

„ხომალდი პორტ ნაგასაკში ივნისის (1859 წლის) წვიმიან დღეს შევიდა. ეს პორტი უკვე აღწერეს იაპონიაში არაერთგზის ნამყოფმა მოგზაურებმა. მან მოღრუბლული ცის ქვეშაც ოდნავადაც კი არ დაკარგა თავისი სიმშვენიერე. ხომალდის პორტში შესვლის შესაბამისად სულ ახალი და ახალი კუნძულები ჩნდებოდა. ამ კუნძულებზე, ისე როგორც სურათზე, ბევრი მშვენიერება იყო.

როცა ხომალდი ყურეში შევიდა, გამოჩნდა ზღვის ნაპირს გაყოლებული ნაგასაკის ქუჩები. ბევრი მათგანი პატარა გორაკების ძირში გადიოდა. შემდეგ ისინი ხშირი ტყით დაფარულ ამ გორაკებზე აღიოდა. მარჯვნივ კუნძული დეძიმი ჩანდა. კუნძული დეძიმი დაბლობს წარმოადგენს. მარაოს სახელური მატერიკისკენაა მიქცეული, თვითონ მარაო კი — ზღვისკენ. კუნძულს კვეთს ერთი — ერთადერთი გრძელი ფართო გზა, რომლის ორივე მხარეზე ორსართულიანი ევროპული ტიპის სახლები იდგა. ისინი მაინცდამაინც დიდებად არ გამოიყურებოდა... ყურე პირველი მთაბეჭდილებით ძალიან ჰგავს ნორვეგიულ ფიორდს. ის განსაკუთრებით, ნორვეგიის დედაქალაქ ქრისტიანიასთან ფიორდში შესასვლელს მოგვაგონებს. თუმცა, ეს ფიორდი ნაგასაკის ყურეზე უფრო ლამაზია. როცა

ნაგასაკის ყურეს უყურებ, ხედავ, რომ გორაკები აქაც ზედ წყლის ნაპირებზეა ამართული და მათზეც ხშირად ხარობს მელანქოლიური ფიჭვები, მაგრამ, როცა ნაპირზე ჩახვალ, რწმუნდები, რომ აქ მცენარეულობა, ნორვეგიულსგან განსხვავებით, ტროპიკულად გამოიყურება. აქ ბროწეულიცაა, ხურმაცაა, ქოქოსის პალმაცაა, ბამბუკიცაა, მაგრამ ხშირად ხარობს გარდენიებიცა და კამელიებიც. კედელზე ველური ყურძენია დახვეული. ქუჩების გზისპირები სუმთლად ღიჭებიტაა დაფარული“. (ქრისტიანია — ოსლოს ძველი სახელწოდება — მთარგ.)

მთელი წიგნი ამგვარი სტილითაა დაწერილი. სეროლქოქის აზრით, იაპონელი ქალების სოციალური მდგომარეობა და მამაკაცებთან მათი ურთიერთობის ხასიათიც ძველთაგანვე აღმაფრთოვანებელია. სინამდვილეში დიდად საეჭვოა, იმსახურებენ თუ არა ისინი აღტაცებას.

„მე (სეროლქოქი) არ ვაპირებ აქ შევეხო იმ საკითხს, იაპონელები, როგორც ხალხი, სხვა ხალხებზე უფრო ამორალური არიან თუ არა, მაგრამ იაპონიაში კანონი არ სჯის იმის გამო, რომ მამა ქალიშვილს მეძავად ყიდის ან მოახლედ აყენებს. მეტიც, ამის ნებას აძლევს. მას ამის გამო უახლოესი მეზობლებიც კი არ კილავენ. მე ასეთ ქვეყანაში ჯანსაღი მორალური პრინციპების არსებობა არ მჯერა.

იაპონიაში მონობა წამდვილად არ არსებობს. იქ ყმა-გლეხებს საქონელსავით არ ყიდნიან და არ ყიდულობენ. (თუმცა, როცა არ-ს ვამბობ, ნახევარსიმართლით ვიფარგლები. საქმე ისაა, რომ კანონით დადგენილია, რომ, როცა ქალიშვილი გარკვეულ ასაკს მიაღწევს, მისი გაყიდვაც შეიძლება და ყიდვაც. (ეტყობა, შეიძლება მამაკაცებისა და მოზარდების გაყიდვაც და ყიდვაც), მაგრამ რაკი მოახლეობის ინსტიტუტი არ არსებობს, ოჯახის, კერის სინმინდის დაუცველობას ბევრი თავისთავად ნაგულისხმევ რამედ მიიჩნევს.

ჯერ არავის არ შეუძლია ამ ნაციონალური დანაშაულებრივი ბოროტების შემსუბუქების ხერხის პოვნა, მაგრამ ამ ბოროტების შემსუბუქების საშუალება არსებობს — დედის ავტორიტეტი ბავშვების თვალში ძალიან დიდი უნდა იყოს, როგორც ამას ჩინეთში ვხედავთ.

იაპონელ ქალს პირუტყვსავით ექცევიან, მისი ნება და უფლებები იგნორირებულია. ქმარს, როცა კი მოეგუნება, მაშინ შეუძლია მისი გაყიდვა. ვიდრე მისი ქმარი ცოცხალია, მას ექცევიან როგორც მხოლოდ პირუტყვს ან მონას.

მაგრამ ბავშვებზე გადამეტებული, ჭარბი გავლენა იაპონელ ქალებს სოციალური კიბის, მამაკაცები რომ დგანან, იმაზე უფრო მაღალ საფეხურზე დააყენებს, რაც გამოიწვევს იმ ბოროტების რამდენადმე შერბილებას, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. ამის ერთ-ერთი ნიშანი ის იქნება, რომ გამორიცხული არაა ქალი **მიკადოს** დონემდე ამაღლდეს.

(**მიკადო**—იაპონიის იმპერატორის ტიტული—**მთარგ.**)

სინამდვილეში კი ყველა დროში იმის ბევრი შემთხვევა იყო, როცა ქალი მიკადო ხდებოდა. მართლაც, იმ მდგომარეობას, რომელიც უჭირავთ იაპონელ ქალებს, თუმცა მათ პირუტყვივით ან მონასავით ყიდიან და ყიდულობენ, ახლავს ისეთი თავისებურებები, რომელიც მას ამის მტკიცედ გაძღვების, ატანის საშუალებას აძლევს. მაგრამ თუ შევეცდებით ამ თავისებურებების სხვადასხვაგვარად გამოკვლევას, იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენენ ისინი, შეუძლებელია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მშობლებსა და შვილებს შორის სიყვარული სუფევს. იაპონელების სხეულში უდაოდ ბავშვებისადმი სიყვარულის რალაც ორგანო იწყებს გაჩენას“.

სერ ოლქოქი იაპონელ ქალებს მაკვერენიზე გაცილებით უფრო ზუსტად წარმოსახავს. იაპონიაში სერ ოლქოქის ყოფნის პერიოდში, ანუ კაეის წლებში, იაპონელი ქალების მდგომარეობა განსაკუთრებით პროგრესირებოდა.

საქმე ისაა, რომ იაპონიაში სერ ოლქოქამდე ნამყოფი ევროპელები იაპონელ ქალებს გადამეტებულად ასხამდნენ ხოტბას, როცა იაპონელ ქალებს თავიანთ ხასად ხდიდნენ, უზარმაზარი მადლიერების გრძნობით იმსჭვალებოდნენ მათი მიმართ იმის გამო, რომ ისინი მათი ასე ერთგული რჩებოდნენ.

ის, რასაც ახლა მე მოვყვები, ტოკუგავას სიოგუნატის მმართველობის პირველ წლებში

მოხდა: იმ დროს, როცა ინგლისელებმა პროვინცია ხიძენში პორტი ხირატო დატოვეს, ისინიც უნუგეშონი იყვნენ, როცა თავიანთ იაპონელ ცოლებს ეთხოვებოდნენ. სწორედ ამიტომ სერ ოლქოქს ხასა თუ ჰყავდა, მას არ შეეძლო აგდებულად მოკიდებოდა იაპონელ ქალებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, საბედნიეროდ, მომავალი თაობების მკითხველები მისი წიგნის წყალობით უფრო ობიექტური თვალსაზრისის გაცნობას შესძლებენ.

რამდენიმე წლის წინათ, ჩინეთში მოგზაურობისას, ხომალდით იანძის აღმა მივუყვებოდი. ერთ ნორვეგიელს შევხვდი. ის აღშფოთებული იყო იმით, რომ ქალებს ჩინეთში ძალიან დაბალი სოციალური მდგომარეობა უჭირავთ.

მისი ნაამბობით თუ განვსჯით, ჩასილისა და უენანის მომცველი საშინელი შიმშილის დროს ჩინელებმა, სანამ პირუტყვის გაყიდვას შეუდგებოდნენ, თავიანთი ცოლები დაყიდეს. და მაინც, ეს ნორვეგიელი ქება-დიდებას ასხამდა ჩინელ და იაპონელ ქალებს, როგორც ცოლებს. ამის თაობაზე ის გაცხარებით შეეკამათა კიდევ თავის ამერიკელ ცოლს. ეტყობა, ამ მამაკაცს, იმის მიუხედავად, თუ როგორი იყო მისი რეზონები (რეზონი-რისიმე გონივრული საფუძველი, აზრი—**მთარგ.**) არ შეეძლო არ გამოეხატა ჩინელი და იაპონელი ქალებით, როგორც ცოლებით, მაგრამ სერ ოლქოქის სიტყვებს თუ გამოვიყენებთ, როგორც პირუტყვებითა და მონებით, თავისი დაუოკებელი აღტაცება. სწორედ ამიტომ სჭირდება ქალთა მოძრაობას სწორედ თვითონ ქალების აქტიურობა-სხვაგვარად. ამ მოძრაობას წარმატების მიღწევის პერსპექტივა არა აქვს.

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ





შანა ქიქოს ნაილი ანაი ხოშახიანს

ქ. პარიზი აპრილის 26.

პატივცემულ ბ-ნო აკაკი!

ნება მიბოძეთ წერილის საშუალებით მოგახსენოთ ის, რის თქმაც დღეს ვერ მოვასწარი. ის საქმე, რომლის შესრულებაც თქვენ იკისრეთ ჩემი დახმარებით იმდენად დიდი და მრავალმნიშვნელოვანია, რომ მისი კარგათ გარკვევა და გათვალისწინება არის საჭირო. და თუ მე შემეძლება შიგ შევიტანო რაიმე წესი და ჩემი ცოდნა, ამით მე უკვე დიდ ვალდებულებას ვიღებ არა მარტო თქვენს წინაშე, არამედ იმ პატარა სახელმწიფოს წინაშე, სადაც უნდა გაგზავნილ იქნან ისინი. ამისთვის მე ჩემს მოვალეობათ ვთელი საქმის მოგვარებამდე გაგირკვიოთ ჩემი შეხედულებანი ამ საქმეზე. როდესაც მე თქვენ პირველათ წინადადება მოგეცით სურათები შეგეძინათ და საქართველოში პატარა ევროპიული გალერეია შეგექმნათ, ეს გალერეია მე მქონდა წარმოდგენილი, როგორც ევროპის უკანასკნელი ხანის მხატვრობის გამოაშკარავება, როგორც დახასიათება ევროპის. ყოველივე გალერეიას ასეთი ხასიათი აქვს და მისი დანიშნულება მხოლოდ ამაშია. მე ვფიქრობ რომ ამას ექნება ის დიდი მნიშვნელობა, რომ საქართველოშივე გახდება შესაძლებელი

ევროპის მხატვრობის დაახლოვებით უშუალოდ გაცნობა. რასაკვირველია მას ექნება კერძო ხასიათი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობა დიდი და უტყუარი იქნება. მე ვიმეორებ: ეს იქნება პირველი ნაბიჯი საქართველოში ევროპის მხატვრობის გადმოტანისა და გაცნობისა. და აქედან თქვენთვის ცხადი უნდა იყვეს მისი მნიშვნელობა.

დღევანდელმა ცდამ მე დამიმტკიცა, ბ-ნო აკაკი, რომ საკითხი ვერ არის ისე დასმული, როგორც საჭიროა. მისთვის რომ თუ აქ პატარა გალერეის შექმნაზე არის საკითხი, მაშინ კერძო გემოვნებას მხოლოდ იმდენათ აქვს მნიშვნელობა, რამდენათ საჭიროა უკვე არსებულ მიმდინარეობიდან ან სკოლიდან უფრო დამახასიათებელ საგნის ამორჩევა. თუ თქვენი სურვილია იქონიოთ ისეთი სურათები, რომელიც მოგწონთ, მაშინ ჩემი საქმეში ჩარევა სრულიად მეტი იქნება. მისთვის რომ გემოვნების წინააღმდეგ მხოლოდ გემოვნების წამოყენება შეიძლება. მათი შეთანხმება კი შეუძლებელია. მაგრამ აქ, მე ვფიქრობ, კერძო გემოვნებაზე არ შეიძლება ლაპარაკი. საქმე მეტად სერიოზულია. შესაძლებელია იფიქრონ, რომ სეზანის, გოგენის, მატისის შემოქმედება კედლების მღებავის საქმეს ემსგავსებოდეს, მაგრამ ეს ხომ კერძო შეხედულებაა. ხელოვნების ისტორიას და ხელოვნების კულტურას უფრო დიდი და მკაცრი კანონები აქვს და დასახელებული მხატვრები ეს ის პირები იყვენ, რომელნიც თავისი შემოქმედებით მთელს ეპოქას ჰქმნიან. იმის მტკიცება თუ რისთვის არის ეს ასე, ძალიან შორს წამიყვანდა და ჩემზედ კარგათ უკვე დიდი ხანია არის გაკეთებული.

ვიტყვი კიდევ: თუ სურათების შექმნაში, ბ-ნო აკაკი, თქვენ გსურთ იხელმძღვანელოთ მხოლოდ გემოვნებით, მაშინ ჩემი დახმარება უსაფუძვლო იქნება: მას მე ვერ შევძლებ. და, პირიქით, თუ თქვენ გსურთ ამ სურათების შექმნას უფრო ზოგადი ხასიათი მისცეთ, მაშინ მე მთლად თქვენს განკარგულებაში ვარ. მაშინ მე ნება უნდა დამართოთ თქვენთან ერთად ამ საქმეში ჩემი ცოდნა და სიყვარული შევიტანო.

გთხოვთ მიპასუხოთ. უფრო კარგი იქნება თუ მოახერხებთ და ჩემთან მობრძანდებით: მე მინდა თქვენ ერთი ფრიად საინტერესო საგანი გარჩევოთ.

ჩემი მისამართი ასეთია: 26, rue du Faubourg St. Jagues 26. Atelier 167 Chalva Kikodze.

გთხოვთ მობრძანდეთ. წერილით შემატყობინეთ რომ სახლში დაგიხვდეთ.

1921წ.



მაცა
ფარსველიძე

“სა ჩვენი სჯის მისამახთია”

(ვაჟა ოთარაშვილის ერთტომეულის
„ცის სარკმელების“ შესახებ)

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ძალიან ბევრი დაინერა და ითქვა მწერლის როლზე საზოგადოებრივი აზრის, ერის სულიერი განვითარების საქმეში, მისი ზნეობრივი დანიშნულების თუ პასუხისმგებლობის შესახებ. ძნელია თქვა ახალი, თუნდაც ძველი ახლებურად და თანაც ისე, რომ უკვე ჭეშმარიტებად აღიარებულის ტრაფარეტულად მტკიცებას არ მოჰყვე... მაგრამ ყოველ ეპოქას ხომ თავისი სათქმელი და ტკივილი მოაქვს, თავისი დარდი და იმედი... ეს იმედი ყოველ დროს იყო და არის შემოქმედის მიერ ნათქვამი მართალი სიტყვა, რომელიც ხშირად უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკოსის მიერ წარმოთქმული ტირადა... მხატვრული სიტყვის სიმართლეს ნაზიარებ ქართულ მწერლობას ამის ძალიან ბევრი მაგალითი აქვს და ბედნიერებაა, რომ დღესაც თანამედროვე ქართველ მწერლებს არ ელევათ პაოლო იაშვილისეული „სიტყვის

მადანი“... სათქმელი ბევრია, მთავარია მოძებნო ის ჭეშმარიტი სიტყვა, რომელიც მკითხველის სულს შეძრავს და იმ სიმებს შეარხევს, რომელთა თრთოლვას ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ ქართული კლასიკური ლიტერატურის კითხვისას... მხოლოდ მწერალს შეუძლია თქვას ან მოიარებით მიაწინშნოს ხალხს სიმართლე, ნუგეში სცეს და იმედი გაუღვივოს... აქვე უნდა გავიხსენოთ სახარებისეული „პირველად იყო სიტყვა“... რადგან სწორედ განკაცებულმა ახალმა სიტყვამ შეძლო ადამიანთა ცნობიერებაში გარდატეხის შეტანა და ახალი სიცოცხლისთვის, ახალი სულიერებისთვის დასაბამის მიცემა... „მე ქვეყნად უნდა სიმართლე ვწერო, არ შევუშინდე დროის ქარიშხალს... ბედია იქნებ ან ბედისწერა, თუკი უფალმა სიტყვა განიშნა“.

„...და აჯანყება სიტყვით იწყება, დღეს ამბოხება იწყება აზრით“ („ამბოხი“). რა არის დღეს ის სიტყვა, რომელიც ბოლოს მოუღებს მიუღებელს და ერის სულიერებას გამოაღვიძებს? „რა არის ერი სულის გარეშე? მკვდარი კულტურა, მკვდარი ენები“ („ამბოხი“).

მსოფლიო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესში ჩართული ქართველები თანდათან ვივიწყებთ „ვისი გორისანი“ ვართ „დროუჟამმა გამირული წარსული დაბინდა, ატომის მეფობის ჩამოდგა ხანი... ველარ გავგიგია, რა გვნამდეს, რა გვინდა, ღმერთი თუ სატანა, თეთრი თუ შავი...“ („რწმენა“)

დღეს, როდესაც ერის მოძღვრის ფუნქცია ტელევიზიამ იკისრა, როდესაც ქართველებს ნაციონალიზმს გვიკიჟინებენ და სხვადასხვა გაურკვეველი სექტების მიმართ შემწყნარებლობას გვთხოვენ, მართლაც მოგვწყურდა მადლიანი ქართული ნათქვამი სიტყვა... სიტყვა, რომელიც დაგვანახებს დღევანდელ „ქართლის ჭირს“, მიუღებელს ყოველდღიურობად არ აქცევს და გამოაღვიძებს ქართველის გენში ჩადებულ თვისებას — შეუგუებლობა ყოველივე ავისადმი, რადგან ვაჟასეული „ბილნთ არ შევეკვრი ზავითა“ ხომ მთელ ერზე ვრცელდება... ქართველები ხომ სულით მემამბოხეები ვართ.. სწორედ ამიტომ არის საჭირო ჩვენთვის კიდევ ერთხელ შეხსენება იმისა, რომ „საქართველოს ქართველები შეესიენ“ („ქართველები“), „რომ იყიდებოდა შინაურისგან ასნილ, ვიდრე ვერაგი თემურ-ლენგისგან მგონი...“ (უსათაურო), უბედურებაა, რომ ზოგიერთი ვაიქართველისთვის სამშობლო „დუმა მსუქანი, ვისთვის ოქროთი სავსე ხაზინა გახდა“ („ნოსტედან თბილისამდე“). მხოლოდ პოეტის ბასრ კალამს შეუძლია სულით ხორცამდე შეგვძრას და დაგვანახოს, რომ ბოროტების სათავე მხო-

ლოდ ჩვენშია. მისი უპირველესი მოვალეობაა შეგვახსენოს, რომ წარსულის დავიწყებით და მასობრივი კულტურის დამკვიდრებითა და გაფეტიშებით, ჩვენ მომავალს ვლუპავთ... ამის შესახებ ჯერ კიდევ ილია წერდა: „არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამოგზავნა ქვეყნად ცამა...“ აქვე უნდა გავიხსენოთ გრიგოლ რობაქიძის შემდეგი მოსაზრება „რა უნდა იყოს „სანვაი მასალა“ ხელოვანისთვის, თუ არა იმ ეპოქის მოვლენები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მის პიროვნება — გვარტომებზეც, რომლის აწყობა-წარსული ერთი მთლიანობაა, თვით ერის მითოლოგიური წარსულის ჩათვლით“, რის შედეგად გრიგოლ რობაქიძე სამართლიანად დასძინს „წარსული ანმყო“, ე.ი. წარსული თავს იჩენს ერის ანმყოში, რის შედეგად ანმყო — წარსული — წარსული — ანმყო ერთი მთლიანობაა“. აქედან იკვეთება ის ძირითადი პოსტულატი, რომელიც ყოველმა შემოქმედმა აქსიომად უნდა გაიხადოს ერის მოქმედების დღევანდელი ხაზის განსაზღვრისთვის. ხელოვანმა შემოქმედების ცენტრში საქართველო, ქართველი ერი, მისი წარსული და ანმყო უნდა დააყენოს, ერის ისტორიული მისიის ჩასაწვდომად კვლევის ლიტერატურული ხერხები უნდა გამოიყენოს... სწორედ ეს მოსაზრება გასდევს ლაიტმოტივად ვაჟა ოთარაშვილის პოეზიას. მისი თითოეული ფრაზა და სიტყვა, რომელიც ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას ეხება, ტკივილნარევი და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით არის გამსჭვალული: „თუ ივიწყებ მამა-პაპის საფლავს, თვითმკვლელობის გზას ადგახარ უკვე...“

პოეტი არაერთხელ მიმართავს გმირ წინაპრებს და გულიდან ამოხეთქილ უცრემლოდ დანატირებს წარმოთქვამს: „წინაპართა საფლავებთან დანთებულ სათელეებო... გაიღვიძეთ, ვიღუპებით, გონს მოეგეთ ქართველებო...“ („გაიღვიძეთ!“), „იშანთება საქართველოს გენი, იყიდება საქართველოს ტვინი, დათვლილია საქართველოს დღენი? რადა ვდუმვარ (თუ უცრემლოდ ვტირი...)“ („უცრემლოდ დანატირი“).

„ვინ გვინგრევს მართლმადიდებლობის დანგრევით ქართულ სულიერებას?“ — იკითხავს ავტორი წიგნის ბოლოს დართულ წერილში „დედას, ანუ რაც შენ წახვედი“. პასუხი ერთია — ისევ და ისევ ჩვენ, რადგან დღეს საქართველოში ვაი-ქართველების, ანუ ბულათურქების დოღია გამართული...“, რადგან დავივიწყეთ, რომ „ქართველ ერს მუდამ ახასიათებდა ორი რამ: პირველი — მისი ეროვნული გრძნობა და მეორე — მისი რწმენა, მისი ქრისტიანობა. ეს ორი გრძნობა ჩაქსო-

ვილი იყო ქართველი ადამიანის სულში, ქართველი ადამიანის ბუნებაში“) ფრაგმენტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის 1980 წელს პარიზის წმინდა ნინოს ტაძარში წარმოთქმული ქადაგებიდან).

„მთელი სიცოცხლე არის გამოცდა ჩვენი სულის და ჩვენი სხეულის და მუდამ რაღაც უნდა გტკიოდეს, რომ არ დაკარგოს აზრი ცხოვრებამ...“ (უსათაურო). ეს აზრი პიროვნულიდან მთელ ერზე რომ განვაზოგადოთ, თავისთავად გაჩნდება კითხვა: ბოლო ათწლეულის მანძილზე (ცუდის და კარგის გათვალისწინებით) როგორ ჩავაბარეთ გამოცდა ქართველებმა და რამდენად გავუძელით განსაცდელს? დღეს რა აძლევს აზრს ჩვენს ცხოვრებას და აქედან გამომდინარე, როგორი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია? იქნებ უკვე განცდილი მარცხის გამოა, რომ სულიერება ასე დაკნინდა და მოსაწონი, აღიარებული „ფსევდომასკულტურა“ გახდა. დღეს ჩვენს ცხოვრებას აზრს აძლევს და ვხელმძღვანელობთ არა იმით, რაც გენში გვაქვს, არამედ გარედან თავსმოხვეული ფსევდოფასეულობებით.

„საკითხავია, რას ვითხოვდით ქართველები? რას ვეძიებდით? საკუთარი თავის განდიდებას, უნამუსოდ და უკანონოდ მოხვეჭილ ქონებას, ფსევდოთავისუფლებას, რათა ჩვენი ავი და მდაბალი ზრახვები ყოველგვარი კონტროლის გარეშე აღვასრულოთ“ („წერილი დედას, ანუ რაც შენ წახვედი“). აღვასრულეთ კიდევაც, გავანიავეთ, დავაქუცმაცეთ, დავაკნინეთ საკუთარი თავიცა და ქვეყანაც: „ისევ ძარცვა და ყვლეფა, ისევ ერთმანეთს ვებრძვით... კვლავ შიშველია მეფე, თუხთუხებს ეშმას კერძი... იყო კი თამარ მეფე ანდა ის ოქროს ვერძი?“ რატომ გაჩნდა ეს კითხვა? ის უიმედობის მომენტში წამიერად დაიბადა, თუ განუწყვეტელი ფიქრისა და განცდის ნაყოფია? ალბათ, ეს არის გამუდმებული ტკივილის ამოძახილი, რომელიც გამოხატულებას ლექსში პოულობს. ავტორი ეჭვქვეშ აყენებს არა თავად თამარ მეფისა და ოქროს ვერძის რეალურობას, არამედ უკვირს, დღეს სულიერად ასე დეგრადირებულ ხალხს ჰქონდა თუ არა ოქროს ხანა? თუ გვექონდა, რატომ ვივიწყებთ მას? რატომ ვთრგუნავთ ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეებს და არ ვუმზერთ მომავალს წარსულის მდიდარი გამოცდილებით აღჭურვილნი? შეუსაბამობა კი აშკარად იკვეთება: ერი, რომელსაც თამარ მეფე ყავდა, დღეს ასე ღირსებაშეღალახულია: „ლომგულიც, ორგულიც მრავალი გვყოლია და მიზეზს საკუთარ თავში არ ვეძებდით... ვინ წარმოიდგენდა, რომ მეფე გოლიათს, ცხენი-

დან მოსხედა უბრალო ძეძვები.. ჭილობშიც იცნობენ მღვდელსა თუ სეფექალს, ღმერთო, საქართველო მარადის ამყოფე!.. როგორიც ხალხია, ისეთი მეფე ყავს, როგორიც მეფეა, მას ისე ამკობენ..“

პოეტი მწარე ირონიით დასცინის ყოველივე ფსევდოს, ხელოვნურსა და ვირტუალურს: „პლასტმასის კვირტები, პლასტმასის ფოთლები, პლასტმასის მორები (და არა სატივე..)“ (უსათაურო), ამის საპირისპიროდ კი ამბობს: „სულ სხვა გემო აქვს ქართულ ატამს, ქართულ ბრონეულს, პაპის მიწაზე სისხლით მორწყულს, ღვთისგან მონეულს...“ („მშობლიური“) ის, რომ პოეტისთვის სასურველი და სანატრელი მხოლოდ ყველაფერი მშობლიურია, ჩანს ლექსიდანაც „პრალა — 1976“. „ევროპის ცენტრი — ლუდით, ბარებით, მაგრამ არცერთი მე არ მარგია, ტკბილი ურმულის, ღვინის „გარეჯის“ და დედასპურის მწვავს ნოსტალგია...“ პოეტს შეუმჩნეველი არ რჩება, რომ ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება ზემოქმედების მძლავრი იარაღის საშუალებით, ადამიანთა ცნობიერებაზე უარყოფით გავლენას ახდენს, პოპულარიზაციას უწევს, გამოგონილ, შეთხზულ და რაც მთავარია, ჩვენთვის არაძირეულ, მიუღებელ ფასეულობებს, ამკვიდრებს არაეროვნულ იდეოლოგიას... შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ტელევიზია არის მასობრივი კულტურის, ანუ „ფსევდომასკულატურის“ რუპორი, მისი იდეოლოგიური იარაღი... „სახურავებზე ანტენების ბალახი ღელავს, ღელავს ბალახი — უფერო და ვირტუალური...“ (უსათაურო). მსგავსი განწყობით არის დაწერილი ლექსი „ტრანსპლანტაცია“. „გადაუნერგეს ღვიძლიც, თირკმელაც, გადაუნერგეს ხელის მტევანიც და ჩააკერეს კუჭი იმხელა, რომ ჩაეცია ჩასატევარი...“ დაბოლოს, „კვლავ იზეიმა ღვთიურმა აზრმა, რადგან სული ვერ გადაუნერგეს...“ სწორედ ეს არის მისთვის ამოსავალი წერტილი, რომელიც სასოებას არ აკარგვინებს...

მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ამბობს „ვაი, მიწა ქართულო — ჩაკეცილო ჩოხებად... არ მოუნდა ალუდას ერთხელ უკან მოხედვა...“ (ლექსი „ჭიქი!“), იგი მაინც იმედს არ კარგავს, რადგან ვაჟა ოთარაშვილის პოეზიაში არ არის ყოველსომცველი პესიმიზმი, გაუთავებელი ურვა და სასონარკვეთა. მთელ მის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს ვაჟასეული „მოუნდებაო ლუხუმსა, ლაშარის გორზე შადგომა?...“ ეს არის სასოება, რომელიც ღვთის ნებით, არასოდეს არ ტოვებს ადამიანს და რწმენა უფლისა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე ქართველთა არსებობა განაპირობა: „ო, საქართველოვ, ჯვარზე გაკრული — თუ

ემზადები აღდგომისათვის...“ მას წამს, რომ „კვლავ გაბრწყინდება სვეტიცხოველი და ივერია კვლავ დაიგრგვინებს“. („ილიას ძეგლთან, წინამურში“) „მოვა დრო ქალაქის მტვრიან ქუჩებს ჩემი თაობა კვლავ აალაპარაკებს...“ (უსათაურო).

ეს არის მზის სასიცოცხლო ენერჯითა და სითბოთი გაჟღენთილი ლექსები, რომლებიც „ჩამოთოვლილი“ ტკივილისა და უბედურებების მიუხედავად გულში მაინც იმედსა და რწმენას გვისახავენ... ბევრი ლექსი დატვირთულია მზის სიმბოლიკით და პოეტი მას ხშირად შედარებისთვისაც იყენებს: „ხელში შემაჭვნა მზისფერი ვარდები“, „ყვითელ სიცხეში მოთენთილი მზე იფიცხება...“, „მზე რისი მზეა თუ ომიდან ველარ გამოვა, გამარჯვებული მზის სიმღერას დააგუგუნებს...“, და „მზე იცინის მზეჭაბუკის ლალი სიცილით“ („მზის სიცილი“).

კრებულში შესულია ისეთი ლექსებიც, სადაც საგანთა მიმართ პოეტის განსხვავებული დამოკიდებულება ჩანს. მხოლოდ პოეტურ სითამამესა და ფანტაზიას შეუძლია მკითხველში განსაკუთრებული შეგრძნებები აღძრას, სული ჩაბეროს უსულოს და ამით საგნებს განცდათა სიღრმე და სიმძაფრე მიანიჭოს. „ისინი მუდამ ერთურთს უმზერენ, ერთიმეორით ზომავენ სივრცეს... და იატაკი უზით მუხლებზე, ხან ვერ იტანენ ერთურთის სიცილს“... დაბოლოს, „ეხუტებიან ბოლოს ერთმანეთს მხოლოდლა მაშინ, როცა ნანგრევად ჩაიქცევიან, მაგრამ ფეთქავენ კირქვალოდები შეკრა განგებამ...“ მხოლოდ პოეტის ფაქიზ სულს შეუძლია ყოველივე ღვთისგან ნაშობსა და შექმნილში სულიერება დაინახოს, საგნებს ადამიანური თვისებები მიანიჭოს, პოეზიას ფესვები ძირძველ ფილოსოფიაში. ჯერ კიდევ ჩვ.წ. აღ-მდე გაისმა პლატონის ბრძნული აზრი, რომ „მატერია გამყარებული სულია“. „ცრემლებს ანთხევდა თიხის სხეული“ (უსათაურო) „ეკლის შემურდა ჩამომჭენარის და დაუნყევლა გრძელი ფესვები... იქნებ ზაფხულის ნამსა და სიციხეს ყველაზე მეტად გრძნობენ ველები?“...

პოეტური აღქმის თავისებურება ავტორს საშუალებას აძლევს „დაარღვიოს სამყაროში არსებული წესრიგი და საგნები სულ სხვა ჭრილში დაგვანახოს: „იქნებ ზეცაში სულები ვარსკვლავად ილექებიან, დედამიწაზე დაყრილი მხოლოდ ღორღი და ქვებია... იქნება ზეცა ფსკერია, ჩვენ კი მიწაზე ვტივტივებთ... ამაყი მყინვარწვერია — ცა თავზე ჩამოიმტვრია...“ (უსათაურო).

ღვთიური მარცვლის ძიება სულიერსა თუ უსულოში, ზეცისკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილი პოეტისთვის არის მუდმივი განც-

დისა და ნატვრის საგანი: — „მე იმ მწვერვალს ცხადშიაც ვნატვრობ, ერთხელაც რომ არ დამსიზმრებია“ (უსათაურო) ნატვრა, სიმაღლისკენ ლტოლვა ხომ სიზმარეთზე მეტია... ყოველ ადამიანში არის ეს სურვილი, განსაკუთრებით კი, ის ღვთის მადლით ცხებულთ არ ასვენებთ, რადგან ღვთიური იმპულსები, რასაც ნიჭს უწოდებენ, მათ ზეციდან ეძლევათ „შენში იბადება თრთოლვის მელოდია, ტკივილის ოცნებები, რითიც აფერადდა... მათთვის ყველაფერი მიწად მეორდება, შენთვის ყველაფერი ზეცად აღიმართა...“ („პოეტი“) სწორედ ღვთის ნებით, პოეტური აღმაფრენით ზეატაცებული ნავარდობს ცაში პოეტის სული და ქმნის ლექსებს — ცის სარკმელებს. ლექსი — ეს არის სულიერი წარმოსახვითი — იმაგინაციური ხატი, ცაში გასაფრენად გამზადებული სარკმელი არა მარტო პოეტისთვის, არამედ ჩვენთვისაც, რადგან „მიწაზე რჩება მხოლოდ სახელი, ცა ჩვენი სულის მისამართია...“ (უსათაურო).

ლექსების კითხვისას ჩვენ თვალწინ თითქოს სულიერი დრამა ვითარდება... ცოდებთან და ადამიანურ ვნებებთან ჭიდილში დაღლილი ღვთიური სანყისი მუდამ ზეისწრაფვის: „საკვირველია ჯვარი და ჯვარცმა, ცად ამალეების იდუმალება... აქ, ძველ ხანძთაში აღდგომის განცდა ზე აიტაცეს როკვით ზარებმა...“ („აღდგომა ხანძთაში“). ეს არის ხელთუქმნელი მწვერვალისკენ მიმავალი ეკლიანი გზა და ცოდვიან მიწაზე დარჩენილის ტრაგედია, რომელსაც სულის მუდმივი წრთობის შედეგად აუცილებლად მოყვება სულიერი ფერისცვალება... ცხოვრებისგან მიღებული თითოეული დარტყმა ხომ სულს აღრმავებს, ამდიდრებს, მის განვითარებასა და ამალეებას ემსახურება... ეს არის დრამა, რომელიც სასოებას არ გვაკარგვინებს და ღვთიური ნათელით არის გაბრწყინებული... ჯერ კიდევ ძველ ბერძენთა აზრით, ტრაგედია მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, როდესაც მიღებული განცდისა და ტკივილის შედეგად მაყურებელი სულიერ კათარზისს განიცდის... დაბოლოს, უფლისკენ მიმავალი გზა ხომ ვინროა, ბედნიერება კი სწორედ ღვთისაკენ ლტოლვასა და ზესწრაფვაშია...

პოეტის გული დასერილია „ცოდვის ეკლებით“ და ნატვრობს, რომ მისმა სულმა „სამშობლოს ნათელ სულეთში“ დაივანოს... „ცათა შინა ანგელოსებს სასოებით ვუგალობო სამებისთვის სამ მდელით სანთელს გინთებ უფალო...“ პოეტის უფლისადმი პირველი სავედრებელი ზეციური საქართველოს სიმბოლოს, რწმენის ტაძრის განმტკიცება და გაძლიერება, ამის მოვლა და შენარჩუნებაა, სადაც პირველად დაიწყო

ქართველთა სულის აკვანი: „ბაზილიკებო — ქრისტეს აკვნებო, სურნელება გაქვთ ღვთისმშობლის რძისა... მამაო ჩვენო, ნათლის ნაკრებო, ბეთლემს ნათქვამო თვით ღმერთის ძისა...“ („ბაზილიკები“) ეს არის უფლისადმი აღვლენილი ლოცვა, რომ „საქართველოს არ დაელიოს, ქრისტეს აკვნები — ბაზილიკები...“ („ბაზილიკები“), რომ ჩვენი ცნობიერებიდან არ ამოიშალოს სახარებისეული სიბრძნე, რომელიც ყოველთვის „სულში გვცხებდა მირონს“ და რომლის ნათელიც საუკუნეთა მანძილზე გზას გვიკვლევდა... „იესო არ ჩანს, თორემ იუდა ამ ქვეყანაზე მრავალი დადის... დღეს აღარ ვეძებთ სულიერ სარჩოს, ქოსატყუილა გვმასპინძლობს ჭადით“... (უსათაურო) პოეტის განცდას ისიც ამძაფრებს, რომ „არც დასავლური, არც ჩრდილოური, სულმა ქართული სჯული ინება!“ (უსათაურო).

ის, რომ საქართველოს მადლიან მიწაზე უხვად არის „ქრისტეს აკვნები — ბაზილიკები“, რომ ჯერ კიდევ ანთია „ღვთისმშობლის მზე ისტამბულის ცაზე“ — ქრისტიანული რწმენის სიმბოლო აია სოფიას ტაძარი, პოეტს იმედს არ აკარგვინებს და ათქმევინებს: „ფრესკებს ხომ შემორჩი მარიამის ძეო... ქრისტიანთა გულში ღვთისმშობლის მზეო“ („ღვთისმშობლობის მზე ისტამბულის ცაზე“). აია სოფია — ეს არის სასოების ტაძარი, რომელიც იქმცხოვრები ყოველი ქრისტიანის სულში რწმენის ხანძარს ანთებს ისევე, როგორც დავით გარეჯი, სადაც კიდევ ღალადებს 6000 ქართველი მონამის სისხლი: „გაირუჯა გარეჯი და ჯეჯილი გადახმა, ჯაჭვის პერანგს გაგლეჯილს, ძვრა ვერ უყო ალაჰმა“ („დავით გარეჯის მონასტერი“).

ახლაც „ხინკლით დანალმული“ წინამურის გზაზე და მცხეთის ღვთის მადლით სავსე მიწაზე „ქონს ინმენდავს ბერბიჭაშვილი“... „ვით იოანე ნათლისმცემელი, მტკვარსა და არაგვს ისე გაჰყურებ... აქ რესტორნებმა შთანთქეს ტყე-ველი, მძიმე გვამები სრესენ სამყურებს...“ („ილიას ძეგლთან, წინამურში“) მაგრამ „კვლავ გაბრწყინდება სვეტიცხოველი“, რომლის აღმშენებელმაც ხელოვნების მფარველი ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულის სამსხვერპლოზე მიიტანა საკუთარი თავი, რათა მომავალშიც ტაძარი ქართველთა რწმენის განსამტკიცებლად, მათ იმედად და ნუგეშად მდგარიყო. „ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს არ ეწევა სიკვდილი („დიდოსტატის მარჯვენა“ კ. გამსახურდია), დავინყება არ უწერია იმ ხელოვნებას, რომელიც ღვთისა და ხალხის სამსახურშია და იმ ოსტატს, რომელიც პიროვნულ ტრაგედიაზე მაღლა დგება და შეუძლია თქვას „დაე მომკვეთონ მეორე მკლავიც, ოღონდ

ერთობა იყოს ქართველთა... ვერც წინამურთან ველარ მომკლავენ, თუ საქართველოს სული გამთელდა“ („ხეკორძულელის აღსარება“). „ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება“, როგორც ქვაში ნაკვეთი ისტორია მცხეთას უფლის კვართის ჩამოტანისა, ქართველთა გაქრისტიანებისა, ისტორია ხელოვანის ბედისა, რომელსაც მკლავს კვეთენ თანამედროვენი და სათანადოდ აფასებენ მომავალი თაობები: „მოეკვეთება ყველას მარჯვენა, მეფეზე მეტად ვინც იარნივებს! მაცხოვრის კვართის გადასარჩენად ფარისეველთა ვძლიე ქარნივებს!“ („ხეკორძულელის აღსარება“). სწორედ ეს არის ტრაგედია, რომელიც უფლის ნათლით არის გაბრწყინებული, რადგან რაც უნდა მძიმე იყოს ბედისგან მიყენებული დარტყმა, თავად ხელოვანი ხვდება, რომ მის შემოქმედებას ღვთიურ-ისტორიული მისია აქვს დაკისრებული... ჭეშმარიტი ხელოვანი ხომ ყოველთვის მარტოსულია, ტალანტი კი სათანადოდ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ფასდება: „ღმერთო პოეტის სიკვდილია ნუთუ საჭირო, რომ დაინახონ ქმნილებათა უკვდავებანი?“ („ნიკოლოზ ბარათაშვილი“).

იქნებ სულით ობლობა და მარტოსულობა შედეგია იმისა, რომ პოეტი საგნებსა თუ მოვლენებს სრულიად განსხვავებულად აღიქვამს, მისი ფაქიზი სული ყველაფერს მძაფრად, სიღრმისეულად განიცდის და ძალიან ბევრ კითხვაზე სწორ პასუხს ეძებს. ეს არის მძიმე ტვირთი, რომელიც მას ღვთის ნებით ეკისრება: „ჯერ მე ვუდგავარ ზვავებს მეგზურად, ბეჭით მიჭირავს თოვლის სიმძიმე და ზენა ქარი — ძველი მეზურნე ჩემს გაფითრებულ შუბლზე იძინებს...“ („ცხრამთა“).

პოეტი მუდმივი ძიების პროცესს მხატვრულად ჭაბუკის კუდიანი ქარების დევნას ადარებს და არა ქარის წისქვილებთან ბრძოლას, უაზრო დაღლას უსაგნო და უმიზნო იდეისთვის. „და დაეძებდა კუდიან ქარებს, გამოპარულებს ბებოს ზღაპრიდან და რა იცოდა, მთელი სიცოცხლე, თუ იმ ქარების დევნა დაღლიდა“ (უსათაურო) მხოლოდ პოეტს შეუძლია ლექსად დარდი ისე აამეტყველოს, რომ მტკივანი სულის მოუშუშებელი იარები „მარტოობის ტანმოვერცხლილ იარაღს“ („მარტოობის დასაწყისი“) და გულში გაჩრილ „ლეკურ ვერცხლის ხანჯალს“ შეადაროს... სწორედ ლექსია სულის ანარეკლი, გულისწორისა, სულის ნახევრის ძიების მეისტორიე, სიყვარული კი გრძნობა, რომლის სიტყვით გადმოცემა პოეტსაც კი უჭირს: „როგორ ხატავენ ნეტა მხატვრები ღამეში თოვლს და თოვაში ლოდინს...“ (უსათაურო).

პოეტი სიყვარულს სულში „ქარის კვიცლს“ ადარებს. ეს არის მძვინვარე ქარივით ბობოქარი გრძნობა, რომელიც სულს ახმაურებს. „ღამე და ქარი უკვე ლექსია გაურითმავი და უცნაური...“ (უსათაურო), ან „მე ქარად მოვალ, გაგიღებ სარკმელს, უნახაობით განახელები“ (უსათაურო).

სიყვარული არის პოეტური შთაგონებისა და მუდმივი აღმაფრენის წყარო, რაც აამალლებს და კიდევ ერთ საბაბს მისცემს იმისთვის, რომ სულისთვის ზეცაში გასაჭრელი სარკმელი — ლექსი შეიქმნას. „და კელაპტართა სიმხურვალეში მე მხოლოდ შენი თვალები მწვავდნენ და ვგრძნობდი უკვე, რომ შენს გარეშე, ვერ მივალწევდი მზემდე და ცამდე...“ (უსათაურო).

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ახალი შეხვედრის შემდეგ პოეტი კვლავ „უბინაო და ქარივით მარტო“ რჩება (უსათაურო), ის მაინც სულის ნახევრის, იმ ერთადერთის და განუმეორებლის ძიებაშია, რომელიც მარად მიუწვდომელი რჩება „რა უსირცხვილოდ ღამაზი და რა უსაშველოდ ქალური ხარ... გულმა შენზე დარდი ამოზიდა, ღანვზე ნაკიდებულ აღმურიდან...“ (უსათაურო) სწორედ ამაღლებული სიყვარულის შთაგონებით იქმნება მსგავსი პოეტური სახეები: „სიყვარული ის წმინდა მარიამია, რომელიც ქრისტეს შობს ჩვენს სულში... მე შენი პოვნა არ მინანია, არც მომავალში და არც წარსულში...“ (უსათაურო), ან „მე შეხვედრები მქონდა მრავალი, ბოლოს კი მაინც ვრჩებოდი მარტო... შენამდე ცხრა მთა გადასავალი დამრჩა ჭაბუკურ სიზმრების ხატო...“ (უსათაურო).

პოეტისთვის ამაღლებული და წმინდა სიყვარული ზეციურ ფერთან — ცისფერთან ასოცირდება. აქაც ნათლად იკვეთება სულის ზესწრაფვის დაუოკებელი სურვილი, რასაც სიყვარულის ნეტარი გრძნობით მოგვრილი განცდა კიდევ უფრო აძლიერებს: „ცისფერი ცრემლები, ცისფერი თვალეები, შეხვედრა კვლავ წმინდა ბარბარეს შევთხოვე... სულში კი მუსიკა ინვოდა წამებით, თუ ცეცხლად ეკიდა კლავიშზე ბეთჰოვენს?“ („ცისფერ დედოფალს“) ეს არის ზეციურ ფერზე კიდევ უფრო მეტი „უცისფერესი ყვავილი“, რომლის მოწყვეტაც დანაშაულის ტოლფასია. სწორედ ამაშია გრძნობის სიღამაზე და სინმინდე „ისე ღამაზად უნდა მიყვარდე, რომ დამენანოს ვარდის მოწყვეტა, ღრუბლებს ცვარნამი ველზე ჩამოჰყვა, ზეცის სინმინდის ერთგულ მოწმეთა“ (უსათაურო). ამიტომაც პოეტი კითხულობს: „ზეციდან ჩამოღვრილ წვიმებს, ციური რატომ არა აქვთ ფერი?...“ სწორედ სიყვარულის ამაღლებული გრძნობისთვის არის ნაბოძები მსგავსი ზეციური იმპულსები:

„პოი თამარის ნუშის თვალებით გადაბინდულო ყინწვისის ფრესკავ... გული შენს ტრფობას ევასალება და სიყვარულით კვლავ ამომესკვნა.“ (უსათაუროდ) ეს არის გადარჩენის გზა სულით ობოლისთვის, ნავსაყუდელი მარტოსულისთვის და თავშესაფარი სევდიანისთვის დარდების განსაქარვებლად, მტანჯველი გრძნობა, რომელსაც მიყენებული ტკივილისთვისაც კი მადლობას უხდინან. „მე შენ მიხსენი, როცა დარდები, იმარცვლებოდნენ დაცლილ ფერებად... როცა მეგონა, უკვე ვმთავრდები, ჩემს ცაზე მაშინ გადაიჭექა...“ (უსათაურო).

პოეტი ხან ტრფობით და ვნებით გახელებული მიჯნურია, ხან კი თავს გადამხდარი სასიყვარულო თავგადასავლების შემდეგ კვლავ საკუთარ თავსა და მშობლიურ კერას უბრუნდება... ავტორი თავის სულიერ განწყობას, სიყვარულისგან მოგვრილი ტკივილისა თუ სიხარულის გადმოსაცემად უხვად იყენებს პოეტურ შედარებებსა და მეტაფორებს: „მერე ვეძებდი ჩამოშლილ თმებში რიბირაბოზე მომწყდარ ვარსკვლავებს... ღია სარკმლიდან მაისის თქეში შენი ტანივით შემომასკდა მე...“ თუ პოეტი ერთგან ამბობს, რომ დასანანია სიყვარულის ყვავილის მოწყვეტა, სხვა შემთხვევაში „დაგლეჯავს ქარი უმანკობას“ და სულ სხვა გრძნობის, ხორციელი სიყვარულის ალში გახვეული იტყვის: „მომენატრება იანვრის ყინვა და ზაფხულივით ცხელი ტუჩები...“ (უსათაურო) „ეგ დასანავი წვივებია, ვნების ჯეჯილს რომ მითენთავენ... მიდი, სანამ გრილი წვიმებია, მოასწარ, როგორც გინდა ითავთავე...“ (უსათაურო), ან „მომაგონდება თრთოლვა სხეულის, ანაკვერცხლება შენი ტუჩების...“ (უსათაურო). რამდენადაც სიყვარული ღვთისგან ნაბოძები მადლია, იმდენად ღალატი ადამიანური თვისება, ქვენაგრძნობაა, რომელსაც ყოველთვის იმედგაცრუება მოყვება. სიყვარულის კომპი მაშინ ინგრევა, როდესაც გრძნობა უპასუხოდ რჩება, ან საკუთარ თავში და მეორე ნახევარში დარწმუნებულები ვხვდებით, რომ სხვაზე გვცვლიან და გვღალატობენ: „და ყველა ქალში არის ქალწული, არის მეძავიც, არის ქალღმერთიც... ერთგულებაში ვერ დამარწმუნებთ სიქსტის მადონას მშვიდი სახეთი...“ (უსათაურო).

სატრფოს დაკარგვით გამოწვეულ სევდასა და დარდს, ოცნებების მსხვრევას პოეტი ვაივიშით კი არ გამოხატავს, არამედ ძალიან მარტივი მხატვრული ხერხით, რომელსაც გარეგნული სისადავის მიუხედავად, იმდენად სიღრმისეული დატვირთვა აქვს, რომ ბოლომდე ასახავს განცდების და გრძნობების

სიმძაფრეს. „ვით პატარძალი მეოცნებე თენდება დილა, შემოდგომაზე ქორწილს გიხდინან... როგორც ობოლ ბიჭს შუა გზაზე გამიტყდა ქილა, შენამდე მხოლოდ სევდის ხილია...“ (უსათაურო). მხოლოდ პოეტს შეუძლია სატრფოს ქორწილი ოცნების ჩამოხრჩობას და ეშაფოტს შეადაროს, ნიშნობის ბეჭედი კი ყულფს, რომელიც თითზე მიცურავს: „სევდის დედოფალს ეთხოვება მისი ამაღლა და სცვივა თმის მარგალიტები... რჩება ქმრისა და დარდის ამარა და ცახცახებენ ბეჭდების ქვეშ თლილი თითები...“ (ქორწილის მეორე დღე).

ვ. ოთარაშვილის მეტაფორებით, შედარებებით, პოეტური სახეებით მდიდარი ლექსიკა კიდევ უფრო აძლიერებს მისი ლექსებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას. ძნელია ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებზე გაზრდილი მკითხველის გაკვირვება, მაგრამის ლექსები, სადაც წერია, რომ „ღრუბლის ხევისბერები დგანან ზეცის დარდებად...“ („ხევსურეთში... მუცოს გზაზე...“) „თებერვალს თეთრი ცხენები უყვარს და ენძელების დაქალწულება,“ (უსათაურო) „და ღვთისმშობელის ცისფერი სული ეფინებოდა რიყრაყად ქალაქს“ (უსათაურო) „აქ ღვთისმშობელი თუ კრეფდა იებს, რომ ყრმა იესოს თმები მოერთა...“ („ქარის საყდართან“) „მზე ქედზე გდია სისხლზე წითელი...“ (უსათაურო) „დღე ნაქცეულა, როგორც ნიფელი...“ (უსათაურო) „ღამე ამოდის წყლიდან კვიცივით და შეიმშრალეს ნიაზე სველ ტანს...“ („რკონში“), „ღრუბლები — ნათლის ძველი ქურდები, მთვარეს პარავენ მძინარე ქალაქს...“ (უსათაურო) და ა.შ. ყოველგვარ გამოცდას უძლებენ.. მხოლოდ პოეტის მთრთოლვარე სულმა შეიძლება დაინახოს, რომ ცა ცისარტყელებით არის „გადანაჩეხი“ და „მზე საქართველო — ოქროს ნატეხს“ შეადაროს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ოთარაშვილი პეიზაჟის იმპრესიონისტული ხატვის დიდოსტატია. ის კალმის ერთი მოსმით, სიტყვის ყოვლისშემძლე ძალისა და პოეტური ხერხების გამოყენებით გადმოგვცემს ბუნების სურათს და სუბიექტური აღქმით მიღებულ შთაბეჭდილებას ჩვენეულსა და ახლობელს ხდის: „ახალგათხოვილ ქალს გავდა ჭალა, ახალგათხოვილს — ქმრის მომლოდინეს... ქარს ნაქცია უჩუმრად ჩალა მოლის ლოგინზე...“ (უსათაურო) ჩვენს თვალწინ იმპრესიონისტული სურათი იშლება, როდესაც პოეტი შემოდგომის პეიზაჟით, ან ჩამავალი მზის სილამაზით მიღებულ შთაბეჭდილებას გვიზიარებს: „დგას შემოდგომა, როგორც ნათლია და ზამთარს გამხმარ გვირილებს უკმევს...“ (უსათაურო), „ავგისტოს ხვატი, წინ შენი ხატი... გადაძოვს ჩრ-

დილი ოქროსფერ ჩალას...“ პოეტი დაისს ნაქცევულ ნიფელს ადარებს, ცადაზიდულ სალ კლდეებს კი, ხან ქალწულს, ხან კიდევ შიშველ ამორძალს: „მთებზე ამაყი ისევ მთებია გალაქტიკური იდუმალებით... სალი კლდეები მზეზე თბებიან, როგორც შიშველი ამორძალეები...“ (უსათაურო).

სახე-შედარების საუკეთესო ნიმუშია ლექსი „მამას“, რომელშიც პოეტი მშობლის დაბერებას, წლების მატებას, მხატვრულად ბინდის დადგომასა და კლდის ჩამოშლასთან აიგივებს. „კლდე იშლებოდა: ყოველი კენჭის ჩამოცვენა მოჰგავდა კენესას და გიშრდებოდა შებინდებისას მთის ქვაბურები...“ სახე-შედარებებს თუ მეტაფორებს პოეტი ლექსებში ხშირად იყენებს წინაპრებისადმი პატივისცემის გამოსახატავად: „აი, იმ ქედებზე პაპაჩემის პაპის ძვლებია (ქარმა წისლები საფლავებთან მიაფარფატა), გაივლის დრო და... ეგ ბიჭებიც დაიზრდებიან კაცმა არ იცის, ვინ იქნება მათში პაატა!“ (უსათაურო).

პოეტი ხშირად მიმართავს ალიტერაცია-საც. ასეთ ლექსებში ბგერათა რიტმული გამეორება შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, მხატვრული ქსოვილის გასამდიდრებლად არის გამოყენებული: „მუხრანბატონის საბატონეში, ჩიტბატონები ბატიბუტს ჭამენ...“ („ალიტერაციული სურათი“), „თუმცა არ უყვართ მადღრებს მოძღვრები, ძღვენი ძღვებიან უძარღვო ძენი...“ (უსათაურო), „გაირუჯა გარეჯი და ჯეჯილი გადახმა, ჭედვის პერანგს გაგლეჯილს ძვრა ვერ უყო ალაჰმა...“ („დავით გარეჯის მონასტერი“)... რაც შეეხება ფორმას, პოეტი ძირითადად რითმიან ლექსებს წერს, მაგრამ აქვს ე.წ. „ფორმიანი“ (გეომეტრიული) კუპლეტებიც. მაგალითად, „ლექსების პირამიდა“, რომელიც ფორმით პირამიდას მოგვაგონებს. დასასრულს კი პოეტი საკმაოდ თამამად აცხადებს, რომ: „მე სულით, გულით, ნიჭით, ჟინით მინდა, ავაშენო ლექსების პირამიდა“, აგრეთვე „შემოდგომა ჩოგბურთის კორტებზე“, რომელშიც თავად ლექსის რიტმულობა ჩოგბურთის თამაშის დროს ბურთის დაცემას მოგვაგონებს. „ფორმიანი“ ლექსების რიცხვს მიეკუთვნება „კოსმიური დემარშიც“, რომელიც მუსიკის პანგებზეა აგებული: „რე დო მი რე სოლ მი რე მი სი ლა... უკიდევანო დამაქვს მუსიკა“, ასევე „თვალის გამტერება“, რომელშიც აღწერილია „ზეცას მიჯაჭვული“ მრავლისამთქმელი მზერა და ფიქრი, ფრენასავით ლალი და უკიდევანო, რომელიც პოეტს ათქმევინებს: „მე დავენევი ზვიად არწივებს პროიმეთოსმა რომ შეაჩვენა“ დაბოლოს, „უცნაური“ ეპილოგი: „ზეცას მიჯაჭვული მზერა, თვალში ჩავარდნილი ნისლი, საკლავს დასტრიალებს ძერა, ხორცი

მისი არის, მისი!“ ვ. ოთარაშვილის ლექსებიდან აღსანიშნავია ვერლიბრებიც „მე შენზე ბედნიერი ვარ ძმაო...“ (უსათაურო), „გუშინ დედაჩემის მკურნალ ექიმს ფული ჩავუდე...“ (უსათაურო).

კრებულში არაერთი ლექსია შეტანილი, რომელიც ხალხურ მოტივებზეა შექმნილი. მაგალითად „ეჰ, მგლის ლეკვები, ეჰ, მგლის ლეკვები სიზმრად თუ კიდევ იზრდება ალგეთს“: (ფერეიდან). საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი სიბრძნითა და ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებით ნასაზრდოები ლექსები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ პოეტისთვის ყველაზე ფასეული მშობლიურ ფესვებთან, მიწასთან და ხალხთან სიახლოვეა: „რომელი ლექსი დარჩება ნეტა, ჩემი ცხოვრების ეპიტაფიად... ხევისბერივით ხინკალს მოვხვრეპავ, პირს ჩამიფუფქავს ცხელი კაფია...“ („ლხინი ხევსურებთან“) „იმაზე ცოტა მეტი ვარ, („ხალხურ მოტივებზე“) ან „ირგვლივ ლივლივებს სილურჯე წმინდა, ჩანჩქერში სხივი ხმალივით ელავს... პაჭიჭებსა და ხევსურულ წინდებს, ალუდას უქსოვს ლამაზი ლელა...“ („დილა ხევსურეთში“) პოეტი ხალხური ინტონაციებით ეხმიანება სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ თემას, „სიკვდილი არაფერია, ძნელი სიკვდილის შიშია, სიცოცხლე ზეცის ფერია, შენ მეღანდები ძილშია... თუმცა სიცოცხლე ტანჯვაა (აბა რა ჰქვია უშენოდ?) მოდი, დამკარი ხანჯალი, იქნება სიკვდილს ვუშველო...“ (უსათაურო).

ქართული ხატოვანი გამოთქმები, ანდაზები, აფორიზმები პოეტს მხატვრულად აქვს გადამუშავებული, რის შედეგადაც ლექსიკური მარაგი ამოუნურავი, კიდევ უფრო გამდიდრებული და შთამბეჭდავია. ის, რომ პოეტის მხატვრული ენა ხალხური ფესვებით, ფოლკლორით არის ნასაზრდოები, ჩანს ლექსთა სათაურებიდან: „იმაზე ცოტა მეტი ვარ“, „ბინდისფერია სოფელი“ და ა.შ.

ზოგჯერ პოეტი უკვე კარგად ნაცნობი და ჭეშმარიტებად აღიარებული საკითხებისადმი ახლებურ, განსხვავებულ მიდგომას გვანჯდის. ეს არის პოეტური ხედვის მაგალითი, რომელიც პოსტულატის სახეს იღებს: „სიკეთე ქენი ქვაზე დადე და ეძებე ახალი ქვები სიკეთის დასაწყობად“ (უსათაურო)...

კრებულში შეტანილი ლექსებიდან ცალკე აღსანიშნავია დედისადმი მიძღვნილი ციკლი. — მანამდე კი უნდა ითქვას, რომ პოეტის შემოქმედების გაცნობისთანავე თვალწინ გვიდგება ტრადიციებზე დამყარებული ოჯახი, სადაც თაობათა უწყვეტი ჯაჭვი მშობლებისადმი, წინაპრებისადმი სიყვარულსა და პატივისცემას გვიწერავს („პაპაჩემი“, „ბებიჩემის — მარიამ ჩერქეზიშვილის

ხსოვნას“, „პაპა“, „ბებია“, „ნაბდის ქუდი“, „ცრემლი ვაზზე“, „გიგა პაპა“ და ა.შ.) სწორედ ოჯახიდან, ბებოსა და პაპის სითბოდან, მშობლის ალერსიდან, ქართლის ველების სილამაზიდან იწყება პოეტისთვის სამშობლოს სიყვარული. „ა, ემ ცაძა და მინამ შემეჭამა, ა, ემ ცაძა და მინას ვუმღერდი, ხან ხმალსა ვჭამდი, ხანაც შეჭამანდეს, ხან ხართან ერთად მედგა უღელი...“ დაბოლოს, „ორივე დამრჩა გაუცვეთელი, ახლა შენია ორთავ, შენ განვდი... როგორც თევდორეს საყდრის კედელი, ა, ემ ცაძა და მინას შეაცვდი...“ („პაპაჩემი“)

ათვლის წერტილი კი, ყველასთვის პირველ რიგში მშობელი დედაა, რომლის სითბოსა და სიახლოვეს თვალის ახელამდეც კი ვგრძნობთ, რაც მომავალში ყველაზე სანუკვარსა და მშობლიურის მიმართ განუსაზღვრელი სიყვარულის საწინდარია... ძნელია დედისადმი მიძღვნილი ლექსების ცრემლმორეული თვალების გარეშე კითხვა, რადგან მშობლის დაკარგვის უკვე განცდილი თუ მომავალში განსაცდელი ტკივილი ყველასთვის ახლობელი და კარგად ნაცნობია... დედა — ეს არის მარად სათაყვანებელი და წმინდა ხატება, რომელიც პოეტს მუდამ თან სდევს. „ვიცი ზურგს უკან დედაჩემის თბილი ლანდია, ოდნავ ამაყი, ვერცხლისფერი და მომღიმარე...“ სწორედ დედის ხატ-სახეა ის შვლის ნუკრი, რომელიც ციურ მდელოზე დგას და თევდორეს საყდარზე კენტად მჯდომი მტრედი: „თევდორეს საყდარზე მტრედები სხედან, მხოლოდ ერთს აკლია ნაპირზე მოცალე... შენ გენაცვალოსო შვილო, დედა, დედის ძუძუები სულ მუდამ გლოცავენ...“ დედაა ის საფუძველი, რაზეც ყველა ჩვენგანი აღმოცენდება და დასაბამს იღებს, ის ნიადაგი, რომელშიც ღრმად გვაქვს ფესვები გადგმული, ჩვენი სულიერი საზრდო და მუდმივი ნავსაყუდელი, რომლის დათესილი მაღლი ცხოვრებაში გზას გვინათებს... მის სულს საიქიოშიც კი, შვილზე დარდი არ ასვენებს: „სამარის ქვა აირეკლავს მთვარეს, დედაჩემი დამამშვიდოს ცდილობს: სიზმარს რატომ გამოყევი გარეთ, სახლში წადი, არ შეგცივდეს შვილო.“ (უსათაურო) პოეტისთვის დედა არ არის მხოლოდ ის ადამიანი, ვინც სიცოცხლე მისცა და აღზარდა, არამედ ის, პირველ რიგში, სულიერი მოძღვარია, რომელმაც ცხოვრებაში ძირითადი ფასეულობები განუსაზღვრა, ქართული სიტყვის მაღლს აზიარა, ტრადიციებისა და ყოველივე მშობლიურის სიყვარული ასწავლა: „და ვიკვებები მე შენი ლექსით, როგორც შენ იკვებებოდი ჯერ ჩემი სისხლით, შემდეგ კი სიტყვით...“ (ფრაგმენტი დედის წერილიდან შვილისადმი). „მე უნდა ვიყო წელგამარული და შენზე ლექსად ვილაპარაკო, შენი ნასწავლი ტკბილი ქართულით

უნდა დაგხატო და გაქანდაკო...“ ეს ნათლად ჩანს წერილში, რომელიც კრებულის ბოლოს არის დართული „დედას, ანუ რაც შენ ნახვედი...“ ეს არის წერილობითი აღსარება, გარკვეულწილად ანგარიშიც კი, რომელშიც შვილი დედას უყვება ქართველთა სულიერი დაკნინებისა და ეროვნული ფასეულობებისადმი, ტრადიციებისადმი პატივისცემის დაკარგვის შესახებ “ „დღეს თვითშენიერების განირვამ შეცვალა: ებრძვიან მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, როგორც ქართველთა უმთავრეს იდეოლოგიურ მრწამსს, რამეთუ იგია ჩვენი ერის სულიერი არსებობის განმსაზღვრელი. სულიერი დაცემის შედეგია ჩვენი დღევანდელი ყოფა. მაგრამ მწამს ივერიას ღვთიური, ისტორიული მისია აქვს მსოფლიოს წინაშე და არა გეოპოლიტიკური...“ გაზაფხული მოდის დედა. სანთელს ვანთებ შენი სულის მოსახსენებლად... ვიცი, ამ წერილს შენთან ერთად სხვა დედებიც წაიკითხავენ და შენ თუ ვერა, ისინი გამომიგზავნიან პასუხს...“ („წერილი დედას, ანუ რაც შენ ნახვედი...“).

თემატიკის მრავალფეროვნების მიუხედავად, სწორედ დღევანდელი „ქართლის ჭირია“ პოეტის ძირითადი საფიქრალი, ლექსი კი, „უდიდესი მწუხარებისა თუ სიხარულისგან აღმომხდარი ტკივილი (წინასიტყვაობა ნიგნისა „აღსარება“), მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ის მომავალს იმედიანი თვალებით უმზერს და გადარჩენის გზას თავად ჩვენში ხედავს. ეს ნათლად ჩანს ლექსიდან „ჩვენ გადავრჩებით“, რომელსაც წამძღვარებული აქვს გრიგოლ რობაქიძის ფრაზა: „ქართული გენი — როკვით განფენილი.“ „ცეკვაში უფლის მაღლით შემოგვრჩა, ქართული სული და რაინდობა... მიუნვდომელი ქალის სინორჩე, თეთრი მანდილით რომ დაინდობა... როცა ვაჟკაცებს ცერიდან ცეცხლი, წაეკიდებათ სხეულზე მწველად, მგონია ბრწყინავს კავკასის ვერცხლი და ხანჯლის პირზე უშიშრად ვნევარ.“

სწორედ ამ რწმენით და იმედით იგება პოეზიის ტაძარი, რომელსაც თან მუდმივი ძიების პროცესი ახლავს..

„ერთი ლექსი მაპოვნინე ნამდვილი, გევედრები უფალო!..“ ვისთვისაც „ქართული ზეცა მზერასრულია“, ვისაც ქართული ცის ფერი იას აგონებს, ძალიან ბევრი ნამდვილი, ქართული მზითა და ქართული სულით გაჟღენთილი ლექსი აქვს ნაპოვნი და ჩვენამდე მოტანილი. მაშინ, მივიღოთ, გავიზიაროთ და გავთბეთ იმ ქართული მზის ჯანსაღი ენერგიით, რომელიც ასე ჭარბად გამოსჭვავის ვაჟოთარაშვილის პოეზიიდან...

2004, მარტი



საქართველო
საქართველო

ჯაზი

ისე, როგორც ყველა მუსიკალური მიმდინარეობა, ჯაზის საწყისიც ხალხური მუსიკალური წყაროებია, მისი წარმოშობის თარიღი კი, საუკუნეთა წიაღში იკარგება. თუმცა ცნობილია, რომ 1620 წელს ამერიკაში პირველი შავკანიანი მონები გამოჩნდნენ. მომდევნო 100 წელიწადში მათი რიცხვი 100000-მდე გაიზარდა, ხოლო 1790 წელს მილიონამდე.

სწორედ აფრიკული რითმები გახდა ის ნოყიერი ნიადაგი, რომელზეც შემდეგ ერთერთი ყველაზე უფრო თვითმყოფადი მუსიკალური მიმდინარეობა—ჯაზი აღმოცენდა.

მიუხედავად იმ განუზომელი როლისა, რომელიც აფრიკულმა რითმმა ჯაზის ჩამოყალიბებაში შეასრულა, არასწორია

ვიფიქროთ, რომ ჯაზი, მხოლოდ შავკანიანთა მუსიკალურ ტრადიციებზე აღმოცენებული მიმდინარეობაა. მართლაც, მათ არ შეეძლოთ სამშობლოდან მუსიკალური ინსტრუმენტების წამოღება. მეტიც, მონად ყოფნის პერიოდში, შავკანიანებს მუსიკალური ინსტრუმენტების კეთებაც კი ეკრძალებოდათ. ჯაზი-ევროპული მუსიკის და აფრიკული რითმის სინთეზია, ეს კი ორი, რადიკალურად განსხვავებული კულტურაა. აფრიკული მუსიკა თავისი ბუნებით იმპროვიზაციულია, ახასიათებს მუზიციერების კოლექტიური ფორმა, რომელიც მკაფიოდ გამოხატული პოლირითმიით გამოირჩევა. ევროპული მუსიკისაგან განსხვავებით, აფრიკულ მუსიკაში მელოდიური ან ჰარმონიული საწყისი ნაკლებად მნიშვნელოვანია.

თავის მხრივ ჯაზის ჩამოყალიბებაში ევროპულმა მუსიკამაც ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ჰომოფონიური მელოდიური ნაგებობანი, მაჟორ მინორული კილოები, ჰარმონიული შესაძლებლობები ის ნოყიერი ნიადაგი გახდა, რომელზეც ახალი თვითმყოფადი მუსიკალური მიმდინარეობა ამოიზარდა. ჯაზი-აფრიკული ემოციური, ინტუიციური, იმპროვიზაციული მუსიკისა და ევროპული რაციონალური მუსიკის ნაზავია.

დღესდღეობით მეცნიერები მიდიან დასკვნამდე, რომ პირველი მუსიკალური ინსტრუმენტი—ადამიანის ხმა იყო. პრიმიტიული ვოკალი—პირველად აჟღერებული მუსიკაა, და არა აქვს მნიშვნელობა სად, ის უბრალოდ პირველად აჟღერდა. ჩვენამდე მოღწეულია 300 წლის წინანდელი ე.წ. შავკანიანთა შრომის სიმღერები, რომლებიც ზანგ მონებს იმ მძიმე სამუშაოს შესრულებაში ეხმარებოდა, რომელსაც ისინი ეწოდნენ. იქნებოდა ეს ბამბის პლანტაციებზე მუშაობა, მძიმე ტვირთის თრევა პორტში თუ სხვა რამ.

სიმღერის დროს ლიდერი სოლო პარტიას ასრულებდა, ხოლო დანარჩენები გუნდური პრინციპით პასუხობდნენ. ამ სიმღერებს, უკვე გააჩნდათ თვისებები, რომლებიც მოგვიანებით ჯაზში გამოვლინდა. მაგალითად სოლისტისა და გუნდის ურთიერთდამოკიდებულება, ბლუზური ანუ არატემპერირებული მუსიკალური გამის გამოყენება, ენერგიული, მყვირალა სასიმღერო მანერა, სინკოპირებული რითმები. ასეთ სიმღერებს მოგვიანებით ოლლერს - დაერქვა.

ჯაზის საწყისად ოთხი მუსიკალური მიმდინარეობის გამოყოფა შეგვიძლია:

1. სპირიტუელსი - შავკანიანთა სასულიერო სიმღერები.
2. ბლუზი - მოხეტიალე მუსიკოსების მიერ შესრულებული კომპოზიციები, რომლებიც

ზანგთა რთულ ცხოვრებაზე მღეროდნენ.

3. რეგთაიმი - აფრიკულ რითმებზე დაფუძნებული საცეკვაო მუსიკა, რომელიც ფორტეპიანოზე სრულდებოდა.

4. ევროპული ხალხური და სასულიერო მუსიკა.

აფრიკელი მონების ქრისტიანულ მრწამსზე მოქცევამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აფრო-ამერიკული მუსიკის განვითარებაში. შავკანიანები არ იყვნენ ახალი რწმენის წინააღმდეგნი, რადგან ახალი რწმენა თავისუფლების ერთადერთი იმედი იყო. ეკლესია მათთვის იმ საშინელი რეალობისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა, რომელშიც ისინი არსებობდნენ.

აშშ-ს სამხრეთში კათოლიციზმი ყვაოდა, რომლის მსოფლმხედველობა იძლეოდა საშუალებას, რომ მის ფონზე ახალი მუსიკალური კულტურა აღმოცენებულიყო. უფრო რთულად იყო საქმე ჩრდილოეთში, სადაც პროტესტანტიზმი ყვაოდა.

პურიტანელები, რომლებიც თავიანთი გადამეტებული კონსერვატიზმის გამო ძალიან მძიმედ აღიქვამდნენ ნებისმიერ სიახლეს, ყოველმხრე ეწინააღმდეგებოდნენ ხელოვნებაში რაღაც ახლის აღმოცენებას. აქედან გამომდინარე, არ იყო შემთხვევითი, რომ აფრო-ამერიკული მუსიკა სამხრეთში უფრო განვითარდა, ვიდრე ჩრდილოეთში. ზანგთა სასულიერო სიმღერა ანუ სპირიტუელი, XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ამერიკის სამხრეთში წარმოიშვა. ამ მუსიკის პირველწყარო თეთრკანიანი მისიონერები და ემიგრანტების მიერ შემოტანილი რელიგიური ჰიმნები და ფსალმუნები გახდა. სტრუქტურულად ეს არის ჟანრი, სადაც ევროპული მუსიკალური ფორმა აფრიკულ მუსიკალურ მახასიათებლებს შეერწყა. ამიტომ, სპირიტუელი - ფორმით ევროპული მუსიკაა-ჟანრით აფრიკული. მას ხომ კოლექტიური იმპროვიზაცია, თავისებური რითმიკა, გელსანდო, არატემპერირებული აკორდები, ზედმეტი ემოციურობა ახასიათებს. მუსიკალურის გარდა სპირიტუელს დიდი სოციალური დატვირთვაც გააჩნდა, რადგან ამ მუსიკის საშუალებით მსოფლიომ შავკანიანი ხალხი—როგორც მოაზროვნე ხალხი ისე გაიცნო.

სპირიტუელის ერთ-ერთი განშტოება ე.წ. „რინგ-შაუთი“— ლოცვით მომღერალ ზანგთა ჯგუფური ცეკვაა. ეს არის რიტუალი, რომელსაც კულმინაციის დროს მაღალი ემოციური მუხტი ახასიათებს. მონაწილეები ყვირიან, როკავენ, ექსტაზურ მდგომარეობაში ვარდებიან. რაც შეეხება ფორმას, რინგ-შაუთს პოლირიტმულობა, კითხვა

პასუხის ფორმა და სუსტი დროის აქცენტირება ახასიათებს და მაინც, მიუხედავად თქმულისა, რინგ-შაუთი არ არის საეკლესიო მუსიკა.

მისგან განსხვავებით, სპირიტუელი საეკლესიო მუსიკაა. კოლექტიური მუსიკალური მლოცველ მქადაგებლის სოლირებული პარტიით. ამ მუსიკალური მიმდინარეობის ევროპული საფუძველი ანგლო-კელტური ფოლკლორია, რომლის შინაარსშიც ძველი ალტემის სიუჟეტები დომინირებენ. თავიდან სპირიტუელი ინსტრუმენტული თანხლების გარეშე სრულდებოდა ანუ-ეს იყო ნაწარმოები სოლისტისა და გუნდისათვის. XIX ს-ის II ნახევარში კი ინსტრუმენტული თანხლებაც გაჩნდა. 1865წ. დამთავრდა სამოქალაქო ომი, რომელმაც მონათფლობელობის დასრულება გამოიწვია. შავკანიანებმა ბევრი უფლება მოიპოვეს. მათ შორის უნივერსიტეტში სწავლის. 1871 წელს ნეშვილში, პირველი ზანგური ვოკალური ანსამბლი ჩამოყალიბდა, რომელსაც „ფისკ ჯიუბილ სინგერსი“ ერქვა. ზანგთა სასულიერო მუსიკის როლი ჯაზის ჩამოყალიბებაში განუზომელია. ამის ნათელი მაგალითებია: ფრანგმენტები ჯორჯ გერშვინის ოპერიდან „პორგი და ბესი“, დიუკ ელინგტონის „სასულიერო მუსიკის“ კონცერტები.

XIX ს-ის ბოლოს ჯაზი—ახალ, დამოუკიდებელ მუსიკალურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. მას მილიონობით ხალხი უსმენდა, საცეკვაო მოედნები, სადაც ჯაზ-ორკესტრები უკრავდნენ, მუდამ სავსე იყო ხალხით. რადიოს გამოგონებამ კი ჯაზი მთელი ამერიკისათვის საყვარელ მუსიკად აქცია.

ლეგენდამ კი ერთი ქალაქი, რომელიც ამერიკის სამხრეთში მდებარეობდა, ადრინდელი ჯაზის სინონიმად აქცია.

ახალი ორლეანი, ქალაქი, რომელმაც ჯაზის დაბადებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა, განსაკუთრებულად ღია და თავისუფალი სოციალური ატმოსფეროთი გამოირჩეოდა. სხვადასხვა რასისა და ეროვნების ხალხს ერთმანეთთან თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდა და ფრანგული, გერმანული, ესპანური, აფრიკული, ირლანდიური მუსიკალური კულტურის ნაზავს ჰქმნიდა. ეს კოსმოპოლიტური ქალაქი ძალიან ნოყიერი ნიადაგი იყო ახალი, თვითმყოფადი მუსიკალური მიმდინარეობის აღმოსაყენებლად. ამასთან, ორლეანის პორტში უამრავი გართობის მსურველი მეზღვაური იკრიბებოდა, გასართობ სახლთა მეპატრონეები კი თანხებს არ იშურებდნენ მუსიკოსთა დასაქირავებლად, მაგრამ ნამდვილი ჯაზი-მაინც ქუჩაში ყდებოდა. ორლეანში ძალიან ბევრი ორკესტრი გაჩნდა, რომელთა მნიშვნელოვან

თვისებად ხმამალა დაკვრა, ანუ კონკურენტთა გადაფარვა იყო. ამასთან ისინი მრავალ ღონისძიებებში იღებდნენ მონაწილეობას. იქნებოდა ეს სალამოები, მიღებები, ცეკვები თუ დასაფლავების პროცესიები (ეს ტრადიცია აშშ-ში დღემდეა შემორჩენილი).

1910 წლისთვის ანსამბლის შემადგენლობა მყარად ჩამოყალიბდა. ეს იყო: საყვირი, ტრომბონი, კლარნეტი, ბანჯო, კონტრაბასი და დასარტყამი ინსტრუმენტი (დრამი). ფორტეპიანო ორკესტრებში მოგვიანებით გაჩნდა. ორკესტრებს სხვადასხვა ადგილებში უწევდათ დაკვრა. ფორტეპიანოს ტრანსპორტირება კი ძალიან რთული იყო. ტუბა, რომელიც ძალიან ხშირად ასოცირდება ადრეულ ჯაზთან, ასევე მოგვიანებით გაჩნდა.

როლები ორკესტრში შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: კლარნეტი ძირითად მელოდიას (თემას) უკრავდა, ტრომბონი მელოდიასა და ბასს შორის არსებულ სიცარიელეს ავსებდა, ხოლო საყვირი, ტრომბონსა და კლარნეტს შორის იყო მოქცეული და თავისი „ორნამენტებით“ მელოდიას ალამაზებდა. ასე ჩამოყალიბდა ჯაზის საანსამბლო სტილი, რომელსაც დიქსილენდი ეწოდება.



სხვათა შორის, პირველი ჯაზი-იმპროვიზატორები-სწორედ კლარნეტისტები იყვნენ, რომელთა შორის სიდნეი ბეშე უნდა აღინიშნოს. 10 წლის ასაკში ის ძალიან ბევრ ცნობილ მუსიკოსთან უკრავდა. შემონახულია მისი ჩანაწერი ლუი არმსტრონგთან, რომელიც 1923 წლით არის დათარიღებული. ბეშე, აგრეთვე უკრავდა დიუკ ელინგტონის ადრეულ ბენდში „ვაშინგტონელები“. სამწუხაროდ ჩანაწერის გაკეთებას ხელი ბეშეს ევროპაში გასტროლებმა შეუშალა.

20-იან წლებში ჯაზი აღარ იყო მხოლოდ

საცეკვაო, ან სარიტუალო მუსიკა. ის სულ უფრო და უფრო უღერდა დიდ დარბაზებში და ყალიბდებოდა სერიოზულ მუსიკალურ მიმდინარეობად. ამან დიქსილენდის შემადგენლობის გაზრდა გამოიწვია და მივიღეთ ბიგ-ბენდები, რომლის შემადგენლობაშიც 3 საყვირი, 1 ტრომბონი, 3 საქსოფონი, ფორტეპიანო, გიტარა, ტუბა და დრამი შედიოდა. დიქსილენდისაგან განსხვავებით, მუსიკოსებს წინ დანერგილი პარტიები ედოთ, ხოლო ხელძღვანელებს — პარტიტურები. იმპროვიზირებდნენ მხოლოდ ცნობილი სოლისტები, რომლებიც დაკვრის დროს ფეხზე დგებოდნენ.

ბიგ-ბენდის ტრადიციას 10-იან წლებში მოღვაწე ნიუ-იორკელმა მუსიკოსმა ფლეტჩერ ჰადსონმა ჩაუყარა საფუძველი, ამიტომ ბიგ-ბენდ-ჯაზს ნიუ-იორკულ მუსიკას ეძახიან.

ახალ ორლეანული მუსიკა (ანუ სახელი მუსიკა „Hot music“) არ იყო არანაირებული და კოლექტიური იმპროვიზაციის შედეგს წარმოადგენდა. ყველა ის მუსიკოსი, რომელიც დიქსილენდში უკრავდა, თავის მიერ შეთხზულ პარტიას ასრულებდა. მთავარია საერთო ხმოვანება არ გაეფუჭებინა. ბიგ-ბენდში (ნიუ-იორკული მუსიკა) იმპროვიზაციას ერთი მუსიკოსი აკეთებდა. დანარჩენები კი ნოტებზე დანერგილ პარტიებს უკრავდნენ. ეს არის ძირითადი განსხვავება დიქსილენდსა და ბიგ-ბენდს შორის. 1917 წელს აშშ პირველ მსოფლიო ომში ჩაება, მთავრობამ კი ახალი ორლეანი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქად გამოაცხადა. დაიკეტა გასართობი ადგილები, რომლებიც ჯაზ მუსიკოსებისათვის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო.

ყოველივე ამან გამოიწვია მუსიკოსთა მასიური მიგრაცია ჩრდილოეთისაკენ, კერძოდ კი ჩიკაგოში, სადაც 10-იან წლებში საუკეთესო ჯაზი უღერდა. ამის ტიპიური მაგალითი ჯოზეფ ოლივერის „Creole Jazz Band“-ია. ჯაზის მეფედ ის ჯერ ახალ ორლეანში აღიარეს, როდესაც ტრომბონისტ „KID“-ის ორკესტრში უკრავდა. და აქვე ერთი საინტერესო ფაქტი: ოლივერი ორკესტრში ლუი არმსტრონგმა შეცვლა.

ჯაზმა ჩიკაგოში დიდი სტილისტური ცვლილებები განიცადა. თანდათან ორკესტრში დამკვდრდა ფორტეპიანო, როგორც ბენდის შეუცვლელი ინსტრუმენტი, მეტი დატვირთვა შეიძინა სიმებიანმა ჯგუფმა, ბანჯო შეიცვალა გიტარით, გაფართოვდა დასარტყამ ინსტრუმენტთა ფუნქცია. მუსიკოსთა პროფესიონალიზმი იმდენად გაიზარდა, რომ თითოეულ მათგანს სოლო კონცერტის გამართვა შეეძლო. პოზიციები დათმო კოლექტიურმა იმპროვიზაციამ.

ჩიკაგოში მუსიკოსებად ჩამოყალიბდნენ ბენი გუდმენი, ლუი არმსტრონგი, ბად

ფორმენი და სხვა. მათ შექმნეს ახალგაზრდა მუსიკოსთა მოძრაობა, რომელიც განსხვავებულ ჯაზი-მუსიკალურ კულტურას უწევდა პროპაგანდას.

1929 წელს ამერიკა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რომელმაც ბევრი ჯაზ-ბენდი გადაიყოლა. გადარჩა მხოლოდ ის ანსამბლები, რომლებიც ჯაზის ელემენტებით გაჯერებულ საცეკვაო მუსიკას უკრავდნენ. (ამ დროს გაჩნდა ტერმინი „კომერციული მუსიკა“).



ჯაზის რეინკარნაცია ისევ ბენი გუდმანმა, ლუი არმსტრონგმა, დიუკ ელინგტონმა იტვირთეს. მათ საფუძველი ჩაუყარეს ახალ ჯაზ-მიმდინარეობას, რომელსაც „სვინგი“ (ქანაობა) დაარქვეს. თავისი სტრუქტურით და

ფორმით ეს იყო საკმაოდ რთული ინსტრუმენტული (პირველ რიგში სისწრაფის მხრივ) ფონის ფონზე იმპრივიზირება.

ახალმა სტილმა ორკესტრის ახალი შემადგენლობა გააჩინა. ამ დროს ჯაზ-ბენდში 15-20 მუსიკოსამდე ირიცხებოდა. 3-5 საყვირი, 3-5 ტრომბონი, 3-5 საქსოფონი (ამავე ჯგუფში შედიოდა კლარნეტი) და რითმ სექცია: ფორტეპიანო, გიტარა, კონტრაბასი (ან ტუბა), დრამი.

სვინგ-ორკესტრებისათვის მასიური, სავსე ხმოვანებაა დამახასიათებელი. ხშირად გამოიყენება უნისონი, როგორც გამომსახველობითი ფორმა, ჩნდება გადაძახილები სხვადასხვა ინსტრუმენტულ ჯგუფებს შორის.

იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა შეგიქმნათ სვინგ-ჯაზის შესახებ, გაგაცნობთ რამდენიმე გამონათქვამს:


ბენი გუდმანი—სვინგი ეს არის ტემპის აჩქარების განცდა, თუმცა იგივე ტემპში უკრავ.

გლენ მილერი—სვინგი უნდა იგრძნო, ესაა განცდა, რომელიც მუსიკის საშუალებით სხვას უნდა გადასცე.

ელა ფიცჯერალდი—ეს არის რაღაც მიუღწეველი, რომელიც პულსირებს, საოცრებას ახდენს, არადა შენ მხოლოდ სვინგს უკრავ.

40-იანი წლებიდან კი იწყება ჯაზის ევროპეიზაცია. ბლუზთან მისმა შერწყმამ კი უამრავი თვითმყოფადი მუსიკალური მიმდინარეობა წარმოშვა. პარალელურად ჯაზი ვითარდებოდა როგორც დამოუკიდებელი, სრულფასოვანი მუსიკა. 60-იანი წლებში წარმოიშვა ისეთი საინტერესო ჯაზ-მიმდინარეობები, როგორებიც არის კული, ბიბოპი, ფანკი, ფრი ჯაზი, ავანგარდული ჯაზი, მაგრამ ამაზე, ალბათ სხვა დროს ვისაუბრებთ.





ავტოპორტრეტი დიმიტრი შევარდნაძე

ინონა
აბესაძე

ჭანჭიანი, თუ ჯიშინიანი ხანძარის დაცობა

ალარ დავობენ იმაზე, რომ ეპოქებს უდიდესი პიროვნებები ქმნიან, ტიტანები, რომლებიც თავიანთი მხრებით ზიდავენ მძლავრ ეპოქათა ქარტეხილიან ბედისწერას. აზრთამყრობელნი მეოცე საუკუნესაც არ აკლდა, თუმცა ამ საუკუნემ ყველაზე მეტად, სწორედ გამორჩეულ პიროვნებებს მოუვლინა მრავალი განსაცდელი. ალბათ, არც ერთი საუკუნე არ ყოფილა ისეთი ანაქრონიზმით, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე, ეგზისტენციალური განცდითა და შიშის სინდრომით დაავადებული, როგორც მეოცე საუკუნე იყო. ფრიდრიხ ნიცშეს მეტაფიზიკური შეძახილით „ღმერთი მოკვდა!“ შემოაბიჯა იმ საუ-

კუნემ, რომლის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით დაბადებულმა სულიერი წონასწორობის რღვევამ დააეჭვა ოსვალდ შპენგლერი ევროპის კულტურტრეგერულ შესაძლებლობებში და ევროპის დაისის მისეულ კონცეფციას მრავალი მომხრე გაუჩინა. ურბანისტულ, „მაშინურ“ გარემოში მოხვედრილი ადამიანის ბედისწერა ანუხებდა არა მხოლოდ დასავლეთ ევროპის, არამედ აღმოსავლეთ-ევროპის ვრცელ ტრამალებზე მიმოფანტულ მოაზროვნე, კრეატიული უნარით დაჯილდოვებულ ადამიანებს, რომელთაც დიდხანს, ძალიან დიდხანს სოციალისტური ბანაკის მძლავრი კონსტრუქციის ასაგებ აუცილებელ „ჭანჭიკებად“ აღიქვამდნენ, რომელთა „დაკარგვის“, ანუ რეპრესირების შემთხვევაში „ადვილად“ უნდა მოძებნილიყო მათი შემცვლელი. მეოცე საუკუნის თითქმის პირველი ნახევრის პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის „ჭანჭიკებად“ მონათლულნი კი, ის უდიდესი პიროვნებები იყვნენ, რომელთა ნაღვანის გარეშეც დღეს წარმოუდგენელია მეოცე საუკუნის სულიერი ღირებულებების, იმ დიდი და უაღრესად საინტერესო კულტურული მემკვიდრეობის წარმოდგენა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპამ შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ რეპრესირებულ „ჭანჭიკზე“, სინამდვილეში კი, მეოცე საუკუნის ქართული კულტურის ერთ-ერთ მძლავრ ბურჯზე, დიმიტრი შევარდნაძეზე მომეძალა ფიქრები ა.წ. იანვრის ერთ სუსხიან დღეს ქუთაისში ყოფნისას.

მკვლევარს ხშირად უჩნდება უკმარობის განცდა, რომ მან ყველაფერი ვერ თქვა, რაც დააკლო ნათქვამს. ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტზე თუ პიროვნებაზე საკუთარ წარმოსახვაში შექმნილ ხატსა და სხვებისათვის განდობილ განსახოვნებას შორის იდენტობას ვერ მიაღწია. იქნებ, მის ხელთ არსებული წყარომასალა საკმარისი არ აღმოჩნდა, ან იქნებ თვით არტეფაქტი თავისი მნიშვნელობით ვერ ჩაეცია კვლევით მონომილ ჩარჩოებში. სწორედ უკმარობის ამ გრძნობამ მიმიყვანა დამატებითი საარქივო წყაროების მოსაპოვებლად, ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში სამუშაოდ.

ბუნებრივია, ლექციების წასაკითხად მიწვეულს, დრო არ მეყოფოდა მუზეუმში დაუნჯებული უმდიდრესი საარქივო მასალის საფუძვლიანად გაცნობისათვის, რაც შემდგომი ვიზიტებისათვის გადავდე. მაშინ კი, ლიმიტირებული დროის მიუხედავად, იქაური არქივარიუსის, სათნო ქალბატონის,

ციცინო მუმლაძის კეთილი ნებით, ჩემს ხელთ აღმოჩნდა დიმიტრი შევარდნაძის ხელმოწერით დამშვენებული რამდენიმე ბარათი. ჩემთვის, ამ შესანიშნავი მხატვრისა და საზოგადო მოღვაწეზე გამოქვეყნებული მონოგრაფიისა და ალბომის ავტორისათვის, თითქოს სიახლის მომცემი არ უნდა ყოფილიყო, დიმიტრი შევარდნაძისათვის ჩვეული სხარტი და საქმიანი ბარათების გაცნობა. მსგავსად იმ ერთი ხელწერილისაც, რომელშიც მხატვარი ადასტურებს, რომ მან 1916 წლის 14 აპრილს მიიღო „ბ-ნ სილოვან ხუნდაძისაგან ერთი მანეთი და თვრამეტი შაური“, რომელიც თურმე, ერგებოდა ქუთაისის „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან“ ფოტოგრაფიული სურათებისათვის. მხატვრის ხელმოწერით დადასტურებული ეს, მავანთათვის შესაძლოა მერკანტილური ხასიათის ხელწერილი, ჩემთვის მრავლისმეტყველი აღმოჩნდა. მან, ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კონტექსტში ჩასმულმა, გამახსენა აღნიშნული მუზეუმის დაარსების სათავეებთან მდგომი ოსტატ-შეგირდის, საზოგადო მოღვაწის და ქუთაისის რეალური სასწავლებლის ერთ-ერთი ჩინებული პედაგოგის, სილოვან ხუნდაძის და სწავლას მონყურებული მისი ნამონაფარის, დიტო (ტიტო) შევარდნაძის მიწერ-მოწერა ქუთაისსა და მიუხედავად შორის გაბმული.

დღეს, როდესაც მრავალი ქართველი მიემგზავრება საზღვარგარეთ ცოდნის შესაძენად თუ კაპიტალის დასაგროვებლად, სახელის მოსახვეჭად, თუ პირიქით, ერისათვის სახელის გასატეხად (სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, ამგვარი რამ უფრო ხშირად გვეხმის), მეეჭვება, რომელიმე პედაგოგი ისე აელევე-ბინოს თავისი ყოფილი მოსწავლის ბედს, რომ მისთვის ისეთი გულმხურვალე წერილები მიეწეროს, როგორსაც 1907-1909წწ ქუთაისის რეალური სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სილოვან ხუნდაძე წერდა დიმიტრი (ტიტო) შევარდნაძეს.

„ძვირფასო ტიტო!

მაპატიე, რომ პასუხი დავაგვიანე... შენმა წერილმა მით მასიამოვნა, რომ შიგ ამოვიკითხე შენი გულწრფელი სურვილი მომავალი ჩვენი ცხოვრებისათვის რიგიანად მომზადებისა და საზოგადოების სამსახურისა. შენ თითქო გაკვირვებით კითხულობ: რით დავიმსახურე ჩემო ტიტო, და შენი შრომისმოყვარეობით, გულკეთილობით, საზოგადოთ რიგიანი ყოფაქცევით, რომელიც უკვე თავიდანვე გამოიჩინე და შეითვისე და რომელსაც, იმედია, არასოდეს არ მოიშლი. გული გვიკვდება, როცა ყოველ წამს ვხედავთ მოსწავლე

ახალგაზრდობის სიზარმაცეს, დაუდევრობას, ცუდლუტობას და ამკარა ავაზაკობასაც... მოსწავლეთა შორის უსაქმურობა და უხეირო ყოფაქცევა ისე გახშირდა, რომ რიგიანი მოსწავლე სანთლით საძებარი შეიქნა, და თუ თითო-ოროლა გამოჩნდება, ვალდებული ვართ, ყოველნაირი დახმარება ამოუჩინოთ, რომ უსწავლელნი არ დარჩნენ, ამიტომ მაღლობათაც არ ღირს ის დახმარება, რომელიც ჩვენ აღმოგიჩინეთ...“ ან, შემდეგ წერილში გაცხადებული გულისხმიერება - „...ძვირფასო ტიტო!... მაღლობას გვითვლიდი - და სამაღლობელო რა ვქენით? ჩვენ მხოლოდ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ - და ისიც სუსტად... შენს ბარათში შენ თვითონ ამბობ - და ჭეშმარიტებით, რომ შენი მხრით მაღლობა საზოგადოებისადმი, თუ ამ უკანასკნელს რაიმე ზრუნვა კი მიუძღვის შენზე, იმაში უნდა გამოიხატოს, რომ კურსის დასრულების შემდეგ ჩვენი საზოგადოების გონიერი წევრი იქნები და შეძლებისდაგვარათ სამსახურს გაუნეგ, რითაც ერთი ათად და ერთ ასად დაუბრუნებ იმას, რაც მისგან მიგიღია. ასე რომ არ იყოს, ცხოვრება ნინ ვერ წავა. დიდი აზრია შოთას სიტყვებში: „უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინებისო“. საზოგადოება ვალდებულია - უხვათ გასცეს ახალგაზრდობის აღზრდისათვის, რადგან განათლებული, ნიჭიერი შვილები შეადგენენ ხალხის სიმდიდრეს, მის შევენებას, მის ბედნიერებას. შენი ს.ხუნდაძე 19-1-09. მოგილოცავ „კალანდას“. ქუთაისი“.

ამ წერილების გახსენებამ და ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ექსპოზიციისა და ფონდების გაცნობამ, იქაურ თანამშრომლებთან საუბარმა კიდევ ერთ საკითხზე დამაფიქრა, საკითხზე, რომელიც პერმანენტულად იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ მის გადაწყვეტას, იდეის რეალიზებას ყოველთვის რალაც უშლის ხელს, საქმე ეხება ქუთაისის, როგორც მძლავრი კულტურულ - საგანმანათლებლო ცენტრის რეაბილიტაციის პრობლემას. ბოლოს და ბოლოს როდემდე უნდა იყოს საქართველოს დედაქალაქი თავკომბალას როლში? როდის ამოუდგება მას მხარში არამარტო სიდიდით, არამედ მნიშვნელობითაც მეორე ცენტრი-ქუთაისი, ოდითგანვე ყველაზე დაცული ეროვნული კულტურის ნაკრძალი?!

დღეს არც ერთი დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანა არ არის დარჩენილი მხოლოდ ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ამარა. ეს კარგად ესმოდათ ჩვენს წინაპრებს, როდესაც გაერთიანებული საქართველოს ძლევამოსილი მეფე გელათს სხუა ათინად მიიჩნევდა და მასთან ერთად,

აღმოსავლეთ საქართველოშიც ზრუნავდა არანაკლებ მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო კერის-იყალთოს აკადემიის დაარსებას. ამ შეგნებამ განაპირობა სწორედ ის ფაქტი, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისის არცერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო-კულტურული ორგანიზაცია არ გახსნილა დედაქალაქში, რომ მას რეზონანსი არ მოჰყოლოდა მეორე კულტურულ ცენტრ - ქუთაისში.

დიმიტრი შვეარდნაძისათვის ქუთაისი, მისი სიყრმის ქალაქი იყო. ქალაქი, სადაც გურიის სოფელ ბახვიდან ჩასული ყმანვილი სახელგანთქმულ რეალურ სასწავლებელში შეეგებება მეოცე საუკუნის საწყისი პერიოდის რევოლუციურ მღელვარებას. სწორედ აქ, ამ სასწავლებლის კედლებში, პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებმა ყურადღება მიაქციეს არაორდინარულ ყმანვილს, საოცრად ლამაზი, მეტყველი თვალებით, ახლის შეცნობის წადილით აღსავსე გამომეტყველების მქონე ტიტოს, როგორც მას უწოდებდნენ ახლობლები. მას, თავისი დაუდგრომელი ბუნების გამო, წარჩინებული სწავლისთვის ჯერ ქების სიგელი მიანიჭეს, ხოლო შემდეგ კი, მოსწავლეთა პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის სასწავლებლის კედლები დაატოვებინეს. გარიცხვას მალე შეწყნარებაც მოყვა და დიმიტრი შვეარდნაძემ 1906 წელს ექსტერნის წესით დაასრულა აღნიშნული სასწავლებელი. იგი, როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა, რეალური სასწავლებლის პედაგოგთა საბჭოს რეკომენდაციით ჭიათურის მარგანეცის დამმუშავებელი შავი ქვის საბჭოს სტიპენდიანტად გაიგზავნა მიუნხენში უმაღლესი განათლების მისაღებად. მიუნხენის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს, დიმიტრი შვეარდნაძეს ჭიათურის მარგანეცის საბჭოსგან დაუკვეთეს ჭიათურის სამთო ტექნიკური სასწავლებლის ეკლესიისათვის ხის კანკელის მოხატვა, რასაც პირნათლად შეასრულებს მხატვარი. დაკვეთის წარმატებულ რეალიზებას, მოჰყვა სხვა დაკვეთები ამავე ეკლესიისათვის რამდენიმე ფერწერული ხატის დაწერისა: წმ. ნინოს, წმინდანებად შერაცხილ წამებულ ძმათა დავით და კონსტანტინესი და სხვ. ტიტოსთვის თხოვნით მიუმართავს აგრეთვე, ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის მარგანეცის საბჭოს მესვეურებს, გერმანიაში შეეკრიბა სასარგებლო წიაღისეულის მდიდარი კოლექცია და გამოეგზავნა საქართველოში მინერალოგიის მუზეუმი-სათვის. ახალგაზრდა სტიპენდიანტის ავტორიტეტზე მეტყველებს თვით ის უმნიშვნელოვანესი დაკვეთები, რომლებიც ახლად დაარ-

სებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ (1907წ) დამაარსებლის, ექვთიმე თაყაიშვილისაგან მომდინარეობდა. გერმანიაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ 86 შესანიშნავი მინიატურით შემკული ხელნაწერის გერმანიაშივე მალალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემისათვის ზრუნვა (რაც სამწუხაროდ დ.შვეარდნაძისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა), აღნიშნული რამდენიმე მინიატურის პირების დამზადება, სწავლიდან თავისუფალ დროს, არდადეგებზე საქართველოს სხვადასხვა ეკლესიიდან კედლის მხატვრობის ასლების შესრულება, სხვა მრავალთან ერთად, მოწმობს ახალგაზრდა დიტოს უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებას და თავდაუზოგავ ძალისხმევას. როგორც ცნობილია, ამგვარივე პატრიოტული განცდით შეასრულებს და დიდი ივანე ჯავახიშვილის სამსჯავროზე გაიტანს დიმიტრი შვეარდნაძე, მოგვიანებით, ახლად გახსნილი უნივერსიტეტისათვის (1918წ.) გერბსა და ბეჭედს, დღესაც რომ ოდნავ გამარტივებული სახით, ჩვენი თბილისის უნივერსიტეტის ემბლემას წარმოადგენს.

დიმიტრი შვეარდნაძის ოჯახი ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ხმალადის კერძო სახლში 1916 წლამდე ცხოვრობდა. ამ პერიოდთანაა დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოდ ქცეული ერთი საკითხი, მონაწილეობდა თუ არა მიუნხენიდან დროებით ჩამოსული დიტო შვეარდნაძე 1915 წლის 8 თებერვალს დიდი მგოსნის, აკაკი წერეთლის ნეშტის საჩხერიდან თბილისში გადმოსასვენებელი სამგლოვიარო ვაგონის მხატვრულ გაფორმებაში. ქართული პერიოდული პრესა („სახალხო ფურცელი“, „თემი“, „შრომა“ და სხვ.), რომელიც ფართოდ გამოეხმაურა ქართველი ერის ამ უდიდეს დანაკლისს, საინფორმაციო ქრონიკაში მგოსნის ცხედრის გადმოსასვენებელი ვაგონის გაფორმებას მიაწერს პაოლო იაშვილს, რასაც ეყრდნობა მკვლევარი ი.ერემეიშვილიც („აკაკი ძველებურ კინოქრონიკებში“, ყურნ. „ხელოვნება“, 4, 1991 წ.). ჩვენ მიერ მოპოვებული საარქივო მასალით კი, დასტურდება, რომ მართალია, მიუნხენიდან დროებით ჩამოსული ახალგაზრდა მხატვარი სრულიად საქართველოს მიერ გამოცხადებულ გლოვის დღეებში არ შედიოდა მგოსნის დამკრძალავ კომისიაში, რომელსაც ევალებოდა მგოსნის ცხედრის თბილისში გადმოსვენება, რათა მადლიერ შთამომავლობას მთანმინდის მიწისთვის მიეზარებინა. მაგრამ მან, აკაკის დამკრძალავი საორგანიზაციო კომიტეტის წევრის, პოეტ პაოლო იაშვილის თხოვნით დახატა აკაკის პორტ-

რეტი და მინდვრის ლამაზი ყვავილებით მხატვრულად გააფორმა მგოსნის ნეშტის საჩხერიდან თბილისში გადმოსასვენებელი საგანგებოდ გამოყოფილი მატარებლის ვაგონი. 1915 წელს, დიდი მგოსნის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რუსულ ენაზე საგანგებოდ დასტამბული ა.ალდონის კრებულიდან „Акакий и его поэзия“ იმასაც ვიგებთ, რომ დიმიტრი შევარდნაძეს შეუსრულებია აგრეთვე, ცხედრის თავთან მოთავსებული მარიამ ღვთისმშობლის ფერწერული გამოსახულება XII საუკუნის ჭედური ხატიდან. ყოველივე აღნიშნულს ადასტურებს ასევე, 1915 წლის 2 თებერვლით დათარიღებული ოფიციალური დოკუმენტი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ გაცემული, სადაც აღნიშნულია, რომ ალ.ფალავა და დ.შევარდნაძე მივლინებული არიან სამგლოვიარო ვაგონის გასაფორმებლად.

1916 წელს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ დაარსებით დიმიტრი შევარდნაძემ ერთგვარი სტიმული მისცა ქუთაისელ მხატვრებს — გრიგოლ მესხსა და ვასილ კროტკოვს, როდესაც მათი ინიციატივით იმავე წელს, ქუთაისის რეალურ სასწავლებელთან გაიხსნა სამხატვრო კურსები, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობდა კვირაში სამჯერ. ასე რომ, ქუთაისში უკვე მომზადებული იყო ნიადაგი ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნების მოყვარულთა შესაკავშირებლად. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ სწორედ ქუთაისის „ხატვის მოყვარულთა საზოგადოება“ პირველი გამოეხმაურა ისეთ მნიშვნელოვან ფაქტს, როგორც იყო თბილისში „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ დაარსება. დიმიტრი შევარდნაძის არქივში დაცულია კოლექტიური წერილი - მისალმება, რომელსაც ხელს აწერენ ახალგაზრდა ქუთაისელი ხატვის მოყვარულნი, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და ხელოვანნი: კირილე კელენჯერიძე, სიმონ კვინიხაძე, აკაკი ვასაძე, მიხეილ გვანცელაძე, ვანო პატარიძე, ირაკლი ტოფაძე და დავით წერეთელი.

დოკუმენტი ქვეყნდება სრულად:

„სალამი ხელოვანთა საზოგადოებას!

დაჭრილ, დაკოდილ ტურფა საქართველოს, მისი დაცემული სულის აღსადგენად კიდევ ერთი საუკეთესო მალამოთაგანი მიემატა — ხელოვანთა საზოგადოება. ერის აყვავება-განვითარება მხოლოდ პუბლიცისტიკაზე, ჟურნალ-გაზეთებზე და სქელსქელ ნიგნებზე არ არის დამყარებული. ყოველ ერს მრავალფეროვანი ცხოვრება ჰქონია და აქვს. პოეზია, მუსიკა, ქანდაკება და მხატვრობა ეს ერთი აკორდია ერისა, რომელიც ასხივოსნებს და აყვავებს ერის სულს. თუ

უპირველესი არაა, თანასწორი მაინც სხვა დარგთან ხელოვნებისა — ეს მხატვრობაა. თვით სიტყვა „მხატვრობის“ ხმარება და მისი შინაარსი გვიჩვენებს მის ღირსებას. მაგალითად, რომ ვთქვათ: პოეტმა ესა და ეს ადამიანი, ესა და ეს გრძნობა გამოხატა მუსიკით და კიდევ სხვა. ყველაფერი ეს გვიჩვენებს იმას, თუ როგორი ალაგი უნდა ეჭიროს მხატვრობას ხელოვნებაში. მაგრამ თუკი ჩვენში ასე არ არის, ეს ამ საზოგადოების განუვითარებლობაა, რომ დღევანდელ ჩვენს მხატვარს უფრო ხელოსანს უწოდებენ, ვიდრე ხელოვანს. ყოველი ქვეყანა, რაც გინდა გაუნათლებელი არ უნდა იყოს იგი, ყველა დარგი ხელოვნებისა თანასწორად ვითარდება. ჩვენში კი პირიქით, ხელოვნებაში დიდი კონტრასტია. აიღეთ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა... და კუჭგამხმარი ჩვენი მხატვრები, რომელთაც ტილო და ფერადი ვერ შეუძენიათ, რომ მშფოთვარე სული დაიკმაყოფილონ. მხოლოდ დილიდან საღამომდე სასწავლებელში დარბიან, ეგებ ლუქმა-პურის ფული იშოვონ და უზნეო ბავშვებისაგან საცინად აგდებულნი, ჩხუბში და ყვირილში ატარებენ დროს. ბავშვებს რაღას გაამტყუნებთ, როცა უკეთ არც განათლებული ნაწილი საზოგადოებისა არ ეპყრობა - „რისოვანიის უჩიტელი“-ო ასე უწოდებენ.

ჩვენ რომ ხელოვნების ყველა დარგში ილია და აკაკი გვყავდეს, მაშინ ჩვენი ხელოვნება და შეგვიძლია ვთქვათ ერიც, კოჭლი არ იქნებოდა. ერის ნორმალური განვითარება ხელოვნებით იწყება, თუკი ყველა დარგი ხელოვნებისა და ხელოვნებაც ერთი ძალით მიიწვევენ ბედნიერებისაკენ, თვით ტარიელმა და მისმა ძმებმა შეერთებული ძალით იხსნეს ნესტან-დარეჯანი, თორემ რომელიმე მათგანი, რომ ჩამორჩენოდა უკან, ვინ იცის ნესტანი ეგებ ქაჯეთის ციხეში დარჩებოდა. ამგვარად, ჩვენი ხელოვნება სავსებით არ არსებობს და რაც არსებობს ძალიან სუსტი. ჩვენ დიდის ალტაცებით ვეგებებით საზოგადოების დაარსებას, საიდანაც მოსჩანს ნიშანი ეროვნული ხელოვნების აღდგენისა, არც ერთი ნომერი ჟურნალ-გაზეთებისა არ გამოგვპარვია, თვალ-ყურს ვადევნებთ, რომ გავიგოთ, რა გააკეთეს და რა სთქვეს მასზე. ყოველ წამში მასზედ გვაქვს ბაასი. სიყვარული ხელოვნებისადმი თანდათან გვიძლირდება თქვენ დიდ მოღვაწეობაზედ. მაშ სალამს მოგიძღვნი და ვისუვებთ, რომ ის ძეგლი, რომლის აშენებას თქვენ შედგომიხართ, ბედნიერების სხივმფენი ყოფილიყოს, რომ ჩვენც მივსულიყავით და ჩვენი წვლილი შეგვეტანოს. ჩვენ კი — ახალგაზრდა ხატვის მოყვარულნი, ვეცდებით თქვენგან დაწყებული საქმე გაორკეცებული ენერგიით დავამთავროთ და თუ სუსტი გამო-

ვედით და მიზანს ვერ მივალწიეთ, ფიცსა ვსდებთ, რომ გზად და ხიდად გავეგებით ჩვენი სპეტაკი გრძნობით მომავალ ხელოვანთ გადასასვლელად: სულით არ დავცემით და გამირულად დავლევთ სულს ხელოვნებისათვის, უმთავრესად კი ჩვენი დაცემული ეროვნული ხელოვნებისათვის”.

1916 წლის 18 აპრილით თარიღდება ქუთაისელი მხატვრის გრიგოლ მესხის წერილი დიმიტრი შვეარდნაძისადმი, საიდანაც ირკვევა, თუ რა სირთულეების გადალახვა დასჭირდა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ ქუთაისის ფილიალურ განყოფილებას ჩამოყალიბების წლებში: „...თქვენი ძმა ბატონი მიხეილი დიდი ამავის დადებას აპირებს, იმაში, რომ ეს ფილიალური განყოფილება ღირსეულად მოეწყოს. ტრიფონ ჯაფარიძესთან მოლაპარაკებით მოვიწვიეთ პირველი წინასწარი კრება, რომელიც უკვე შესდგა გუშინ კლასიკური გიმნაზიის სასწავლებელში... გამოთქმული იყო ასეთი აზრიც, რომ მონვეული იყოს თბილისიდან, რომელიმე წევრი ხელოვანთა საზოგადოების საგნისა და საქმის განსამარტავად... ძალიან საჭირო და კარგი იქნება მაგალითად თქვენი ჩამობრძანება, როგორც ხელოვანთა საზოგადოების დაარსების ინიციატორის... თქვენ აქაც იქონიებთ უთუოდ გავლენას, ურომლისოდაც ძნელია აქ მეტად ამ საქმის გაკეთება”.

როგორც ჩანს, არც ისე იოლი აღმოჩნდა მაშინ ქუთაისის ფილიალური ორგანიზაციის დაარსება და ეს მხოლოდ 1919 წლისათვის მოხებდა. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დიმიტრი შვეარდნაძის საარქივო ფონდში დაცულია ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ქუთაისში ქართველ ხელოვანთა საზოგადოების ფილიალის დაარსებას.

„ქ:ჩმით წელსა ივნისის თვესა ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, შევიკრიბეთ ქ:ქუთაისში პირველი გიმნაზიის დარბაზში, ავირჩიეთ კრების თავმჯდომარედ ჯაჯუ ჯორჯიკია, მდივნად იოსებ ასლანიშვილი, ვიქონიეთ მსჯელობა ქართველ ხელოვანთა საზოგადოების მიზანსა და მნიშვნელობაზე და გადავწყვიტეთ დაარსება აქ ამ საზოგადოების განყოფილებისა, ავირჩიეთ საზოგადოების გამგეობა, რომელსაც შეადგენს შემდეგი თერთმეტი პირი: დავით კლდიაშვილი (თავმჯდომარე), მიხეილ შვეარდნაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), გიორგი სვანიძე (მოლარე), დავით წერეთელი (მდივანი), ვასილ ბალანჩივაძე, ტრიფონ ჯაფარიძე, გრიგოლ მესხი, სერგო კაკაბაძე, იოსებ ასლანიშვილი და შალვა აფხაიძე. მათ კანდიდატებად: ნიკო-

ლოზ თუმანიშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, ვალერიან გაფრინდაშვილი, ირაკლი ტოფაძე და კარბეზ ბერიძე. დღეიდან, საზოგადოების გამგეობა შეუდგება მუშაობას. მასა შინა ხელს ვანერთ”. ასე დაარსდა ქუთაისში „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ ფილიალი.

ამრიგად, 1919 წელს, „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მორალური და ფინანსური შემწეობით, ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ ქუთაისის ფილიალური ორგანიზაცია რეგისტრაციაში გაატარა. ფილიალი იმთავითვე შეუდგა სამხატვრო სტუდიის დაარსებაზე ზრუნვას. „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ არქივში დაცული ოფიციალური წერილით, ქუთაისის მხატვართა წრე 1919 წლის 18 თებერვალს შუამდგომლობას თხოვს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას“ ქუთაისის ადგილობრივი მმართველობის წინაშე, რათა ქუთაისელ მხატვართა წრეს გამოეყოს გარკვეული ფართი და გარკვეული მატრიალური დახმარებაც გაეწიოს. მაგრამ აქაც, ისევე როგორც თბილისში, ყველაზე ძნელად მოსაგვარებელი აღმოჩნდა ბინის საკითხი, რაც ჩანს კიდევ გრიგოლ მესხის მიერ დ.შვეარდნაძის ძმის - მიხეილისადმი თბილისში გაგზავნილ წერილში: „ძვირფასო მიხეილ, მითხრეს, რომ თქვენ ქუთაისისთვის დაგიღწევიათ თავი, მანდ მოწყობილხართ; თქვენთვის ეს მოსალოცავია, მხოლოდ ჩვენ კი უთქვენოდ ეხლავე გვიჭირს. ავეჯები, რომელიც დავამზადეთ სამხატვრო სტუდიისათვის ბინის უქონლობის გამო, ჯერჯერობით მიუსაფარია. მოწოდებები, რომელიც დავსტამბეთ და დავგზავნეთ, ჯერ ვერავითარ ნუგემს ვერ იძლევიან. ერთადერთი იმედია თუ თქვენ მანდედან, რაიმე ნუგემსა და დახმარებას აღმოგვიჩენთ, ...მალე ჩვეულებრივი სამოსნავლო წელი დაიწყება, მუშაობა სტუდიისა განახლდება თუ ბინა ვიმოვით, მანდედან ველით დახმარებას”. აღნიშნული დახმარებაც „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებიდან“ მოვიდა. 1920 წლის 18 მაისს „საზოგადოების“ გამგეობის სხდომაზე გადაწყდა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“ საკუთარი თანხებით, ფინანსურად დახმარებოდა ქუთაისის ფილიალურ ორგანიზაციას, რაც შეასრულა კიდევც.

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის და ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით დაარსებულ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც“, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი დიმიტრი შვეარდნაძე იყო, მალე, 1912 წ. შვილობილი ორგანიზაცია შეიქმნა „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზო-

გადოების” ქუთაისის განყოფილების სახით. დედაქალაქის ამ ორმა მძლავრმა კულტურულ საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა თავიანთი ფილიალური განყოფილებებით ქუთაისში მრავალ სასიკეთო ნამოწყებას შთაბერეს სული. მათ შორის უმნიშვნელოვანესი სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტება იყო. მათ ბაზაზე შემდგომში ჩამოყალიბდა ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, რომლის დირექტორიც ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჩინებული სიძველეთმცოდნე ტრიფონ ჯაფარიძე გახლდათ, დიმიტრი შევარდნაძის მსგავსად ერისათვის სასიკეთო საქმეთა კეთებისათვის 1937წელს რეპრესირებული.

ქუთაისის ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო აგრეთვე, „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების” ქუთაისის გამგეობის წევრი, გრიგოლ გველესიანი. იგი სათავეში ჩაუდგა ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის პირველი ექსპოზიციის მოწყობის საქმეს, რაშიც მას თბილისიდან დიდ და ქმედით დახმარებას უწევდა დიმიტრი შევარდნაძე. მათი მიმონერიდან ირკვევა, რომ უშუალოდ დიმიტრი შევარდნაძეს შეუთრევიდა საქართველოს არქიტექტურული ძეგლებისა და ეთნოგრაფიული ხასიათის, აგრეთვე ჩვენი მრავალფეროვანი ბუნების პეიზაჟების ამსახველი სხვადასხვა ზომის ფოტოსურათები დიმიტრი ერმაკოვის ცნობილი კოლექციიდან და გაუგზავნია ქუთაისის ახლად დაარსებული მუზეუმის ექსპოზიციის მოსაწყობად. მასვე გაუგზავნია თბილისიდან ქუთაისში ამავე მუზეუმისათვის აკაკის ნაქონი ავეჯი.

ქუთაისის ნ.ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში დაცულ დიმიტრი შევარდნაძის გრიგოლ გველესიანისადმი გაგზავნილ რამდენიმე ბარათში აღნიშნულია:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო გრიგოლ!

ვსარგებლობ შემთხვევით და გიგზავნით შეპირებულ ფოტოგრაფიულ სურათებს ბაგრატიის ტაძრიდან გადაღებულს ერმაკოვის მიერ, რამოდენიმე სურათი კიდევ დაუმატე ზედ... სხვათა შორის უნდა შეგატყობინოთ, რომ ერმაკოვი მთელს თავის კოლექციებს ჰყიდის რუსეთში, რომელიც მუზეუმს. ეს ძალიან სამწუხარო ამბავია, რადგან ძალიან ბევრი მასალები აქვს შეგროვილი და ჩვენ, რომ არ გვრჩება ქართველებს საწყენია. თუ შემთხვევა გექნებათ, ჩამობრძანდით თბილისში. უთუოდ დაათვალიერეთ ერმაკოვის ალბომები.

სხვა თუ რამეში დაგჭირდეთ გთხოვთ მოურიდებლად მომმართოთ.

თქვენი მარად პატივის მცემელი და მზასამსახურად დ. შევარდნაძე”.

1916წ 28 მარტის ბარათში კი, წერია:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო გრიგოლ!

როგორც იქმნა დიდი დავიდარების შემდეგ მოვახერხეთ აკაკის ნაქონი ავეჯეულობის გადმოგზავნა. როგორც ანგარიშიდან დაინახავთ ეხლანდელ დროში ბარგის გადმოგზავნა ძალიან ძვირი ჯდება... სულ თქვენი გამოგზავნილი ფულიდან (300მ.) დაიხარჯა 275 მან. 30კ. ასე ჩემზე დარჩა 24 მან.70კ., რომლითაც კიდევ ფოტოგრაფიულ სურათებს ვიყიდი და გამოგიგზავნით. მე ძალიან მინტერესება თქვენი მუზეუმის მოწყობის საქმე, მაგრამ ვერას გეხმარებით, მოუცლელობის გამო. მოგიკითხავთ პატივისცემით თქვენი პატივმცემელი დ. შევარდნაძე”.

ერთ-ერთი წერილიდან ისიც ირკვევა, რომ დიმიტრი შევარდნაძისათვის უთხოვიათ შესაძლებლობის ფარგლებში მას და სხვა ქართველ მხატვრებს, რომელთაც სამეცნიერო-სამხატვრო ექსპედიციების შედეგად, კედლის მხატვრობის პირები ჰქონდათ გადაღებული, ქუთაისის ახლად დაარსებული მუზეუმისათვისაც შეესრულებინათ და გაეგზავნათ რამდენიმე ფერწერული პირი.

„...სასურველია ერთი-ათამდე მაინც ამგვარი სურათების ასლებისა. რა თქმა უნდა, ჩვენ შესაფერ სასყიდელს გავიღებთ თქვენს შრომაში... ვინ იცის, იქნებ მე, როგორც არ მცოდნე ხელოვანთა ტრადიცია-ჩვეულებათა, ვცდებოდე კიდევ, როდესაც თქვენ ასეთი შრომის მიღებას გკადრებთ, მაგრამ ნუ მიწყენთ”- წერს გრიგოლ გველესიანი დიმიტრი შევარდნაძეს ქუთაისიდან და იქვე დასძენს:

„...ბატონო დიტო, მინდა რალაცას მაინც დავამსგავსო ეს ჩვენი მუზეუმი, რომ უცხოელების მაინც არ შეგვრცხვეს. აი, თუნდ ამ კვირაში ვილაც უცხოელები გვესტუმრენ მუზეუმში, თვით გაეგოთ საიდანღაც და მოგვაშურეს, მაგრამ უცხოელებს ასე ადვილად ვერ დააკმაყოფილებთ, ამიტომ განუხებთ და კვლავ ალბათ არა ერთხელ შეგანუხებთ, რომ რითაც შეგიძლიათ დაგვეხმარეთ, მანდ ღვთის მადლით, ნივთიერი ძალაც მეტი გაქვთ და არა ნივთიერიც და ეს სწორედ ძალიან სასიხარულოც არის... ბოდის ვიხდი შენუხებისათვის. ეხლა მოგილოცავთ დღესასწაულებს და გისურვებთ თქვენ ყოველივე სიკეთეს, ხოლო თქვენს მიერ დაარსებულ საზოგადოებას ყოველივე წარმატებას.

დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი და კეთილისმსურველი

გრიგოლ გველესიანი

ქ. ქუთაისი 1916წ. 30 დეკემბერი”.

საარქივო დოკუმენტები იმასაც ადასტურებენ, რომ დიმიტრი შევარდნაძეს შეურჩევია და ქუთაისში გაუგზავნია ფოტოგრაფ კიუნეს მიერ გადაღებული სურათები, აგრეთვე აღუძრავს შუამდგომლობა, რათა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან“ ქუთაისის ფილიალური განყოფილებისათვის დამატებითი ფულადი სახსრები გადაეგზავნათ. გრიგოლ გველესიანისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილებში დიმიტრი შევარდნაძე რჩევადარიგებასაც იძლევა, თუ როგორ და რა სახით სჯობს სამუზეუმო ექსპოზიციაზე ფოტოსურათების წარმოდგენა. წერილებიდან ისიც ირკვევა, რომ ნივთიერი სახსრების გასაძლიერებლად, თვით ქუთაისის საზოგადოებრიობასაც უზრუნია, რათა ახლად გახსნილი მუზეუმისათვის შემწეობა აღმოეჩინა.

„...მუზეუმის გახსნის წინ ვაპირებთ საღამოს გამართვას... აქ ნივთიერ მოსაზრებას დიდი ადგილი აქვს. საღამომ რომ საკმაოდ ფული შემოგვიტანოს, ამიტომ წინდანინ რაღაც მაინც მუზეუმის ხაზით უნდა ვუჩვენოთ საზოგადოებას. ეროვნული საღამოს გამართვას ვაპირებთ 26 იანვარს - დავით აღმაშენებლის დღეს, დიასახლისებად ქუთაისში ცნობილი ქალები მოვიწვიეთ - ქალ. კვირკველიასი და სოლ. მიქელაძის მეუღლე იულია. იმედი გვაქვს საღამო ბრწყინვალე გამოვა, სხვათაშორის ეთნოგრაფიულ კონცერტს ვაპირებთ და ეთნოგრაფიულ პლასტიკის ნომრებს დავდგამთ, თუ მოვახერხებთ...“ - სწერს გრიგოლ გველესიანი დიმიტრი შევარდნაძეს.

ამრიგად, ამ ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ვიგებთ, თუ რა დიდი წვლილი მიუძღოდან ქუთაისის, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო ქალაქის აღორძინებაში იმ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, რომლებიც მხოლოდ ლიტონი სიტყვებით კი არ აგებდნენ ოქროს კოშკებს, საოცნებო, რეალობას მონყვეტილ მერმისს, არამედ ჩრდილში დგომით, დიდი ენერჯის ძალისხმევით, შეუპოვრობით არღვევდნენ ბიუროკრატიული აპარატის მიერ აღმართულ ჯებირებს და მრავალი სირთულეთა გადალახვით მაინც აღწევდნენ მიზანს. ამ მიზანს კი, არა პირადი კეთილდღეობა, სამზეოზე საკუთარი პერსონის წარმოჩენა, ზედა პოლიტიკურ ეშელონებში თბილი სავარძლის მოპოვება, არამედ, მუხლჩაუხრელი შრომით დიდი საერო საქმეების კეთება წარმოადგენდა. ამიტომ იყო ასე ანგარიშიანი, დიმიტრი შევარდნაძე იმ ხელწერილში, თავისი უძვირფასესი პედაგოგის - სილოვან ხუნდაძის ხელით იმ ერთი

მანეთის და თვრამეტი შაურის, ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმისგან მიღებას რომ ადასტურებდა... დიახ, იმ მორჩენილ მანეთს და თვრამეტი შაურს დიმიტრი შევარდნაძე დაუმატებს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ ბიუჯეტიდან და უფრო ხშირად კი საკუთარი ჯიბიდან დანაზოგს, რათა ისევ ქუთაისის მუზეუმს ან ქუთათურ მხატვართა საზოგადოებას, ან მადლიერი შთამომავლობისათვის ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა იმ ძირითადი კოლექციის შექმნას რომ მოახმაროს, დღეს რომ აგრერიგად ვამაყობთ.

ასეთი ანგარიშიანი, სადაც საჭიროა ხელმომჭირნე რომ არ ყოფილიყო დიმიტრი შევარდნაძე, ნამდვილად ვერ შესძლებდა სულ რაღაც ორ ათეულ წელიწადში ამდენი სასიკეთო საქმის გაკეთებას, იქნება ეს: „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ დაარსება, თავისი ფილიალური ორგანიზაციებით ქუთაისსა (1919წ.) და პარიზში (1924წ.); ეროვნული გალერეის და შემდგომ მისი კოლექციების ბაზაზე ხელოვნების მუზეუმი „მეტეხის“ შექმნა; სამხატვრო კადრების სამჭედლოს - თბილისის სამხატვრო აკადემიის სტრუქტურულ ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება; საქართველოში მატერიალურ-კულტურულ ძეგლთა დაცვის სამსახურის ორგანიზება.

აღნიშნული, არასრული ჩამონათვალია იმ ფართოდ გაშლილი საქმიანობისა, რომლის სათავეშიც დიმიტრი შევარდნაძე იდგა. ქართული კულტურისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, სამეცნიერო-სამხატვრო ექსპედიციების ორგანიზებას ნაბახტვეში, სამხრეთ საქართველოში, დავით-გარეჯში, კახეთში და სხვ., რომელთა შედეგად გადმოღებულ იქნა უნიკალური კედლის მხატვრობის პირები, შესრულდა ძეგლთა ფოტოფიქსაცია (ფოტოგრაფის როლში ხშირად თვით დ. შევარდნაძეც გვევლინება), არქიტექტურული ნახაზები და სხვ.

დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ დიმიტრი შევარდნაძის სახელს უკავშირდება არა მხოლოდ ნიკო ფიროსმანაშვილის პირველ-აღმომჩენთა რიგში ყოფნა, არამედ, მისი ხელოვნების ფართო პოპულარიზაცია მრავალრიცხოვანი გამოფენების მოწყობის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი შევარდნაძე თვლიდა, რომ მას ძალიან ცოტა დრო რჩებოდა სახვითი ხელოვნებისათვის, როგორც მხატვარმა, მან მრავალი საინტერესო ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოები დაუტოვა შთამომავლობას. იგი იყო ქართული შრიფტის რეფორმატორიც, თეატრალური და

კინომხატვარი, სანახაობათა მხატვრული გამფორმებელი.

როგორც ადამიანი, დიმიტრი შევარდნაძე იყო საოცრად თავმდაბალი, სხვებისადმი სიკეთის უშურველად გამცემი, მზრუნველი და დახმარებისათვის მუდამ მზადმყოფი, მოსიყვარულე შვილი, ერთგული მეგობარი და ფაქიზი სულის შეყვარებული. ეს დიდი ბუნების ტანმორჩილი, ოდნავ კუზიანი, ლამაზი მეტყველი თვალებითა და ფაფუკი თმით დამშვენებული ადამიანი, შესაძლოა გარკვეულად თავისი ფიზიკური ნაკლის გამო, ცდილობდა ქორწინებით არ დაეცალდებულა მისი სათაყვანებელი ქალბატონი, ნიჭიერი და მომხიბვლელი მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი. სწორედ ქეთევან მაღალაშვილის ტკივილიანმა მოგონებებმა წარმოგვიდგინა დიმიტრი შევარდნაძის ის ბოლო გაბრძოლება, მიმართული ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის, მეტეხის ტაძრის აფეთქებისგან გადასარჩენად, რომელსაც მან ფაქტობრივად საკუთარი სიცოცხლე შესწირა.

საბჭოთა ბიუროკრატიული მანქანა, რომელსაც თავისი ბელადის მსგავსად, დიმიტრი შევარდნაძე ის უბრალო „ჭანჭიკი“ ეგონა, რომლითაც მანიპულირებას შესძლებდა, არ ელოდა თუ ასეთ მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, ამიტომაც გადაწყვიტა მისი გზიდან ჩამოშორება, რაც იმ ავად სახსენებელ 1937წელს რეპრესირებას ნიშნავდა.


ორმოცდაათიან წლებში მხატვრის ოფიციალური რეაბილიტაციის შემდეგ, როდესაც თანდათან გაიხსნა სუკის არქივები, ისიც

გაირკვა, რომ თურმე მას ბრალად ედებოდა, საბჭოთა ხელისუფლებისგან ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რომ მუზეუმი „მეტეხის“ დირექტორად ყოფნის დროს, მან უარი განაცხადა ცენტრალური რუსული მუზეუმებიდან გადარჩეული მეორეხარისხოვანი ექსპონატების მიღებაზე. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას სურდა „მეტეხის“ მუზეუმი „პატარა ლუვრად“ ექცია. დიმიტრი შევარდნაძეს ძირითად ბრალდებად ისიც წაუყენეს, რომ მან არ იზრუნა მუზეუმში პარტიული უჯრედის შექმნასა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებაზე.

მხატვრის „სამხილად“ ისიც გამოიყენეს, რომ მრავალ უცხოტომელს უმართავდა ხელს, მათ შორის გერმანელ მათემატიკის მასწავლებელ ჰაინრიხ როტს, რომელსაც ქართული ენის შესწავლაში ეხმარებოდა, რომ გერმანიაში 1930 წელს ჩინებული ორგანიზაცია გაუკეთა ქართული ხელოვნების გამოფენას, რომ წერილი მისწერა ი.სტალინს და მისგან ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გადასარჩენად ხუთი მილიონი მანეთის გამოყოფას მიაღწია და სხვ.

დარწმუნებული ვარ, დიმიტრი შევარდნაძის შესახებ ჯერ კიდევ სრულად არ არის მოპოვებული მასალა, ვინ იცის სად, გაბნეული დოკუმენტები ელიან მკვლევარს და მზის სინათლეს, რათა დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „საქმე ის არის. იმ ჩუმთა გუშაგთა უჩინარი ღვანლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვანიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედაბოძად უდგას თავის საზოგადოებას“.





ფანჯრის
ფანჯრის

**მძიმე სპიხთი
ნაწი სოფიანო
ჭიანჭილის ახალი
სპექტაკლი
"ხანაქების
დახანაქა"**

დედა: ვერიკო ანჯაფარიძე
მამა: მიხეილ ჭიაურელი

ეს ორი სახელი დღემდე შარავანდედითაა მოსილი იმ განსხვავებით რომ, ჩვენი თაობისათვის ისინი რეალური პიროვნებები არიან, ახალ თაობას კი მათზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, თუმცა იციან, რომ არსებობდა მეოცე საუკუნეში ორი დიდი ფიგურა — ვერიკო ანჯაფარიძე და მიხეილ ჭიაურელი.

ამათგან ვერიკო უფრო „ნამდვილი“ იყო, ცხოვრობდა ჩვენს გვერდით, ვხედავდით სცენაზე, ეკრანზე, ქუჩაში, ბაზარშიც კი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატ მიხეილ ჭიაურელზე კი ერთი პოპულარული ლექსისა არ იყოს, ვიცოდით, რომ



„კრემლშია, სტალინთან არი“. ფილმების პარალელურად არსებობდა ბევრი მოარული ამბავი ბელადთან მისი ურთიერთობისა, რაც ძალიან გვეამაყებოდა. იგი იყო უამრავი ფილმის, მათ შორის ისეთი შედეგების ავტორი, როგორცაა „არსენა“, „უკანასკნელი მასკარადი“, „გიორგი სააკაძე“, „ოთარანთ ქვრივი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ბელადისადმი მიძღვნილი ფილმები „ბერლინის დაცემა“, „1918 წელი“ და „ფიცი“, რომელმაც ვენეციის ფესტივალის პრიზი დაიმსახურა, პოლიტიკური პამფლეტი „როგორ მარხავენ თავგები კატას“ და სხვა.

ვერიკო კი თეატრისა და კინოს ვარსკვლავი გახლდათ, თუმცა ეს ტერმინი მაშინ არ იყო მოდაში. მაყურებელს აჯადოებდა მისი განუმეორებელი, მთრთოლვარე ხმა, მისი ივდითი, მისი მარგარიტა გოტიე, რომლის ნახვის შემდეგ ნემიროვიჩი—დანჩენკოს უთქვამს: „ბევრი კამელია მახსოვს. ორმა მათგანმა შემძრა — სარა ბერნარმა და ელეონორა დუზემ. მესამე მოქმედებიდან დარჩა მხოლოდ თქვენი კამელია. ასეთ მსახიობებს ორი ან სამი ნათამაშევი, უფრო სწორად, სცენაზე განცდილი როლისათვის შეიძლება ძეგლი დაუდგა“.

მე ვერიკოს ივდითი და მარგარიტა არ მინახავს. ვერიკოსთან ჩემი შეხვედრით მიღებული პირველი ძლიერი შთაბეჭდილება ეუხენას როლს უკავშირდება („ხეები ზეზუულად კვდებიან“), უკანასკნელი ორი ძლიერი შთაბეჭდილება კი იბსენის „მოჩვენებანი“ და „შთამომავლობაა“. მართალია, მსახიობთან ცოცხალ კონტაქტს ვერაფერი შეედრება, მაგრამ სამაგიეროდ ეკრანი სამუდამოდ აღბეჭდავს მის სახეს და ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ არ არსებობს დიდი და

პატარა როლები, არსებობენ დიდი და პატარა მსახიობები. ამის საუკეთესო მაგალითად „მონანიების“ საფინალო პატარა ეპიზოდი და ვერიკოს ნათქვამი ერთი ფრაზაც იკმარებდა: „რის მაქნისია გზა, თუკი ტაძართან არ მიმიყვანს“.

ეს ფაქტები გაბნეულია მთელ სპექტაკლში, ამბის თხრობა კი ვერიკოსა და მიხეილ ჭიაურელის შეხვედრის ეპიზოდით იწყება, როცა ერთი უბრალო მემწვანის შვილმა მიხეილ ჭიაურელმა „ერთი ნახვით შეიყვარა“ არისტოკრატიული ოჯახის ასული, უკვე სახელმძღვანელო მსახიობი ქალი, როგორ „მოიტაცა“ ოპერის ლოჟიდან და ფიქრის გორაზე, სადაც დღეს თეატრი „ვერიკო“ ბინადრობს, სატრფოს შეპყრობა, რომ მათი პირველი შეხვედრის ადგილზე სახლს აუშენებდა. ეს რომანტიკული ამბავი, რომელსაც ენაცვლება ვერიკოსა და მისი დედამთილ—მამამთილის გაცნობის ეპიზოდი, სოფიკოს მიერ იუმორის პლანში წარმოდგენილი, ქმნის განწყობას, რომ უნდა მოვისმინოთ არაორდინარული წყვილის არაორდინარული ისტორია და ეს მოლოდინი არ გვიცრუვდება. უფრო მეტიც, ჩემთვის ამ სპექტაკლით გაცხადდა, რომ სოფიკო ჭიაურელი მთელი ცხოვრების მანძილზე ატარებს იმ ტვირთს, რასაც დიდი მშობლების შვილობა ჰქვია და იგი გამონაკლისი არაა. ეს სინდრომი საყოველთაოდაა ცნობილი და მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა. ასეთივე წარმატებით შეიძლება სპექტაკლისათვის ვალიც გვენოდებინა: სოფიკო ვალს უხდის თავის მშობლებს იმ ტალანტის გამო, რაც მათ დანათლეს, იმ ცხოვრებისა და ატმოსფეროს გამო, რომელიც შეუქმნეს, იმ კვალისათვის, რაც მათ დატოვეს ქართულ ხელოვნებაში.

სპექტაკლს „პლანეტების დაბადება“ ჰქვია, იმასოციაციით, რომ ყოველი ადამიანის დაბადება თითო პლანეტის დაბადებას უდრის, მაგრამ მაყურებელმა იცის, რომ ამ შემთხვევაში ეს გამონათქვამი ორი დიდი პიროვნებისა და შემოქმედის დაბადების მეტაფორაა, ხოლო მემწვანის ვაჟიშვილისა და არისტოკრატი ქალბატონის შეუღლება სულაც არ ყოფილა მეზალიანსი — ისინი პიროვნულად ერთმანეთის ტოლი და სწორი იყვნენ. მიხეილ ჭიაურელი მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული: ხატავდა, ძერწავდა, აშენებდა, მღეროდა (სხვათა შორის მისი სიმღერის ჩანაწერით იწყება სპექტაკლი), დააარსა მუშათა თეატრები, მუსკომედიის თეატრი და რაც მთავარია, პიესის ტექსტი რომ მოვიშველიოთ, იგი იყო სრულყოფილი მამაკაცი

და პიროვნება.

დედ—მამის სიყვარულისა და ცხოვრების ისტორიას ბუნებრივად ერწყმის თვით სოფიკოს პლანეტის დაბადება, მისი ცხოვრება და შემოქმედება, მისი ცხოვრების ორი დიდი სიყვარული, ქალური და პროფესიული ბედნიერება.

სოფიკოს პლანეტის ორბიტაზე გასვლა მე-20 საუკუნის 50—იან წლებში იწყება. იგი პირველად ეკრანზე ვიხილეთ რეზო ჩხეიძის ფილმში „ჩვენი ეზო“, ახტაჯანა, სიფრიფანა გოგონა, დიდი, მეტყველი თვალებითა და ონავრული მიხრა—მოხრით გამორჩეული. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, ეკრანზე თუ თეატრში შემოქმედებითი გამარჯვებებით, შესვენებებით, ახალ-ახალი გამობრწყინებით სავსე და სოფიკო ჭიაურელი თანდათან დამოუკიდებელ ერთეულად იქცა. მას ვერიკოს არ ადარებდნენ, რადგან სოფიკოს არც უცდია დედისთვის მიებაძა, შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც იგი დამოუკიდებელ პიროვნებად შემოვიდა და გამორჩეულ, მრავალმხრივ მსახიობად ჩამოყალიბდა.

თავის დროზე, როცა კოტე მახარაძემ დააარსა მონოთეატრი და „ვერიკო“ უწოდა, იგი მთხრობელზე იყო გათვლილი. ჩემი აზრით, ეს მისთვის თვითგამოვლენის საუკეთესო ფორმა გახლდათ. განათლებული, ერუდირებული, ანალიზური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანისათვის იმდენად ბუნებრივი იყო სათქმელის მაყურებლამდე მიტანის ეს ფორმა, რომ პრინციპში ერთი მსახიობის თეატრის საფუძველიც თხრობის ფაქტორი გახდა. აქ დადგმული ყოველი სპექტაკლი მონათხრობია ცხოვრებაზე, ადამიანურ განცდებზე, შთაბეჭდილებებზე. თხრობაში შეიძლება აქა—იქ „გარეშე“ პერსონაჟიც ჩაერთოს, მაგრამ მაინც არასოდეს ირღვევა მთავარი პრინციპი — ამ თეატრის ცენტრში დგას მთხრობელი, რომლის თეატრალური ხერხები მრავალფეროვანია, მათ შორის კი მთავარია მონათხრობისადმი, უფრო სწორად, ლირიკული გმირისადმი საკუთარი დამოკიდებულების წარმოჩენა და თანაგანცდა.

სანამ კვლავ მთავარ სათქმელს დაუბრუნდებოდე, ამ თეატრის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრინციპს აღვნიშნავ: აქ ისე გიყვებიან ამბავს, თითქოს ეს ყველაფერი მათ თვალწინ მომხდარიყოს, ცდილობენ ჩასწვდნენ ამა თუ იმ პერსონაჟის საქციელს, შეაფასონ, გააანალიზონ იგი, ჩაიხედონ მის



სულში, მოგანოდონ არა მხოლოდ ფაქტები, არამედ გიამბონ ამ ფაქტების გამომწვევი მიზეზები და ისტორია და ბუნებრივია, ეს მხატვრული ხერხები კიდევ უფრო ქმედითი ხდება, როცა მოთხრობის გმირები შენი უახლოესი და უძვირფასესი ადამიანები არიან.

შესაბამისად, სოფიკოს სპექტაკლში ორი პერსპექტივა იკვეთება — პირველია ის საყოველთაოდ ცნობილი ამბები და პერიპეტეიები, რაც ორ დიდ ხელოვანზე ყველამ იცის და მეორეა შვილის თვალთ (ხელოვანი შვილის თვალთ!) დანახული დედ—მამა. მონათხრობის ქარგას შეადგენს საკუთარი მოგონებები, დედ—მამის, ახლობლების მონათხრობი, წერილები, დოკუმენტები და მათი შემოქმედება, რაც უკვე ისტორიის კუთვნილებაა.

სპექტაკლის ჩარჩოს ქმნის ტაკიმასხარას ნილაბი, როგორც სამსახიობო ხელოვნების უძველესი სიმბოლო. ამ ხერხით დამდგმელი ჯგუფი თითქოს ცდილობს იოლად წარმოადგინოს მსახიობის ხელოვნება, მაგრამ პირველივე ეპიზოდებში, რომელთა უმეტესობა იუმორითა და თვითირონითაა შეფერილი, ჩანს ის მძიმე ტვირთი, რომელსაც დიდი მსახიობები ერთი შეხედვით იოლად ატარებენ.

სოფიკოს მონათხრობში, რომლის მთავარი შემოქმედი, ბუნებრივია, თვითონაა, გვაოცებს ზღვა მასალის კომპაქტურად მოწოდების უნარი. აქ ერთხელ კიდევ გაცამტვერდება მთარული აზრი, თითქოს მსახიობისთვის საკმარისი იყოს გარდასახვის ნიჭი, მე კი ვიტყვოდი, რომ გაუნათლებელი მსახიობი დიდი ვერასოდეს ვერ გახდება. მას ნიჭთან ერთად მოეთხოვება ლიტერატურული გემოვნება, მხატვრული ტექსტის სწორად გაგების უნარი, სიტყვის გრძნობა და თუ

გნებავთ, მეტყველების კულტურა, რაც ჩვენს სცენაზე, სამწუხაროდ, იშვიათობა გახდა.

დავუბრუნდეთ მთხრობელის როლს, სადაც გამორიცხული არაა, უფრო მეტიც, ბუნებრივიცაა ზოგიერთი ეპიზოდის რომანტიკულ ბურუსში გახვევა, ბავშვური შთაბეჭდილების გულუბრყვილოდ მოწოდება, რალაციისთვის თვალის არიდება, რალაციისთვის ხაზის გასმა და უფრო შთამბეჭდავად წარმოდგენა და ა.შ.

ბავშვობის მოგონებები ჩვენი მეხსიერების ის ფენაა, რომელიც დღევანდელი პერსპექტივიდან ყველაზე უფროა შეფერილი სენტიმენტალიზმით. ჩვენ ვხედავთ საკუთარ თავს რალაც სიტუაციაში, რომელსაც მაშინ სულაც არ აღვიქვამდით მტკივნეულად, მაგრამ ამ გადასახედიდან გვეცოდება ჩვენი თავი, ანუ ის პატარა არსება, რომელსაც შეიძლება უფრო მეტად უნდოდა მშობლებთან ყოფნა და ამ მუდმივ მონატრებას დღეს სულ სხვა თვალთ უყურებს, მონათხრობს ხან თვითირონით შეფერავს, ხან იუმორით შეარბილებს, მაგრამ საკუთარ მშობლებზე საუბარი, რომელთა ცხოვრებაც მათთვის დაკისრებული როლის გამო საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, მაინც უაღრესად რთული ამოცანაა.

სპექტაკლის მსვლელობისას დარბაზში ხშირად ისმის სიცილი, ზოგჯერ კი მაყურებელს თვალზე ცრემლი ადგება. ძნელია უცრემლოდ მოისმინო ვერიკოს „ნათამაშევი“ უკანასკნელი როლის ამბავი და შვილის წუხილი, რომ დედის ანდერძი ორმოცი დღის შემდეგ იპოვა და უკანასკნელი თხოვნა ვერ შეუსრულა — საავადმყოფოშიც წაიყვანა და ვერც ის პატარა ნემსი გაუკეთა, რომელიც სიკვდილისწინა მძიმე წუთებს ააცილებდა. ვერც შეძლება! სამაგიეროდ ვერიკომ შეძლო ეთამაშა თავისი უკანასკნელი როლი: მის სანახავად გამოფენილი მედპერსონალისა და ავადმყოფების თვალწინ ღონეგამოცლილი ხელით პირზე ზენარი წაუფარებია, მეორე დღეს კი ძალით გაუჩერებია გული, რომელსაც, ექიმების თქმით, კიდევ შეეძლო ფეთქვა. ასეთი სიკვდილი დიდი პიროვნებების ხვედრია, ხოლო შვილისთვის ამ ეპიზოდის მოყოლა დედის სიკვდილის ხელახლა განცდის ტოლფასია.

ნებისმიერი სპექტაკლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ ტექსტს, ცხადია, ამ სპექტაკლის ტექსტის შექმნაში დიდია თვით სოფიკოს წვლილი, მაგრამ მისი ჩანაფიქრი — მშობლების ცხოვრების ზომი-

ერი პათეტიკით წარმოდგენა, აქცენტების გადანაწილება, სევდისა და სიხარულის მონაცვლეობა შესანიშნავად განუხორციელებიათ პიესის ავტორებს ინგა გარუჩავასა და პეტრე ხოტიანოვსკის, რომლებიც სპექტაკლის რეჟისორებიც არიან, მხატვრული გაფორმება კი ნიკუშა შენგელაიასა და ვაჟა ჯალალნიას ეკუთვნით. ტექსტის თარგმანი მანანა გეგეჭკორისაა. იგი ერთგულად იცავს სპექტაკლის ავტორების ჩანაფიქრს, არსად არ იგრძნობა უხვსიტყვაობით გატაცება, დაცულია პროზაული ტექსტის მთავარი პირობა — სუნთქვის პაუზა და აზრის დასასრული ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს.

სპექტაკლში გამორჩეული ადგილი უჭირავს მუსიკალურ გაფორმებას. ია საკანდელიძე ზუსტად გრძნობს ტექსტს და თითოეულ ეპიზოდს იმდენად შესაფერ მუსიკალურ ფრაგმენტს უძებნის, რომ მათი დაცალკეება შეუძლებელია. მუსიკა ხან ამძაფრებს განწყობილებას, ხან ნეიტრალურ ფონს უქმნის ამა თუ იმ ეპიზოდს, ხან კი „მთავარ დარტყმას“ საკუთარ თავზე იღებს და შთამბეჭდავი აქცენტის სახით გვევლინება.

როგორც ვთქვით, სპექტაკლში მთავარია სათხრობი მასალა და მთხრობელი. ამიტომ იგი ვიზუალურად გადატვირთული არ არის. გამოყენებულია რამდენიმე კინოკადრი, ფოტომასალა კი ორიგინალურადაა მოწოდებული — იგი უხმო პერსონაჟის (ქოროს) მოსასხამზე აისახება. ამ როლს შესანიშნავად უძღვება ონისე ონიანი, რომლის გარეგნობა და პლასტიკა აძლიერებს ცალკეული ეპიზოდების ზემოქმედებას.

სპექტაკლი „პლანეტების დაბადება“ უჩვეულოა თავისი ჩანაფიქრით. ეს არის სოფიკო ჭიაურელის ერთგვარი აღსარება, დედ-მამის ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერა საკუთარი ცხოვრების ფონზე, დაბადებიდან დღემდე და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მაყურებელთა წინაშე საათნახევარში მთელი შენი ცხოვრების ხელახლა გავლას საოცრად დიდი სულიერი ძალა და თავის გამეტება სჭირდება.





1919 წ. დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჭიაურელი, ქეთევან მალალაშვილი და ლადო გუდიაშვილი



კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ზაზა გულაშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
8 99 25 60 14

ელ-ფოსტა: vajao@posta.ge



ნიკო ფიროსმანი



ტასო ციციშვილი



სილიბისტრო ჯიბლაძე



იაკობ ნიკოლაძე




შალვა ქიქობე

რესტორანში



ქართული
ლიბრეო



5 110 / 10